Однако с точки зрения периодизации истории научно-технической революции в Грузии, пятидесятые годы характеризуются, как мы увидим, двумя периодами. Известно, что середину XX века общепринято в глобальном плане считать началом современной научно-технической революции в СССР и в некоторых развитых странах капитализма. Однако с точки зрения распространения научно-технической революции в ряде советских республик, конкретно в Грузии, этот процесс еще в первой половине пятидесятых годов носил подготовительный характер.

Началом же становления и развития научно-технической революции в Грузии, как и во многих других советских республиках, по данным нашего исследования следует считать вторую половину пятидесятых годов, начиная с решения Июльского пленума ЦК КПСС в 1955 году. Нельзя не отметить и принятого Постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 25 мая 1955 года «Об улучшении дела изучения и внедрения в народное хозяйство опыта и достижений передовой отечественной и зарубежной науки и техники»[27], в котором указывалось на необходимость «считать внедрение передовой науки, техники и изобретений важнейшим государственным делом[28]. С этой целью был организован Государственный комитет Совета Министров СССР по новой технике — «Гостехника СССР»[29].

[26] ЦГА ОРСС ГССР, ф. 2091, оп. I, д. 398, лл. 1—206.

[27] Решения партии и правительства по хозяйственным вопросам (1917 —1967 гг.), т. 4, изд. 7-ое, М., 1960, с. 221, 223, 225.

[28] Там же, с. 225.

[29] Там же, с. 223.

Именно к этому времени Советский Союз в централизованном порядке добился решающих успехов в развитии современной науки и техники, осуществив в 1949 году первый в СССР испытательный атомный взрыв, а в 1953 году впервые в мире — испытательный водородный взрыв. Создав в 1954 году первую в мире атомную электростанцию, Советский Союз направил деятельность ученых на развитие ядерной энергии в мирных целях, имея уже в своем распоряжении солидную атомную технику и атомную промышленность. Тогда же завершался процесс создания космической ракетной техники, подготовлялся запуск первого в мире спутника Земли, а затем — полет советского человека в космос.

Таким образом, к июльскому Пленуму ЦК КПСС (1955 год), были созданы необходимые предпосылки для перехода к планомерному широкому развертыванию научно-технической революции во всей стране, в каждой советской республике, в том числе и в Грузии, исходя из конкретных условий и научно-технических возможностей развития каждой республики; к созданию и внедрению новой, современной производственной техники, базирующейся на комплексной механизации и автоматизации производственных процессов на основе достижений современной научно-технической мысли.

Июльский Пленум ЦК КПСС подвел итоги пройденному в социалистическом строительстве пути, проанализировав комплекс проблем, связанных с развитием промышленности и наметил задачи ее коренного технического совершенствования. Наряду с внедрением новейших достижений автоматики, телемеханики, радиотехники и электроники[30], Пленум поставил новую проблему «применения атомной энергии в мирных целях»[30], что приобретало большое значение для дальнейшего развития научно-технической революции.

Пленум предложил развернуть в широких масштабах научно-исследовательские и проектно-конструкторские работы по комплексной механизации и автоматизации производственных процессов в важнейших отраслях промышленности[31].

Партией и правительством, партийной организацией Грузии и Совета Минстров республики были проведены необходимые организаторские мероприятия для быстрого распространения основных компонентов научно-технической революции.

1 июня 1957 года был образован Государственный научно-технический Комитет Совета Министров СССР вместо существовавшего до этого органа «Гостехника СССР»[32]. По решению вышестоящих органов был также создан «Научно-технический Комитет Совета Министров Грузинской ССР»[33].

Перед научно-техническим Комитетом Совета Министров СССР ставилась задача «изучения достижений отечественной и зарубежной техники, обмена передовым опытом производства, осуществления широкой пропаганды этих достижений, издания научно-технической литературы, а также установление контроля за развитием и внедрением новой техники в народное хозяйство и координации деятельности научно-технических комитетов Совета Министров союзных республик»[34]. В соответствии с этой общей задачей предъявлялись конкрет-

---

30 «КПСС в резолюциях и решениях...», т. 7, изд. 8-ое, М., 1971, с. 73.

31 Там же, с. 74.

32 ЦГА ОРСС ГССР, ф. 2091, оп. 1, д. 1, лл. 1, 2.

33 Там же.

34 Там же, л. 1.

ные требования каждому республиканскому комитету Советов Министров союзных республик.

19 февраля 1958 года было принято постановление Совета Министров Грузинской ССР «Об основных задачах по механизации, автоматизации производственных процессов и внедрения передовой технологии в отдельные отрасли народного хозяйства Грузинской ССР на 1958 год»[35].

В мае 1958 года ЦК КПСС провел Всесоюзное совещание по вопросу развития комплексной механизации и автоматизации производственных процессов в промышленности, наметив пути дальнейшего повышения их уровня развития»[26].

5 июня 1958 года ЦК КПСС и Совет Министров СССР обратился с письмом ко всем рабочим, работницам, инженерно-техническим работникам и служащим предприятий, к деятелям науки и техники, к общественным организациям, предложив «усилить темпы механизации работ в промышленности, на транспорте и в строительстве, внедрить в широких масштабах автоматизацию производственных процессов, перейти от механизации и автоматизации отдельных операций и агрегатов к автоматизаици цехов и созданию полностью автоматизированных предприятий»[37].

В сентябре 1958 года ЦК КП Грузии провел республиканское совещание по вопросу механизации и автоматизации производственных процессов в промышленности Грузинской ССР[38], поставив задачу значительного развития автоматизации промышленных предприятий республики[39].

В июне 1959 года Пленум ЦК КПСС вновь принял развернутое постановление об ускорении темпов технического прогресса в промышленности и строительстве, разработав практические мероприятия по усилению внедрения комплексной механизации и автоматизации производства, введению поточных линий, замены устаревшего оборудования, штампов и инструментов, реконструкции, расширения и технического переоборудования предприятий. Пленум потребовал улучшения организации научно-исследовательских, проектных и опытных работ, ускорения использования достижений науки и техники в промышленности, строительстве и на транспорте[40]. В области автоматизации предлагалось основные мероприятия направить на практическое решение задачи перехода от автоматизации отдельных производственных операций к созданию полных автоматизированных технологических процессов, цехов и предприятий, в первую очередь в тех областях, где автоматизация обеспечивает максимальный экономический эффект[41]. Еще раз указывалось на необходимость «повысить роль науки в техническом прогрессе, ускорить внедрение достижений науки в производство»[42].

---

[35] ЦГА ОРСС ГССР, ф. 2091. д. 423, л. 3.

[36] Там же, д. 422, лл. 13, 107.

[37] Решения партии и правительства по хозяйственным вопросам (1917—1967) гг.), т. 4, М, 1967, с. 412—413.

[38] ПА ГФ ИМЛ при ЦК КПСС, ф. 14, оп. 54, д. 75, л. 1; ЦГА ОРСС ГССР, ф. 2091, оп. I, д. 422, лл. 13. 107.

[39] ЦГА ОРСС ГССР, ф. 2091, оп. I, д. 422, лл. 13, 107.

[40] «КПСС в резолюциях и решениях...», т. 7, изд. 8, М., 1971, с. 520, 525, 526, 529, 532.

[41] Там же, с. 541.

[42] Там же, с. 546.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В целях реализации решений Вышестоящих органов соответствующим организациям до 1 октября 1959 года разработать на всех предприятиях республики конкретные мероприятия по осуществлению технического прогресса по каждому агрегату, цеху, предприятию в целом, в первую очередь — на предприятиях производства средств производства.

Итак, по данным исследования видно, что первую половину пятидесятых годов в Грузии следует рассматривать как подготовительный период к началу современной научно-технической революции в Грузии. Вторая половина пятидесятых годов связана с непосредственными процессами зарождения и развития основных компонентов современной научно-технической революции в республике.

Представил Отдел новейшей истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი ჭკადუა

# სოციალური მდგომარეობა სვანეთის სამთავროში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

XIX ს-ის პირველ ნახევარში სვანეთი იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად. ერთი იყო ქვემო სვანეთი (დღევანდელი ლენტეხის რაიონი) და მეორე ზემო სვანეთი (დღევანდელი მესტიის რაიონი). ქვემო სვანეთს სხვანაირად „სადადიანო" სვანეთს უწოდებდნენ. ზემო სვანეთი, თავის მხრივ, იყოფოდა ორ — ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთად.[1] ბალს ზემო ნაწილს „თავისუფალი", „უბატონო", ხოლო ბალს ქვემო ნაწილს „საბატონო", „სადადეშქელიანო" სვანეთი ეწოდებოდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით სვანეთის სამთავრო ე. ი. საბატონო სვანეთი კიდევ ორ ნაწილად იყოფოდა. მოკლედ შევეხოთ სვანეთის სამთავროს ორ ნაწილად (ორ ქვესამთავროდ) გაყოფის საკითხს.

ლიტერატურული წყაროების თანახმად, XVIII ს-ის შუა ხანებიდან ამავე საუკუნის დასასრულამდე სამთავრო სვანეთს როგორც ერთიან ერთეულს განაგებდა ოთარ დადეშქელიანი.[2] რომლის შემადგენლობაში შედიოდა ხუთი საზოგადოება: ეცერი (მთავრის სამყოფელი), ცხუმარი, ბეჩო, ლეჩყანი და ჩუბეხევი.[3]

ოთარის გარდაცვალების შემდეგ მთავარი გამხდარა მისი შვილი ციოყი,[4] რომელსაც ექვსი შვილი ჰყოლია. თენგიზი, გელა, ლევანი, ჯანსუღი, ისლამი და თათარყანი.[5] ციოყის გარდაცვალების შემდეგ (1812) სამთავროს ერთმმართველობა დარღვეულა. თავი უჩენია დადეშქელიანთა საძმოს სამ შტოდ — ოთარშად, სორთმანშად და ღუდაუშად გაყოფის ისტორიულ პროცესს.[6] ციოყის შვილებსა და შვილიშვილებს შორის დაწყებულა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პირველობისათვის. „თითოეული მათგანი იტაცებდა იმას, რაც შეეძლო და ყველა საშუალებით ცდილობდა ხელთ ეგდო ყველაზე ახლობლის სამფლობელოც კი",[7] რის შედეგადაც ჩუბეხევს დაპატრონებია ბაბა ციოყის უფროსი შვილი თენგიზი, ეცერს — ოთარის შვილიშვილი აზნაური[8], ცხუმარს — როსტომ ხანის შვილიშვილი ოთარი, ბეჩოს სორ-

---

[1] ბალი სასაზღვრო ქედს ეწოდებოდა.

[2] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тб., 1907, გვ. 3.

[3] „ჩუბეხევი" სვანურად ნიშნავს ქვემო ხევს.

[4] მას სხვანაირად „ბაბა ციოყს" უწოდებდნენ.

[5] Центральный Государственный архив Октябрской революции, высших органов государственной власти и органов государственного управления СССР в Москве (ЦГАОРМ), ф. 792, д. 4, л. 6.

[6] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, გვ. 122.

[7] ЦГАОРМ, ф. 272, д. 4. л. 7.

[8] ამ დროიდან დაწყებული ეცერის მფლობელებს დადეშქელიანთა უმცროს შტოს უწოდებდნენ, ხოლო ჩუბეხევის მფლობელებს, რომელთა რეზიდენცია სოფ. ფარში იყო — უფროს შტოს.

თმანის მემკვიდრეები, ხოლო ლეჩყანს — დუდას მემკვიდრეები. ე. ი. XIX საუკუნის პირველსავე ორ ათეულ წლებში სვანეთის ერთიანი სამთავროს ხუთივე საზოგადოებას თავისი მფლობელი გასჩენია.

როგორც აღინიშნა, ციოყს ჰყოლია ექვსი ვაჟი, რომელთაგან თენგიზი გადასახლებულა სოფ. ფარში, ხოლო ლევანი გაბატონებულა ეცერში[9]. დანარჩენ ძმებს ვერ მოუსწრიათ წილის მიღება. მალე თენგიზი გარდაცვლილა და დარჩენია მცირეწლოვანი შვილები მოსოსტრი და მურზაყანი. ამით უსარგებლია ეცერის მფლობელ ლევანს და ფარიც ხელში ჩაუგდია. ლევანი ფრთხილი და დაუნდობელი პიროვნება ყოფილა. მას ფარის ხელში ჩაგდების შემდეგ თავისუფალი სვანეთის სოფელ ლატალის დაპყრობაც მოუნდომებია.[10] მასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონია სამეგრელოს მთავარს, რომელსაც სოფ. ხელეთი უჩუქნია. ლევანის სიკვდილის შემდეგ მკვიდრმა ძმამ ისლამმა სიცოცხლეს გამოსალმა მისივე მემკვიდრე და მიტაცებული მიწა-წყალი ასე გაუნაწილებია: გარდაცვლილი ძმის თენგიზის შვილები მოსოსტრი და მურზაყანი ფარში დაუსვამს, ხოლო თათარყანისათვის ბეჩო მიუკუთვნებია. მისი ძმის ჯანსულისა და მეორე ძმა გელას შვილებისათვის — როსტომისა და ქერიმისათვის ცხუმარი მიუჩენია და თვით ეცერს დაპატრონებია[11].

მთავართა ამ ახალ რიგში ყველაზე ძლიერი აღმოჩენილა თათარყანი, რომელსაც იარაღის ძალით დაუმორჩილებია ყველა მოწინააღმდეგე[12]. როცა ისლამი გარდაიცვალა თათარყანს ცოლად მოუყვანია მისი მეუღლე და დაუფლებია ცხუმარსა და ეცერს, მუხანათურად მოუკლავს რა თავისი ძმა ჯანსული და მეორე ძმის გელას შვილები როსტომი და ქერიმი[13].

ერთადერთი მხარე, რომლის დაქვემდებარებაც თათარყანს ვერ მოუხერხებია ყოფილა ჩუბეხევი ანუ ფარის სადადეშქელიანო. აქ იმ დროს მმართველობდნენ მოსოსტრი და მურზაყანი, ხოლო შემდეგ მოსოსტრის ვაჟი ციოყი[14]. ფარის ნაწილის გამოყოფა სათანადო საზღვრის გადებითაც დაგვირგვინებულა, რომელიც „ამ ორ პატარა სამფლობელოს შორის გადიოდა მთავრების ადგილსამყოფელი სოფლების ფარისა და ბარშის შუა მდებარე ტყიან ფართო ხევში, რომელიც თითოეულიდან 7—8 კმ-ით იყო დაშორებული“[15].

ასე, რომ XIX ს-ის 30-იან წლებში სვანეთის სამთავრო დაიყო ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნაწილად. მათგან ეცერს, რომელშიც შედიოდა 30 სოფელი, ფლობდა თათარყანი, ხოლო მეორეს ფარის სადადეშქელიანოს ციოყი, რომლის მფლობელობაში შედიოდა 21 სოფელი[16]. მოქიშპე თათარ-

---

[9] მისი სამყოფელი ადგილი ყოფილა სოფ. ბარში.

[10] ЦГАОРМ, ф. 792, д. 4, л. 7.

[11] ЦГАОРМ, ф. 792, д. 4, л. 12.

[12] С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[13] ЦГАОРМ, ф. 792, д. 4, л. 12.

[14] იქვე.

[15] რ. კანდელაკი, სვანეთის ტერიტორია, საზღვრები, მოსახლეობა და დაყოფა XIX ს-ის I ნახევარში, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 14, თბ., 1959, გვ. 151.

[16] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 252.

ყანის წინააღმდეგ ბრძოლაში ციოყუ გვერდში ედგა ნიჭიერი და პატივმოყვარე დედამისი დიგორხანი[17].

ამ დროისათვის მეფის რუსეთმა ძირითადად დაასრულა საქართველოს შემოერთების ხანგრძლივი პროცესი და შეუდგა კავკასიის მთიანეთის დამორჩილებას. ამ ამოცანის განხორციელებაში სვანეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ციოყუსა და თათარხანს შორის არსებული წინააღმდეგობა ცარიზმის მოხელეებმა მოხერხებულად გამოიყენეს, რასაც შედეგად მოჰყვა 1832-1833 წლებში, ჯერ ციოყუს, ხოლო შემდეგ თათარყანის სამთავრო ნაწილთა შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში. „სათხოვარი პუნქტების" თანახმად, რომლებიც სვანეთის მთავრებს თვით რუსეთის მოხელეებმა შეუდგინეს, ცნობილი იყვნენ მანამდე კუთვნილ ცალკეულ სამფლობელოთა პატრონებად და ამავე დროს გამოცხადდნენ რუსეთის მეფის მონა-მორჩილებად.

რუსეთისადმი დაქვემდებარების აქტს სვანეთის მთავართა ურთიერთობაში არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია. მათ შორის შუღლი, ქიშპობა და მტრობა კიდევ უფრო გაღრმავდა, რაც შემდეგში მათ ნაშიერებს შორისაც გაგრძელდა ვიდრე ცარიზმმა არ გააუქმა სვანეთში სამთავრო.

ახლა შევეხოთ სოციალური მდგომარეობის საკითხს XIX ს-ის პირველ ნახევარში, რისთვისაც საჭიროა გავარკვიოთ დადეშქელიანების საკუთრებაში შემავალი მიწის ფონდი. სამწუხაროდ ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ დადეშქელიანების მიერ მიტაცებული მიწები იურიდიულად არასდროს არ გაფორმებულა და ამიტომ მათი რაოდენობის ზუსტად დადგენა შეუძლებელი ხდება. შედარებით უფრო ნათელი ცნობები მოგვეპოვება სოფ. ბეჩოში მათ კუთვნილ მიწებზე.

ისტორიაში ცნობილია, რომ სვანეთში სამთავროს გაუქმების შემდეგ მეფის მოხელეებმა მოინდომეს სვანეთიდან დადეშქელიანების გადასახლება. ამ დროს ბეჩოს ფლობდა ოთარ დადეშქელიანი, რომელმაც მუსულმანობა მიიღო და ამ საბაბით მეფის მოხელეებმა გადაწყვიტეს მისი გადასახლება ყაბარდოში. გადასახლების შემთხვევაში ოთარისათვის უნდა მიეცათ იმდენივე ზომის მიწა, რამდენსაც ის ფლობდა ბეჩოში.

ერთ-ერთი მოხელის დაანგარიშებით „ოთარის მამული შედგებოდა 300-მდე დესეტინა სახნავ-სათიბი მიწისაგან"[18].

გვაქვს მეორე ცნობაც. ქუთაისის საგუბერნიო მმართველობისა და საგლეხო საგუბერნიო დაწესებულებების გაერთიანებული საკრებულოს დაანგარიშებით 1894 წელს ოთაროვების მამული ბეჩოში შედგებოდა 7397 დესეტინა სხვადასხვა სავარგული მიწის ნაკვეთისაგან. ამ დროისათვის ბე-

---

17 ეს სახელწოდება საარქივო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: «Гиго-ханум»—სცსსა, ფ. 2, აღწ. I, საქ. 4465, ფურც. 80, 155; С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 112; შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ენიმკის მოამბე, 1940, VIII, გვ. 50; «Гиго-хан» — ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 64, л. 106; «Дигор-хан» — К. Бороздин, Закавказская воспюминания Мингрелия и Сванетия, СПб., 1865, გვ. 170; «Даго-хан» — Акты, собранные кавказской археографической комиссией, т. XI, გვ. 42; (შემდეგში აქტები...), «Дигур-хан»—აქტები, ტ. VII, გვ. 464; «Догур-хан» —ბ. ა. შერბაკოვი, დროება, 1889 № 27 და სხვ. ჩვენი აზრით ყველაზე სწორი უნდა იყოს «Дигор хан», რამდენადაც პირადად მას თავისი სახელწოდება ამ ფორმით აქვს დასახელებული. იხ. სცსსა, ფ. 2, აღწ. 2, საქ. 194, ფურც. 2.

18 სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 3—11, 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოში ცხოვრობდა მათი ოთხი ოჯახი და ეს ოთხი ოჯახი ფაქტობრივად ფლობდა 38 დესეტინა სახნავ-სათიბს და სარგებლობდა ტყე-საძოვრებით[19].

ეცერის სადადეშქელიანო ნაწილში შემავალ სხვა სოფლებში დადეშქელიანთა მიწებზე მცირე და ისიც არაზუსტი ცნობები მოგვეპოვება. ფ. სობოლის მიერ აღნიშნული მონაცემების თანახმად „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეცერისა და ცხუმარის მიწათმფლობელმა თ. დადეშქელიანმა გლეხთა ოჯახებს, რომელთა შემადგენლობა უდრიდა 164 სულ მამაკაცს, გადასცა 709,4 ქცევა მიწა ე. ი. 290,6 ჰა, რამაც შეადგინა დაახლოებით 2,2 ჰა ანუ 4 ქცევა კომლზე“[20]. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, არ შემოგვენახა რაიმე მონაცემები მიწის იმ გამოსადეგი ნაწილის შესახებ, რომელიც დაიტოვა თავისთვის მებატონემ. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ 1914 წელს მხოლოდ ეცერის საზოგადოებაში გლეხებმა დაამუშავეს თავიანთი და დადეშქელიანთა საჯაროდ სახნავი მიწები 438,1 ჰა-ს რაოდენობით, სათიბ და სხვა სავარგული მიწების ჩაუთვლელად, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბატონს თავისთვის დაუტოვებია ნახევარზე მეტი, ვიდრე მან გლეხებს გადასცა 1871 წელს“[21].

მართალია, ზემოთ მოტანილი ცნობები ეხება XIX ს-ის მეორე ნახევარს, მაგრამ ისინი გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნიან დადეშქელიანთა კუთვნილი მიწების რაოდენობაზე სოფ. ბეჩოში, ეცერსა თუ ცხუმარში. შედარებით კიდევ უფრო მიახლოებითი ცნობებია შემორჩენილი ფარის სადადეშქელიანოს ნაწილში არსებული მამულების რაოდენობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მხოლოდ სოფლების ან დამოკიდებულ გლეხთა რიცხობრივი მონაცემები და არაფერია ნათქვამი მიწების ზომაზე.

მაგ., XIX ს-ის პირველი ნახევრის სვანეთის სამთავროში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ ლაბანოვ-როსტოვსკი წერდა: „დაკავებული ფართობის მიხედვით თავად კონსტანტინეს მამული გაცილებით მეტია ნიკოლოზის (თათარყანისა — ა. ჭ.) მამულზე, მაგრამ კონსტანტინეს მამული ტვიბის ხეობიდან, ლენხერის ერთ-ერთი სოფლის გარდა, მთლად დაუსახლებელია. კონსტანტინეს მამულს განეკუთვნება 16 სოფელი 245 კომლით, ხოლო ნიკოლოზისა — 18 სოფელი 270 კომლით. სულ სვანეთის სამთავროში 515 კომლია... ჩემს მიერ მოყვანილ რიცხობრივი მონაცემების სრულ სისწორეზე ვთავდებობ, რადგან მე ფეხდაფეხ მოვიარე სამთავრო სვანეთი და შემეძლო დამეთვალა არა მხოლოდ სოფლები, არამედ ყველა ოჯახიც კი სათითაოდ... სამთავრო სვანეთში არ შეიძლება ვიგულისხმოთ 3 ათასზე მეტი მცხოვრები“.[22] ლობანოვ-როსტოვსკის ეს ცნობები მოყვანილი აქვს 1846 წლის ანგარიშით.

სულ რაღაც 12 წლის შემდეგ, 1858 წელს გამოვიდა ა. ლავრენტიევისა და ა. ბერჟეს ნაშრომები. ა. ლავრენტიევის თანახმად, საბატონო სვანეთის ფარის ნაწილში ცხოვრობდა 200, ხოლო ეცერის ნაწილში 420, ე. ი. სულ 620 კომლი.[23] ა. ბერჟეს თანახმად კი საბატონო სვანეთის მოსახლეობა ალ-

[19] ალ. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967, გვ. 96—97.

[20] Ф. Соболь Ф., Верхняя Сванетия, М., 1933, გვ. 15.

[21] იქვე.

[22] ЦГАОРМ, ф. 272, д. 4, л. 11.

[23] А. Лаврентьев, Статистические описания, кутаисское генерал-губернаторство, СПб., 1858, გვ. 226.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევს 516 კომლამდე[24]. როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე წელს გამოსულ სხვადასხვა ნაშრომში საბატონო სვანეთის მოსახლეობაში სხვაობა უდრის 104 კომლს.. ეს უდავოდ უზუსტობაა. მათგან განსხვავებით, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ,[25] რომელმაც XIX ს-ის 60-იან წლებში მოიარა სვანეთი, აღნიშნა, რომ ფარის სადადეშქელიანოში ცხოვრობდა 152 კომლი, ეცერის სადადეშქელიანოში 177 და სულ საბატონო სვანეთში 329 კომლი[26]. მკვლევარ რ. კანდელაკის სათანადო დაანგარიშებით XIX ს-ის პირველ ნახევარში ფარის ნაწილში ცხოვრობდა 159 კომლი, ხოლო ეცერში 179 ე. ი. საბატონო სვანეთში 338 კომლი.[27] როგორც ვხედავთ, სრულიად უმნიშვნელო სხვაობაა. ეს ცნობები შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ, რადგან სვანეთის სამთავროს გაუქმების დროს ფარის ნაწილის მეკომურ გლეხთა რიცხვი მართლაც 150 კომლს უდრიდა.[28]

უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის სამთავროში მემამულეთა პირად კუთვნილებაში მყოფი მიწებისა და ყმების რაოდენობის ზუსტად დადგენა არ ხერხდება, მაგრამ არსებული მცირედი ფაქტებითაც შეიძლება ითქვას, რომ მთავრებს მიწების მთლიანი რაოდენობის უმეტესი ნაწილი ჰქონდათ მისაკუთრებული და ამა თუ იმ ფორმით მოსახლეობას ფეოდალურ ექსპლუატაციას უწევდნენ.

ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ დადგენილი რის საფუძველზე აღმოცენდა ფეოდალური ურთიერთობა სვანეთში, მიწის საღალოდ გაცემის გზით, თუ დადეშქელიანთა მიერ გლეხობის იძულებით დაქვემდებარების საფუძველზე. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უფრო მართებული უნდა იყოს, რადგან იქ სადაც მიწა-წყალი ათვისებული იყო, ეს უკანასკნელი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული და ამ მხრივ სვანეთი არ შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს.

ბატონყმური ურთიერთობის დონისძიებისა და აქედან გამომდინარე საბატონო სვანეთის სტადიალური განვითარების დადგენა-განსაზღვრა შეიძლება გლეხთა ბეგარა-ვალდებულებათა სურათის საფუძველზე.

კ. მარქსი გვასწავლის, რომ ფეოდალური რენტის განვითარებაში არსებობს სამი პროგრესული სტადია: შრომითი, პროდუქტადი და ფულადი.[29] ამ სახელმძღვანელო მითითებიდან სამთავრო სვანეთისათვის დამახასიათებელი იყო პირველი ორი, ხოლო მესამე შედარებით უმნიშვნელო ფორმებში იხსნებოდა.

სვანეთის სამთავროში გლეხობა მთავრის სამსახურს ასრულებდა როგორც მის კარზე, ისე პირად ოჯახში.

შრომამიგებითი ანუ მთავრის კარზე შესრულებული სამსახური ძირითადად სამინდვრე სამუშაოებით განისაზღვრებოდა.

ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, „სოფელ ბეჩოში მცხოვრებლებს ჩვეულებისამებრ ევალებათ თითო კაცის გამოყვანა წელიწადში

---

[24] А. Берже, Краткий обзор горских племен на Кавказе, Тиф., 1858, გვ. 3.

[25] მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 108—111.

[26] Д. Бакрадзе, Сванетия, გვ. 57—58.

[27] რ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

[28] ა. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92; Ф. Соболь, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[29] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 11, 1959, გვ. 409—425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთჯერ ხვნის დროს 4 დღით, მკის დროს 5 დღით, ლეწვის დროს 6—10 დღით, თივის ზიდვის დროს 2 ან 3 დღე უღელი ხარით.

ზოგიერთი ოჯახის გამოკლებით, 1 მუშახელი გამოჰყავდათ 4 დღე სათიბად, სხვები ზვინავდნენ თივას მემამულის კარზე ან ზამთარში კვებავდნენ მის საქონელს".[30]

გლეხებს ევალებოდათ მიწის განოყიერების პროცესში ნაკელის გადასაზიდად 3 დღით დახმარებოდნენ ბატონს უღელი ხარით.[31] მათვე უნდა დაემზადებინათ სარი და წკნელი, რომლის რაოდენობა 6 საჟენამდე აღწევდა.[32]

საჭიროების მიხედვით ამარაგებდნენ შეშით: ძირითად შემთხვევაში გლეხები უვლიდნენ მემამულის კარ-მიდამოს, რისთვისაც უსასყიდლოდ უნდა მიეტანათ სამშენებლო მასალა[33]; მემამულის მიერ ნაყიდი პურის მიზიდვა გლეხების მოვალეობას შეადგენდა.[34] მ. კოვალევსკის სამართლიანი აღნიშვნით, თითოეულ ოჯახს ყოველწლიურად სეზონურ სამუშაოზე ბატონის სასარგებლოდ უნდა გამოეყვანა ქალი ან კაცი, იმის მიხედვით თუ რა სამუშაო სრულდებოდა.[35]

გლეხები საბატონო სამსახურს ეწეოდნენ საკუთარ ოჯახში. მაგ., ისინი ვალდებულნი იყვნენ „თავადის ორი ძროხა ან ორი ხარი გამოეკვებათ ზამთარში და თუ მოუკვდებოდათ სამაგიეროს იხდიდნენ."[36] მებატონეები მოითხოვდნენ სხვადასხვა სახის გამოსაღებსაც.

ბეგარის სახით ყოველ სამ წელიწადში გლეხი იხდიდა 1 ძროხას,[37] ხოლო ბეჩოს თემში ყოველწლიურად თითო ოჯახი თითო ძროხას[38].

გლეხობა იხდიდა სპეციალური დანიშნულების გამოსაღებს: „სამასპინძლო" — წელიწადში ერთხელ 4 ოჯახს ევალებოდა 7 მანეთის ღირებულების სადილის მოწყობა და თავადისათვის 10 მანეთის საჩუქრის მირთმევა[39]. თუ გლეხი ქეიფს გადაიხდიდა, ის ვალდებული იყო დაეპატიჟნა ბატონი და „გამასპინძლებოდა მის ამალასაც".[40]

ძღვენის სახით ყოველ ახალ წელს გლეხობა ბატონს მიართმევდა 20 მანეთის საფასურ საჩუქარს.[41] აგვისტოში უნდა მიეტანათ 50 კაპიკის ღირებულების არაყი,[42] საერთოდ არაყის გამოხდის დროს ნათაველი ბატონს ეკუთვნოდა.[43]

---

[30] სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, საქ. 8, გვ. 3.

[31] ალ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[32] იქვე.

[33] სცსსა, ფ. 545, აღწ. I, საქ. 8, გვ. 13.

[34] ალ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[35] М. Ковалевский, Закон и обичай на Кавказе, т. I, М., 1890, I. გვ. 8.

[36] იქვე; ევ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[37] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, იქვე; ევ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[38] სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, საქ. 8, გვ. 13.

[39] იქვე.

[40] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[41] იქვე.

[42] ალ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[43] ევ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

„სამარხვო" ძღვენზე კოვალევსკი წერდა: „ბეჩოში, მაგალითად, ვერც ერთი კომლი ვერ გადაიხდიდა ქელეხს ისე თუ თავადს არ მიუტანდა 60 პურს, 6 ან 7 ზექა არაყს. ე. ი. არანაკლებ 48 ბოთლს, ითვლებოდა რა ერთ ზექაში 8 ბოთლი არაყი".[44]

მიცვალებულის დაკრძალვისას გლეხს თავადისათვის უნდა მიერთმია 190 ცალი გამომცხვარი პური და 6 დოქი არაყი; ქელეხის გადახდისას და ამასთან დაკავშირებით ხარის ან ძროხის დაკვლისას თავადს ეკუთვნოდა ხორცის მეოთხედი, 40 ცალი გამომცხვარი პური და 6 დოქი არაყი[45].

თუ ბატონი ქალს გაათხოვებდა გლეხები ასაჩუქრებდნენ არანაკლები ერთი ცხვრით.[46] თუ ქალი შორს გათხოვდებოდა ბატონი თან გააყოლებდა საჩუქრად თავის ყმებს და ზოგჯერ ყმის მთელ ოჯახსაც.[17]

„სანათლიო" გამოსაღები 1 ჯამ მარცვალს უდრიდა;[48]

თუ ბატონი იხდიდა „წორ"-ს (სისხლის საფასურს) მასში გლეხები აუცილებლად მონაწილეობდნენ[49]. თუ გლეხი სახლს აიშენებდა, ერთ საკირეში იხდიდა 30 მანეთს, თუ აიშენებდა ხის სახლს ან წისქვილს, მაშინ 10 მანეთს.[50] რ. ხარაძის და ალ. რობაქიძის ცნობის თანახმად, „წისქვილების დიდი ნაწილი დადეშქელიანების საკუთრებას შეადგენდა და გადასახადს მათ წელიწადში ერთ მანეთს უხდიდნენ. მაგრამ, ამასთან ერთად პრაქტიკაში იყო ცალკეული ჯგუფების მიერ საკუთარი წისქვილების მშენებლობა. ის გლეხები, რომელთაც ასეთ წისქვილებში წილი არ ედოთ და არც საბატონო წისქვილებით სარგებლობდნენ, იხდიდნენ მინდს („ნალქვირ")[51].

ბეგარა-გადასახადებთან ერთად მთავრებს დაწესებული ჰქონდათ სხვადასხვა სახის ჯარიმაც. მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე მთავარს უხდიდა ჯარიმას 120 მანეთს, მსუბუქად დაჭრისათვის 60, მძიმედ დაჭრისათვის 100, ხოლო ქურდობისათვის 200 მანეთის ოდენობით.[52] განსხვავებით ამისა ბეჩოს საზოგადოებაში მკვლელობაზე იღებდნენ 300 მანეთის საფასურს.[53]

ეს მონაცემები, შეიძლება ნაწილობრივ გადაჭარბებულია. ადგილზე შეკრებილი ცნობებითა და საარქივო წყაროებით დასტურდება, რომ ბეჩოს ყველაზე მეტად დაქვემდებარებულ გლეხთა საზოგადოებაშიც კი მკვლელობაზე ჯარიმა არ აღემატებოდა 120 მანეთის ქონებას, ხოლო დაჭრისათვის 60 მანეთის ქონებას.[54]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი რენტა XIX ს-ის პირველ ნახევარში სვანეთში შედარებით მცირე მასშტაბით ჩანს. ზემოთ დასახელებული გადასახადებისა და ჯარიმების გადახდა ძირითადად ნატურით ხდებოდა[55].

---

[44] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[45] ალ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი.
[46] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, იქვე.
[47] А. Стоянов, Путешествие по Сванетии, Тиф., 1876, გვ. 367.
[48] ალ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.
[49] ამის შესახებ ვიმსჯელებთ ქვემოთ.
[50] ე გ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.
[51] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 109.
[52] ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, 1, გვ. 124.
[53] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[54] სცსსა, ფ. 545, საქ. 6, ფურც. 194—199.
[55] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო.., გვ. 118.

იგივე დასტურდება საარქივო წყაროებითაც. 1867 წლის მოხსენებით ანგარიშში კავკასიის მმართველი სვანეთის შესახებ წერდა, რომ „ფულის ნიშნები იშვიათი შემთხვევა არისო“[56]. „სვანეთში გადასახადებს იხდიან საქონლით“, — აღნიშნავდა კოვალევსკი.[57] საერთოდ ანგარიშსწორების საქმეში ექვივალენტის როლს ძროხა ან ხარი ასრულებდა.[58]

ბეგარა-გადასახადებსა და ჯარიმებთან ერთად საბატონო სვანეთში დადეშქელიანების მხრიდან ადგილი ჰქონდა პირველი ღამის უფლების დაჩემების მცდელობასაც. მაგრამ ამას უბედავდნენ მხოლოდ საკუთარ ყმებსა და იშვიათ შემთხვევაში სუსტი გვარის წევრებს. ეცერის მთავართა უზნეობა არაერთ საარქივო დოკუმენტშია აღნიშნული[59]. იმასაც მიუთითებენ რომ თათარყანს უკანონო შვილები ბევრი ჰყავსო.[60] ერთ-ერთ სვანურ საფერხულო სიმღერაში „ვიცბილ-მაცბილ“[61] გამოთქმულია სოფელ დოლის მცხოვრებთა ჩივილი, რომ ეცერელი მებატონეები... მათ ცოლებთან წვებიან.[62] უნდა აღინიშნოს, რომ ეცერელ მებატონეთა უზნეობა გარდა ეცერისა გასავალს ვერსად პოულობდა.

ასეთია საერთო სურათი სვანეთის დამოკიდებულ გლეხთა ბეგარა-გადასახადებისა XIX ს-ის პირველ ნახევარში. უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი სურათი ხსენებული საუკუნის 60-იან წლებს განეკუთვნება, მაგრამ იგი გამოდგება ამავე საუკუნის პირველი ნახევრის დასახასიათებლად. მაგრამ უნდა მივუთითოთ იმაზეც, რომ საარქივო დოკუმენტები და ზოგიერთი ლიტერატურული ცნობები მაქსიმალურად ზრდიან ბეგარა-გადასახადებსა თუ ჯარიმებს. ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საბატონო სვანეთის ყველა სოფელი ერთნაირად დაქვემდებარებულ-დამოკიდებული არ ჩანს. შედარებით მძიმე ვალდებულებებს ვხვდებით სოფელ ბეჩოს საზოგადოებაში, კერძოდ, ქართვანის, დოლის, ნაშთხოლის, თეთნაშის, მაზერის, თებიშის და ბოგვდანარის სოფლებში.

ფარის სადადეშქელიანო ნაწილში ზოგიერთი სოფლის გლეხები ბეგარით ვალდებულებაში არ ყოფილა; ხოლო ზოგიერთში, მაგალითად, სოფ. ლახამულის საზოგადოებაში, მხოლოდ ცალკეული ოჯახები წელიწადში ერთხელ იხდიდნენ მთავართა სასარგებლო ცვილს და კვარს. გარდა ამისა, დადეშქელიანები თვით ყველაზე დაქვემდებარებულ სოფლებშიც კი ძლიერი გვარისა და ძლიერი ოჯახის წარმომადგენლებს უდიერად ვერ ეპყრობოდნენ. განსაკუთრებით მძიმე ექსპლუატაციას სუსტ, თავდაცვის უნარმოკლებულ ოჯახებს უწევდნენ. ა. ლავრენტიევის სამართლიანი აღნიშვნით, „მათ (თავად დადეშქელიანებს. — ა. ჭ.) შეუძლიათ შეავიწროვონ მხოლოდ ის ქვეშევრდომები, რომლებიც პატარ-პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ, არა ჰყავთ ნათესავები და მხარის დამჭერნი; მაგრამ იმ ოჯახს, რომელშიც 30 და მეტი სულია და რომელსაც ბევრი სხვა ნათესავი ჰყავს, თავადი ვერასოდეს ვერ გაუბედავს შეწუხებას“.[63]

---

[56] სცსსა, ფ. 5, აღწ. საქ. 264, ფურც. 13.
[57] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
[58] Л. Лаврентьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
[59] სცსსა, ფ. 2, აღწ. საქ. 45, ფურც. 74.
[60] სცსსა, ფ. 2 აღწ. 1, საქ. 45, ფურც. 178.
[61] „ვიცბილ-მიცბილ“ — ძმათა სახელებია.
[62] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, გვ. 199.
[63] А. Лаврентьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე შენიშვნით: „ძალის კანონი ერთადერთი კანონია, რომლითაც სვანეთის თავადები ბატონობენ თავიანთ ქვეშევრდომებზე“.[64]

შეინიშნება ერთი გარემოება, რომ მთავრის გარდა სხვა პიროვნებას დადეშქელიანთა გვარიდან კერძოდ, რიგით მემამულეს მის კუთვნილ მიწის იქით უფლება არ ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო ჯერ ერთი იმით, რომ დადეშქელიანებს შორის არსებობდა შუღლი და მტრობა და მეორე, როგორც ამას მიუთითებს მ. დუმბაძე, „სვანი გლეხობა უშუალოდ მთავრის ბატონობას აღიარებდა“.[65] ამ დებულების დამადასტურებლად შეიძლება გამოვიყენოთ საარქივო საბუთიც, რომელშიც ვკითხულობთ: „თუმცა ლევან ოთაროვი... განაგებს ბეჩოს მემამულის უფლებას და ჩვეულებრივ განაგრძობს მფლობელის (მთავრის. — ა. ჭ.) უფლებების სარგებლობას, როგორიცაა: ჯარიმების აკრეფა, საჩუქრების მიღება ქორწილის ან ქელეხის დროს და სხვა, მაგრამ ეს მფლობელის (მთავრის. — ა. ჭ.) უფლებებია და არა რიგითი მემამულისა“[66].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის სამთავროში ბეგარა-გადასახადები, ერთი მხრივ, სეზონურ ხასიათს ატარებდა. თუ გლეხი მთავრის საშემოდგომო სამუშაოს შემოდგომაზე ვერ გაისტუმრებდა, მას შეეძლო ეს გამოესწორებინა ზამთარში ან გაზაფხულზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბეჩოს თემში ყველა დაქვემდებარებულ ოჯახს თიბვის დროს უნდა გამოეყვანა 1 მუშახელი 4 დღის ვადით ან გამოეკვება ბატონის პირუტყვი ზამთარში. სხვაგან კი ვკითხულობთ: გლეხთაგან „ერთნი ვალდებულნი არიან იმუშაონ ბატონის მიწაზე, ხოლო სხვები ნაცვლად ამისა იხდიან გადასახადებს ნატურის სახით“.[67]

სვანეთის სამთავროში გადასახადის გადაუხდელობისათვის არ არსებობდა ადამიანის ფიზიკურად დამახინჯების წესი[68], რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით სამეგრელოს სამთავროში, სადაც რაიმე წინააღმდეგობის გაწევისათვის „მზად იყო ხუნდები, ბორკილ-ქანჩები, დადიანურ-ხაჯალურები, გახურებული შანთები თვალების ამოსაწვავად, კირით სავსე ორმოები, დილეგები, ჯალათის ხანჯალი სხეულის სხვადასხვა ნაწილების — ხელის, ფეხის, ყურის, ცხვირის და ზოგჯერ კი თავის მოსაკვეთად და მრავალი სხვა არაადამიანური საწამებელი საშუალებანი“.[69]

ა. ლავრენტიევი როცა ახასიათებდა სვანეთის სამთავროს სოციალური ურთიერთობის დონეს, აღნიშნავდა, რომ „თუმცა სვანეთის სამთავროში თავადებსა და მათ ქვეშევრდომებს შორის დამოკიდებულება ფეოდალურია, მაგრამ მათი ურთიერთობა სულაც არ შეიძლება შეედაროს მეგრელთა დამოკიდებულებას მათ მთავართან ანდა იმერელი და გურული გლეხების დამოკიდებულებას მათ მემამულეებთან“.[70]

---

[64] А. Лаврентьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

[65] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 131.

[66] სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, საქ. 8, გვ. 13.

[67] А. Лаврентьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

[68] იქვე.

[69] „ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, ტ. 1, თბ., 1947, გვ. 17.

[70] А. Лаврентьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ „სადადეშქელიანო არ იყო ბარის წყობის სრულიად იდენტური და ძველი სოციალური წყობიდან კიდევ ბევრს ინარჩუნებდა“.[71]

მართლაც, სამეურნეო პირობები სვანეთში განსხვავდებოდა ბარისაგან. ამასთანავე იქ სახმარად ვარგისი მიწაც შედარებით ნაკლები იყო. ამიტომ დადეშქელიანებს ზედმეტი პროდუქტის მითვისების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. თუმცა მთავრების საკუთრებაში იყო მიწის უმეტესობა, მაგრამ „თემი“ საბოლოოდ მაინც არ იყო გატეხილი და ამ პირობებში მიწაზე საკუთრება არ იყო საკმარისი ფეოდალიზმის უმაღლეს საფეხურზე ასვლისათვის.

გლეხთა ინტერესებს, რომელი კატეგორიის გლეხიც არ უნდა ყოფილიყო იგი: აზატი, მსახური, თუ მოჯალაბე (გარდა ნასყიდი და ნატყვევარი შინა ყმისა) ჯერ კიდევ, შეძლებისდაგვარად იცავდა თემი ან საძმო. XIX საუკუნის 40-იანი წლების ოფიციალური დოკუმენტები შემთხვევით როდი უწოდებდნენ სამთავრო სვანეთს „ნახევრად მორჩილს“[72]. „სვანეთში არც ისე ემორჩილებიან თავიანთ მთავრებს, ამ უკანასკნელთა უფლებანი საკმაოდ შეზღუდულია“, — აღნიშნავდა ა. ლავრენტიევი.[73] საგულისხმოა, რომ ნ. ბერძენიშვილს საერთოდ გაუგებრად ეჩვენებოდა დადეშქელიანების თავადობა.[74]

აკად. გ. მელიქიშვილის შენიშვნის თანახმად, „მთიანეთის მშრომელი მოსახლეობა, როგორც წესი, უარყოფდა მათ მიწებზე არისტოკრატიული ზედაფენის უფლებებს“.[75] ეს ასე იყო სვანეთშიც, სადაც უმრავლესობა „თავის“ მიწაზე უარყოფდა მემამულეების უფლებებს. მას ზოგჯერ შეეძლო გაეყიდა ან გაესხვისებინა თავისი მიწა. სვანი გლეხების ნაწილობრივ პირადი თავისუფლება განსაზღვრავდა მათ შედარებით აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, რომ დადეშქელიანები ფორმალურად თავიანთი ქვეშევრდომების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც წყვეტდნენ, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. „დადეშქელიანთა სამთავრო სვანეთშიც, მიუხედავად ფეოდალური მთავრების არსებობისა და ფეოდალური ურთიერთობის ბატონობისა, ადგილი ჰქონდა სათემო დემოკრატიის სერიოზულ გადმონაშთებს პოლიტიკურ წყობილებაში“.[76] თემის მიერ მებატონეთა ნაწილობრივ შეზღუდვას ადასტურებს შემდეგი ცნობაც: „თუ თემში მკვლელობა მოხდებოდა, დადეშქელიანები დამნაშავეს ბორკილებს ადებდნენ და ზ ო გ ჯ ე რ (ხაზგასმა ჩვენია. — ა. ჭ.), საკითხს ხალხის მიერ არჩეული უხუცესთა საბჭოს — მორვარ-ის გარეშეც წყვეტდნენ“[77].

სვანეთის სამთავროში ფეოდალური ურთიერთობის სფეროში შეინიშნებოდა დადეშქელიანთა მიერ თემური საზოგადოებრივი ცხოვრების დამა-

---

[71] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 426.

[72] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 598.

[73] А. Л а в р е н т ь е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

[74] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 440.

[75] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოებების საკითხი, იხ. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 166.

[76] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[77] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათებელი ცალკეული წეს-ჩვეულებების თავის სასარგებლოდ გარდაქმნა. მაგ. დადეშქელიანებმა თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს თემთა შორის არსებული ურთიერთდახმარების ისეთი ფორმა, როგორიც იყო შესაწევარის „ნაწვანუნის“ მიტანა სიკვდილიანობის შემთხვევაში. ბალს ქვემო სვანეთშიც წესად არსებობდა თემის შიგნით რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში შესაწევრის მიტანა. მაგ., ლახამულის საზოგადოებაში 12-დან 25 ცალამდე გამომცხვარი პურის („უსპა“ — გადმოუბრუნებელი „დიარ“) ან 2 „ტურფა“ ან „კარვა“ (ხის გობი) ფქვილის, 2 ჯამი შეზავებული ლობიოს ან კარტოფილის, 2 ზექა (14 ლიტრა) არაყის მიტანა. ეს ადათ-წესი დადეშქელიანებმა ჩვეულებად აქციეს თავიანთ სასარგებლოდ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთავრის ოჯახში სიკვდილიანობის შემთხვევაში გლეხს უნდა მიერთმია 190 ცალი გამომცხვარი პური და 6 დოქი არაყი.

სვანეთის სამთავროს სოციალური შინაარსი გამოხატული იყო შესაბამის გლეხთა კატეგორიებში. აქ იყო მებეგრე, აზატი, მსახური და მოჯალაბე („ფამლი“). დაქვემდებარების თვალსაზრისით ამ უკანასკნელების პირველი ადგილი ეკავათ. „ფამლი“-ს ანუ მოჯალაბის კატეგორია აერთიანებდა შინაყმათა სხვადასხვა სახეს: „ქორსმერდე“ (სახლში მყოფი), „ლედიანე“ (დროებით ვალდებული და „ლაჯირ“ (შეხვეწილი). ამ უკანასკნელთა ყმად ქცევა სხვადასხვა გზით ხდებოდა, მაგრამ დადეშქელიანთა სახლში მოხვედრის შემდეგ ისინი „ფამლის“ (მოახლის) როლში გამოდიოდნენ. „ქორსმერდე“ (სახლში მყოფი) ეკონომიკურად დასუსტებულობის გამო მთავრის კარს შემოკედლებული პიროვნებაა. იგი გარკვეული (შეთანხმებული) დროის მანძილზე ცხოვრობდა მთავართან, ემსახურებოდა მას და სურვილის შემთხვევაში წასვლის უფლება ჰქონდა, მაგრამ ვიდრე ის მთავართან იმყოფებოდა, „ფამლად“ იწოდებოდა. „ლედიანე“ — მთავარს წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურებით რამდენიმე დღით, კვირით, თვით ან წლით მიჰყავდა. იგი მთავრის ხელში მხოლოდ წინასწარმოლაპარაკებულ და იშვიათ შემთხვევაში კი სხვა სამუშაოს ასრულებდა, მაგრამ „ფამლად“ მაინც ითვლებოდა. ის მთავრის საქმეებში ისე ვერ ერეოდა, როგორც „ქორსმერდე“. რაც შეეხება „ლაჯირს“ ის მკვლელობის ან სხვა ავბედობის გამო შეკედლებული პიროვნება იყო, რომელიც ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდა.[78]

რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის დაკვირვებით: „ფამლი“ ანუ „მოჯალაბის“ ტერმინების სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა საბუთი შეთანხმებულად მიუთითებს, რომ მისი შექმნის წყაროს შეადგენდა პირველ ყოვლისა, სყიდვა და დატყვევება“[79]. მკვლევართა აზრით, „ფამლი“ ადგილობრივი მოსახლეობიდან დგებოდა, ხოლო ტყვე კი უმეტეს შემთხვევაში... სასყიდლის მიღების წყაროს წარმოადგენდა“.[80]

არსებული წყაროები და ადგილობრივი ცნობები გვარწმუნებენ, რომ სვანი მოსახლეობიდან ყმის ყველაზე დამახასიათებელი კატეგორია იყო „ლედიანე“, ხოლო „ქორსმერდე“ უფრო იშვიათ შემთხვევაში შეინიშნებოდა. მცირე იყო ხიზანთა რიცხვიც.

---

[78] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 26—29.

[79] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[80] იქვე, გვ. 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, სვანეთის სამთავროში ყმათა გარკვეული კატეგორიები არსებობდნენ. მაგრამ მათი ექსპლუატაციის მასშტაბი მცირე ჩანს ბარის სამთავროს ყმების ექსპლუატაციასთან შედარებით.[81]

სვანეთის სამთავროში სოციალური ურთიერთობის თავისებურებასაც წარმოადგენდა ის, რომ იქ აზნაურები არ არსებობდნენ. სვანეთის სამთავროში მიწის ფეოდალური საკუთრება ისე ფართო მასშტაბს ვერ ატარებდა, რომელიც საშუალებას მისცემდა დადეშქელიანებს ჰყოლოდათ დაქვემდებარებული აზნაურები, რომლებიც სვან გლეხობას გაუწევდნენ ექსპლუატაციას და მიღებული შრომის ნაყოფს თავიანთ პატრონებს უწილადებდნენ. ამის გამო მთავრები უშუალოდ თვითონ ეწეოდნენ მწარმოებელთა ექსპლუატაციას. ეხებოდა რა სვანეთის სამთავროში აზნაურთა არყოლის საკითხს ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა: სადაც არ არის ეს დამაკავშირებელი რგოლი სიუზერენსა და მიწათმოქმედს შორის, იქ არც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობაა, იქ მხოლოდ ადრეფეოდალური ურთიერთობაა[82].

სვანეთის სამთავროში გლეხობის სოციალურ მდგომარეობას აუარესებდა ფეოდალური შინა ომები. აკად. გ. ხაჭაპურიძე წერდა, რომ „სვანეთის თავადაზნაურები ...ერთმანეთში დაუსრულებელ მტრობასა და ჩხუბში იყვნენ, თავიანთთან ერთად აბრძოლებდნენ საკუთარ ყმებსაც, რის გამოც ამ უკანასკნელთა ცხოვრება თანდათან ნადგურდებოდა“.[83] მკვლევარ ეგ. გაბლიანის ცნობით დადეშქელიანთა შინა ომების დროს „გლეხები... მრავლად ისრისებოდნენ“[84]

ცხადია, რომ მთავართა შორის პირველობისათვის ბრძოლა იწვევდა მკვლელობას, რომელსაც თან სდევდა ან გაუთავებელი სისხლის ღვრა ან შერიგება. ამ უკანასკნელის დროს მკვლელს უნდა გადაეხადა „წორ“ ანუ სისხლის საფასური[85], რაც ეკონომიკურადაც აჩანაგებდა სვანეთის მოსახლეობას. „წორის“ რაოდენობა განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით თუ რომელი წოდების ადამიანი იყო მოკლული. მაგ., საბატონო სვანეთის სოფ. ლახამულაში „წორ“ უდრიდა 1200 მანეთს,[86] ხოლო თავისუფალი სვანეთის სოფ. ლატალის საზოგადოებაში 2400 მანეთს ოქროთი[87]. აზნაურის მოკვლისათვის ორმაგს იხდიდნენ ან ერთ კაცზე ორს კლავდნენ,[88] ხოლო მთავრის მოკვლისათვის „წორის“ ზუსტი რაოდენობა არ იყო დადგენილი. მაგრამ მთავრებს შორის „წორის“ გადახდა ისევ გლეხთა კისერზე გადადიოდა და ეს ადათ-წესიც გლეხთა გამღატაკებელი იყო.

---

[81] შდრ. კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები) თარგმანი თ. სახოკიასი, ტფ., 1927, გვ. 40—51; 86—124; 124—128; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 164—168; დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967 და სხვ.

[82] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 441.

[83] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, თბ., 1932, გვ. 130.

[84] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, გვ. 122.

[85] ამ საკითხზე დაწვრილებითი ცნობები მოგვეპოვება რ. ხარაძის ნაშრომში „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“, თბ., 1939, გვ. 25—42; ბ. ნიჟარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ნაკვ. 1, თბ., 1962, გვ. 96—106 და სხვ.

[86] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[87] იქვე, გვ. 34.

[88] Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

XIX ს-ის პირველი ნახევრის სვანეთის გლეხთა სოციალური მდგომარეობის დახასიათებისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს „ტყვეთა სყიდვისა“ და ყიდვის შესახებაც.

XV ს-ის დასასრულსა და XVI ს-ის დასაწყისის სვანეთის ერთ-ერთ საისტორიო ძეგლში ნათქვამია: „ვინ კაცი ოუსეთს გაჰყიდოს... კრულმცა არს სული და ჯორცი მისი“, როგორც ჩანს, ამ საგმობ საქმეს იმდენად ჰქონდა ფეხი მოკიდებული, რომ „ერთობლივი ხევი“ საეკლესიო ძალით გმობდა კაცის გამყიდველს.[89]

ეგ. გაბლიანს დასახელებული აქვს ერთი სვანური საფერხულო სიმღერა „ვიცბილ-მაცბილ“, სადაც, ავტორის აზრით, გადმოცემულია XVI ს-ის ამბავი. ამ სიმღერაში გამოთქმულია ბეჩოს საზოგადოების სოფ. დოლში მცხოვრებ გლეხთა პროტესტი ეცერელი თავადების მიერ ბავშვთა სყიდვის გამო.[90]

მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ „სვანეთის მთავრობის შემოსავლის ერთი სერიოზული წყარო იყო ტყვე-ადამიანებით ვაჭრობა“[91]. იმავე საკითხზე გ. ხაჭაპურიძე მიუთითებდა: „ისინი (სვანი ფეოდალები.— ა. ჭ.), ყმების ყიდვა-გაყიდვასაც აწარმოებენ, როგორც შიგნით თვით სვანეთში, ისე მის გარეშეც“.[92]

საკვლევი ხანის სვანეთში ტყვეთა სყიდვისა და ყიდვის ფაქტი არც მეფის რუსეთის კოლონიზატორ მოხელეებს გამორჩენიათ ყურადღებიდან. ერთ-ერთი მათგანი ლობანოვ-როსტოვსკი კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა, რომ „თავადს მიჰყავს მისი (გლეხის. — ა. ჭ.) ცოლი ან ვაჟიშვილი ან ქალიშვილი ან თვითონ გლეხი და ყიდის მათ ყარაჩასა და ბაქსანში“.[93]

1852 წელს მანვე მოათავსა სტატია გაზეთში „კავკაზ“, სადაც აღნიშნა: „ყარაჩაიდან დიგორამდე მოსახლე თათარ-ჩერქეზთა ტომებთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საგანი ყმა გლეხის გაყიდვაა, რასაც თავადი დადეშქელიანები ეწევიან“.[94]

„თავადებმა მიისაკუთრეს უფლება, რომ მთებში მონებად ყოველწლიურად გაყიდონ ქალი ან კაცი“[95], მიუთითა დუბროვინმა, — „დადეშქელიანები ყიდდნენ ადამიანებს ხარებზე და ცხვრებზე“. — წერდა სტოიანოვი[96]. ამასვე იმეორებს ფ. სობოლი[97]. ჰაკსტჰაუზენის ცნობის თანახმად, ბიჭებს ყიდდნენ 300—400 მანეთად ვერცხლით, ხოლო გოგონებს ამის ნახევარ ან ერთ მესამედ ფასად“[98].

უნდა აღინიშნოს, რომ ტყვეთა სყიდვა და ყიდვას ადგილი ჰქონდა თავისუფალ სვანეთშიც. ერთ-ერთ საარქივო ცნობაში აღნიშნულია, რომ „თა-

---

89 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, გვ. 37.

90 ე გ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 119.

91 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 81.

92 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

93 ЦГАРОМ, ф. 792, д. 4, л. 10.

94 Л о б а н о в-Р о с т о в с к и й, газ. «Кавказ», 1852, март, № 16.

95 Н. Д у б р о в и н, «Сванети» очерк Кавказа и народов его населяющих, СПб., 1871, т. I, кн. 2. გვ. 91.

96 А. С т о я н о в, Путешествие по Сванетии, Тиф., 1876, გვ. 367.

97 Ф. С о б о л ь, Верхняя Сванетия, М., 1933, გვ. 11.

98 Г а к с т г а у з е н, Закавказский край, СПб., 1857, I. გვ. 135.

ვისუფალ სვანეთში აზნაურებს ჰყავთ მონები, ოღონდ ნაკიდი ძვირ ფასებში სამეგრელოში, გურიაში ლეჩხუმსა და აფხაზეთში“[99]. ამ მხრივ საინტერესოა მეორე დოკუმენტიც, სადაც ვკითხულობთ: „მთებს იქით მაჰმადიანებთან ისე წარმოებს ადამიანთა გაყიდვა თავისუფალი სვანეთიდან, როგორც საბატონოდან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავისუფალი სვანეთიდან ყიდიან... ტყვედ შეპყრობილებს“.[100] დ. მარგიანის გადმოცემით „აზნაურები ურთიერთშორის დებდნენ პირობას და ერთგულების ფიცს, შემდეგ თავს ესხმოდნენ... მცირერიცხოვან გლეხთა ოჯახებს, კლავდნენ ხნიერ მამაკაცებს... მიჰყავდათ ქალები და ბავშვები, რომელთაც ყიდდნენ ყაბარდოში და მათ ქონებას ინაწილებდნენ“.[101]

ერთი სიტყვით, ტყვეთა სყიდვას და ყიდვას ადგილი ჰქონდა მთელს სვანეთში და ამით სვანეთის სამთავრო გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ოღონდ სამთავრო სვანეთში იგი უფრო ფართო ხასიათს ატარებდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანის სვანეთის სამთავროს საზოგადოება განვითარების იმ სტადიაზე იდგა, „რომლისთვისაც დამახასიათებელია კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და კლასობრივი ანტაგონიზმის სუსტი განვითარება, მწარმოებელი მასის მიერ შენარჩუნება პირადი თავისუფლებისა და საწარმოო საშუალებებზე საკუთრებისა (ხშირად კოლექტიური, თემური საკუთრების სახით) [102]. ზემოაღნიშნულის მიუხედავად,... ძველ დროს, ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საქართველოს შემადგენელ ტომთა შორის სვანეთს ოდნავადაც ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემოქმედებით ასპარეზზე... სვანეთი სხვა მოძმე ქართველ ტომთა გვერდით ორგანული და ღირსეული მონაწილეა ფეოდალური საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარებისა“.[103]

А. А. ЧКАДУА

## СОЦИАЛЬНОЕ ПОЛОЖЕНИЕ В КНЯЖЕСКОЙ СВАНЕТИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Резюме

В княжеской Сванети борьба за княжеский престол привела к разделу единого до того княжества династии Дадешкелиани на два подкняжества: Эцерское и Парское. Вражда между ними продолжалась и после присоединения к России (1832—1833), что очень тяготило крестьянство.

---

[99] სცსსა, ფ. 5, აღწ. 1, საქმე 264, ფურც. 7.

[100] ЦГАОФМ, ф. 792, д. 4. л. 20.

[101] Д. Маргиани, Сванетия сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, отд. I, Тифл., 1880, გვ. 76.

[102] გ. მელიქიშვილი, კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოებების საკითხი, იხ. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გვ. 165.

[103] ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი; იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Имели место купля-продажа пленных. В силе был закон кровавой мести «Цор» (плата за кровь), что угнетало крестьянство, жившее и без того в тяжелых условиях.

Хозяйственные условия Сванети, недостаток плодородных земель, ограниченность связей с низменными районами и остатки «общинной демократии» не давали возможности Дадешкелиани полностью закабалить крестьянство. Крестьянство платило подати и налоги (денежной ренты не существовало). Их взаимоотношения можно определить как феодальные, точнее «горнофеодальные» по своей глубине стоящие намного ниже феодальных отношений в низменных районах.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ж. А. АНАНЯН, В. М. МАРТИРОСЯН

# РОЛЬ РОССИИ НА БЛИЖНЕМ ВОСТОКЕ И В ЗАКАВКАЗЬЕ 30-Х ГОДАХ XVIII ВЕКА

Ближневосточная и Закавказская политика России в XVIII в. всегда привлекала внимание исследователей. С особым интересом советские историки изучают восточную политику русского государства первой трети века, когда более четко определились основные аспекты этой политики. В исторической литературе принято считать, что в первой трети XVIII в. Россия желала оказать вооруженную поддержку освободительной борьбе закавказских народов, но это не было сделано в силу ряда субъективных и объективных причин, сводящихся в основном к тому, что в отмеченный (послепетровский) период не было преемственности в восточной политике России и что руководители внешней политики русского государства допустили ряд политических и дипломатических промахов.

Не ставя задачей рассмотрение отмеченной выше проблемы в целом и во всех деталях, в настоящей статье мы хотели бы коснуться лишь некоторых моментов, заслуживающих, по нашему мнению, особое внимание. Для того, чтобы лучше разобраться в перипетиях той сложной политической ситуации, которая возникла в 30-х годах XVIII в. на Ближнем Востоке и в Восточном Закавказье и выявить роль русского государства во взаимоотношениях Ирана и Турции с одной стороны, а с другой — в освободительной борьбе народов Закавказья с иноземными поработителями, необходимо сделать краткий исторический экскурс о событиях в 20-х годах изучаемого столетия.

После персидского похода Петра I, предпринятого им в 1722 году, Петербург уяснил себе, что Россия могла сохранить свое влияние в Закавказье в основном с помощью применения гибкой политики, умением использовать в качестве опоры местные силы. Вот почему во второй половине 20-х годов и 30-х годах XVIII в. русское правительство при решении своих внешнеполитических задач в Закавказье главную роль отводило дипломатии.

შიგნით კახეთში მდებარეობს სოფ. **ხორხელი,** რომელსაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ცხრაკარასთან[10]. ენობრივი ანალიზი პირდაპირ მიუთითებს კახეთის ხორხელის მოსახლეობის ხორხიდან გადმოსახლებაზე. ამ სოფლის სახელი „ხორხელი“ ნაწარმოებია სადაურობის მაწარმოებელი — **ელ** სუფიქსით. ხორხიდან გადმოსახლებულებს და მათ სოფელს ხალხმა (რა თქმა უნდა დამხვდურმა) **ხორხ-ელი** უწოდა. ასეთი მაგალითები, როდესაც ახალი ტოპონიმი იქნება სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით, ჩვენ სხვებიც ვიცით.

ხორხიდან ხორხელთა მიგრაციის დამადასტურებელია ეთნოგრაფიული მასალაც. მთხრობელი ს. გ. ჩანგაშვილი გადმოგვცემს: „ხორხლელები ხორხიდან არიან ჩამოსულები. მამაჩემის დედიძმა იყო მიხა იმერლიშვილი და ის ამბობდა: ხორხლელები ხორხიდან ვართ. ცოტანი ყოფილიყვნენ და მერე შემატებოდნენ სხვა გვარები“.

ხორხლელები დღესაც მიუთითებენ წინაპართა მთიდან მოსულობასა და იქიდან სალოცავის „მთავარმოწამის“ გადმოტანაზე. ხორხის ხეობაში მართლაც დასტურდება სალოცავი „ხმალა მთავარმოწამე“, რომელზედაც ადრე ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა ბარიდან, კახეთიდან.

სოფელი **ხორხები** ნახსენები აქვს ვახუშტის ქვემო ქართლში, ირაგის ხეობაში[11], თუმცა, შესაძლებელია, იგი სრულიადაც არ უკავშირდებოდეს მოსახლეობის მიგრაციას: „ჯორჯი (ხევსურ., თუშ.) პატარა ხეობა (ა. შანიძე). საძოვარი, სადაც ჯოგი ბალახობს ზაფხულში (ა. ჭინჭარ., 230); მთაში დაცემული ადგილი (ი. ბუქურ., 139); ოდნავ დავაკებული ადგილი მთის ფერდობზე (თ. უთურგ.)“[12].

სადაურობის მაწარმოებელი — ელ სუფიქსით კახეთში, სოფ. ხორხელის სიახლოვეს ვახუშტისა და გიულდენშტედტს ნახსენები აქვთ სოფელი **მუქუელი**[13]. ჩანს, სოფელი მუქუელი კახეთში ფშავის სოფელ მუქუდან გადმოსახლებულებმა დააფუძნეს. ასეთი გეოგრაფიული სახელით სოფელი ახლა აღარაა; არ გვხვდება იგი XVIII—XIX სს. ხალხის აღწერის დავთრებში. ეთნოგრაფიული მასალებით ცხადი ხდება, თუ სად მდებარეობდა სოფელი მუქუელი კახეთში. **მუქუელი სოფ. ქისტაურის ადრინდელი სახელწოდება ყოფილა.**

ამრიგად, სოფელს სახელი შეეცვალა და ტოპონიმ მუქუელის (||მუქუეთის) ნაცვლად მივიღეთ **ქისტაური.** რას უნდა გამოეწვია ეს გარემოება? როგორც ბექან ერისთავის (რაფიელ ერისთავის პაპის მამის) მთავარმართებელ ერმოლოვისადმი წარდგენილი მოხსენებიდან ჩანს[14], მუქუელელები ლეკებს უოხრებიათ და უტყვევნიათ. ლეკიანობა — ეს საგარეო ფაქტორი, გამხდარა მიზეზი სოფლის ადრინდელი, მთიელთა მიგრაციის შედეგად შექმნილი, სახელის ამოვარდნისა. მეორე სახელწოდება — ქისტაურიც მოსახლეობის გადმოსახლებას

---

[10] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 207 (შემდეგ: აღწერა...)

[11] იქვე, გვ. 194.

[12] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბ., 1975, გვ. 391.

[13] აღწერა..., გვ. 207; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 261.

[14] შ. ვაშაყმაძე, რაფიელ ერისთავი, თბ., 1962, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკავშირდება. ბექან ერისთავის მოხსენებასა და ანდერძში ისიცაა, აღნიშნული, რომ აქ მზითვში მოყოლილი გლეხებიც დაფუძნებულან. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „15 კომლი ბექანის ცოლს მოყოლია ივრის ხეობიდან, სადაც ყოფილა ქისტაური და იქიდან გადმოუტანიათ სოფლის სახელი. ეხლაც არიან ხალხი, რომლებსაც აქ ბოჭორმელებს ეძახიან: მაილაშვილები, ბუზალაძეები, იმერლიშვილები, ვედიაშვილები. იქა ქისტაური ერქვა და აქ დაარქვეს სოფლის სახელი“ (ხოსიაშვილი ს. ზ. 64 წლის, სოფ. ქისტაური ახმეტის რ. — 1976 წ.).

ამრიგად, დღევანდელი კახეთის სოფელ ქისტაურში მთიდან მიგრირებული მოსახლეობის ორი ფენა გამოიყოფა: ერთი, ადრინდელი, მუქუდან გადმოსახლებული ფშავლები, რომლებიც ბექან ერისთავმა უკაცრიელქმნილ სოფელში დაიხსნა ლეკთაგან („ხუთმეტი სული ლეკთაგან დამიხსნია“) და, მეორე, ბოჭორმის მიდამოების სოფელ ქისტაურიდან მზითვში მოყოლილნი, რომლებმაც ახალ საცხოვრისში სალოცავის — ბოჭორმის წმინდა გიორგის ნიშიც კი გადმოიტანეს. ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ ქისტაურიდან მოსული მოსახლეობა აქ თავის დროზე ფშავიდან ან ხევსურეთიდან (თუნდაც, ჩავთვალოთ ფხოვიდან), უნდა ყოფილიყო მოსული, რასაც უეჭველად მიუთითებს გვარი ქისტაური და აქ ქისტაურთა გვარის სალოცავის — **იახსარის** ნიშის არსებობა; ე. ი. მათ გადასახლების საფეხურებრივი გზა გაიარეს: მთა (ფშავი ანდა ხევსურეთი)→მთისწინეთი (ერწო, ბოჭორმის მიდამოები)→ბარი (კახეთი).

ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში კიდევ ერთი სოფელი აქვს დასახელებული სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით: **ახადელი**[15]. აშკარაა, რომ კახეთის გაღმამხარში სოფ. ახადელი ფშავის სოფელ ახადიდან მიგრირებულებმა დააფუძნეს. XIX ს-ის ხალხის აღწერის დავთრებში სოფელი ახადელი გაიგივებულია ბაბანეურთან. შემდეგ კი თანდათან დაიკარგა თავდაპირველი ტოპონიმი და დარჩა ბაბანეური. ეთნოგრაფიული მასალები სრულიად ადასტურებენ იმას, რომ ბაბანეურის ადრინდელი სახელწოდება ახადელი იყო. ეს ისტორიული მომენტი ბაბანეურის ერთ საფლავის ქვაზედაც არის ასახული.

დ. მუსხელიშვილს მთიელთა მიგრაციების შედეგად წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელებს შორის დასახელებული აქვს **ფხოველი** (გარე კახეთი) და **ფშაველი** (თორღასთან). ამ სოფლების აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიერ დაფუძნება არავითარ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს; მათ აწარმოებს სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი -ელ. ამასთანავე, ცხადია, რომ პირველი მათგანი უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი, ვიდრე მეორე. სოფ. ფხოველი პირველად ნახსენებია ლაკბეს ხევზე კახეთში 1579 წლის გუჯარში[16]. სოფ. ფშაველი საკმაოდ მოზრდილ სოფლად უკვე დასახელებულია XVIII ს-ის I მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარში, სადაც ჩამოთვლილია ისეთი გვარები, — რაიბული, ლასურაური, კვირიკაული[17], — რომლებიც აშკარად მათ მთიურ წარმოშობაზე მიუთითებენ.

საყურადღებოა, რომ ფშავიდან კახეთში სოფელ ფშაველში მიგრირებულებს გადმოუტანიათ ფშაური ერთ-ერთი თემის სალოცავი ხატის ნიში **წყაროსთავი.** „გიორგი წყაროსთაულის“ ხატი უკანაფშავის თემის სალოცავი

[15] აღწერა..., გვ. 208.

[16] საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1920, გვ. 11.

[17] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 63—64.

იყო ფშავში[18], ე. ი. კახეთის სოფელ ფშაველში გადმოსახლებულნი უნდა იყვნენ უკანაფშავის თემისანი. საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ უკანასკნელ ხანებამდე „წყაროსთაულს სოფ. ფშაველში ჰქონდა ვენახი“. სოფ. ფშაველი ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი. ვ. ბარდაველიძე წერს (მთხრობელის სიტყვებია): „წმინდა გიორგის სანადოები არა ჰქონდა, ხოლო ჰქონდა მამულები და ვენახები კახეთში მეფეებისაგან მიცემული. როცა თათრებს ებრძოდნენ ჩვენი ძველები, მაშინ წყაროსთაულის დროშასაც უვლია იქა და ხალხსაც საბრძოლველად. მტერი რომ დაუმარცხებიათ, მეფეს შაუწირავს ერთი მამული ლალისყურში და ერთი ფშაველში“[19]. სოფელი ფშაველი პირველად 1691 წლის დოკუმენტში მოიხსენიება[20].

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად სოფ. ფშაველის თავში მდებარე სალოცავ „წყაროსთავზე“ სალოცავად მოდიოდნენ თელავიდან, იყალთოდან, რუისპირიდან, ახატლიდან, შილდიდან, ყვარლიდან, ართანიდან („წყაროსთავში დიდი დღეობა იცის“). ეს უკანასკნელი სოფელი ართანაც დ. მუსხელიშვილს მიგრაციათა შედეგად წარმოშობილად მიაჩნია და ადარებს მას ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ არტანს. აღნიშნულ მოსაზრებას კვლავ მხარს უჭერს ეთნოგრაფიული მასალა: 1. ართანელები ფშავლის თავზე ლოცულობდნენ ფშავიდან გადმოტანილი სალოცავის „წყაროსთავის“ ნიშს და 2. ართანელები ლოცულობდნენ, აგრეთვე, მატანში „ლაშარის“ ნიშზე. ართანის მოსახლეობის ფშაურ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს, აგრეთვე, ზოგიერთი გვარი XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში (მუცელაური, სინდაური და სხვ.)[21].

ვახუშტის ცხრაკართას, ახმეტის, მუქუელის და ხორხელის მახლობლად მოხსენიებული აქვს სოფელი **მთიული**[22]. იმავე სახელწოდებით სოფელი XVIII ს-ის I მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარშიც გვხვდება[23]. აქ მოიხსენიებიან ისეთი გვარები, რომლებიც აშკარად მთური წარმოშობისანი არიან: გიგაურიშვილი, იარაჯული, რატული[24]. ამასთანავე საკმაოდ მრავლად არიან „ტაბარუკი ბოგანოები“.

დღეისათვის აღნიშნულ რეგიონში ასეთი სახელწოდებით სოფელი აღარაა. ის არც XIX ს. არსებობდა. შესაძლებელი გახდა ამ ნასოფლარის ადგილსამყოფელის დადგენა. ახმეტის მოსახლეობა დღეს **მთიულს** უწოდებს ადგილს ახმეტის სამხრეთით. ეს ადგილი ნამდვილად ძველი სოფლის მთიულის ადგილსამყოფელი უნდა იყოს. ამის დამადასტურებლად გამოგვადგება შემდეგი: აქ დღესაც „ცოცხალ“ მოწმედ არის მთიულთა საერთო სალოცავის — **ლომისას ნიში.**

XVII ს-ის დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ერთობით მთიულებმა პირობა დადეს, რომ ალკვეთდნენ მარხვის ჭამას, ხოლო ცდუნების შემთხვევაში გაუშხელდნენ (ალავერდელს)“[25]. აქ საინტერესოა ერთი დეტალი: საქართველოში

[18] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974, გვ. 192.

[19] იქვე, გვ. 202.

[20] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 170.

[21] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[22] აღწერა..., გვ. 207.

[23] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[24] იქვე.

[25] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი (X—XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე მ, თბ., 1964, გვ. 148 (შემდეგ: მასალები...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII ს. რატომ უნდა მდგარიყო საკითხი მარხვის დაჭერა — არდაჭერის შესახებ. ტოპონიმი **მთიულეთი** აშკარად მიუთითებს ამ შემთხვევაში კახეთში მთიულეთიდან მოსახლეობის მიგრაციაზე. ეს რომ დანამდვილებით ასე უნდა ყოფილიყო ამას უნდა მოწმობდეს სწორედ მარხვის არდაჭერა მთიულეთელების მხრივ. ახლად გადმოსახლებული ნახევრად წარმართი მთიულები ალბათ ურჩობდნენ ყველა ქრისტიანული წესის შესრულებას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ XVII ს-ის დოკუმენტში კახეთში მოხსენიებული „მთიულეთი" შემდეგდროინდელი სოფელი „მთიული" უნდა იყოს.

სოფელი „მთიული" სხვაგანაც გვხვდება. კერძოდ, ხორხის ხეობის სოფ. ხორხის ზედა უბანს **მთიულებს** უწოდებენ, სადაც მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულები მოსახლეობენ და სადაც „ლომისასი" და „პირიმზე ფუძის ანგელოზის" ნიშნებია. ასევე საინტერესოა გარემოება: ხორხის ხეობის სოფ. კომშიანას **ფშაველსაც** უწოდებენ. თეძმის ხეობის ერთ სოფელს, ნოსტეს აღმოსავლეთით **მთიულთუბანი** ჰქვია, სადაც არაგვის ხეობიდან გადმოსახლებული მთიულები მოსახლეობენ XIX საუკუნეში[26].

სოფელი **მთიულეთი** ვახუშტის დადასტურებული აქვს ხევში[27].

კახეთში -ელ სუფიქსიანი ტოპონიმების რიცხვს მიეკუთვნება **ყვარელიც**. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან ცნობილია **ყვარასა და ყვარელის** მიმართება. ვ. ბარდაველიძის ნაშრომიდან ცნობილია, რომ კახეთის ყვარელიდან (და სხვა სოფლებიდან) ხალხი სალოცავად დადის ივრის ხეობის „ლაშარობაზე". იგი სამართლიანად ასკვნის, რომ ყვარელლები იმიტომ დადიან სალოცავად ივრის ხეობაში, რომ თავის დროზე ისინი აქედან (ყვარადან) არიან კახეთში გადასახლებულნი, აი, მის მიერ „ლაშარობაზე" — ფიქსირებული მასალა: „ჩვენი მამა-პაპანი აქედან გადმოსახლებულან კახეთში და ამიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდებაო, ამბობდნენ სოფელ ყვარელის მცხოვრებნი და სხვა აქ დამსწრე კახელებთან ერთად აღნიშნავენ — აქედან წასულები რომ ვართ, იმიტომ გვამიზეზებს აქაური ხატი, ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო"[28].

ჩვენ მიერ ივრის ხეობის ლაშარში სამგზის (1969, 1973, 1974 წლებში) შეკრებილი მასალები სრულიად ადასტურებენ აღნიშნულს. ამასთანავე, ჩანს, რომ დღევანდელი კახეთის სოფელ ყვარელის მცხოვრებნი ძირად ფშავლები (ფხოველები) იყვნენ, გადმოსახლდნენ რა თავდაპირველად ივრის ხეობის სოფელ ყვარაში და აქ გარკვეული ხნით მოსახლეობის შემდეგ ჩასახლდნენ უფრო დაბლობში, თან გადაიტანეს გეოგრაფიული სახელი **(ყვარა—ყვარელი)**[29]. საერთოდ, **მიგვაჩნია, რომ საქართველოში -ელ სუფიქსიანი ზოგიერთი ტოპონიმი მოსახლეობის მიგრაციის შედეგად უნდა იყოს შექმნილი.**

კახეთში სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსიანი კიდევ ერთი ტოპონიმია, რომლის წარმოშობა იხსნება ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. ესაა ახმეტის ერთ-ერთი უბანი — **ჟალური** (ესევე უნდა იყოს ვა-

---

[26] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თეძმის ხეობა, თბ., 1959, გვ. 20.

[27] აღწერა..., გვ. 200.

[28] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშაველებში, „ენიმკის მოამბე", ტ. XI, გვ. 102—103. Г. С. Ч и т а я, Грузинская советская этнография за годы послевоенной сталинской пятилетки, «Сов. этнография», 1952, № 3, გვ. 181.

[29] რ. თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა ბარში ჩამოსახლების ერთი ფაქტის გამო (ყვარა—ყვარელი), „საისტორიო კრებული", VII, 1977.

ხუშტისეული **ჟალაანი**). მაგრამ ამ შემთხვევაში იგი -ელ სუფიქსით როდია ნაწარმოები, არამედ **-ურ-**ით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ჟალეთი, ივრის ხეობაში, ერწოსა და თიანეთს შორის. სწორედ ჟალეთიდან გადმოსახლებულებმა დააფუძნეს კახეთის სოფელი ჟალური. XVIII და XIX საუკუნეების ხალხის აღწერის დავთრების შედარება მიუთითებს, რომ მთელი რიგი გვარები, რომლებიც ადრე ჟალეთში (მთისწინეთი) მოსახლეობდნენ ბარში ჟალურში||ჟალაანში გადმოსახლებულან და თან გადმოუტანიათ თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისის სახელწოდება, ქართული ენის კახური დიალექტისათვის მახასიათებელი სადაურობის -ურ სუფიქსის დართვით[30].

მთისწინელთა ბარში გადასახლების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა სამი ტოპონიმი: **ბუშატი:** ერწოს ბუშატი, კახეთის (თელავის რ-ნი) ბუშატი და ახმეტის უბანის ბუშატი. ეთნოგრაფიული მასალები სრულიად ადასტურებენ აღნიშნული ტოპონიმის ერწოდან კახეთში გადანაცვლებას, რაც მოსახლეობის მიგრაციას მოჰყვა შედეგად. თელავის რაიონის სოფელ ბუშატიდან უკანასკნელ დრომდე ხალხი სალოცავად დადიოდა ერწოს ბუშატში ( დღევანდელი ორხევის ერთი უბანი) სალოცავ წმინდა ზაქარიაზე. კახეთის ეს სოფელი პირველად ალექსანდრე კახთა მეფის 1579 წლის სიგელშია მოხსენიებული[31].

ერწოელი ბუშატელები ახმეტაშიც ჩასახლებულან. ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ტოპონიმი **ბუშატი** ახმეტაში მოსახლეობის ერწოს ბუშატიდან გადასახლების შედეგადაა შექმნილი. ერწოს ბუშატიდან ახმეტის ბუშატში თავის დროზე გადასახლებულნი უნდა იყვნენ შაშიაშვილები და ონიაშვილები. მათი მიგრაციის ყოველმხრივი დამადასტურებელია ჯერ ერთი თვით ტოპონიმი, ასევე წმინდა ზაქარიას სალოცავში სიარული ერწოს სოფელ **ორხევში (ბუშატში)** და წმ. ზაქარიას ნიშის არსებობა ახმეტაში. ბუშატის უბანში და მისადმი შაშიაშვილებისა და ონიაშვილების ყმობა.

ვერ გავიზიარებთ ტოპონიმ „ბუშატის“ უცხო სამყაროსთან (ნახურთან) დაკავშირებას[32]. აღნიშნული სახელწოდებით ტოპონიმი (მთა) ვახუშტის ნახსენები აქვს ჯავახეთში.

შესაძლებელია ერწოდან კახეთში მოსახლეობის მიგრაციას უკავშირდებოდეს ტოპონიმი **„მატანი“**, თუ მას შევადარებთ ჯერ კიდევ XII—XIII სს. ერწოში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელს: **„ამატანი“**[33]. მატანი პირველად 1689 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული[34]. მიგრაციის შედეგად შექმნილ ტოპონიმში პირველი ბგერა დაკარგული უნდა იყოს.

ახმეტაში ერთ-ერთ უბანს ჰქვია **სათიანო,** რაც საგულისხმო ფაქტია ჩვენი კვლევის თვალთახედვით. აქ, სათიანოში ეკუთვნოდათ მიწები თიანელებს ისტორიულად. სათიანო, ე. ი. თიანელთა ადგილი. ამ შემთხვევაში ჩვენ მოსახლეობის გადაადგილებით მიღებულ ტოპონიმთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ის მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილმდებარეობა თიანელთა კუთვნილებას წარ-

---

[30] არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 114.

[31] მასალები..., გვ. 48.

[32] გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმიკის ძირითადი საკითხები (ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1974 (ხელნაწერი).

[33] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. II, გვ. 206.

[34] მასალები..., გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენდა, თუმცა სათიანოში დღეისათვის თითქმის მთლიანად თიანეთიდან მიგრირებულნი მოსახლეობენ, რომელთა აქ დასახლება-დამკვიდრება დაიწყო შედარებით ადრე და განსაკუთრებით XIX ს-ის დასასრულიდან, ინტენსიურად კი მას შემდეგ, რაც თიანელებს აეკრძალათ მიწის ორ ადგილზე, — თიანეთსა და ახმეტაში, — მფლობელობა, ე. ი. XX ს-ის 30-იან წლებამდე. ჩანს, — მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, იყო რა სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით ბარზე დამოკიდებული, დაბლობში, ახმეტის უბან — სათიანოში იროჩია ცხოვრება. ასე რომ ახმეტის ერთ-ერთ დიდ უბანში — სათიანოში თიანეთიდან მიგრირებულნი მოსახლეობენ.

აღნიშნული წყვილი ტოპონიმისათვის **(თიანეთი—სათიანო)** შეიძლებოდა შეგვედარებინა, აგრეთვე, **ძეგვი** და **საძეგური**, **ცხავატი** (ქსნის ხეობაში) და **საცხავატლო** (არაგვის ხეობაში).

ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება ქვემო ქართლში სოფელ **ერწოს** არსებობას და იგი ერწოდან მოსახლეობის გადასახლებას დაუკავშირა. ამ მოსაზრებას, განამტკიცებდა ის, რომ ქვ. ქართლის ერწოში ჩეკურაშვილი მოსახლეობდა[35]. ჩეკურაშვილები კი ერწო-თიანეთში ძველთაგანვე საკმაოდ მოსახლეობდნენ და აქვე იყო სოფ. ჩეკური. ქვ. ქართლის ერწო პირველად 1523 წლის დოკუმენტშია ნახსენები[36]. ნ. ბერძენიშვილმა აგრეთვე მიუთითა ქართლის სოფ. **ფხვენისზე** (დღევანდელი გორის რ-ში), რომელსაც ფხოვიდან გადმოსახლებულთა მიერ მოტანილ გეოგრაფიულ სახელად თვლიდა[37]. ფხვენისი პირველად 1689 წლის დოკუმენტში გვხვდება[38].

მთის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შეიქმნა ტოპონიმები XIX საუკუნეშიც, კერძოდ ხევსურეთიდან ერწოში: **როშკა** (ხევსურეთში) — **როშკიონთსოფელი** (ერწოში), **ხევსურეთი** — **ხევსურთსოფელი** (ერწოში), **გუდანი** (ხევსურეთში) — **გუდანელები** (ერწოში), **ხადუ** (ხევსურეთში) — **ხადუელები** (ერწოში), **ღული** (ხევსურეთში) — ღულელები (ერწოში).

ამრიგად, გუდანიდან, ხადუდან, ღულიდან მოსახლეობის ერწოში ჩამოსახლების შედეგად ტოპონიმები შეიქმნა კვლავ **-ელ** სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსით **-ებ** მრავლობითობის ნიშნის დართვით (ელ+ებ): **გუდან-ელ-ები**, **ღულ-ელ-ები**, **ხადუ-ელ-ები**. სამართლიანად მიუთითებს გ. ბედოშვილი, რომ ერწო-თიანეთის გეოგრაფიულ სახელებში **-ებ** სუფიქსი შედარებით ახალი მოვლენაა[39]. მაგრამ, ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში **-ებ** ფორმანტით მხოლოდ მიგრაციაქმნილი ტოპონიმები როდია ნაწარმოები, რომლებიც, მაგალითად, **-კარით** ბოლოვდებოდა ახლა **-ებ** სუფიქსს ირთავენ, რაც, რა თქმა უნდა, აქ ასევე მთის მოსახლეობის მიგრაციას უნდა მიეწეროს. ალბათ, აღნიშნულს ნაწილობრივ გულისხმობს გ. ბედოშვილი, როცა წერს, რომ „ქართველ მთიელთა ბარად „ჩამოწოლის“ პროცესმა ერწო-თიანეთში განაპირობა ფშაური, ხევსურული და საკუთრივ თიანური გეოგრაფიული სახელების შექმნა. სახელებში ასახუ-

---

[35] ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, სის., ტ. I, გვ. 178.

[36] მასალები..., გვ. 78.

[37] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ს კითხები, ტ. VIII, გვ. 21, 364.

[38] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, გვ. 85.

[39] გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ამ ხალხთა დიალექტური თავისებურებანი. ეს დიალექტობრივი განსხვავება დღევანდელი ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხელშესახებია“[40].

აღნიშნული სტრიქონების ავტორს არ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები თუ რომელია ფშაური, ხევსურული და საკუთრივ თიანური გეოგრაფიული სახელები. ერწო-თიანეთის ტოპონიმების ამ პრინციპით დაყოფა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია და ასეთი დაყოფა, ალბათ, იმ გავლენის შედეგი უნდა იყოს, რომ აქ გამოყოფენ ფშაურ, ხევსურულ და საკუთრივ თიანურ დიალექტებს[41].

მთიელთა მიგრაციის შედეგად შექმნილი ტოპონიმების შესახებ უნდა ითქვას, რომ როდესაც მთის ამა თუ იმ კუთხიდან რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი ჩამოსახლდებოდნენ დაბლობში, ასეთ შემთხვევაში ხშირად მიგრანტები ისეთ ტოპონიმებს ჰქმნიდნენ, რომლებიც ამა თუ იმ კუთხიდან წარმომავლობას ასახავდნენ და არ გადმოჰქონდათ ერთი რომელიმე სოფლის სახელწოდება. ასეთი რიგის ტოპონიმების რიცხვს მიეკუთვნება: **ხევსურთსოფელი, ფხოველი, ფშაველი, მთიული, მთიულთუბანი...**

ერწო-თიანეთში მთის მოსახლეობის მიგრაციის გარდა დასტურდება ბარის მოსახლეობის მიგრაციაც, რასაც უმეტესად კლასთა ბრძოლა განსაზღვრავდა. ეს პროცესი ტოპონიმიაშიც აისახა. იქ, სადაც ახლა სიონის წყალსაცავია, არსებობდა სოფ. **დიღმელაური**, რომელიც XIX ს-ის ხალხის აღწერის დავთრებშიც მოიხსენიება. აშკარაა, რომ სოფელი დააფუძნეს ბარიდან, თბილისის სანახების სოფ. დიღმიდან გადმოსახლებულებმა. აქ ჯერ კიდევ XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში მოიხსენიება რამდენიმე კომლი **დიღმელი**[42]. ტოპონიმი ნაწარმოებია სადაურობის მაწარმოებელი ფშაური და კახური დიალექტებისათვის მახასიათებელი -ურ სუფიქსით, ისევე როგორც, მაგალითად, **ჟალური**. შესაძლებელია აღნიშნული გეოგრაფიული სახელი **(დიღმელა-ური)** ზედმეტი სახელისაგან (დიღმელა) იყოს ნაწარმოები, მაგრამ იგი, ალბათ, აქ მიგრირებულ დიღმელს შეიძლებოდა შერქმეოდა.

ერწო-თიანეთში მოსახლეობის ადგილგადანაცვლების დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ მრავალი ტოპონიმი XII—XIII საუკუნეებისა უკვე XVIII—XIX საუკუნეებში და დღესაც აღარ გვხვდება, რაც აშკარად მიუთითებს ერწო-თიანეთის ძველი მოსახლეობის გადასახლებასა და ახალი მოსახლეობის მოსვლაზე. XII—XIII სს. ზოგიერთი სოფლის — ტოპონიმის დადგენა ხერხდება საველე ეთნოგრაფიული მასალებით. ზოგიერთი მათგანი XVIII—XIX სს-მდე არსებობდა და სახელი შეეცვალა სწორედ მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ამ რეგიონში. მაგალითად, **ამატანი დღევანდელი ლულელებია, ბუშატი სოფელ ორხევის ერთი ნაწილია („ბუშატის მაღალი“), წიაბეთი დღევანდელი დორეულებია, რომელიც ჭურჭლიანთკარის სახელსაც ატარებდა XIX საუკუნეში, პიტლოვანი დღეს ჰქვია ადგილს სოფ. სიმონიანთხევის ჩრდილო-დასავლეთით.**

მოსახლეობის მიგრაციის შედეგადაა შექმნილი ტოპონიმი **დორეულები** ერწოში. როგორც ეთნოგრაფიული და საარქივო მასალებიდან ირკვევა დორეულებში გადმოსახლებულნი არიან დორეულები და ძირად დორეული ზამთარა-

---

[40] გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[41] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 144—165; გ. ცოცანიძე, თიანური და მისი ადგილი ქართული ენის დიალექტთა შორის, თბ., 1970 (ხელნაწერი).

[42] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები, სისოშვილები და ზაზაშვილები. აღნიშნული გეოგრაფული სახელის ერწოში გადმოტანა XIX ს. პირველ წლებში მოხდა. საერთოდ, ქსნის ხეობიდან მოსახლეობის ერწო-თიანეთში მიგრაცია XVIII — XIX სს. საკმაოდ დასტურდება. ჩანს, ქსნელები კახეთშიც გადასახლდებოდნენ. აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ „აქაური (ქსნის ხეობის, — რ. თ.) საგეოგრაფიო სახელები კახეთში მეორდება. ჩანს, დასახლება კახეთისა მარტო თიანეთის მხარიდან არ ხდებოდა“[43].

**დორეულები** ერწოში ისეთი ტოპონიმია, რომელიც უშუალოდ მიუთითებს ერთი გვარის მიგრაციას: სოფელი მიგრირებული გვარის სახელს ატარებს. ასეთი სახის ტოპონიმები ერწო-თიანეთში საკმაოდაა, როდესაც მთიდან მიგრირებულნი ახალ საცხოვრისში სოფელს გვარის სახელს არქმევენ. შეიძლება დავასახელოთ: **ძებნიაურები, ჭურჭელაურები, დულუზაურები, ზარიძეები, იარაჯულები, ჩიტაურები, ტუშურები, ჯერვალიძეები. ქისტაურად** სახელდებოდა XIX ს-ის II ნახევარში სოფ. ზემო ხორხი, სადაც ფშავის სოფ. შუაფხოდან გადმოსახლებული ქისტაურები მოსახლეობდნენ.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით მთასა და ბარში მრავალი სოფლის სახელწოდება ერთმანეთს ემთხვევა, რაც შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ასახავდეს სწორედ მოსახლეობის მიგრაციას, თუმცა სეხნია ტოპონიმების დამოუკიდებლივ წარმოშობაც არაა გამორიცხული. ასეთი რიგის სეხნია და მსგავს ტოპონიმებად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, **ხევსურეთის სოფელ არხოტისა** და **ქართლის სოფ. არხოტის** სახელწოდებანი. უკანასკნელი პირველად სიმონ მეფის 1559 წლის სიგელშია მოხსენიებული[44]. სოფ. არხოტი ახლა თეთრი წყაროს რ-ნის შახვეტილას სასოფლო-საბჭოში შედის.

ერწოს სოფელი **ბეწენწურები** და 1616 წ. დოკუმენტში ნახსენები კახეთის სოფ. **ბეწეწური**[45]. თუშეთის **ბოჭორმა** და ერწოს **ბოჭორმა. წიფორი** (მთიულეთში) — **წიფორი** (ქართლში, ქვეშის ხეობაში)[46]; **ლოშო** (ვახუშტისეული, ივრის ხეობაში, შემდეგდროინდელი **ლიშო**) — **ლიშო**[47] (თრიალეთში), — **ლოშო**[48] (ბაზალეთის მიდამოებში);**კურტანაძე**[49] (პანკისის ხევსა) და **კურტანაძე**[50] (ნეკრესთან); **მერეკანა** (ერწოში) — **მერეკანა** (თრიალეთი) — ვახუშტი; სოფ. **იორი** (ბაზალეთის მიდამოებში) — **ჰიდრონიმი იორი; სოფელი არღუნი** — **ჰიდრონიმი არღუნი** ხევსურეთში; **მაღრანი** (ხევსურეთში) — **მაღრანი** (კახეთში, გალმამხარში) — **მაღრანი** (არაგვის ხეობის დაბლობში). აღნიშნული სამი ტოპონიმი შესაძლებელია სრულიად დამოუკიდებლადაც იყოს წარმოშობილი, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით „მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი“. შესაძლებელია ტოპონიმი „მაღრანი“ „რ“ და „ნ“ თანხმოვნების გადაადგილების შედეგად იყოს მიღებული.

სოფ. **აჩხოტი** არსებობდა თიანეთსა და გრდან-საგურამოში[51].

---

[43] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 423.
[44] მასალები..., გვ. 35.
[45] იქვე, გვ. 41.
[46] იქვე, გვ. 192.
[47] იქვე, გვ. 195.
[48] იქვე, გვ. 199.
[49] იქვე, გვ. 207.
[50] იქვე, გვ. 208.
[51] აღწერა..., გვ. 206, 207.

ქართლში არსებობდა სოფელი **ხანდოეთი**[52]. ცნობილია **ხანდო** მთიულეთსა და ჯავახეთში. შეადარე, აგრეთვე, **ხანდისი** ტანის ხეობაში[53].

სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინეთში გვხვდება მსგავსი გეოგრაფიული სახელები, რაც საგულისხმო ფაქტი უნდა იყოს. ზემოთ დასახელებული **ხანდოს (მთიულეთი და ჯავახეთი)** და **არბუშატს (ჯავახეთი, ერწო, კახეთი)** გარდა შეიძლებოდა დაგვესახელებინა **არტაანი (სამხრეთ საქართველო)** და **არტანი (ივრის ხეობა, თიანეთს ზემოთ)**, აგრეთვე, **პანკისი (კახეთის ჩრდ.-დას. მთის ზონა)** და **პანკისი, სოფელი ძველ ქართულ პროვინცია კოლაში**[54]. მესხეთის რამდენიმე გეოგრაფიული (სოფლის) სახელი მეორდება შიდა ქართლში (მაგალითად, **ოკამი**). შესაძლებელია აღნიშნული ტოპონიმები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოსახლეობის გადმოსახლებას დავუკავშიროთ, თუ სამხრეთ საქართველოს პროვინციების ისტორიულ წარსულს გავიხსენებთ.

სოფელი **დუმაცხო (მთიულეთ-გუდამაყარში)** და სოფელი **დუმაცხო დღევანდელი ხაშურის რაიონში**, ალის წყალზე[55].

**მანავი** გარე კახეთის გარდა არსებობდა გრდან-საგურამოში[56].

ყურადსაღები ტოპონიმი უნდა იყოს „**გოგოლაურის ნაფუძარი**“ ქვემო ქართლში, რომელიც მოხსენიებულია 1657 წლის დოკუმენტში[57]. გოგოლაური ფშავში საკმაოდ დიდი თემი და გვარია.

სოფელი და მთა **ჭიაური** თიანეთის რ-ში, ჩაბანოს აღმოსავლეთით და სოფ. **ჭიაური** კახეთში. უკანასკნელი პირველად 1583 წლის დოკუმენტში იხსენიება[58]. თიანეთის რაიონის სოფელ ჭიაურში ხევსურეთის სოფელ ჭიედან ჩამოსახლებულნი მოსახლეობენ. იქნებ კახეთისა და თიანეთის აღნიშნული სეხნია ტოპონიმები **(ჭია-ური)** დაკავშირებული იყოს ხევსურეთის სოფელ ჭიესთან.

სამუხრანოს სოფელი **წილკანი** მთიელთა ჩამოსახლების შედეგად წარმოშობილად მიიჩნია ჯ. გვასალიამ. იგი წერს: „სავარაუდოა, რომ წილკნის თემის წარმომადგენლებმა დააარსეს ამავე სახელწოდების სოფელი (ჩანს მოსახლეობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობის ტენდენცია)“[59].

ეთნოგრაფიული მონაცემებით დილმის ხეობის მთიანი ნაწილიდან დღევანდელ ნასოფლარ მაჩხაანიდან მოსახლეობა ქიზიყში გადასახლებულა, კერძოდ მაჩხაანში. გრ. ზარდალიშვილი წერს, რომ დილმის ხეობის მაჩხაანიდან „ძნელბედობის ჟამს მოსახლეობა კახეთში გადასახლებულა და იქ გაუშენებიათ ორი სოფელი ქვემო მაჩხაანი და ზემო მაჩხაანი“[60]. ჯ. სონღულაშვილის ცნობით, ჯერ კიდევ XX ს-ის 20-იან წლებშიც კი ქიზიყელი მაჩხაანელები სალოცავად დადიოდნენ დილმის ხეობის ნასოფლარ მაჩხაანში. როდის უნდა გადასახ-

---

52 მასალები..., გვ. 201.

53 იქვე, გვ. 189.

54 ა. ყიფშიძე, სამშობლო ქვეყანა— ერუშეთი, არტაანი, კოლა, საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, 1908, ივნისი, გვ. 47.

55 აღწერა..., გვ. 204.

56 აღწერა..., გვ. 207.

57 მასალები..., გვ. 56.

58 იქვე, გვ. 264.

59 ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წანარნი). კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971, გვ. 206 (სქოლიო).

60 გრ. ზარდალიშვილი, ტოპონიმიკური ეტიუდები, ჟურ. „ცისკარი“, 1974, № 2, გვ. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებულიყვნენ ქართლელი მაჩხაანელები კახეთში? ვახუშტის დიღმის ხევზე ჯერ კიდევ აქვს მოხსენიებული სოფელი მაჩხაანი[61]. ეს სოფელი მოხსენიებულია 1720 წლის ერთ დოკუმენტში[62]. ამრიგად, XVIII ს-ის დიღმის ხეობის მაჩხაანში ჩანს მცირე რაოდენობით კვლავ იყო მოსახლეობა. ქართლელ მაჩხაანელთა კახეთში გადასახლება, ალბათ, იმ დროს უნდა დავუკავშიროთ, როცა ქართლიდან ძნელბედობის ჟამს საკმაოდ იყრებოდა მოსახლეობა და კახეთს ეხიზნებოდა. გლეხების ქართლიდან კახეთში გაქცევა განსაკუთრებით გავრცელდა XVII ს-ის II ნახევარში[63]. ვახუშტის სოფ. მაჩხაანი ქიზიყში უკვე მოხსენიებული აქვს[64]. ქართლის მთიანეთის სოფელ მაჩხაანში დღესაც კი საკმაოდ დაიძებნება ინტენსიური მეურნეობის ნაკვალევი[65].

ქართლელთა კახეთისაკენ მიგრაციის დროს უნდა იყვნენ გლდანის მახლობლად დღეს არსებული ნასოფლარის **ვეჟინის** მკვიდრნი კახეთის სოფ. **ვეჯინში** გადასახლებულნი. მიგრირებულებს უცვლელად წაუღიათ თან ტოპონიმი **ვეჟინი**[66].

მოსახლეობის მიგრაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) **ტაბარუკი** დიღმის ხეობაში და აგრეთვე ნასოფლარი **ტაბაროკები**[67] ნიჩბურას ხეობაში. ვახუშტის დიღმის ხეობაში საერთოდ არა აქვს ნახსენები სოფელი ტაბარუკი, ე. ი. საგულვებელია იმ დროს მისი აქ არარსებობა, აღნიშნულ ხეობაში მთის მოსახლეობის (მთიულ-გუდამაყრელთა) ჩამოსახლება-დაფუძნება მხოლოდ XIX ს. დაიწყო[68]. ამავე პერიოდში (XIX ს. II ნახ.) არიან აქ ჩამოსახლებული მთიულ-გუდამაყრელები სოფ. ტაბარუკში. აღნიშნული სოფლის სახელწოდების, **ტოპონიმის, — ტაბარუკის შექმნა სწორედ მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციას უკავშირდება.** საბა ორბელიანის განმარტებით „ტაბარუკი — გლეხი ახალ-მოსული“-ა. აშკარაა ამ ტოპონიმის შინაარსი: იგი შეიქმნა XIX ს-ის II ნახევარში მთიულეთ-გუდამაყრიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. ასეთივე წარმოშობისა უნდა იყოს ზემოთ ნახსენები ტაბაროკებიც.

მიგრაციაქმნილი ტოპონიმი უნდა იყოს, აგრეთვე, **ხიზნები,** დღევანდელი დუშეთის რაიონის ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭოში.

უცილობლად მთიელთა ჩამოსახლების მაუწყებელნი არიან შემდეგი ტოპონიმები მცხეთის რაიონში: **„ბედუკაძეების უბანი“** საგურამოში; **ბექაურიანთუბანი“** წინამძღვრიანთკარში; **„გაბიდაურისგორა“** ბიწმენდთან, **„ბულალაურთღელე“** აღდგომელაანთკარში, **„ზარიძეანთი“** ხეკორძში, **„წითელაურის ხევი“** მუხათგვერდთან ერთვის მტკვარს, **„ფშავლიანთხევი“ ნიჩბისში**[69].

---

[61] აღწერა..., გვ. 197.

[62] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., I, გვ. 183.

[63] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 198.

[64] აღწერა..., გვ. 205.

[65] ჯ. სონღულაშვილი, აღმ. საქ. მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიღმის ხეობა), წიგნი I, თბ., 1969, გვ. 47.

[66] გრ. ზარდალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

[67] ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, 1975, გვ. 66.

[68] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46, 53, 61.

[69] ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 43, 44, 45, 49, 68, 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერწო-თიანეთის ზოგიერთი ტოპონიმი ნახური წარმოშობისად მიიჩნია გ. ბედოშვილმა. კერძოდ, ავტორი წერს: „ერწო-თიანეთის ტოპონიმშიაც, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ნახური (ბაცბური) ენობრივი დანალექი უნდა ვივარაუდოთ. ყოველ შემთხვევაში გაძნელდებოდა ქართული ენის ფაქტად გვეცნო ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: ამატანი||ამტანი (ამტანის ხევი), ალოტი, ალაჭანი, არბუკი, არხალი, აძეძი, ახუნი, ბოჭორმა, ბაჩალი, გოთაღრა (შდრ. მთა გოთაღრულა), გუზუმბათი, დამასტე, დოლოშა, ევყენტი, ერწო, თოხოლჩა, იახსარი, იდრაყო, იკვლივი, ილდაკანი, იხინჭა, კაწალო, კინჭოტა, კორსავი, ლარტუშო, ლახატო, ლიშო, მაკასტახი, მასარა, ჟებოტა, ღორღაში, ყაფარი, ჩაბანო, წერათო, ხაიშო, ხახმატი, ხოფცა, ჭიჩო, ჯიხო და სხვ.“[69].

ვფიქრობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ტოპონიმის (ყაფარი, ალოტი, არხალი, ხაწირი, კორსავი, კაწალო, ხაიშო, ხოფცა, ჯიხო) ნახურ სამყაროსთან დაკავშირება სწორი არ უნდა იყოს. ისინი იხსნებიან ქართული ენის ანდა მის დიალექტთა საშუალებით. მაგალითად სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ყაფარი უაღრესად ძნელი აღმართია და ფრიალოს სინონიმს წარმოადგენს. რაჭულსა და ლეჩხუმურ დიალექტებშიც ყაფარი მთის აღმართია, ძლიერ დაქანებული[70], სწორედ აქედან უნდა იყოს მიღებული ტოპონიმი — სოფლის სახელწოდება „ყაფარი“. მართლაც, აღნიშნული სოფელი ივრის ხეობის ზემო წელში უაღრესად დამრეც ადგილზე მდებარეობდა.

ამრიგად, აშკარაა ტოპონიმების, როგორც ისტორიული წყაროს დიდი როლი მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად საქართველოს სინამდვილეში. წინამდებარე ნაშრომში აისახა აღნიშნული ისტორიული წყაროს — გეოგრაფიული სახელების როლი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის დაბლობში მიმდინარე მიგრაციის შესასწავლად. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაციის შედეგად განსაკუთრებით ბევრ ტოპონიმს უცვლია ადგილი კახეთისაკენ. კახეთში მიგრაციათა შედეგად შექმნილი ტოპონიმები, როგორიცაა მუქუელი, ახადელი, ხორხელი, მთიული, ბუშატი... უნდა გაჩენილიყო ძირითადად XVI ს-ის დასაწყისიდან, როდესაც კახეთის სამეფო ყველაზე უფრო დაწინაურებული იყო როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ“[71] („XVI საუკუნის კახეთი მჭიდროდ დასახლებული, კულტურული მეურნეობისა და გაცხოველებული ვაჭრობის ქვეყანა იყო. საქართველოს სხვა ნაწილებიდან აყრილი გლეხობა კახეთს აფარებდა თავს და აქვე სახლდებოდა მთელი XVI საუკუნის მანძილზე კახეთის მოსახლოება კი არ მცირდებოდა, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, არამედ სწრაფად მატულობდა“[72]). თუმცა აღნიშნულით როდი გამოვრიცხავთ ქართველ მთიელთა დაბლობში ჩამოსახლებას და შესაბამისად ტოპონიმების თან გადმოტანას უფრო ადრეულ პერიოდში და თუგინდ XVI ს-ის შემდეგაც, მაგალითად: XVI ს-ის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, ბახტრიონის ბრძოლის დროიდან, რის შემდეგაც ქართველმა მთიელებმა კახეთის ბარში ადრე ბოძებული საძოვრები, თუ ვენახები კიდევ უფრო განიმტკიცეს და სხვაც დაუმატეს.

---

[70] გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[71] ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975.

[72] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 160.

[73] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Р. А. ТОПЧИШВИЛИ

# ТОПОНИМЫ КАК ИСТОЧНИК ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ МИГРАЦИИ ГОРЦЕВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Статья представляет собой опыт исследования истории миграционных процессов горцев Восточной Грузии по данным топонимики. В условиях скудости, а порой и полного отсутствия письменных источников и современных этнографических материалов для изучения миграционных процессов в прошлом данные топонимики могут сыграть решающую роль. В статье выявлены характер и направления миграционных потоков, а также факты перемещения топонимов, что свидетельствует о давних традициях переселения на равнину горцев Восточной Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი დუნდუა, ამირან კახიძე

## კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები*

2. ჩვენს დასკვნას იმის შესახებ, რომ კოლხური ნახევარდრაქმების ემისიას ქალაქი აწარმოებდა, მხარს უჭერს აგრეთვე ნომინალების სისტემის კვლევა.

დ. კაპანაძე და კ. გოლენკო თავის სტატიაში: «К вопросу о происхождении колхидок» წერდნენ: «В греческих полисах Черноморья, как, впрочем, и во всех греческих городах, в силу развитости товарно-денежных отношений городская монета, прежде всего, была рассчитана на внутреннее потребление и на мелкие торговые сделки. В ранний период (вторая половина VI—V вв. до н. э.) в чеканке греческих городов, монета которых не была рассчитана для обращения на внешнем рынке, наблюдается преобладание мелких и мельчайших номиналов серебряной монеты»[80].

როგორც ჩანს, ავტორებმა არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ეს თეთრი მათივე საწინააღმდეგოდ შემობრუნდებოდა. განა ნახევარდრაქმები წვრილი (მცირე) ნომინალების კატეგორიას არ მიეკუთვნება? განა ისინი არ ჭარბობენ კოლხური თეთრის ემისიაში?

მაგრამ თუ სწორია დებულება, რომ მცირე და უმცირესი ნომინალები პოლისის სამონეტო საქმიანობისათვისაა დამახასიათებელი, მაშინ ჩვენ განკარგულებაშია სამი უნიკალური მონეტა, რომელთა მიკუთვნებას სამეფო ხელისუფლებისადმი ძნელად თუ ვინმე შეეცდება.

1968 წ. ა. კახიძემ ფიჭვნარში არქეოლოგიური გათხრების დროს, ძვ. წ. V ს-ის II ნახევრის სამარხში (№ 12) მიაკვლია სამ ერთტიპიურ ვერცხლის წვრილ მონეტას, რომელთა გაზომვა პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ისინი რომ ჭურჭელში არ ყოფილიყვნენ მოთავსებული, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგებოდნენ მეცნიერებისათვის, რადგან მათი პოვნა თუნდაც უაღრესად სკრუპულოზური პრეპარაციის დროს ძნელი წარმოსადგენია.

მონეტების აღწერილობა ასეთია:

შუბლი — მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (აბსოლუტურად იდენტური II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილისა).

ზურგი — მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, რომელიც თავის მაღალი ფეხების გამო, შეიძლება წეროთა ოჯახის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

შევეხოთ სამარხის ინვენტარსა და თარიღს[81].

სამარხი ორიენტირებული იყო აღმოსავლეთისაკენ (ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი). როგორც ცნობილია, მიცვალებულის აღმოსავლეთისაკენ დამ-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 4.

[80] Д. Капанадзе, К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1957, № 4, გვ. 90.

[81] ნაშრომის არქეოლოგიური ნაწილი დაწერილია ა. კახიძის მიერ.

ხრობა დაკრძალის წმინდა ბერძნულ წესადაა აღიარებული. სამარხეული ორმოს სიგრძე 2,25 მ-ია, სიგანე 1,3 მ, სიღრმე 1 მ. სამარხის თავზე სამ რიგად იყო განლაგებული რკინის ლურსმნები (ე. ი. თავის დროზე მას ხის სახურავი ჰქონია). სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რკინის ლურსმნების კონტურებს გარეთ, ჩადგმული იყო პატარა ზომის ქიოსური ამფორა. თვით სამარხში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის ინვენტარი: სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (თავის არეში?)[82], აღმოჩნდა მკრთალი ოქროსგან დამზადებული, გავარსით შემკული ნალისებრი წყვილი ყურსაკიდი, ხოლო ყელის არეში — ოქროს საკიდი და 58 ფუყე ოქროს მძივი. იქვე იყო გაბნეული სადა გაუმჭირვალე მინისაგან დამზადებული პატარა ზომის მძივები, მათ შორის ერთი მწვანე ე. წ. „თვალედი“ მძივი. სამარხის ორმოს სამხრეთ კედელთან, მარცხენა ხელთან ახლოს, აღმოჩნდა ფერადი მინისაგან დამზადებული ფინიკური ოინოხოია. სწორედ ამ ჭურჭელში იყო ვერცხლის სამივე მონეტა. ხელების არეშივე იყო განლაგებული ვერცხლის წყვილი სამაჯური, ფარაკიანი ბეჭედი, სამი შავლაკიანი ამფორისკი. საკმაოდ ბევრი ჭურჭელი ჩაუწყვიათ ფეხებთან, ე. ი. სამარხის დასავლეთ ნაწილში. სამხრეთ-დასავლეთ კიდეში იდგა ადგილობრივი ყურმილიანი დოქი, შავლაკიანი ატიკური ბოლზალი — კაპკოტილა. წითელფიგურული ლეკითოსი, წყვილყურიანი იონური და ადგილობრივი პატარა ზომის თიხის ქილისებრი ჭურჭელი.



ამ სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარის სამაროვანზე (ოქროს საკიდი, ე. წ. ფინიკიური მინის ოინოხოია, ადგილობ-

[82] ფიჭვნარის სილნარ გრუნტში ადამიანის ძვლები არ ინახება, ამიტომ ინვენტარის ხასიათის მიხედვით გვიხდება საუბარი დაკრძალვის სავარაუდო პოზასა და ცალკეული ნივთების განლაგების კანონზომიერების შესახებ.

რივი ჭურჭლის აღნიშნული ტიპი), სხვები კი (ქიოსური ამფორა, შავლაკიანი კაპკოტილა, ამფორები, ლეკითოსი, ყურმილიანი დოქი, იონური ჭურჭელი, ოქროს ყურსაკიდი, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი და სამაჯურები, მინის მძივები) არაერთგზის შეგვხვედრია. სწორედ ეს უკანასკნელი ჯგუფი გვაძლევს მყარ კრიტერიუმს სამარხის და, შესაბამისად მასში წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგანგებო ინტერესების შემცველი ვერცხლის მონეტების მიახლოებითი სიზუსტით დათარიღებისათვის. სამარხეული ინვენტარის განხილვას დავიწყებთ შედარებით კარგად შესწავლილი შავლაკიანი ატიკური კერამიკული ნაწარმით. პირველ რიგში მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ წითელფიგურულ არიბალისებრ ლეკითოსზე კურდღელი რომაა გამოხატული. მსგავსი მოხატული ლეკითოსი ნაპოვნია ათენის აგორაზე და ძვ. წ. V ს-ის შუა წლებითაა დათარიღებული[83], აგრეთვე დასავლეთ შავიზღვისპირეთში აპოლონიის ნეკროპოლის გათხრებისას. ტ. ივანოვი აპოლონიის ლეკითოსს ძვ. წ. V ს-ის მესამე მეოთხედით ათარიღებს[84]. დღეისათვის ასევე კარგად შესწავლილად ითვლება შტამპირებულ ორნამენტიანი ატიკური ამფორისკები. როგორც უკვე ითქვა, მე-12 სამარხში აღმოჩნდა სამი ასეთი ნიმუში[85]. ფიჭვნარის სხვა სამარხებსა თუ საალაპო მოედნებზე ხშირად ჩნდებოდა ამ სახის ნაწარმი შესანიშნავად დათარიღებულ კომპლექსებში. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში მათი დამზადების საწყის თარიღად ძვ. წ. 430-იანი წლებია მიჩნეული. წარმოება გრძელდებოდა ძვ. წ. IV ს-ის დამდეგამდე. მომდევნო ეპოქაში უპირატესად ბადისებრი ორნამენტით შემკული ამფორისკები ჩანს გავრცელებული. ფიჭვნარის შავლაკიან ნატვიფრსამკაულიან ამფორისკებს არაერთი ანალოგია მოეპოვება[86]. ასევე ითქმის სამარხში აღმოჩენილი შავლაკიანი კაპკოტილის — ე. წ. ბოლზალის შესახებაც. ფორმა ჩნდება ძვ წ. V ს-ის შუა წლებიდან, არსებობას განაგრძობს ძვ. წ. IV საუკუნეშიც. ფიჭვნარის მონაპოვარი მთელი რიგი ანალოგიების მიხედვით (ათენის აგორა, დელოსი, როდოსი, კორინთი, ოლინთო, აპოლონია, ოლბია, პანტიკაპეიონი, ნიმფეიონი და ა. შ.) ძვ. წ. V ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება[87]. ამავე პერიოდისა ჩანს ქიოსური ამფორაც[88].

სამარხის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას წყვილყურიანი იონური ჭურჭელი. მსგავსი ნიმუშები ნაპოვნია ფიჭვნარის ძვ. წ. V ს-ის სამაროვნის მე-20 სამარხის საალაპო მოედანზე, მრავალრიცხოვან ატიკურ სადა თუ მოხატულ ჭურჭლებს შორის,

83 CVA, v. Cambridge, გვ. 31, ტაბ. XXVIII, 5.

84 Т. Иванов, Античная керамика из некропюля Апюллонии, Апюллония, София, 1963, გვ. 105, ტაბ. 46/58.

85 აქედან ერთი მთლიანად დაცულია, ორის აღდგენა არ მოხერხდა.

86 ამ ტიპის შავლაკიანი ამფორისკების ფორმის ისტორიის, ქრონოლოგიისა და ანალოგიების შესახებ დაწვრილებით იხ. Agora, XII, გვ. 155 და შმდ.; ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 105—106; მ ი ს ი ვ ე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975, გვ. 24—25.

87 ამ ტიპის ჭურჭლების ვრცელი დახასიათება, ანალოგიები და ბიბლიოგრაფია იხ. Agora, XII, გვ. 109 და შმდ.; ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, გვ. 24—25.

88 ასეთი ამფორა არა ერთია აღმოჩენილი ფიჭვნარის სხვა სამარხულ კომპლექსებშიც. განსაკუთრებით მდიდრული და მრავალფეროვანი მასალები ახლდა პირველი სამარხის ამფორებს. იხ. ა. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ასევე კარგად თარიღდებიან ძვ. წ. V ს-ის 30—20-იანი წლებით. როგორც ზემოთაც ითქვა, მონეტები ჩაწყობილი იყო ფერადი მინისაგან დამზადებულ ფინიკიურ ოინოხოაში. მას მოეპოვება ანალოგიები ტუზლინისა[89] და აპოლონიის[90] ძვ. წ. V ს-ის ნეკროპოლზე აღმოჩენილ მასალებს შორის (ვანის მდიდრული სამარხი, სადაც ამ ტიპის შედარებით უფრო დიდი ზომის ფინიკიური ოინოხოია აღმოჩნდა, ასევე ძვ. წ. V საუკუნითაა დათარიღებული[91]).

კოლხეთში, ვანისა და ფიჭვნარის აღმოჩენების მიხედვით, უპირატესად ძვ. წ. V საუკუნეში ჩანს გავრცელებული ე. წ. „კალაჩის“ ტიპის ნალისებრ-ნახევარმთვარისებრი ვარდულიანი ოქროს ყურსაკიდებიც; როგორც ცნობილია, ესენი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან ფართოდაა გავრცელებული როგორც წინა აზიაში (ურარტუ, მიდია, აქემენიდური ირანი), ასევე ხმელთაშუა ზღვისპირეთსა (კვიპროსი, მატერიკული საბერძნეთი, ეტრურია) და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში[92].

ძვ. წ. V ს-ის ბერძნულ თუ კოლხურ სამარხებში ათეულობითაა აღმოჩენილი მე-12 სამარხში აღმოჩენილის მსგავსი ყურმილიანი დოქების დახვეწილი ნიმუშები. მოგვიანონი (მხედველობაშია ძვ. წ. IV ს.) უკვე საკმაოდ დეგრადირებული არიან. არაფერს ვიტყვით ოქროსა და მინის მძივების, აგრეთვე ვერცხლის სამაჯურების შესახებ, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ხოლო ოქროს საკიდსა და ადგილობრივ ქილისებრ ჭურჭელს ჯერჯერობით ანალოგია არც მოეპოვებათ.

როგორც ვხედავთ, ფიჭვნარის ძვ. წ. V ს-ის ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩენილ მონეტებს თან ახლავს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი დამათარიღებელი მასალა. ჩვენი აზრით, სამარხის თარიღი ძვ. წ. 430—410 წლებით უნდა შემოიფარგლოს. 430 წელზე ადრეული პერიოდით სამარხის დათარიღება არ შეიძლება მასში აღმოჩენილი შავლაკიანი ამფორისკების მიხედვით, ვინაიდან მათი წარმოება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. სამარხს ძვ. წ. 410 წელზე გვიანდელი პერიოდითაც ვერ დავათარიღებთ, იმის გამო, რომ საერთოდ იონური კერამიკული ნაწარმი, კერძოდ, წყვილყურიანი იონური ჭურჭელი, ამაზე გვიანდელ კომპლექსებში აღარ გვხვდება.

დავუბრუნდეთ სამარხში აღმოჩენილ მონეტებს. მათ ჩვენ უყოყმანოდ კოლხურ მონეტათა რიცხვს ვაკუთვნებთ. გარდა შუბლის გამოსახულებათა იდენტურობისა, ამაზე მიუთითებს მათი სტილი, ფაქტურა და უნიკალობაც. ვერც ერთ პუბლიკაციაში ანალოგიები ვერ დავძებნეთ. ამრიგად, ფიჭვნარში მიკვლეულ იქნა ე. წ. კოლხური თეთრის ახალი ტიპი და, არა თუ ახალი ტიპი, არამედ ახალი ნომინალიც. მათი წონა უდრის 0,150, 0,111 და 0,110 გ-ს.

---

89 Н. П. Сорокина, Тузлинский некрополь, М., 1957, ტაბ. III, სურ. 2.

90 Я. Младенова, Пастовые и алебастровые предметы из Некропюля Аполлонии, Аполлония, София, 1963, გვ. 361, ტაბ. 162/989.

91 Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 65—80; რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი I, თბ., 1972, გვ. 116, სურ. 65.

92 ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, თბ., 1972, გვ. 16—17, სურ. 42; მ ი ს ი ვ ე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 35, აქვეა ბიბლიოგრაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ი. ეს ნომინალი დრაქმის 1/24 ნაწილზე (ტეტარტემორიონზე) უკნინესია და შესაძლებელია, პირობით ჰემიტეტარტემორიონი (ἡμιτεταρτημόριον) ვუწოდოთ.

განა სამეფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია ნომინალების ასეთი დიფერენციაცია (ტეტრადრაქმა? დიდრაქმა, დრაქმა, ნახევარდრაქმა და ჰემიტეტარტემორიონი)? გარკვეულ შემთხვევაში, ნომინალების ასეთი ჭრილი და რთული სისტემა არა თუ სამეფო ემისიისათვის, არამედ ქალაქებისათვისაც კი არაა დამახასიათებელი.

ამრიგად, ე. წ. კოლხური თეთრის ნომინალების რთული სისტემაც არ ლაპარაკობს სამეფო ხელისუფლებისადმი მათი მიკუთვნების სასარგებლოდ.

**3.** დ. კაპანაძესა და კ. გოლენკოს კოლხური თეთრის სამეფო ხელისუფლებისათვის მიკუთვნების სასარგებლოდ მოჰქონდათ ასეთი არგუმენტი: «...если бы чеканка колхидок осуществлялась Фасисом или другим греческим полисом, это было бы уникальным явлением в греческой нумизматике, так как такое постоянство монетного типа вообще неизвестно для греческой чеканки. Тип же колхидок, как известно, не менялся (?! ავტ.), что характерно как раз для так называемого варварского чекана»[93]. ეს დებულება არც მაშინ შეეფერებოდა სინამდვილეს, როდესაც იგი გამოითქვა და ახლა მით უმეტეს. კოლხური თეთრის ემისია სწორედ ტიპოლოგიის სიჭრელით ხასიათდება. მოგვყავს მათი სქემატური აღწერილობა:

**1.** ე. წ. ტეტრადრაქმა, Av. ლომის თავი, Rv. ცხენის პროტომა; **2.** I ტიპის დიდრაქმა, მწოლიარე ლომი—დაჩოქილი ფიგურა. **3.** II ტიპის დიდრაქმა, ადამიანის პროფილი — კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული ადამიანის ორი პროფილი ერთმანეთის საპირისპიროდ; **4.** III ტიპის დიდრაქმა, ადამიანის თავი — ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ; **5.** დრაქმა, ლომის სკალპი — ხარის თავი კვადრატუმ ინკუზუმში; **6.** I ტიპის ნახევარდრაქმა, დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება პროფილში — ძუ ლომის პროტომა ჩაჭდეულ კვადრატში; **7.** II ტიპის ნახევარდრაქმა, ადამიანის თავი პროფილში — ხარის თავი; **8.** ჰემიტეტარტემორინი, ადამიანის თავი — ფრინველი; ამრიგად, კოლხური თეთრის ემისიაში რ ვ ა  ს ა მ ო ნ ე ტ ო  ტ ი პ ი  გ ა მ ო ი ყ ო ფ ა. ასეთ ვითარებაში განა შეიძლება სამონეტო ტიპოლოგიის სიმყარეზე ვილაპარაკოთ?! სამეფო ხელისუფლების ნუმიზმატიკის ისტორიიდან ძალიან გაძნელდება მაგალითების მოყვანა, როდესაც რაღაც ასიოდე წლის განმავლობაში ამდენი სამონეტო ტიპის ემისია განხორციელებულიყოს. ნომინალებისა და ტიპების მრავალფეროვნება სწორედ პოლისისათვისაა დამახასიათებელი.

**4.** დარჩა ერთადერთი არგუმენტი, რომლის საფუძველზე კოლხური თეთრი სამეფო ხელისუფლებას მიეკუთვნება. ესაა გავრცელების არეალი. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული ადრე და ახლაც ამ აზრისა ვართ, რომ კოლხური თეთრის გავრცელების ტოპოგრაფიამ არ შეიძლება გადაჭრას მისი გენეზისის საკითხი[94]. მივმართოთ ფაქტებს; კოლხური თეთრი აღმოჩენილია სანაპირო ზოლის პუნქტებში. მაგ., მარტო ფოთისა და ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში ამ მონეტების ოთხი განძია ნაპოვნი[95], რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ ცალებზე. მე-

---

[93] Д. Капанадзе, К. Голенко, К вопросу... გვ. 93.

[94] გ. დ უ ნ დ უ ა, ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის, გვ. 67.

[95] 1. 1910წ. თბილისში გასაყიდად ჩამოიტანეს ფოთის მიდამოებში აღმოჩენილი კოლხური თეთრის განძი, სადაც მარტო ნახევარდრაქმების საერთო წონა რამდენიმე გირვანქას უდრიდა. ალა-

ტად სიმპტომატური ფაქტია ისიც, რომ ა. კახიძის მიერ ტრიობოლების აღმოჩენის ფაქტები ფიქსირებულია ძვ. წ. IV ს-ის ბერძნულ სამარხებში. ასევე ბერძნული სამარხიდან მომდინარეობს ჩვენ მიერ განხილული სამი უნიკალური კოლხური მონეტა ფრინველის გამოსახულებით (იხ. ზემოთ).

კოლხური თეთრი აღმოჩენილია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე სტატისტიკა დღეისათვის აშკარად შიდა რაიონების სასარგებლოდაა. აღრიცხულია (ა. კახიძისა და სხვების მიერაც) მათი აღმოჩენის შემთხვევები კოლხურ სამარხებშიც.

მაგრამ აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ეს მონეტები გავრცელებულია კოლხეთის, როგორც შიდა რაიონებში, ასევე სანაპირო ზოლშიც; იგი მისაღები იყო როგორც კოლხისათვის, ასევე ბერძნისათვის. მერე და რას გვაძლევს ეს, ამ მონეტების მოჭრის ცენტრის დადგენის თვალსაზრისით? რამდენად უფლებამოსილია გადაიჭრას კოლხური თეთრის წარმოშობის ურთულესი პრობლემა მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით? რომ შეიცვალოს აღმოჩენათა რაოდენობა სანაპირო ზოლის სასარგებლოდ, მაშინ კოლხური მონეტები ქალაქის მოჭრილი იქნება? ოთ. ლორთქიფანიძე წერს: «Для определения, кем чеканились «колхидки», первостепенное значение имеет ареал, в чем и отражается их функция. Полисная монета, как известно, обращается на принадлежащей данному полису (экономически и политически) территории. Следовательно, если «колхидки» чеканились греческим полисом Фасисом, они должны были встречаться если не исключительно, то хотя бы преимущественно на окружающей его территории. На самом деле «колхидки» распространены по всей Колхиде»[96].

ჩვენ (და არა მარტო ჩვენ)[97] ვერ გავიზიარებთ ამ დებულებას, ვინაიდან მას მხოლოდ თეორიული ხასიათი აქვს და არ დასტურდება პოლისური მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიით. მივმართოთ იმავე თრაკიის მაგალითს.

---

ნიშნავია, რომ ამ განძში იყო წარმოდგენილი კოლხური მონეტების ძირითადი ტიპები. განძი პირადად გადაათვალიერა ე. პახომოვმა (Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1926, I, გვ. 37, № 9); 2. 1948 წ. ფიჭვნარში, საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს, ზღვიდან 200—300 მ-ის დაშორებით, იპოვეს ძვ. წ. IV ს-ის სინოპური დრაქმებისა და კოლხური ტრიობოლების განძი, რომლის საერთო წონა 6—8 კგ იყო (К. В. Голенко, Кобулетский клад серебряных монет середины IV в. до н. э. (предварительное сообщение), СА, XXVII, 1957, მისივე, Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948 г.), ВДИ, № 1, 1961); 3. 1949 წ. ქობულეთის მიდამოებში ბავშვებმა იპოვეს წვრილი ფულით სავსე თიხის ჭურჭელი. მონეტები ბავშვებმა დაინაწილეს. გადარჩენილი ექვსი ცალი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (გ. ფ. №№ 6349—6354); 4. იმავე ქობულეთში 1952 წ. ჩაის პლანტაციებში მუშაობისას ამოთხარეს ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელშიც ელექტრუმის საყურეებთან და ქინძისთავებთან ერთად 291 ც. კოლხური ტრიობოლიც იყო (К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада колхидок, НЭ, 1966, გვ. 34). როგორც ვხედავთ, დასახელებული განძები მრავალრიცხოვანი კოლხური მონეტებისაგან შედგებოდა და მათი ტეზავრაცია ამ რეგიონში უტყუარად უნდა ასახავდეს სამონეტო ცირკულაციის სურათს აქ.

[96] О. Лордкипанидзе, К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды), გვ. 103.

[97] წყალტუბოს I სიმპოზიუმზე დისკუსიაში გამოსულმა პროფ. დ. ბ. შელოვმა პირდაპირ აღნიშნა ამ მოსაზრების სიმცდარე და მის გასაბათილებლად მოიყვანა მიზიის პატარა ქალაქის პარიონის მაგალითი, რომლის მონეტები ფართოდაა გავრცელებული მის ფარგლებს გარეთ.

ეროვნულ ბიბლიოთე

ამასთანავე წინასწარ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ თრაკიის მეფენი თავადვე აწარმოებდნენ სამონეტო ემისიას და თითქოს არც საჭიროებდნენ პოლისურ მონეტებს საშინაო ცირკულაციისათვის. სინამდვილეში კი, როგორც ტ. დ. ზლატკოვსკაია აღნიშნავს: «... не они (ე. ი. საკუთრივ თრაკიული მონეტები—ავტ.) а иноземная импортная монета составляла основу денежного обращения в этой стране в конце VI, в V и IV вв до н. э.»[98]. ეს იმპორტული ნუმიზმატიკური მასალა კი არის წმინდაწყლის პოლისური მონეტა, კერძოდ, თრაკიის ქერსონესის, პარიონისა და პონტოს აპოლონიის მონეტები. სამხრეთ თრაკიის ტერიტორიაზე აღრიცხულია პარიონის მონეტების (ძირითადად განძების) აღმოჩენის 25 (!) შემთხვევა, თრაკიის ქერსონესისა — 15, ხოლო აღმოსავლეთ თრაკიაში პონტოს აპოლონიისა — 12[99]. ასეთივე ვითარებაა იბერიაშიც (ესპანეთი). პირინეის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთის ფარგლებში ფართოდ მიმოიქცევა ბერძნული პოლისის — ემპორიონის ძვ. წ. V—IV სს. დრაქმები[100]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

ამრიგად, არაფერია მოულოდნელი და უჩვეულო იმაში, რომ ე. წ. კოლხური თეთრი აქტიურად მიიკვლევდა გზას დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებისაკენ. ჩვენი აზრით, იგი ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც.

დღეისათვის აღარაა სადავო და ამას განსაკუთრებით გაესვა ხაზი წყალტუბოს I სიმპოზიუმზე, რომ ბერძნული კოლონიზაცია არ იყო ერთტიპიური ყველა რეგიონში, რომ კონკრეტულ ვითარებიდან გამომდინარე მას შეიძლება ჰქონოდა აგრარული ან სავაჭრო ხასიათი და ა. შ.[101]. დამოუკიდებლად იმისა, მიიჩნევს თუ არა ფასისს პოლისად, ყველა მკვლევარი თითქმის ერთხმად აღიარებს ამ დასახლების სავაჭრო ხასიათს, რომ იგი დაარსებული იყო კოლხეთის მოსახლეობასთან ვაჭრობის მიზნით, კოლხეთის ნედლეულის (ლითონის, ხე-ტყის და სხვ.) გატანის მიზნით[102]. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ე. წ. კოლხური თეთრის მასობრივი ტეზავრაცია ქვეყნის შიდა რაიონებში, მისი გავრცელების ასე ფართო დიაპაზონი ადვილი ასახსნელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მონეტების საშუალებით ქაჩავდა ადგილობრივ ნედლეულს ფასისი. ამ ასპექტში მეტად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ განსაკუთრებით მრავლად კოლხური

---

[98] Т. В. Златковская, Возникновение государства у Фракийцев VII—V вв. до н. э., გვ. 73, აქვეა ლიტერატურა საკითხის შესახებ.

[99] Т. Д. Златковская, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, რუკა 6 და სხვ.

[100] ამ საკითხის შესახებ სიმპოზიუმზე ილაპარაკა ვ. ი. კოზლოვსკაიამ მოხსენებაში: «К вопросу о характере фокейской колонизации Испании». იხ. სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები გვ. 32—33. მანვე მოგვაწოდა ლიტერატურა ესპანურ ენაზე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. იხ. A. M. Guadàn, Numismática iberica e ibero-romana, Madrid, 1969, გვ. 84—88.

[101] ამ საკითხის შესახებ იხ. И. Б. Брашинский, А. Н. Щеглов, Некоторые проблемы греческой колонизации წყალტუბოს სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, გვ. 80—103 (აქვეა ლიტერატურა).

[102] იხ. მაგ. იქვე, გვ. 98—99; О. Лордкипанидзе, К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды), გვ. 79 და შმდ.; Г. Лордкипанидзе, О характере колхо-греческих взаимоотношений в VI-IV вв. до н. э., წყალტუბოს სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, გვ. 42.

თეთრის განძები მდ. რიონის აუზშია დადასტურებული[103]. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი ქვეყნისა რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე, რაც მკვეთრად იფარგლება ფოთისა და ონის განძებით[104]. სწორედ ქალაქი ფასისი უწევდა კონტროლს ფასის-ყვირილას სავაჭრო მაგისტრალს[105] და ამიტომაცაა ასე მრავლად ნაპოვნი ე. წ. კოლხური მონეტების განძები რიონის ხეობაში.

ჩვენი აზრით, ზემოთქმულის სასარგებლოდ კიდევ ერთი დაკვირვების მოტანაც შეიძლება. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ ხანიდან ივარაუდება კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა)[106], თითქმის არაა ცნობილი უცხოური მონეტები. აქედან თითქოს ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კოლხეთის შიდა რაიონებთან ვაჭრობის ჰეგემონია ფასისის ხელში იყო, მისი საშუალებით გადიოდა კოლხეთის ნედლეული საერთაშორისო ბაზარზე.

Г. Ф. ДУНДУА, А. Ю. КАХИДЗЕ

## ВОПРОСЫ ПРОИСХОЖДЕНИЯ «КОЛХИДОК»

Резюме

В статье высказано мнение в пользу приурочения так называемых «колхидок» к фасисскому монетному двору, что подтверждается:

1. идентичностью типологии милетских и колхидских монет с изображением льва;

2. наличием семи разных греческих букв и знаков — МО|ΣО? А, О? Ф, Е? ⸤П(П?), Δ — на колхидских триоболах обычного типа, позволяющие усматривать в них имена магистратов, ибо совершенно неправдоподобно существование семи монетных дворов в колхидском царстве;

3. пестрой и сложной системой номиналов (тетрадрахма?, дидрахма, драхма, полудрахма, тетартеморий или гемитетартеморий);

4. разнообразием монетной типологии и др.

---

103 Д. Капанадзе, К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, გვ. 89, სურ. 1.

104 თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 174, 191.

105 Г. Лордкипанидзе, О характере... გვ. 42.

106 К. Голенко, Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948 г.), გვ. 51.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ

გიორგი მაისურაძე

## გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან

### (XIX—XX სს. პირველი მეოთხედი)

„საქართველოში ქალაქები აღარ დარჩა. როცა შაჰმა საქართველო დაიპყრო, მისი ძველი ქალაქები გაატიალა და მიწასთან გაასწორა“, ასეთ ცნობას გვაწვდიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ რუსეთის ელჩები თავადი მიშეცკი და დიაკი კლუჩაროვი[1].

გორის მაგალითზე ნათლად ჩანს თუ როგორ ნადგურდებოდა და ცარიელდებოდა საქართველოს ქალაქები უცხოელ მოძალადეთა შემოსევების გამო.

ზოგიერთი წყაროს მონაცემებით XIII ს-ის დამდეგს, მონგოლთა შემოჭრამდე გორში 5000-მდე კომლი ითვლებოდა[2], ხოლო ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის ვარაუდით — 12 ათასამდე კომლი[3]. შესაძლოა ეს ციფრი გაზვიადებული იყოს, მაგრამ იგი ინტერესმოკლებული არ არის. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით 1724 წლისათვის გორის მოსახლეობა შედგებოდა 1500 სულისაგან[4]. 1770 წელს გორი დაუთვალიერებია კაპიტან იაზიკოვს, რომელიც წერდა: „ახლა ქალაქის მცხოვრებნი ცოტანი არიან, მაგრამ ნანგრევებიდან ჩანს, რომ ისინი ბევრნი ყოფილან“[5].

გორელი ავტორი ავთანდილ თუმანიშვილი (იგი მსახურობდა მთარგმნელად აქ დაბანაკებული რუსის ჯარის ნაწილში, ხოლო 1814 წელს გაემგზავრა პეტერბურგში გიორგი მეფის მემკვიდრე სენატორ დავითთან და მისი პირადი მდივნის მოვალეობას ასრულებდა) თავის წიგნში ასე ახასიათებს გორელების წინაპართ: „...ოდესღაც ჰგმირავდნენ თურქებს, ფარსებს და ლეკებს; ერთთ, ვითა დამპყრობელთ უკვე დროთა განმავლობაში, განდევნიდნენ ქალაქიდან, ხოლო სხვას არ უშვებდნენ მათ სიახლოვეს, გარნა მესამეთ თავს ესხმოდნენ და იბრუნებდნენ თავიანთ ტყვეთ და ნივთთ, ყაჩაღურად მათგან გატაცებულთ“[6].

მაგრამ გასაოცარი გმირობისა და თავდადების მიუხედავად გორელებს, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, არ შეეძლოთ მუდამ გამკლავებოდნენ ირანელ და თურქ აგრესორთა უთვალავ ურდოებს. ქართველი ხალხი აშკარად

---

[1] «А горододов никаких в грузинской земле нет. А которые города в грузинской земле встарь бывали, и как шах воевал грузинскую землю, и те городки разорил и разбил до подошвы» (Посольство кн. Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640—1643), изд. М. Полиевктова, Тифлис, 1928, გვ. 160.

[2] შდრ. გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, თბ., 1965, გვ. 6.

[3] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., გვ. 106.

[4] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946, გვ. 38.

[5] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891—1902, გვ. 447.

[6] А. Туманов, Описание Грузинского города Гори, СПб., 1818, გვ. 17—20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე. კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობის რაოდენობა.

ასეთ პირობებში ერთადერთი გამოსავალი იყო საქართველოს შეერთება რუსეთთან, რაც კიდევაც განხორციელდა 1801 წელს.

სამ მოქიშპე სახელმწიფოს — რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის მხოლოდ რუსეთი იდგა ახლოს საქართველოსთან კულტურით და რელიგიით. იგი იყო ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და აუცილებელი პირობების შექმნა მისი საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

რუსეთთან შეერთების შედეგად, საქართველომ თავიდან მოიშორა უცხოელი მტრების თავდასხმის საფრთხე, აღადგინა თავისი ისტორიული საზღვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, ბოლო მოეღო მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქუცმაცებულობას; კაპიტალისტური კავშირურთიერთობის სისტემაში ჩაბმამ და რუსეთთან საქონელბრუნვის გაფართოებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

გორმა, ისევე როგორც მთელმა საქართველომ, მოიშუშა გარეშე მტრების მრავალგზის შემოსევისაგან მიყენებული ჭრილობები, საბოლოოდ დამყარდა მშვიდობა, გამოცოცხლდა ქალაქის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება.

სწორედ რუსეთთან საქართველოს შეერთების ერთ-ერთი კეთილნაყოფიერი შედეგია XIX ს-ის დამდეგიდან გორის მოსახლეობის განუხრელი ზრდა. 1807 წელს ამ ქალაქში ითვლებოდა 300 კომლი, 1850 წელს — 3800 მცხოვრები, 1873 წელს — 6000, 1897 წელს — 10269, 1912 წელს — 17733 სული[7].

ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტთან ერთად პეტერბურგში გამოქვეყნდა „დებულება საქართველოს მმართველობის შესახებ“, რომლის მიხედვით საქართველოში შემოღებულ იქნა მმართველობის ისეთი სისტემა, როგორიც არსებობდა რუსეთის გუბერნიებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებას ფორმალურად წარმოადგენდა ე. წ. საქართველოს უზენაესი მთავრობა, რომელიც შედგებოდა აღმასრულებელი, სახაზინო და სასამართლო ექსპედიციებისაგან. ეს „უზენაესი მთავრობა“ ექვემდებარებოდა რუსეთის ჯარების მთავარსარდალს, ანუ მთავარმმართველს საქართველოში, რომელიც ითვლებოდა ამიერკავკასიის უმაღლეს ხელისუფლადაც. ვინაიდან რუსეთს პირველად შეუერთდა ქართლ-კახეთის სამეფო, ზემოხსენებული დებულების შესაბამისად, თავდაპირველად (ზუსტად 1801 წლის 6 ივნისს) აქ ჩამოყალიბდა ორი „პროვინციული კანცელარია“. ერთის ცენტრი იყო გორში, მეორისა — თელავში. შემდეგში ამ ორი პროვინციის ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველო ადმინისტრაციულად დაიყო ხუთ მაზრად (გორის, ლორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის) და რამდენიმე დისტანციად.

1831 წელს პეტერბურგიდან დანიშნული რევიზორები სენატორები მეჩნიკოვი და კუტაისოვი, საქართველოში ადგილობრივი საქმის ვითარებისა და არსებული მმართველობის დეტალურად შესწავლის შედეგად, თავიანთ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში წერდნენ:

„საკუთრივ საქართველოს, რომლის მოსახლეობა 311000-მდე აღწევს, აქვს ადგილობრივი... კანონები ერთ-ერთი თავისი წინანდელი მეფის, ვახტან-

---

[7] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის კანონები... 1801 წლის 12 სექტემბერს, უმაღლესი ბრძანებით, საქართველოში დაწესებული იყო რუსეთის საგუბერნიო დაწესებულებები; ამავე ბრძანებით მის სამაზრო ქალაქებში დაწესებული იყო სამაზრო და საეროზო დაწესებულებები, რომელთაც, ისევე როგორც საგუბერნიო დაწესებულებასაც, ნაბრძანები ჰქონდათ სისხლის სამართლის საქმეები ეწარმოებინათ რუსეთის სახელმწიფოს კანონების მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საქმეები — ქართული კანონებისა და ადათის მიხედვით. მაგრამ დასახელებული სამაზრო დაწესებულებები არსებობენ მხოლოდ თბილისსა და გორში. დანარჩენ ქალაქებში კი ეს დაწესებულებები მოუხსნიათ მთავარსარდლებს მარკიზ პაულუჩისა და რტიშევს, რომელთაც ამის ნაცვლად შემოუღიათ საოლქო სასამართლოები. ამ უკანასკნელთა ხელში მოქცეულია როგორც სასამართლო, ისე საპოლიციო და საგამომძიებლო უფლებები. საოლქო სასამართლოს წევრები თვითონ აწარმოებენ გამოძიებას, თვითონ იხილავენ საქმეებს, თვითონ სწყვეტენ ამ საქმეებს და თავიანთი გადაწყვეტილებები თვითონვე მოჰყავთ სისრულეში“[8].

მოხსენებაში აღნიშნულია თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრისა და შევიწროების აღმაშფოთებელი ფაქტები.

მეფის მოხელეთა სისტემატური ბოროტმოქმედება, კანონების დარღვევა, ქონებისა და სახაზინო ფულის მითვისება, ადგილობრივ მცხოვრებთა ყოველმხრივი ჩაგვრა და შევიწროება, თავაშვებული მექრთამეობა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედება იწვევდა მოსახლეობის ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას, რომელიც ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე მასობრივ მოძრაობასა და აჯანყებაში.

რუსული მმართველობის შემოღებით თავადაზნაურობაც იყო უკმაყოფილო, რომლის მიზეზი განმარტა ი. ბ. სტალინმა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა. იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა **„საქართველოს განთავისუფლება“** ამით მას უნდოდა **„საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავად-აზნაურობა დაეყენებინა** და, ამგვარად **მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი.** ეს იყო **ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი.** ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაში“[9].

1840 წლის კანონით საქალაქო მმართველობის შემოღება საქართველოში გათვალისწინებული იყო მხოლოდ თბილისისათვის. გორზე, ისევე როგორც საქართველოს სხვა ხუთ ქალაქზე (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე) გავრცელდა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ 1870 წლის 16 ივნისს დამტკიცებული ახალი საქალაქო დებულება.

აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორი იყო ამ დებულების განხორციელებამდე გორის საქალაქო წყობილება.

რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებამდე გორსა და მის მიდამოებს ჯერ

---

[8] Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией (АКАК) том VII, გვ. 2.

[9] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ XV საუკუნიდან მართავდნენ მოურავები. მეფე ალექსანდრემ, როგორც ეს 1426 წლით დათარიღებული სიგელიდან ჩანს, გორის მოურავობა სამემკვიდრეოდ უბოძა ავთანდილ ზედგენიძეს[10]. მოურავობის მიღების შემდეგ ეს გვარი კიდევ უფრო დაწინაურებულა. 1465 წელს გიორგი VIII-ს თავდადებისათვის მაღალი თანამდებობა — ამილახვრობა უბოძებია იოთამ ზედგენიძის მემკვიდრისათვის. ამიერიდან ამილახვრობა თანდათანობით იოთამ ზედგენიძის შთამომავლობის გვარად იქცა. გორის მოურავები იწოდებოდნენ ამილახვრებად[11].

ქართლის სამეფოში გორის მოურაობასთან ერთად ამილახვრებს ეჭირათ აგრეთვე სპასპეტის, მეჯინიბეთუხუცესის, კორჩიბაშის და სხვ. თანამდებობები. მაგრამ ყველაზე უფრო მაღლა აყენებდნენ მოურავობას, ვინაიდან ყველაზე მეტი უფლებები და ყველაზე მეტი შემოსავალი ამ თანამდებობიდან ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, მოურავობა რომ შეენარჩუნებინათ, ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ მეფეებს. მოურავს ნიშნავდა მეფე ან ის პირი, რომელსაც ეკუთვნოდა ესა თუ ის ქალაქი. მეფის მიერ დანიშნულ ქალაქის უმაღლეს მმართველს — მოურავს ჰქონდა თავისი სარგოს წიგნი, რომელშიც განსაზღვრული იყო მისი უფლება-მოვალეობანი, მათ შორის მთავარი იყო იურიდიული ფუნქციები: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან უნდა ახლდეს სამართლის ბჭობაში"[12].

მოურავის შემდეგ ქალაქის უპირველესი მოხელე იყო მამასახლისი, რომელიც აგრეთვე მეფის მიერ ინიშნებოდა ქალაქის მოსახლეობის მაღალ ფენებიდან. მამასახლისს წილი ჰქონდა სამოურავო სარგოში. მამასახლისთან ერთად მოქმედებდა მელიქი. მისი ფუნქციები იგივე იყო, რაც მამასახლისისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მელიქს ევალებოდა სომხური მოსახლეობის მმართველობა.

ქალაქის მოხელეთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო ნაცვალი. ეს თანამდებობაც მემკვიდრეობითი იყო. ნაცვლის უფლება-მოვალეობის შესახებ საყურადღებო ცნობას ვპოულობთ ერთ-ერთ საბუთში, რომელშიც ნათქვამია: „მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსა საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას"[13]. სხვა საბუთიდანაც ჩანს, რომ „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს და ადლს, ლიტრას და თუნგს უნდა სინჯავდეს"[14].

ქალაქის მოხელეთა შორის მოიხსენიება აგრეთვე ციხისთავი, რომელსაც სხვანაირად ეწოდებოდა მინბაში. იგი ისეთივე ფუნქციებს ასრულებდა, როგორიც შემდეგში ევალებოდა ქალაქის კომენდანტს: ციხე-სიმაგრის დაცვა, მის კარიბჭესთან და ქალაქის ჭიშკრებთან ყარაულის დაყენება, ქალაქიდან გასული ან შემოსული პირებისადმი მეთვალყურეობა და სხვ.

გორში, ისევე, როგორც საქართველოს მაშინდელ სხვა ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ონში, ცხინვალში, არსებობდა საბაჟო, მისი მოხე-

---

[10] საქართველოს სიძველენი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. III, გვ. 8.

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბ., 1948, გვ. 17.

[12] საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 523.

[13] იქვე, ტ. III, გვ. 528.

[14] იქვე, გვ. 529.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეების ძირითად მოვალეობას შეადგენდა უპირველეს ყოვლისა ქალაქში შემოტანილ საქონელზე ბაჟის აღება, უცხოეთიდან შემოზიდული, აგრეთვე უცხოეთში გასასყიდი საქონლის შემოწმება. ყველა საქონელი და ნივთი, რომლის შემოტანა ან გაზიდვა აკრძალული იყო, უნდა ჩამოერთმიათ სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

სახელმწიფო გადასახადების გაწერა და აკრეფა ხდებოდა სპეციალურად გამოყოფილ მოქალაქეთა მიერ, რომლებსაც ეწოდებოდათ „რჩეული მოქალაქენი“ ან „მახთის ამკრეფნი“, ხან კიდევ „მალის ამკრეფნი“[15]. როგორც საბუთებიდან ჩანს, XIX ს-ის 30-იან წლებში გორში მოქალაქეებს ირჩევდნენ ქალაქის საზოგადოებრივი საჭიროებისათვის თანხების შესაგროვებლად“[16].

გორს ჰყავდა თავისი მაცნე („ჯარჩი“), რომელიც მოსახლეობას ამცნობდა მეფისა და ქალაქის უფროს მოხელეთა ბრძანებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე გასასყიდ პროდუქტებზე და საქონელზე დაწესებულ ნიხრს.

პოლიციის მოხელეებს წარმოადგენდნენ ასასები, რომლებიც მოურავს ემორჩილებოდნენ და მისი დამსჯელი ორგანოს როლს ასრულებდნენ: იცავდნენ დუქნებს, სახლებსა და ქარვასლებს, აპატიმრებდნენ ქურდებს, შფოთისთავებს, უხამს ადამიანებს და სხვა დამნაშავეებს.

ქალაქის მმართველობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეგრეთწოდებული ქეთხუდები, მოსახლეობის შეძლებული ფენებიდან არჩეული პირები, რომლებიც უთვალთვალებდნენ საქონლის გასასყიდ ნიხრებს, ამოწმებდნენ ნასყიდობის წიგნებსა და გაყოფის სიგელებს, მეფის მოხელეებთან ერთად სწყვეტდნენ ქალაქის ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სასამართლო საქმეების გარჩევაში. ამას ადასტურებს რამდენიმე დოკუმენტი. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია: ქალაქის განაწესი ასეთი იყო: ძმების გაყოფის სიგელი, რომელიც დაწერილი და ქალაქის მოხელეებისაგან, აგრეთვე ქეთხუდებისაგან დამოწმებული და ბეჭედდასმული არ არის, უკანონოა[17].

ისტორიული დოკუმენტებიდან კარგად არის ცნობილი, თუ რა გადასახადებს იხდიდნენ გორელები.

სახელმწიფო გადასახადის ერთ-ერთი ძირითადი სახე იყო ეგრეთწოდებული „მახთა“, რომელიც შეჰქონდათ ფულით ან ნატურით. ქალაქში მცხოვრები თავადები და აზნაურები მას არ იხდიდნენ, თუ მათ მოქალაქის წოდება არ ჰქონდათ[18]. ქვრივები და ობლებიც აგრეთვე თავისუფალი იყვნენ ამ გადასახადებისაგან, ვიდრე ობლები არ მიაღწევდნენ სრულწლოვან ასაკს.

გორის მოსახლეობა იხდიდა ფულად გადასახადს, რომელსაც ეწოდებოდა „მალი“. თუ „მახთით“ თითოეული კომლი იბეგრებოდა, „მალი“ წარმოადგენდა სულად გამოსაღებს, რომელსაც იხდიდა ყოველი ვაჭარი და ხელოსანი, დამოუკიდებლად იმისა თუ ვის ეკუთვნოდა იგი — მეფეს, ეკლესიას, თავადს თუ აზნაურს[19].

---

15 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში შემოკლებით: სსცია), ფ. 16, ს. 729.

16 იქვე, ფ. 16, ს. 522.

17 იქვე, ფ. 226, წგ. 25, საბ. 24.

18 იქვე, ფ. 497, ს. 40.

19 იქვე, ფ. 229, წგ. 5, ს. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულ სახელმწიფო გადასახადებს გარდა იყო აგრეთვე ყოველთვიური ბეგარა — ეგრეთწოდებული „ყოველთვიური შაური“, რომელიც ყოველ მედუქნეს უნდა შეეტანა მეფის ხაზინის სასარგებლოდ[20].

საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარის შესანახად დაწესებული იყო „სარუსო“ გადასახადი“[21].

გორის მცხოვრებთა ბეგარის ერთ-ერთი სახე იყო „ულაყი“. ეს იმას ნიშნავს, რომ გამგზავრების დროს მეფისა და მისი ამალის ტვირთი თავისი ჭაპანტრანსპორტით ან თავისი სახსრებით უნდა გადაეზიდა ქალაქის მოსახლეობას. გორელებს ევალებოდათ აგრეთვე თბილისში მეფის სახლისათვის ეზიდათ ატენური ღვინო თავიანთი ტიკებით და ცხენებით[22].

გორელთა გადასახადების შესახებ „დასტურლამალიდან“ ჩანს, რომ ისინი სულზე იხდიდნენ: ქორწინების დროს 60 კაპიკს, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად 1 მანეთსა და 20 კაპიკს, ამ შემოსავლიდან 1 მანეთი მიდიოდა სამეფო სალაროში[23], 10 კაპიკი მოურავს რჩებოდა, 5 კაპიკი მეფის მდივანს, 5 კაპიკი მამასახლისს. ბაზარზე გაყიდული საქონლის ღირებულებაზე ბაჟი იდებოდა: ცხენზე — 20 კაპ., ძროხაზე — 10 კაპ., ცხვარზე — 5 კაპ. დღესასწაულების დროს მეფისათვის საჩუქრების შესაძენად გორის მოსახლეობა ვალდებული იყო შეეგროვებინა 120 მანეთი[24].

ბეგარის ერთ-ერთი სახე იყო „ლაშქარი“ ანუ „ლაშქარ-ნადირობა“. ეს იყო სამხედრო ბეგარის მსგავსი რამ, რომლისგან არ თავისუფლდებოდა მოსახლეობის არც ერთი ფენა, თვით პრივილეგიური სოვდაგრებიც კი.

საეკლესიო ბეგარიდან, რომლებსაც გორელები სხვა ქალაქების მოსახლეობასთან ერთად იხდიდნენ, აღსანიშნავია ერთობ მძიმე გადასახადი „ღრამა“. იგი იკრიფებოდა იმ ეპისკოპოსის სასარგებლოდ, რომლის მრევლსაც შეადგენდა მოცემული ქალაქის მოსახლეობა.[25] არანაკლებ მძიმე ტვირთად აწვათ ქალაქის მცხოვრებლებს მეორე საეკლესიო გადასახადი — „საკანონო“, რომელსაც იხდიდნენ ბავშვის მონათვლის, ქორწინების და სხვ. დროს. სახელმწიფო და საეკლესიო ბეგარის გარდა ქალაქის მოსახლეობას უხდებოდა აგრეთვე საბატონო, სამოხელეო და სხვ. გადასახადების შეტანა.

როგორც ვხედავთ, ქალაქის მცხოვრებლებს მრავალი ბეგარა-გადასახადის გადახდა უხდებოდათ, მაგრამ მეფის მოხელეები, თავადები და აზნაურები იმითაც არ კმაყოფილდებოდნენ და აშკარა მძარცველური გზით ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო მეტი წაეგლიჯათ გორელებისაგან. მრავალი ისტორიული საბუთი ადასტურებს, რომ ქალაქის დაბალი ფენები წინააღმდეგობას უწევდნენ გაბატონებული ხროვის თვითნებობას, რაც ხშირად შეიარაღებული შეტაკებით მთავრდებოდა[26].

გერმანელი მოგზაური და მკვლევარი კლაპროთი თავის წიგნში „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“, რომელიც 1812—14 წლებში გამოიცა

---

[20] საქართველოს მეფის ვახტანგ VI „დასტურლამალი“, გვ. 85.

[21] სსცია, ფ. 229, წგ. 14, ს. 110.

[22] „დასტურლამალი“, 33, 121.

[23] იქვე, გვ. 124.

[24] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[25] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 214.

[26] სსცია, ფ. 226, ს. 2335, 3724.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალესა და ბერლინში, გორის შესახებ წერს: იგი „არის თბილისის შემდეგ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი; იქ ითვლება 300 სახლი, რომელთაც გალავანი აქვთ შემორტყმული... გორში არაა ფაბრიკა გარდა რამდენიმე საქსოვი დაზგისა, რომლებითაც ნახევარი არშინი სიგანის თხელ ბამბის ქსოვილს და განიერ ოთხკუთხედ სასაზნეებს ქსოვენ. ბაზარი შედგება ასიოდე წვრილმანით მ ო ვ ა ჭ რ ე დუქნისაგან. დუქნები დიდია, მაგრამ საქონლის მარაგი იმდენად მცირეა, რომ ყოველ ვაჭარს შეუძლია თავისუფლად წაიღოს ზურგით თავისი წვრილმანი საქონელი“[27].

სხვა წყაროებითაც დადასტურებულია, რომ XIX ს-ის დამდეგს, გორის, ისევე როგორც თბილისის გარდა საქართველოს სხვა ქალაქებს, რომლებიც ძლივს განსხვავდებოდნენ როგორც გარეგნულად, ისე თავისი ცხოვრების წესით, მსხვილი, გამაგრებული სოფლებისაგან, არ შეეძლოთ შეექმნათ ფაბრიკები და ქარხნები.

ცალკეულ ოჯახებში მისდევდნენ ხელოსნურ წარმოებას, კერავდნენ საკუთარი ან ნაყიდი მატყლის, ბამბის, აბრეშუმის და სელის ტანსაცმელს, ტყავის და ქეჩის ფეხსაცმელს, ბეწვის ქუდებს, ტყაპუჭებს, ნაბდებს, აკეთებდნენ ხისაგან და თიხისაგან სხვადასხვა ჭურჭელს.

ი. მეუნარგია აღნიშნავდა, რომ XVIII ს-ის დამლევს და XIX ს-ის დამდეგს საქართველოში ყოველ სოფელს თავისი ფეიქარი ჰყავდა, თავისი ქვეშგასაშლელი ნაბადის მთელავი, თავისი შალის მქსოველი დედაკაცი[28].

გორის მკვიდრი და მისი გამოჩენილი მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი ასევე ადასტურებს, რომ ოჯახური მრეწველობა რეფორმამდელ საქართველოში და რასაკვირველია, გორსა და მის მიდამოებში, საყოველთაოდ იყო გავრცელებული. მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, სელის მოყვანას და თვითონვე, ოჯახებშივე ეწეოდნენ ამ ნედლეულის, თუ მთლიანად არა, უდიდესი ნაწილის, გადამუშავებას, აგრეთვე ყველისა და ერბოს, თაფლის სანთლისა და სხვ. წარმოებას[29].

შინამრეწველობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა შალეულისა და აბრეშუმეულის წარმოებას. სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ შინაური შალისა და აბრეშუმის ქსოვილებით იყო შემოსილი. ფართოდ იყო აგრეთვე გავრცელებული ნოხების, ფარდაგების, ხალიჩების ქსოვა, აგრეთვე ქარგვა, ხოლო ნაბდები და ხურჯინები მთლიანად შინამრეწველური ნაკეთობისა იყო[30].

გორსა და მის მიდამოებში შალს გარდა ქსოვდნენ აგრეთვე წინდას, ხელთათმანს, პაიჭს, აპეურს, ქალის მოსასხამ შალს, პირბადეს, ტომარას[31].

ოჯახურ მრეწველობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ზოგჯერ ცხენისა და ღორის ტყავისაგან აკეთებდნენ ქალამნებს, თხის, ხარის, კამეჩის ტყავისაგან — ტიკებს ღვინის გადასატანად ან შესანახად, ხარისა და კამეჩის ტყავს გამოყენება ჰქონდა აგრეთვე ღვედების გასაკეთებლად, რომლებიც იხმარებო-

---

[27] ფ ი ლ ი პ ე გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელოსნობა საქართველოში, თარგმანი გერმანულიდან ნ ი კ ო ლ ო ზ გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს ა, თბ., 1976, გვ. 49.

[28] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართული მწერლობა, 1941, თბ., გვ. 41.

[29] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938, თბ., გვ. 9.

[30] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შინამრეწველობა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1950, გვ. 57.

[31] იქვე, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ულლის მისაბმელად გუთნებზე და სხვა შემთხვევაშიც, როდესაც საჭირო იყო დიდი წინააღმდეგობის გამძლე ღვედები. ცხვრის ტყავისაგან ამზადებდნენ გუდებს, რომლებსაც იყენებდნენ ყველისა და კარაქის შესანახად, ამავე ნედლეულისაგან აკეთებდნენ ხალხურ საკრავ ინსტრუმენტს — დაირას, ხოლო ხარის რქისაგან — ყანწებს[32].

მხატვრული გემოვნებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ოქრო-ვერცხლზე მომუშავე შინამრეწველთა ნაკეთობანი.

ოჯახურ მრეწველობაში ამზადებდნენ აგრეთვე საპონს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქალთა შინამრეწველური საქმიანობა, რასაც განეკუთვნება: ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების დამზადება; ხალიჩა-ფარდაგების, წინდების, ხელთათმანების ქსოვა; ოჯახის წევრებისათვის ტანსაცმლის შეკერვა; ცხენის ძუისაგან საცრების გაკეთება; მამაკაცებთან ერთად კანაფის თოკის გრეხა, ბადეების ქსოვა და თაფლის სანთლების ჩამოქხ..

შინამრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ფორმაა სამღებრო საქმე, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში და უფრო ადრეც საეკლესიო და სამეფო ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო[33].

80-იანი წლებიდან შინამრეწველურმა სამღებრომ გორის მაზრაში უკვე მანუფაქტურული ხასიათი მიიღო[34].

გორი ძველთაგანვე წარმოადგენდა ქართლის ოჯახური მრეწველობის და ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს, რომელიც საუკუნეების მანძილზე იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა შინამრეწველობის ცალკეული სახეების განვითარების საფუძველზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან ირკვევა, რომ XVIII ს-ის დასაწყისში, ქართლში „ხელით მოქმედნი კალატოზები, ხუროni, ფეიქარნი, მკერვალნი და სხვანი“,[35] მუშაობდნენ როგორც ხელობაზე გასული, კარდაკარ მოსიარულე ოსტატები. როგორც ამავე საბუთიდან ჩანს, მნიშვნელოვანი ნაწილი ხელოსნებისა იმ დროს იყვნენ შეკვეთით მოხელენი და კერძოდ, შინამოხელენი, რომელთა მოვალეობებს მომხმარებელთა მიმართ აგრეთვე კანონები აწესრიგებდა: „მოხელეთა, ყოველთა, ვინცა ვინ იყოს; რაც ხელოსანი რაც დროს იხელოსნოს როგორც რომ შერიგდენ“[36].

ხელოსანთა ამქარი გორში, არსებითად ისევე იყო აგებული, როგორც თბილისში

გორის სახელოსნოების 1802 წლის აღწერიდან ჩანს, რომ იმ დროს აქ 50-მდე სახელოსნო არსებულა, მათ შორის: მჩითავთა — 10, მღებავთა — 9, თოქმაჩთა — 3, ფეხსაცმლების — 3, მექუდეთა — 3, ოქრომჭედელთა — 2, ზეინკალთა — 1, სხვადასხვა დარგის — 14[37].

შემდეგ წლებში ხელოსნობის ჩამოთვლილ დარგებს ემატება ხუროები, კალატოზები, მეტყავეები, მჭედლები, მკალავები, ზეინკლები, დალაქები, ევ-

---

[32] ფ. გოგიჩაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—83.

[33] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს-ის საქართველოში, ნაკვეთი VI, თბ., 1937.

[34] ვ. გუგუშვილი, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 72—73.

[35] დასტურლამალი, გვ. 28.

[36] იქვე, გვ. 339.

[37] სსცია, ფ. 16, ს. 51, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპული ფეხსაცმლის სპეციალისტები, მკერავები, ქვის მთლელები, მეპურეები, მეთუნუქეები, აგურის მჭრელები, მეეტლეები, ხაბაზ-მეკონდიტრეები, მეტიკეები, მეზურნეები, იარაღის მკეთებელნი, მესაათეები, მენალბანდეები, მხერხავეები, მეკარეტეები, სირაჯები და სხვები[38].

გორში ფართოდ იყო გახვითარებული კერამიკული წარმოება, მეჭურჭლეები თიხისაგან ამზადებდნენ ჯამებს, ქილებს, ტოლჩებს, ქვაბ-ქოთნებს, თონეებს, თიხა გორშივე ითხრებოდა, ჭურჭელი კეთდებოდა წითელი და ჩინური.

ხელოსნობის ყველა დარგის დახასიათება შორს წაგვიყვანდა. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით 1870—1880-იან წლებიდან, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებამ ძლიერ შეავიწროვა ან სავსებით განდევნა ხელოსნობის ბევრი დარგი როგორც გორში, ისე მთლიანად საქართველოში.

ამ მოვლენის ამომწურავი ანალიზი მოცემულია ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომში „კაპიტლიზმის განვითარება რუსეთში".

„რეფორმისშემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ... მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური სარეწები", რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტების კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინოებისათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს"[39].

როგორი იყო ამქრული წყობილების მართვა-გამგეობა?!

ფ. გოგიჩაიშვილი ასაბუთებს, რომ XIX ს-ის 60-იან წლებამდე ამქრობა კანონით არ იყო რეგლამენტირებული. მისი წესდება და შინა მართვა-გამგეობა ეყრდნობოდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ჩვეულებრივ სამართალს[40]. 1813 წელს ამქრები დაუქვემდებარეს ქალაქის გამგეობას, მაგრამ ამით მათი მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, ვინაიდან სასამართლოს პირველ ინსტანციას კვლავინდებურად წარმოადგენდნენ უსტაბაშები და უხუცესნი. ეს სასამართლო იხილავდა ამქრის წევრთა პროფესიული და პირადი ცხოვრების ყველა საქმეს გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა.

მხოლოდ 1859 წ. 21 ოქტომბრის დადგენილებით უსტაბაშებსა და უხუ-

---

[38] სცია, ფ. ს. 3290, გვ. 7.

[39] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 703—704.

[40] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესთ, აგრეთვე ამქრების სხვა სასამართლო ინსტანციებს ჩამოერთვათ ამქრის წევრთა შორის სადავო საკითხების გარჩევის უფლება[41].

შესაბამისი ხელობის ოსტატს ჰყავდა შეგირდები, რომელთა რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. ხელობის შესწავლის ვადა დაწესებული იყო 3—4 წელი. შეგირდის კურთხევა ხდებოდა საზეიმო ნადიმის — „ამქრობის“ დროს, რომელიც ყოველი წლის მაისში იმართებოდა ქალაქგარეთ ამ მიზნისათვის დაქირავებულ ბაღებში. შეგირდი ხელობის შესწავლის შემდეგ ქარგალი ხდებოდა. ოსტატი შეგირდს ჯერ ლოყაში სილას გაარტყამდა, მერე კი გადაკოცნიდა. ქარგალს უფლება არა ჰქონდა დამოუკიდებლად გაეხსნა სახელოსნო და გაეყიდა თავისი ნაწარმი. ერთ ოსტატთან 3—4 და ხშირად 10—15 ქარგალიც კი მუშაობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოსნურ წარმოებაში ფართოდ იკიდებდა ფეხს დაქირავებული შრომის გამოყენება, რაც მოასწავებდა კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრას[42].

ცალკე უნდა აღინიშნოს ღვარების მინის ქარხანა, რომელიც მოწყობილი ჰქონდათ თავად ერისთავებს და უშვებდა ბოთლებს, ფანჯრის მინებს, საამთიაქო ჭურჭელს. ეს საწარმო ძალიან წააგავდა იმ ხანებში დასავლეთ ევროპაში არსებულ ბოთლების მანუფაქტურებს[43]. წარმოებაში სულ ჩაბმული იყო 100-ზე მეტი კაცი. ნაწარმი იყიდებოდა მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც[44].

1842 წლის აღწერის მიხედვით გორში აღინიშნებოდა სხვადასხვა საწარმოები, რომლებიც საბუთებში ქარხნებად არიან მოხსენიებული. მათ შორის ხის სახერხი — 1, ზეთსახდელი — 1, არყის სახდელი — 2, საკირე—4, აგურის —5, კრამიტის — 2, ტყავის — 3, სამღებრო — 1, სულ — 21.[45]

1864 წლის მონაცემებით გორში უკვე ითვლებოდა 26-მდე წვრილი საწარმო, მათ შორის შედარებით მეტი რაოდენობით ვხვდებით აგურ-კრამიტის საწარმოებს, სამღებროებს, არყის სახდელებს, ზეთსახდელებს და სხვ.

საწარმოო სიმძლავრით გამოირჩეოდა სახერხი ქარხანა ატენში, რომელიც 80-იან წლებში ააგო მრეწველმა ზეზემანმა. ქარხანა მზა პროდუქციით უმთავრესად ამარაგებდა ამიერკავკასიის რკინიგზას. ზეზემანის მიერ გაყვანილი რკინიგზა წყალდიდობამ წალეკა 1918 წელს.

1853 წლის მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქალაქის ფართობი შეადგენდა 1125 დესეტინას, აქედან ქალაქის დასახლება არ აღემატებოდა 69, ბაღ-ბოსტნები — 41, სახნავ-სათესი — 57, საძოვრები — 640 დესეტინას.[46]

როგორც ვხედავთ, ქალაქის ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა, მაგრამ ამ მონაცემების გარეშეც ნათელია, რომ ძნელია გორის ისტორია წარმოვიდგინოთ მისი მიდამოებისაგან მოწყვეტილად, იმ ადგილებისაგან იზოლირებულად, რომლებთანაც გორი

---

41 ფ. გოგიჩაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

42 ნ. აბესაძე, გორის ხელოსანთა ამქარი, კრბ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVI—XVII სს. თბ., 1972, გვ. 151.

43 პ. გუგუშვილი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, კრბ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1938, ნაკვეთი, 111, თბ., გვ. 36.

44 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 81.

45 სსცია, ფ. 175, ს. 1081, ფურც. 154—206.

46 Кавказский календарь 1853 г., გვ. 277.

საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყო მეურნეობრივად და კულტურულად.

ჩვენ შევეცდებით ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი. დავიწყოთ მიწათმოქმედებიდან, კერძოდ, მარცვლეულიდან, ვინაიდან იგი გორის მიდამოების მოსახლეობის მეურნეობრივი საქმიანობის ძირითად და გაბატონებულ დარგს წარმოადგენდა.

ქართული პურის ჯიშები — ქართული მიწათმოქმედების პირმშო შვილია. ივ. ჯავახიშვილი ხანგრძლივი, გულმოდგინე ძიების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გორის ტერიტორიაზე მარცვლეული კულტურა უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული[47].

XIX საუკუნეში და შემდეგშიც გორის მიდამოებში ითესებოდა ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიც არის წითელი პური, დოლის პური (თეთრია) შავფხა, დიკა, ქერი. ყველაზე მეტ მოსავალს იძლეოდა შავფხა, გვალვიან წლებში იღებდნენ წითელი პურის კარგ მოსავალს, მნიშვნელოვანი ფართობი ჰქონდა დათმობილი დიკას, როგორც ყოველმხრივ შემკობილ მოსავლიან, სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლე ხორბალს. მრავალი სახეობით და ფორმით იყო წარმოდგენილი დოლის პური, რომელსაც ეჭირა ხორბლით ნათესი მინდვრის 80—85 პროცენტი[48].

იმ წვლილში, რომელიც შეიტანა ქართველმა ხალხმა ხორბლის კულტურის განვითარებაში მსოფლიო მასშტაბით, უდავოდ არის გორელ მხვნელ-მთესველთა წილიც.

მიწას ამუშავებდნენ უმთავრესად ძველებური ქართული გუთნით. აქვე უნდა შევნიშნოთ: როგორც ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს, ეს სახვნელი იარაღი საქართველოდან გავრცელდა მთელ კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ. ეს იმითაც დასტურდება, რომ მისი სახელწოდება სხვადასხვა ენაზე: აფხაზური — „კოთენ“, ჩაჩნური და ინგუშური — „გოთან“, ლეკური — „კუთემ“, ტაბასარანული — „ქუთან“, ოსური — „გოტუნ“, სომხური — „გუთან“ („კრე-გუთან“), აზერბაიჯანული — „ქიოთან“ („გერა ქიოთან“, „დირჩაკ-ქიოთან“) და სხვ. სულ ქართული „გუთნიდან“ წარმოებული ტერმინებია[49].

გორის მიდამოების გლეხობისათვის XIX—XX საუკუნეში, ისევე როგორც შორეულ წარსულში, მემინდვრეობასთან ერთად არსებობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო და არის მევენახეობა-მეღვინეობა.

ვენახების გავრცელებას გორის მიდამოებში ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა თავის გეოგრაფიულ ნაშრომში: „და გორიდან ვანათამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანი, არამედ არს ღვინო თხელი და მომჟაო, სასმელად შვენნი“.

XIX—XX სს. გორის მიდამოებში უფრო მეტად ვრცელდებოდა ვაზის შემდეგი ჯიშები: თავკვერი, გორულა მწვანე, ბუდეშური, რქაწითელი, საფერავი, ჩინური, შავკაპიტო და სხვ. თავისებური დამახასიათებელი თვისებებით — ხალისიანი მჟავიანობით, მჩატე სხეულით, მომწვანო ფერით, არომატით და გემოთი განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ხნის წინათ სახელმოხვე-

---

[47] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 327—372.

[48] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 286—291.

[49] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილი ღვინო „ატენური". მაღალხარისხოვანი ღვინოებით სახელი გაითქვა აგრეთვე ხიდისთავმა, ხელთუბანმა და მეჯვრისხევმა[50].

ქართლისა და მისი გულის — გორის მიდამოების ეკონომიკურ განვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მეხილეობას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ყოველთვის მიაჩნდა თავისი არსებობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ხილს იყენებდნენ მრავალნაირად. მას ხმარობდნენ საკვებად ნედლად, აგრეთვე გამხმარი და გამშრალი სახით, საჭმელების მოსამზადებლად, აკეთებდნენ მურაბებს და ა. შ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წალკოტი" ნიშნავს „ხილის ალაგს", „ბაღს". ამ სიტყვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სრული საფუძველი გვაქვს XIX ს-ის გორი წალკოტად წარმოვიდგინოთ. აქ ხარობდა საქართველოში გავრცელებული ხილის თითქმის ყველა ჯიში.

ყველა სხვა საკვებ ხილეულთან შედარებით განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ვაშლი, რომელიც საერთოდ პირველ ადგილზე იყო როგორც გორის მიდამოებში, ისე მთლიანად საქართველოში, ფართობის მოსავლიანობისა და მოხმარების მხრივ.[51]

საუკეთესო გემოვნების ხილად ითვლებოდა და ითვლება გორული ატმის ჯიშები (ატენის, ხიდისთავის და სხვ. სოფლების). მათ დადებითს თვისებად სპეციალისტები თვლიან ადგილობრივ პირობებთან შეგუებას, ნაყოფის კარგ სიმსხოს და ლამაზ გარეგნობას, ხორცის მაგარ კონსისტენციასთან ერთად კარგ გემოვნებასა და სურნელებას.[52]

1915 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში მარტო ხიდისთავიდან ჩამოუტანიათ ატმის შემდეგი ჯიშები: წითელი გვიანი, მოლოზანის, ბერების ატამი, ლიმონის ატამი, ატენური გიგანტი, წითელი საოქტომბრო, საპონი და ხიდისთავური.[53]

სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია ხილის შენახვის ხალხური წესები, რომლებიც ქართლის და მაშასადამე, გორის მიდამოების მოსახლეობის ყოფის დამახასიათებელი იყო: ხილის ტოტებიანად შენახვა სხვენში ან მარანში, ხილის კონსერვაცია ცვილითა და თაფლით (დიდხანს ინახებოდა მათში ამოვლებული ნაყოფი); ხილის მარილიან ან უმარილო წყალში ჩაყრა, მისი შენახვა ორმოში, ქვევრში და სხვ.

მებაღეობის განვითარებას გორში მკაფიოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ XIX ს-ის 80—90-იან წლებში ხელოსანთა შორის აქ ითვლებოდა 43 მებაღემევენახე, რომლებსაც ჰყავდათ 5 შეგირდი.[54]

აღსანიშნავია, რომ ძმების გ. და ნ. ფრიდინოვების ხეხილის სანერგე, რომელიც მოწყობილი იყო გორთან ახლოს სოფ. სკრაში, 1899 წლიდან 1903 წლამდე სრულიად რუსეთის სხვადასხვა გამოფენაზე პეტერბურგში ოთხი

---

[50] ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[51] დ. პავლიაშვილი, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1962 გვ. 114.

[52] ნ. ხომეზურაშვილი და ელ. ერისთავი, საქართველოს ადგილობრივი ხილის ჯიშები, თბ., 1939, გვ. 67.

[53] დ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[54] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს მედლითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა ხეხილის ახალი და კარგი თვისების ჯიშების გამოყვანისათვის.[55]

გორში ფართოდ იყო განვითარებული ოჯახური მეშტილეობა ანუ მებოსტნეობა.

გორის მიდამოების სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგებთან — მემცენარეობასა და მევენახეობა-მებაღეობასთან განუყრელად დაკავშირებულია მესხოველეობა, რომელშიც პირველ რიგში შედის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის (ძროხა, ხარი, კამეჩი), ცხვრის, ღორის, ფრინველის მოშენება, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა. პ. გუგუშვილი მრავალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გორის მაზრას და, მაშასადამე, გორის მიდამოებს, კულტურული მიწათმოქმედების, განვითარებული მარცვლეულისა და მრავალწლიანთა მეურნეობასთან ერთად მიიჩნევს მეცხოველეობაში შედარებით დაწინაურებულ რაიონად. შინაური ცხოველები აუცილებელი ატრიბუტი და დამატება იყო მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული მოსახლეობის ყოფიერებისა, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტები — რძე, ყველი, ერბო, კარაქი, მატყლი, ტყავი, ბეწვი, რქა, ძვალი და სხვ. გარდა იმისა, რომ საკვებისა და სატანისამოსე მასალას წარმოადგენდა, ამასთანავე ადრიდანვე იყო გაცვლისა, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველური საქმიანობისათვის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყარო.[56]

1826 წელს გენერალ ველიამინოვს საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებისათვის წარუდგენია უწყისი, საიდანაც ჩანს, რომ გორის მაზრის, და მაშასადამე, გორის მიდამოების, გლეხები თავიანთ მემამულეებს უხდიდნენ 38 დასახელების სხვადასხვა გადასახადს.[57]

გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები — სურსათი, ბეგარა, საჩუქარი, მახთა, საბალახო და სხვ.

მეფის თვითმპყრობელობისა და მემამულეების მიერ მშრომელი გლეხობის აუტანელი ჩაგვრა მეტის მეტად ამწვავებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს, გლეხობის მრავალრიცხოვან მასას პროლეტარიატის ბუნებრივ მოკავშირედ ხდიდა მოახლოვებულ რევოლუციაში.

გორის ეკონომიკურ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ვაჭრობას. ჯერ კიდევ შარდენი აღნიშნავდა, რომ გორის მცხოვრებნი „სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულებიც. აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება".[58]

გორელი ვაჭრები შორეულ ქვეყნებშიც დადიოდნენ. გაჰქონდათ ქართული ნედლეული და ნაწარმი და შემოჰქონდათ: ევროპის ქვეყნებიდან — ატლასი, ფარჩა, მაუდი, ტაფტა, მიტკალი, ნარმა, ჩითი, შაქარი, რომი, ქაშანურის ჭურჭელი და სხვ. სპარსეთიდან — ბამბა, ნარმა, ბუზმენტები, შალის საბნები, ოქროქსოვილები, დარაია, შალები, თავშლები, ხალიჩები, ქეჩა, აბრეშუმის ქსოვილები და ნართი, სხვადასხვა ბეწვეული; მარილი და სხვ. თურქეთიდან — ფოლადი, ნარმა, მარილი, თამბაქო და სხვ.[59]

1837 წელს გორში იყო ფართლეულის 39 სავაჭრო დუქანი, სხვადასხვა

[55] ძმ. გ. და მ. ფრიდინოვების ხეხილების სანერგე და ბაღები. თბ., 1905.

[56] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. III, გვ. 443—446.

[57] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 158.

[58] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 82.

[59] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 93—94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწვრილმანო სავაჭრო — 27, სასადილო — 13, ღვინის სარდაფი — 8, პურის საცხობი — 18.[60]

ევროპისა და თურქეთის ქალაქებში, მათ შორის ლონდონსა, ლაიპციგსა და კონსტანტინოპოლში გამართულ ბაზრობებში მონაწილეობდა 10 კაცი, ხოლო 12 გორელი სოვდაგარი სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქებში, მნიშვნელოვანი სარგებელი ჰქონდათ გორელ ვაჭრებს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნაწარმის — ხილისა და ბოსტნეულის გასაღებით თბილისისა და თვით ქ. გორის ბაზარზე. ერთ საბუთში ნათქვამია, რომ მოსავლიან წლებში გორიდან თბილისისაკენ მიედინებოდა ხილით დატვირთული ურმების მთელი ქარავანი.[61]

1853 წლიდან გორში გაიხსნა ყოველკვირეული ბაზრობა. 1880 წლისათვის გორში უკვე 235 კაცი ვაჭრობდა.[62]

მაგრამ იყვნენ ისეთი ვაჭრებიც, რომლებიც ხელს ითბობდნენ სპეკულაციით, გლეხების გაყვლეფა-მოტყუებით. სწორედ ასეთი ქორვაჭრების შესახებ 1886 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „მთელი გორი წარმოადგენს ერთ მთლიან დუქანს: დიდი და პატარა წვრილმან ვაჭრობას მისცემიან, დღესა და ღამეს ატარებენ იმ ფიქრში, თუ როგორ კარგად მოაგვარონ ვაჭრობის საქმე, იაფად იგდონ ხელში ყოველივე სოფლიდან შემოტანილი და მამასისხლად ჰყიდონ ქალაქის მცხოვრებლებზე“.[63]

ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანამ დიდად შეუწყო ხელი გორის საალებმიმცემო ურთიერთობის განვითარებას საქართველოს სხვადასხვა რაიონებთან და რუსეთის მხარეებთან. გორიც ჩაება კაპიტალისტური ურთიერთობის იმ სფეროში, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“[64].

საქალაქო რეფორმა რუსეთის მასშტაბით ძალაში შევიდა 1870 წლიდან, მაგრამ გორმა ქალაქის თავის არჩევის უფლება მხოლოდ 1881 წელს მიიღო. გორის ქალაქის თავად აირჩიეს ი. ელიზაროვი, რომელიც ამ თანამდებობაზე ადრეც იყო დანიშნული თვით მთავრობის მიერ.[65]

არსებული წყაროების საფუძველზე შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენდა ქ. გორი კეთილმოწყობის მხრივ XIX ს-ის დამლევს და XX ს-ის დამდეგს, როგორი იყო ქალაქის გარეგნული სახე.

როგორც გორის 1802 წლის გეგმიდან ჩანს, ამ ქალაქის ზოგიერთი მცხოვრების ბაღები და ვენახებიც კი ციხის კედლების შიგნით იყო განლაგებული.[66]

თუ რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე გორი უმთავრესად ციხის გა-

---

60 სსცია, ფ. 159, ს. 5679, ფფ. 42—59.
61 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 104.
62 დ. ვ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორია, გვ. 116.
63 გაზ. „ივერია“, 1886, № 16.
64 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 115.
65 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 327.
66 Ш. М е с х и а. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 426.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავანში იყო მომწყვდეული, XIX ს-ის დამდეგს ქალაქი გასცდა ციხის კედლებს და წარმოიშვა ახალი უბნები — „ციხის უბანი", „რუის უბანი", ახალი დასახლება", „სულუხი" და სხვ.

ქალაქს ჰქონდა მოედანი, სადაც ვაჭრობდნენ ამქრები, აგრეთვე იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა. წყაროებში რამდენიმეჯერ არის ნახსენები აგრეთვე გორის ბაზარი.[67]

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, XVIII საუკუნეში გორში 8 ეკლესია იყო[68], ხოლო XIX საუკუნეში მათი რიცხვი 11-მდე გაიზარდა[69]. ზოგიერთი მათგანი დღესაც ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია.

კაპიტან იაზიკოვის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გორში შეძლებულ მოქალაქეთა სახლები ქვისაგან იყო ნაშენი და მკვეთრად განსხვავდებოდა ღარიბი მოსახლეობის სახლებისაგან; «Дымов несколько есть изрядных, а по большей частью землянки»[70]. 1803 წლის ერთ საბუთში ნახსენებია მეფის აბანო გორში.[71] უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში იყო საერთო სარგებლობის სხვა აბანოებიც.

ერთ-ერთ ოფიციალურ საბუთში, 1886 წლის 22 დეკემბერს, გორის სანიტარული მდგომარეობა შემდეგნაირად არის დახასიათებული: წვიმისა და თოვლჭყაპის დროს თითქმის ყველა ქუჩაზე გავლა არამარტო ფეხით, ურმითაც შეუძლებელია. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ქალაქის მოედნები. იქაური ორმო-თხრილები წყლით და წუმპეებით ივსება. ყოველივე ეს კი სიბინძურეს ჰქმნის და ხელს უწყობს ყოველგვარი დაავადების გავრცელებას. ქუჩების გაწმენდა აქ ხდება წელიწადში ერთხელ და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მოელიან რომელიმე დიდ კაცს. მოედნები კი არასოდეს არ სუფთავდება.[72]

გაზეთი „ივერია" აღშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ არავინ ზრუნავდა გორის კეთილმოწყობაზე: „ქალაქის გამგეობა თვით ქალაქის მცხოვრებნი და ყველა ისინი, ვისაც ვალია, რომ ქალაქს ყური უგდონ, არაფერს არ ზრუნავენ ქალაქის მოვლაზე, გამაგრებაზე და სხვ."[73]

XX ს-ის დამდეგიდან გორი როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის მხრივაც, თანდათან იზრდებოდა. 1912 წლისათვის გორის მოსახლეობა 17733 სულს შეადგენდა[74]. მაგრამ მსოფლიო ომისა და მენშევიკური რეჟიმის წყალობით ქალაქი გაღატაკდა და დაცარიელდა 1920 წელს ამას დაემატა საშინელი სტიქიური უბედურება — არნახული მიწისძვრა, რის შედეგადაც გორის ერთ მესამედზე მეტი მთლიანად დაინგრა.

გორის ნამდვილი აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. ამრიგად, გორის მაგალითზე, ქალაქისა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ნათლად ჩანს XIX—XX სს. საქართველოს ისტორიული წარსული, აქ გადანასკვული უმნიშვნელოვანესი სო-

---

[67] სსცია, ფ. 229, წგ. 36, ს. 226, 228, 238.

[68] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 74.

[69] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

[70] Грамоты, т. I, გვ. 188.

[71] სსცია, ფ. 226, № 9031.

[72] სსცია, ფ. 34, ს. 2259, გვ. 2—3.

[73] ივერია, 1877, № 69.

[74] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური მოვლენები; ეს მაგალითი ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველმა ხალხმა მოიშორა ირანელი და ოსმალი დამპყრობლებისაგან ფიზიკური განადგურების საფრთხე, მოიშუშა გარეშე მტრების მრავალგზის შემოსევისაგან მიყენებული ჭრილობები. საბოლოოდ დამყარდა მშვიდობა. კაპიტალისტური კავშირურთიერთობის სისტემაში ჩაბმამ და რუსეთთან საქონელბრუნვის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ქალაქებისა და მათ შორის გორის ყოველ მხრივ დაწინაურებას.

Г. Д. МАЙСУРАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ гор. ГОРИ (XIX в — первая четверть XX в.)

Резюме

Россия явилась единственной прогрессивной силой, способной объединить грузинские земли и обеспечить дальнейшее развитие производственных сил страны. Вовлечение в систему капиталистических связей и товарного обращения способствовало экономическому и культурному росту как города Гори, так и всей Грузии в целом. Путем конкретно-исторических исследований на фоне общей истории Грузии освещаются отдельные этапы социально-экономического развития гор. Гори и его окрестностей в их единстве, показаны товарное производство, ремесло, торговля, сельскохозяйственная деятельность населения, характер городского строя, внешний облик города.

С конца XIX века, когда Россия стала центром ленинизма — самого передового научно-философского и социально-политического мировоззрения, трудящиеся г. Гори и его окрестностей втянулись в общерусскую революционную борьбу под руководством пролетариата.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

С. С. ДЖАПАРИДЗЕ

# УЧАСТИЕ ГРУЗИИ В ПОЛИТЕХНИЧЕСКОЙ ВЫСТАВКЕ 1872 ГОДА В МОСКВЕ

В 1872 годы Российская империя торжественно отмечала двухсотлетие со дня рождения Петра I, заслуги которого превозносились царским двором. В начале семидесятых годов, когда происходили значительные сдвиги в экономической жизни страны в связи с ускорением развития капитализма, кампания по торжественному празднованию юбилея Петра I приобретала своеобразную окраску.
ამგვარად, ოსმალებმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეძლეს თბილისის დაკავება. ქალაქის აღების შემდეგ ისინი აქ თავიანთი წესების შემოღებას შეუდგნენ. თბილისი საფაშოდ გამოაცხადეს[26], მის გამგებლად კასტამონის ბეგი, სოლაკ ფერჰად ფაშა-ზადე მეჰმედ ბეგი დანიშნეს[27]. ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისის ფაშას „დაცვისათვის საჭირო ძალები მთლიანად მისცა, ამასთანავე რამდენიმე პატარა და დიდი ზარბაზანიც დაუტოვა“[28].

ამრიგად თბილისის ციხეში ოსმალური გარნიზონი გაბატონდა. ერთი დამპყრობელი მეორემ შეცვალა. თუ XVI ს-ის გარკვეული დროიდან მოყოლებული თბილისში ფაქტიურად ყიზილბაშები ბატონობდნენ, ამავე საუკუნის 70-იანი წლების დამლევიდან აქ ოსმალები ბატონდებიან. ყოველივე ამას, თავისთავად ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა თბილისის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

თბილისის დაპყრობის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ დაიმორჩილა ქართლის მეორე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი გორიც და იგი სანჯაყად აქცია[29]. თბილისისა და გორის დაკავების შემდეგ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი კახეთისაკენ დაიძრა. იქიდან კი მთელ სომხეთსა და აზერბაიჯანს მოედო და ერთიანად დალაშქრა. ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები ფაქტიურად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. განადგურდა როგორც თბილისის, ასევე საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ქალაქების ეკონომიკა, მოიშალა ვაჭრობა-ხელოსნობა. მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობათა წარმატებებმა ირანის წინააღმდეგ და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობამ ირანი აიძულა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო საქართველოს მიმართ. ირანის შაჰი იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ალამუტის ციხეში გამოკეტილი სიმონ მეფე, გაემუსლიმანებინა იგი და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში გამოეგზავნა. მუნეჯიმ-ბაში მიუთითებს, რომ „შაჰ-მაჰმედმა კი წინათ თაჰმასბის მიერ ციხეში გამოკეტილი სიმონ გურჯი ალამუტის ციხიდან გამოიყვანა, მას თბილისის ეიალეთი უბოძა და გაგზავნა“[30]. 1578 წ. ოქტომბერში სიმონი ქართლში ჩამოვიდა და დაიწყო ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ.

ოსმალურ წყაროებში ფართოდაა საუბარი ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლების შესახებ ოსმალთა წინააღმდეგ. იბრაჰიმ ფეჩევის, მუნეჯიმ-ბაშის, სპარსულ ენოვანი ქურთი ავტორის შერეფ-ხან ბითლისისა და სხვათა თხზულებებში გადმოცემულია XVI ს-ის 80-იან წლებში თბილისში მოკალათებული ოსმალთა გარნიზონის სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად

---

[25] ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[26] ვახუშტი, გვ. 411.

[27] ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, გვ. 294.

[28] ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[29] ვახუშტი, გვ. 411.

[30] მუნეჯიმ-ბაში, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

წამოსული ოსმალთა სამხედრო ძალების ქართველთა მიერ განადგურებისა და ციხეში მოკალათებულ მეციხოვნეებთან კონტაქტების დამყარებაში ხელის შეშლის ამბავი[31]. აღნიშნული წყაროების მონაცემებიდან აშკარაა თუ რა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ქართველი ხალხი ოსმალებს სიმონ მეფის მეთაურობით.

XVI ს-ის 80-იანი წლებიდან აღმ. საქართველოსა და ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებში ოსმალობა თანდათან ძლიერდება. 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით კი ოსმალები მთელს ამიერკავკასიაში გაბატონდნენ. დამარცხებული ირანი იძულებული შეიქნა ეცნო ოსმალთა უზენაესობა ამიერკავკასიის ქვეყნებზე, რათა დრო მოეგო და ახალი შეტაკებისათვის მომზადებულიყო.

ოსმალობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა აღმ. საქართველო და ამიერკავკასია. თბილისიც და გორიც ოსმალთა ბატონობის ხელთ აღმოჩნდა. XVI ს-ის 80-იანი წწ. სიმონ მეფე აქტიურად იბრძოდა თბილისისა და გორის განსათავისუფლებლად. მან დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად შეძლო ქართლის ძირითადი ნაწილის განთავისუფლება. „დაიპყრა ლორე, გორი და სხვა ციხეები თვნიერ ტფილისისა“[32], ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ, როგორც ცნობილია, ციხე უცხო ძალის ბატონობის დასაყრდენს წარმოადგენდა. სიმონ I ერთ-ერთ ამოცანად დაისახა თბილისის საქართველოსთან დაკავშირება. მაგრამ, როგორც ვთქვით, მან ზოგიერთი ქალაქი, მათ შორის გორი დაიკავა და შემოიმტკიცა „თვნიერ ტფილისისა“, მაგრამ სულ მალე „მიადგა ტფილისს, მცირე ხანს შინა წარიღო და მოსწყვდნა სრულად ოსმალნი“[33].

ქართლის სამეფო ოსმალთა ბატონობამ გაჩანაგებამდე მიიყვანა. განსაკუთრებით გაუარესდა მწარმოებელი კლასის, გლეხობის მდგომარეობა. დაქვეითდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა მეფის ხელისუფლების სისუსტე. შ. მესხია ამის გამო შენიშნავდა: „ქართლის სამეფოში ამ დროისათვის არ არსებობდა არავითარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდა ვაჭრის უშიშროებას და მის ქონებას“[34].

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და XVII ს-ის დამდეგს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისიც. თუ ადრე თბილისის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა, ახლა აქ თითქმის ოცი წლის განმავლობაში ოსმალთა მეციხოვნე ჯარი იყო ჩაყენებული. ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ დროიდან, ვიდრე ირან-ოსმალეთის ახალ ომამდე თბილისის გამგებლად იყო არა საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალი ან გამაჰმადიანებული ქართველი (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ირანის ბატონობის დროს), არამედ ოსმალო მოხელე[35]. ამით იგი საქართველოს მიმართ ინკორპორაციის პოლიტიკას ახორციელებდა, „ოსმალობის“ დანერგვით „ქართველობის“ მოსპობას ცდი-

---

31 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 54—55; მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 179.

32 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 411.

33 იქვე, გვ. 414.

34 Ш. А. М е с х и я, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, გვ. 99.

35 მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა[36]. ყოველივე ეს დასტურდება იმ თურქული მასალების ცნობით (იბრაჰიმ ფეჩევი, მუსტაფა ნაიმა, მუნეჯიმ-ბაში), რომლებშიც აღწერილია თბილისის დაპყრობის ცდები ოსმალთა მიერ XVI ს-ის 80-იან წლებში, მათი ბატონობა XVI ს-ის დასაწყისიდან და XVII ს-ის დამდეგამდე.

მთელი ქართული ფეოდალური საზოგადოება „ოსმალობის“ წინააღმდეგ იყო დარაზმული. XVI ს-ის ქართველი პოლიტიკოსების არჩევანი ირანის მხარეზე იხრებოდა, რადგან ირანის მხრივ საქართველოში „ყიზილბაშობის“ შემოღების ცდები შედარებით სუსტი იყო, უფრო ძლიერი ოსმალეთი კი ხალხს ფიზიკური გაქრობით, გადაგვარება-გადაშენებით ემუქრებოდა[37].

XVII ს-ის დამდეგს (1602) განახლდა ირან-ოსმალეთის ომი. შაჰ-აბასის მიზანი დაკარგული პოზიციების დაბრუნება და ამიერკავკასიიდან ოსმალეთის განდევნა იყო. ამ ომის შედეგად ირანმა შეინარჩუნა ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ქალაქები, მათ შორის ქ. თბილისიც.

1605 წ. 25 ოქტომბერს გადამწყვეტ ბრძოლაში ურმიის ტბასთან ირანის შაჰმა დიდ წარმატებას მიაღწია და ამიერკავკასიისაკენ წამოვიდა. 1606 წ. გაზაფხულზე ამიერკავკასიის ქალაქებში მოკალათებულ ოსმალებს შეუტია. ყარაბაღის საქმეების მოწესრიგების შემდეგ განჯას მოადგა. დიდი მეცადინეობის შედეგად განჯის ციხე და მისი მიდამოები ხელთ იგდო[38]. განჯის აღების შემდეგ შაჰმა დაიპყრო ლორე, დმანისს და თბილისისკენ გამოემართა. ყიზილბაშებმა თბილისის ციხეც დაიპყრეს. ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა.

შაჰის სამხედრო წარმატებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში თითქმის ყველა სოციალური ფენა უკმაყოფილო იყო ოსმალთა ბატონობით. ამის გამო შაჰმა ამიერკავკასიის ბევრი ქალაქი უბრძოლველად მოქალაქეთა თანხმობით აიღო. წყაროებიდან ვიცით, რომ შაჰ-აბასს (რომელიც მდ. ალგეთის ნაპირზე იდგა) თბილისის მოქალაქეთა არზა მიუვიდა. მათ „გაითვალისწინეს განჯის, ლორეს და დმანისის ხალხის მაგალითზე, ხელმწიფის წყალობის და რისხვის შედეგები და ფხიზელი ბედის მითითებით თავისი კაცი გაგზავნეს შაჰთან მორჩილების არზით და იგივე ითხოვეს (რაც დმანისელებმა)“[39]. შაჰმა შეიწყნარა მათი თხოვნა და თბილისი დაიპყრო და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა. ქალაქი, როგორც ისქანდერ მუნშს აქვს აღნიშნული მან ალი ყული-ხანს ჩააბარა[40].

ამრიგად, თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობამ შეცვალა. XVII ს-ის დამდეგიდან მოყოლებული, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი მდგომარეობა XVIII ს-ის 40-იან წლებამდე გაგრძელდა.

შაჰ-აბას I დაჟინებით ცდილობდა საქართველოს ინკორპორაციას, მის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევას. მაგრამ, მიუხედავად მრავალი ცდისა, მისი ეს განზრახვა მარცხით დამთავრდა. მან ჯერ კიდევ 1605 წ. სცადა კახეთში

---

[36] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, 1967, გვ. 112.

[37] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 75.

[38] Аракел Даврижеци, История перевод с армянского, предисловие и комментарии Ханларян, М., 1973, გვ. 99—100.

[39] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 63.

[40] იქვე.

მის კარზე გაზრდილი გამაჰმადიანებული კონსტანტინეს გამეფება და [illegible] კახეთის საბოლოოდ დამორჩილება. მაგრამ კახეთის აჯანყებამ აიძულა იგი თავის განზრახვაზე დროებით ხელი აეღო და კახეთის სამეფო ტახტზე ქრისტიანი თეიმურაზ I დაესვა. 1606 წ. ქართლის სამეფო ტახტზე კი მისივე თანხმობით, ლუარსაბ II იქნა აყვანილი.

1612 წ. ირან-ოსმალეთის ომი ირანის გამარჯვებით დამთავრდა. საზავო ხელშეკრულება ძირითადად 1555 წლის ამასიის ზავის პირობას ითვალისწინებდა, მაგრამ გარკვეული ცვლილებები იყო მასში შეტანილი ოსმალეთის სასარგებლოდ. ირანის შაჰი კისრულობდა ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმის გადახდას, ოსმალეთისათვის სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დატოვებას. ზავის მიხედვით, ქართლ-კახეთი ირანის მხარეზე, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე ოსმალეთის განკარგულებაში რჩებოდა. ზავის პირობებით შაჰი უკმაყოფილო იყო, მან მთლიანად ვერ მოახერხა ამასიის ზავის პირობების აღდგენა.

მართალია, ამ ზავის მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფეებმა ოსმალთა ბატონობა მოიშორეს, მაგრამ ყიზილბაშებმა დაიკავეს მისი ადგილი. თუმცა ამ უკანასკნელთა პოზიცები ქართლ-კახეთში მყარი არ იყო, სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფეები ისხდნენ, რომელთაც შაჰი ვერ შერიგებოდა. ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის შაჰი მიზანშეწონილად თვლიდა ქრისტიანი სახელმწიფოების მოსპობას, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ამ ღონისძიების გატარება ძნელი იყო, რამდენადაც იგი ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირდებოდა. ყიზილბაშური ირანი ყოველნაირად ცდილობდა „გურჯისტანის საკითხის“ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას. საქმეს ართულებდა ის, რომ ოსმალეთს თავისი გეგმები ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. ყიზილბაშთა მიერ თავიანთი გეგმების განხორციელების შემთხვევაში, ე. ი. მთელი ამიერკავკასიისა და კერძოდ, აღმ. საქართველოს დაპყრობისას, ოსმალეთი უშუალოდ ირანს გაუმეზობლდებოდა. ირანის ამოცანა იყო ზავის პირობით მიღებული ქართლ-კახეთის შემომტკიცება, ხოლო ამ ღონისძიების გასატარებლად შაჰი მიზანშეწონილად თვლიდა მთელი საქართველოს დაპყრობას, ქართველთა აყრა-გადასახლებას და მის ადგილას თურქმანთა ტომების ჩამოსახლებას, ქართლ-კახეთის სამეფოების სახანოდ გადაქცევას. მაგრამ ამ გეგმების საპირისპიროდ ქართლ-კახეთში თანდათანობით მრავლდებოდა ანტიირანული ორიენტაციის მოღვაწეთა რაზმი. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „საქართველოს ქრისტიან მმართველებს (მეფეები, მთავრები) თავისი ქვეყნები ირანის განუყოფელ ნაწილად სრულიადაც არ მიაჩნდათ და თავიანთ თავს უფლებამოსილად სთვლიდნენ შესაფერის პირობებში ამ მოძალადეს ჩამოშორებოდნენ და, თუ ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, ირანის მტრის მხარეზედაც კი დამდგარიყვნენ“[41].

1613 წ. ირანის შაჰმა გაილაშქრა საქართველოზე. ქართლ-კახეთის მეფეები იმერეთში გაიხიზნენ. შაჰი ქართლ-კახეთში შეუდგა თავისი გეგმების რეალიზაციას. დასავლეთ საქართველოში გახიზნული მეფეების ელჩები სტამბოლში ჩავიდნენ და ირანის წინააღმდეგ დახმარება ითხოვეს. ოსმალეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლად მოახდინა რეაგირება. ყიზილბაშთა საქციელი ჩათვალა ზავის პირობების დარღვევად და სასწრაფოდ გაემართა ირანის

---

[41] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, გვ. 111.

წინააღმდეგ. ოსმალეთს სრული საფუძველი ჰქონდა ზავის პირობები დაერ-ღვია და ირანისათვის ომი გამოეცხადებინა. ოსმალეთის ხელისუფლება დახმარებას პირდებოდა ქართველ მეფე-მთავრებს, ხოლო ირანის წინააღმდეგ ოსმალთა გალაშქრებას არ შეიძლება საქართველოს მეფე-მთავრები არ გაემხნევებინა.

1614 წ. შაჰ-აბასი თბილისს მიადგა. „კალის ციხესა შინა დაუტევნა სპანი მცველად ციხისა ციხისთავითურთ, რომელსა აწ უწოდდენ ქუთვალსა და მიმბაშსა, და დაიპყრა თჳსად“[42]. 1616 წ. იგი მეორედ შემოვიდა ქართლში და თბილისს მიადგა. „მაშინ ტფილისს დასუა მეფედ ქართლისად ბაგრატ ძე დაუთ-ხანისა“[43], და თვითონ უკან გაბრუნდა. შაჰ-აბასის ეს ორგზის ლაშქრობა ქართლის სამეფოს მორჩილებაში მოყვანას ისახავდა მიზნად. როდესაც შაჰი კახეთს აოხრებდა, ირან-ოსმალეთს შორის ომი გრძელდებოდა. მაგრამ ოსმალთა ლაშქარს ამიერკავკასიაში წარმატება არ ჰქონია. მათ ვერც ერთი ციხე ვერ დაიბრუნეს. წლის ბოლოს მათ შორის ზავი დაიდო, რომლითაც განაახლეს 1612 წ. ზავის პირობები, ეს დაზავება კი შაჰს საშუალებას აძლევდა ახალი ძალებით მოეგვარებინა კახეთის პრობლემა. კახეთი შაჰის პირისპირ განმარტოებული აღმოჩნდა.

შაჰ-აბასი ქვეყნის მხოლოდ რბევა-თარეშით არ კმაყოფილდებოდა. მის წინაშე თანდათანობით დღის წესრიგში „ქართველობის“ სავსებით მოსპობის საკითხი დგებოდა. შაჰი ყოველნაირად ცდილობდა, რათა „გურჯისტანის საკითხი“ ირანის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი თუ იგი ქვეყანას ირანის მაჰმადიანურ სახანოდ გადააქცევდა... შაჰის ამ განზრახვამ მთელი ქვეყანა ირანის წინააღმდეგ დარაზმა. საზოგადოების თითქმის ყველა ფენა ამ მხრივ ერთსულოვნებას ამჟღავნებდა, რადგან საქმე ეხებოდა სრულიად უცხო ყიზილბაშობის ე. ი. ირანულ-ყიზილბაშური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას. ასეთ ვითარებაში დაიწყო ქართველი ხალხის ბრძოლა ირანის წინააღმდეგ. 1625 წ. მარტყოფისა და მარაბდის ომებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით „ქართვე-ლობა“ გადაშენებისაგან იხსნა.

XVII ს-ის 30—40-იანი წლებიდან ქართლის სამეფოს საშინაო და საგა-რეო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ირანი იძულებული შეიქნა კომპრომისის გზას დასდგომოდა. ამ კომპრომისულმა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება განსაკუთრებით შაჰ სეფის (1629—1642) დროს პოვა. მართალია, მის დროს დაწესდა „ვალის“ ინსტიტუტი ქართლში, მაგრამ ამით მეფობა არ მოსპობილა. ხელუხლებელი დარჩა ქართლის სოციალ-პოლიტი-კური სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქართლში, ისე კახეთში გავრცელდა ყიზილბაშური წარმოშობის მთელი რიგი ინსტიტუტები. გარდა ამისა, ამ პერიოდში ქართლის სამეფო ყოველწლიურ ხარკს აძლევდა ირანს, ქართლიდან უამრავი ყოველწლიური „საჩუქრებიც“ ირანის სამეფო კარზე მიდიოდა. ქვეყნის ამგვარმა ვასალობამ ქართლის სამეფოს მშვიდობა მოუპოვა.

კომპრომისული პოლიტიკის პირველი განმხორციელებელი იყო ქართლის მეფე როსტომი (1633—1658). ამ პერიოდიდან ქართლისა და ირანის ურთი-ერთობაში ახალი ეტაპი იწყება, ამიერიდან ქართლ-კახეთს მაჰმადიანი

---

[42] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 426.
[43] იქვე, გვ. 428.

მეფეები განაგებენ. ამ მხრივ როსტომი პირველი იყო, რომელმაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართლში. მის სახელთანაა დაკავშირებული სამოხელეო რეფორმა, რომლის მიხედვით ძველი ქართული სამოხელეო სახელები ყიზილბაშურით შეიცვალა[44]. ამ სამოხელეო ღონისძიებას არსებითი ცვლილებები არ მოუხდენია აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის, კახეთის) საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წყობილებაში. სწორედ ასეთი პოლიტიკით შეძლო როსტომმა მიმხრობა მოწინააღმდეგე თავადებისა, რამაც თეიმურაზ I დამარცხება კიდევ უფრო გაუადვილა. ერთი სიტყვით, როსტომს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართლის სამეფოს პოლიტიკური სტაბილიზაციის სფეროში.

როსტომის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული საკმაოდ ინტენსიური კულტურული ხასიათის ღონისძიებანი — მცხეთის გუმბათის შეკეთება, „ქართლის ცხოვრების" გადაწერა და სხვა. როსტომი ზრუნავდა არა მარტო ქალაქების აღდგენისათვის, არამედ აგრეთვე ახლის გაშენებისათვის. მისი ბრძანებით მდ. თეძამზე აშენდა ქალაქი, რომელიც „მეფის ქალაქის" სახელით იყო ცნობილი. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ქალაქების აღმავლობას ადასტურებდა. მაგრამ ამ მხრივ მაინც განსაკუთრებული როლი შეასრულა ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავმა, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა. „1639 წლის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევ დაპყრობილი რჩებოდა გავლენის სფეროებად განაწილდა"[45].

1639 წლის ზავით დასრულდა ომები, რომლებსაც ირანი და ოსმალეთი აწარმოებდნენ XVI—XVII სს. ამ ზავში აისახა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლების ასწლოვანი აგრესიის შედეგები. ოსმალეთმა და ირანმა მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების ის განზრახვა, რასაც გულისხმობდა 1555 წლის საზავო ხელშეკრულება. 1639 წელს ზავი საბოლოოდ აკანონებდა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას[46]. მიუხედავად მისი ამ უარყოფითი მხარეებისა, ზავს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. 1639—1723 წწ. ეს იყო ხანგრძლივი შესვენების პერიოდი, როდესაც ქვეყანას მშვიდობიანი განვითარების პირობები შეექმნა. განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, მოწესრიგდა ქალაქებიც (საქალაქო გარიგების წიგნები, ქალაქის მოხელეთა სარგოს წიგნები, სართლამისა და ბაჟის წიგნები). მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ის პირველი ათეულიდან მოყოლებული თბილისის ციხეში ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარი იყო ჩაყენებული, იგი (ე. ი. თბილისი) მაინც ქართულ სამეფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა თბილისის აღორძინებაც. XVII ს-ის 30—40-იანი წლებიდან თბილისი სწრაფად ვითარდება და სულ უფრო და უფრო ხალხმრავალი ხდება.

XVII ს-ის 30-იანი წლების თბილისის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება ვასილ გაგარას. მისი სიტყვით, „(თბილისში) ოთხი ციხეა, ორი იქეთ, ორი აქეთ... ამ ციხეებში... მდინარიდან წყალია მოყვანილი ფარული

[44] ვახუშტი, გვ. 32.

[45] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 371.

[46] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 375—376.

გვირაბით, ხოლო მდინარეზე მთებს შორის ხიდია, ძალიან ლამაზი“[47]. ვასილ გაგარა იმ დროინდელი თბილისის აბანოებზეც იძლევა ცნობას: „აბანოები სამოცი და მეტი იქნება აგებული“-ო[48].

XVII ს-ის 40-იან წლების თბილისზე საკმაოდ ვრცელ ცნობებს იძლევა თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები. „განსაკუთრებით საყურადღებოა ევლია ჩელების, როგორც თვალთმხილველის შემდეგი მოწმობა — თბილისი „ძალიან აყვავებული და გაშენებულია“[49]. მას საინტერესო ცნობები მოეპოვება როგორც თბილისის პოლიტიკური ისტორიის, ისე მისი მეურნეობის დარგების შესახებ. ევლია ჩელები აღნიშნავს, თბილისის ციხის „გალავნის შიგნით ექვსასი ბანიანი სახლია. ხანის სასახლე ამ ციხეშია, ჯამე, ქარვასლა, აბანო და მცირე ბაზარი აქვს“[50]. იგი ქალაქის მეურნეობის დარგების შესახებ ამბობს, რომ აქ „მოჰყავთ ხორბალი, წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი, ქებულია მისი ბამბა და ანგორას მატყლი“[51].

თბილისი XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის, როგორც ამას შარდენი აღნიშნავს „...ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, თუმც ძალიან დიდი არ არის“[52]. რა თქმა უნდა, ფრანგ მოგზაურს შეეძლო თბილისი შეედარებინა მსოფლიოს იმ ქალაქებისათვის, რომლებიც მას საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. ამიტომაც საყურადღებოა, რომ ამ ქალაქების ფონზეც ეჩვენებოდა შარდენს თბილისი ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად.

თბილისის აღმავლობა XVII ს-ის მეორე ნახევარში ემთხვევა ე. წ. „ვერცხლის ხანას“, ქართული კულტურის აღორძინებას, რომლის წარმატება ქართველი ინტელექტუალური ძალების მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული (ვახტანგი, არჩილი).

თბილისის აღმავლობას ხელს უწყობდნენ ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი მეფეები ვახტანგ V, გიორგი XI და ვახტანგ VI. ამ დროიდან გაცხოველდა ვაჭრობა ევროპის ქალქებთან, რის გამოც ქართლში „მცირე ქალაქების“ რიცხვი, ე. ი. სავაჭრო ადგილების რაოდენობა იზრდება[53]. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან არაერთხელ გამოჩნდნენ აქ ევროპელი ვაჭრები და კათოლიკე მისიონერები. ქართლის მეფეები ყოველმხრივ ცდილობდნენ მათ დაინტერესებას, ვინაიდან ვაჭრობის აღორძინება კიდევ უფრო ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მათი ხელისუფლების გაძლიერებას.

ქართლის სამეფოს აღმავლობაში განსაკუთრებული დიდი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ. მან „აღაშენა და განავსო ქართლი“[54]. აყრილი მოსა-

---

[47] ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1865, გვ. 16.

[48] იქვე.

[49] ვ. გაბაშვილი, თბილისი მე-16 —17 სს. აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 265.

[50] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ტ. I, 1971, გვ. 292.

[51] იქვე.

[52] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 317.

[53] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[54] ვახუშტი, გვ. 481.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელობა უკან დააბრუნა და დაუსახლებელ ადგილებზე დაასახლა. ამას გარდა, ვახტანგ VI-მ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სარწყავი სისტემის გაახლებას. მან „გაიღო რუნი და აღაშენა მრავალი დაბნები"[55].

საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას ხელს უწყობდა სხვადასხვა სახის მშენებლობათა ჩატარება თბილისში, გორში და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კანონმდებლობის მოწესრიგებაც. „დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი"[56]. ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „დასტურლამალში" დიდი ადგილი დაეთმო საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას, ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრას. მანვე მოქალაქეებს „საკუთრების ქალაქური წესის" შემოღებით მნიშვნელოვანი უპირატესობანი მიანიჭა.

ამრიგად, ყოველივე ამან ქ. თბილისი და ქართლის სხვა ქალაქები აღმავლობის გზაზე დააყენა. XVI—XVII სს. მიჯნაზე თბილისში არსდება სასწავლებლები და სხვა დაწესებულებები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სტამბის დაარსება 1709 წელს, სადაც 1712 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი". ყოველივე ამან მტკიცე პირობა შეუქმნა ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებას. სწორედ ამ დროს XVII—XVIII სს. მიჯნაზე თბილისი წარმოადგენდა მთელი საქართველოს („საქართველოების") ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს.

М. Ш. МЕСХИЯ

## К ИСТОРИИ ТБИЛИСИ XVI—XVII ВВ.

Резюме

В труде изучены вопросы политической истории города Тбилиси XVI—XVII веков, на основе грузинских, восточных и других нарративных и документальных первоисточников, а также специальной литературы. В статье показано, как влияло изменение политической ситуации в Грузии на социально-политическое положение столицы.

Должное внимание уделено ирано-турецкой агрессии и ее отрицательным последствиям и развитие города. В труде показана сколь плодотворно влиял на развитие культурной жизни столицы подъем экономической мощи города Тбилиси.

[55] ვახუშტი, გვ. 482.
[56] იქვე.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ოთხმეზური

# უხუცესი ვაზირები და მათი რიგი საქართველოში XII—XIII სს-ის მიჯნაზე

## (ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით)

XII—XIII სს-ის მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა უხუცეს-ვაზირთა ინსტიტუტი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობაში. ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სამეფო კარზე წამოიჭრებოდა, მეფე განიხილავდა უწყების გამგე უხუცესებთან — ვაზირებთან ერთად. ივ. ჯავახიშვილს ფართოდ აქვს განხილული ეს საკითხი. მისი აზრით, „საქართველოში XII ს-ში ერთ უზენაესს მინისტრს კი არ რქმევია ვაზირი, როგორც არაბთა სახალიფოსა და სპარსეთში იყო მიღებული, არამედ რამდენიმე ვაზირი ყოფილა, ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი და ქართველი ჟამთააღმწერელი ამბობდნენ ხოლმე „ვაზირნი“-ო[1]. საკითხის შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი მიდის დასკვნამდე, რომ ვაზირებში „პირველობა მწიგნობართუხუცესს ჰკუთვნებია, შემდეგ ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და სულ ბოლოს მსახურთუხუცესი ყოფილა — ცხადია, რომ სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა, მაშინ მწიგნობართუხუცესის შემდგომ ყველაზე უფროსი ვაზირთა შორის მანდატურთუხუცესი იქნებოდა“[2].

ჩვენი აზრით, მანდატურთუხუცესზე წინ იდგა ამირსპასალარი. XII—XIII სს-ის მიჯნაზე ამირსპასალარი ერთ-ერთი პირველი მოხელეა და მისი მანდატურთუხუცესზე წინ დაყენება სავსებით კანონზომიერია. ამას მოწმობს გუნია-ყალის წარწერა. გარდა ამისა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის პატივი „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სწორია[3].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით დაკნინდა, აგრეთვე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო და პირველი ვაზირი გახდა ათაბაგი: „ცენტრალური ხელისუფლების ასეთი დასუსტებისას, ადვილი გასაგებია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „ჴელის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო შესუსტდა. XIII ს-ში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის“[4].

ქართულ წყაროებში მოგვეპოვება ცნობები უწყების გამგებელ უხუცეს-ვაზირთა შესახებ. ესენი იყვნენ: I. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი;

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, ტფ., 1928, გვ. 121.

[2] იქვე, გვ. 123—124.

[3] ჴელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 96.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 59—60.

II. ამირსპასალარი; III. მანდატურთუხუცესი; IV. მეჭურჭლეთუხუცესი; V. მსახურთუხუცესი.

თამარის შემდგომ მოხდა ათაბაგის დაწინაურება, რომელმაც სავაზიროში ჭყონდიდელის ადგილი დაიჭირა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია აღნიშნულ უხუცეს-ვაზირთა ქრონოლოგიური რიგის დადგენა XII—XIII სს-ის მიჯნაზე.

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ შუქი მოგვეფინა ამ საკითხისათვის ქართული ნარატიული წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის შესწავლით. ნარატიული წყაროების („ისტორიანი და აზმანი", ბასილი ეზოსმოძღვარი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი) ცნობები ამ საკითხზე შეიცავს ქრონოლოგიურ აღრევებს, რის გამოც მათი დაზუსტება უნდა მოხდეს ეპიგრაფიკული ძეგლების საფუძველზე.

ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლაშა-გიორგის „ჯელი" (გუნია-ყალის წარწერა), სადაც მოცემულია ვაზირთა უწყების გამგე უხუცესთა სია: „სახელითა ღმრთისაჲთა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ივანე, ოვსიყმა, ვაჩესითა, ჯალაბაის, მოჭირვებითა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჯელითა დაისუა ჯელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთა მეფის გიორგჲსი"*[5].

წარწერა შესრულებულია თამარისა და ლაშა-გიორგის თანამოსაყდრეობის პერიოდში —1202—07 წწ-ში[6].

ეპიგრაფიკული ძეგლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე განძანის წარწერები:

I. Ⴕ~Ⴄ. Ⴖ~Ⴍ. Ⴀ~ႣႤ. ႭႰႧႥႤ. Ⴘ~Ⴀ. ႺႾႭႰႤႡ
ႠႧႠ. ႫႤႿႳႰႿႪႤႧ. ႳႾႳႺႤႱႨ:· —
ႸႠႪႥႠ. ႻႨႧႠ. ႻႫႨႧႠ. ႫႠႧႨ
ႧႠ. ႺႭႺႾႠႪႧႠ. ႥႠႸႤႬႤႧ. Ⴜ~Ⴃ
ႠჂႤ. ႱႠႷႣႠႰႨ. Ⴙ~Ⴌ. ႵႡ~ႱႠ. ႣႠ: —
ႬႩ~ႪႠႱ. ႻႤႧႠ.

ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, ძითა, ძმითა მათითა ცოცხალთა, ვაშენეთ წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა[7].

---

[5] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953. გვ. 26.

[6] გ. ოთხმეზური, ლაშა-გიორგის „ჯელი" (გუნია-ყალის წარწერა) როგორც საისტორიო წყარო, საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 170—186. ამ ნაშრომში მოცემულია ლაშა-გიორგის „ჯელი-"ს (გუნია-ყალის წარწერა) სრული ბიბლიოგრაფია, ცდა მისი დათარიღებისა (ლაშა-გიორგი თანამოსაყდრედ ეკურთხა 1202 წელს, ხოლო თამარი გარდაიცვალა 1207 წელს) და დამტკიცებისა, რომ მასში მოხსენიებული პირები ნამდვილად „დარბაზის რიგის" უმაღლესი მოხელეები—უხუცესები არიან.

ამავე ნაშრომშია მოცემული თამარის გარდაცვალების თარიღზე გამოთქმული ყველა მოსაზრება.

აქვეა მოცემული თამარისა და დავით სოსლანის ქორწინების დათარიღების ცდა 1188 წლით და განძანის წარწერების დათარიღების ცდა.

აქვეა ცდა იმის დამტკიცებისა, რომ ვაჩემ ივანე მხარგრძელი შეცვალა არა უგვიანეს 1207 წლისა.

[7] გ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 97—98.

II. †. Ⴕ´Ⴄ ႶႫ´Ⴍ ႠႣႨႣႤ ႭႰႧ´ႥႤ ႺႾ´ႡႧႠ
ႻႪႨႤႰႨ ႣႠ ႳႻႪ´ႥႤႪႨ ႷႭ
ႥႤႪႧႠ ႫႲႤႰ´ႢႬ ႫႤႿႳႰႿႪႤႧႳႾ ႭႸ
———ႱႨ ႸႪႥႠ Ⴐ´ႫႫ´Ⴌ ႻႪႨႧႠ
———ႠႢႧႠ ႣႠ ႫႩႪႠႥႨႧႠ ႧႠႥႨႱႨ
ႧႠ ႸႤႠႻႰႼႳႬႥႠ ႷႭႥႤႪႨ Ⴑ———
ႰႱႤႧႨႱႠႢ

ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა, ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან, მეჭურჭლეთუხ(უცე)სი შალვა, რომელმან ძალითა (ღმრთის)აჲთა და მკლავითა თავისითა შეაძრწუნვა ყოველი ს(ოფელი სპა)რსეთისაჲ[8].

III. Ⴕ´Ⴄ Ⴖ´Ⴍ ႠႣ´ႣႤ ႭႰႧႠႥႤ ႺႾႭႰႤႡႨႧႠ ႫႠႬႣႠႲႰႧႳႾႺႤ
ႺႤႱႨ ႸႠႪႥႠ ႻႨႧႠ ႣႠ ႻႫႨႧႠ ႫႠႧႢႬ ႺႭႺႾႠႪႧႠ ÷
ႥႠႸႤႬႤႧ ႫႤႭႰႤ Ⴜ´Ⴃ ႤႱႤ ႱႠႷႣႠႰႨ Ⴙ´Ⴌ ႬႨႩႭႪႠႱ ႨႤႧႠ ÷
ႸႠႪႥႠႱ ႫႭႬႠႱႠ ႫႠႬႢႪႴႠႱ ႫႤႭႾ ႤႵႫႤႬ Ⴖ´Ⴍ ႷႥ´ႪႧႠ ÷
ႱႠႷႣႠႰႨ ႣႤႣႨႱႠ ႶႫ´ႱႠႢ ÷

ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებითა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა მათგან ცოცხალთა. ვაშენეთ მეორე წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ ნიკოლას იეთა. შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო საყდარი დედისა ღმრთისაჲ (არს?)[9].

IV. † ÷ ႶႫႨႥ ႢႥႰႢႥႬႭ
ႱႠႬႨ ႫႤႴႭႡႠႢ ႢႨ´ႱႨ
ႪႠႸႵႠႰႬႨ Ⴃ ႱႠႫႤႴႭ ႣႠႴ´ႰႤႬ
ႣႣႭ ႷႥႪႧႠ ႫჄႱႬႤႪႨႱႠႭ ÷

ქ. ღმრთივ გჳრგჳნოსანი მეფობაჲ გიორგისი, ლაშქარნი დ(ა) სამეფო დაიფარენ დედაო ყოველთა მჴსნელისაო[10].

ეს წარწერები შესრულებულია XII—XIII სს-ში და გვაწვდიან ცნობებს შალვა თორელ-ახალციხელზე, რომელიც ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ხოლო შემდეგ მიიღო მანდატურთუხუცესობა[11].

განძის წარწერები პირველად გამოსცა მ. ბროსემ[12], შემდეგ ეს წარწერები კიდევ რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული ი. როსტომაშვილის[13], ვ. ცისკარიშვილისა[14,15] და ნ. ბერძენიშვილის[16] მიერ.

---

[8] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98—99

[9] იქვე, გვ. 99—100.

[10] იქვე, გვ. 100.

[11] გ. თოხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 178—182.

[12] M. Brosset, Rapport sur un voyage archéologique dans le Gèorgie et dans l'Arménie, 2e livraison, S. P., 1850.

[13] И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, 1898, 48—52.

[14] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—106.

[15] ვ. ცისკარიშვილი, განძანის წარწერების შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, № 6, 1954, გვ. 465—469.

[16] ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, საქართველოს ისტორიის საკითხები, I. თბ., 1964, გვ. 81—86.

ანტონ ჭყონდიდელის შესახებ გვაწვდის ცნობებს ვაჰანის წარწერა:

1. ႵႤ:Ⴄ [— — — — — — —] [ႭႰ]ႧႠႥႤ:
2. ႸႠ:Ⴑ[ႭႴႤႥႠႧႠ:ႫႴ]Ⴄ
3. ႧႠ [ႫႤႴႤ:Ⴃ]Ⴀ ႣႣ[Ⴔ]Ⴊ[Ⴄ:]
4. ႧႫႰ:ႼႤ[ႪႱႠ] ႫႴႡႨႱႠ:ႫႠ
5. ႧႨႱႠႠ:Ⴉ:ႠႬႲႬ:[Ⴝ]ႱႠ:ႫႰ
6. ႠႶႤႸႤႬႠ ႦႶႣႤ:ႤႱႤ Ⴘ[Ⴌ ႶႬ]

1. ქრისტე ე———— ორთავე
2. შინა ს[უფევათა მეფ]ე
3. თა[მეფე დ]ა დედო[ფ]ალ[ი]
4. თამარ წე[ლსა] მეფობისა მა
5. თისასა ოცსა ანტონ ჭყონდიდელისა მიერ
6. აღეშენა ზღუდე ესე შეუნდევ [ნ ღნ][17].

ჩვენი აზრით, ვაჰანის წარწერა შესრულებულია არა 1204 წელს, არამედ 1198 წელს, რადგანაც მეფეები თავისი გამეფების ინდიქტიონებს ანგარიშობენ პირველი კურთხევიდან. ე. ი. თამარის მეფობის ოცი წელი გვაძლევს 1198 წელს (1178+20) .

დარბაზის რიგის მოხელეების შესახებ ცნობები მოიპოვება სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. მაგ.: ჰარიჭის წარწერაში მოიხსენიება ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი: „მე ზაქარიამ სომეხთა და ქართველთა მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარმან, ძემ დიდი სარგისისამ შევქმენი განძი საქვეყნოდ ცნობილი წმინდა ძმობისა ჰარიჭისათვის. ჩემი უფლის თამარ დედოფლის დღეგრძელობისათვის. ჩემი და ჩემი ღვიძლი ძმის ივანეს, ჩვენ პირმშოთა შაჰანშაჰისა და ავაგის და ჩვენ მშობელთა სახსნელად“[18]... კოსტანიანცი ამ წარწერას ათარიღებს 1201 წლით. ჩვენი აზრით, კოსტანიანცის დათარიღება ჰარიჭის წარწერისა დაახლოებით სწორია. საერთოდ, სომხური წარწერების მიხედვით ქრონოლოგიის დადგენა ძნელია, რადგანაც აქ თარიღები აღრეულია და ფაქტებიც ზოგჯერ გაყალბებულია. მაგ.: ანისის წარწერაში შანშა მხარგრძელი მოხსენიებულია მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად[19], შანშა კი ამირსპასალარი არ ყოფილა.

ეპიგრაფიკულ ძეგლებში მეჭურჭლეთუხუცესის შესახებაც მოიპოვება ცნობები. ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XII ს-ით ათარიღებს, მოიხსენიება მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი: „ქ. ყოვლად წმიდა ომოციქულო ქრისტეს ღვთისაო ანდრია, შეიწირე (მცირე)დი ესე მსახურებაჲ ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურ(ჭლეთ) უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა“...[20]

ერისთავთ-ერისთავად და თბილისის ამირად მოიხსენიება აბულასანი თბილისის „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში, რომელსაც ვ. ბერიძე XII—XIII ს-ის მიჯნით ათარიღებს: „...ნაცვალსაგებლად ჩემთჳს და საყუარლისა ძმისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუჲსთვისა და შჳდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასნისათვის“[21]...

---

[17] ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, გვ. 116.

[18] ჰარიჭის წარწერა, **Վիմական տարեգիր**, კოსტანიანცის გამოცემა, პეტერბურგი, 1914, გვ. 43.

[19] **Դիվան հայ վիմագրության, պ. I, կազմեց Հ. Օրբելի, Երևան**, 1966, № 3, გვ. 2.

[20] Е. Такайшвили, Археологические экскурсии разыскания и заметки, II, 1905, გვ. 70—71.

[21] ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, II, თბ., 1948, გვ. 96—100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. თაყაიშვილი ანდრია მოციქულის ხატისა და „ლურჯი მონასტრის“ წარწერების აბულასანს ერთ და იმავე პირად მიიჩნევს[22]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ვ. ბერიძე[23].

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მსახურთუხუცესის შესახებაცაა შემონახული ცნობები, კერძოდ, ქვემო ჯინისის წარწერაში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XII ს-ით ათარიღებს, მოიხსენიება მსახურთუხუცესი აფრიდონი: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და წმიდისა იოვანე ნათლის მცემელისათა მომმადლა ღმერთმან მე, ხოშაქსა, ერისთავთ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულისა, აღგებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიის ღმრთისმშობლის სამსახურად ი წლისა მკუდარი გამაცოცხლა, ძლიერი დიდებაჲ მიბოძა. ესე მცირედი მსახურებაჲ მიძღვნია“[24].

ასეთია, ზოგადად, ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობები უხუცეს-ვაზირებზე. ეხლა განვიხილავთ უხუცეს-ვაზირებს პიროვნულად ცალ-ცალკე და შევეცდებით მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას.

### ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

საქართველოს სამეფო კარზე განსაკუთრებულად მაღალი მდგომარეობა ეჭირა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს. პირველად მწიგნობართუხუცესი მოიხსენიება X—XI სს-დან, ხოლო მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის სახელოს შეერთება მოხდა XII ს-ში, დავით აღმაშენებლის დროს[25]. ეს საკითხი აქვს განხილული პ. ინგოროყვას და გვაძლევს ვაზირთა შემდეგ ქრონოლოგიურ რიგს:

ანტონ გლონისთავის ძე —1178—1184/5; 1189/90—1210-იანი წ.

მიქაელ III მირიანის ძე — 1184/5—1189/90 წწ.

დავით ჭყონდიდელი — 1210-იანი—1220-იანი წწ.[26].

გიორგი III-ის გარდაცვალებისას ეს თანამდებობა ეკავა ანტონ ჭყონდიდელს: „მიქაელ პატრიაქი და ვაზირი ანტონი“[27]. შემდგომ ეს სახელო უკავია მიქაელს, რომელმაც, როგორც წყაროებიდან ჩანს, მისტაცა ანტონ ჭყონდიდელს ეს ხელი, მიქაელი გარდაიცვალა თამარის დავით სოსლანზე ქორწინების ახლო ხანებში, ე. ი. 1188 წელს[28] და ანტონმა კვლავ დაიბრუნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ... მოიყვანეს ანტონი გლონისთავისძე გარეჯით, რომელი პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მისტაცა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი,

---

[22] Е. Такайшвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—71.

[23] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[24] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, 1913, გვ. 51—52.

[25] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—126; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 11—12; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 244—245.

[26] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ., კრ. ტ. I, თბ., 1963, გვ. 576—579.

[27] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 25.

[28] გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—179.

სამთავისი, კისისჯევი და მწიგნობართუხუცესობა“[29]. დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი“[30].

ანტონ ჭყონდიდელი მოხსენიებულია აგრეთვე ვაჰანის წარწერაში, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ 1198 წლით არის დათარიღებული. ვაჰანის წარწერის თარიღზე ჩვენს აზრს ამტკიცებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ანტონ ჭყონდიდელი, რომელიც 1201 წლის შეწირულების საბუთში ქრისტეს სწორად იხსენიება[31], ბასიანის ომში საერთოდ არაა ნახსენები. ბასიანის ომი, როგორც ცნობილია, იყო 1202—1203 წწ[32]. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონ ჭყონდიდელი ამ დროისათვის გარდაცვლილია.

ანტონის გარდაცვალების შემდეგ ვის უჭირავს ეს ქელი, არა ჩანს. პ. ინგოროყვას 1210-იან—1220-იან წლებში დასახელებული ჰყავს დავით ჭყონდიდელი[33], მოხსენებული იერუსალიმური № 13 ხელნაწერის ანდერძში. ამ ხელნაწერს ა. ცაგარელი (მას ანდერძის ტექსტი არ მოჰყავს) ათარიღებს XIII—XIV სს-ით[34], ხოლო რ. ბლეიკი (მას გამოქვეყნებული აქვს ანდერძის ტექსტი) — XIII—XVI სს-ით: „ო῀ო ღ῀ო ადიდე შ῀ნ მიერითა დიდებითა და აჳმარენ წ῀ნი ესე წიგნნი დღეგრძეულებასა შ῀ა წ῀ა მეუფესა: დ῀თ: ჭყონდიდლისა: ამინ: იყავნ“[35]:

ანდერძი უთარიღოა, ხელის მიხედვით (შესრულებულია ნუსხა-ხუცური დამწერლობით) ის შეიძლება დათარიღდეს XIII—XIV სს-ით. სხვა მონაცემები დავით ჭყონდიდელზე საისტორიო წყაროებში არ გაგვაჩნია. ამიტომ გაუგებარია პ. ინგოროყვას დათარიღების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამარის მეფობის ხანაში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ქელი ჰქონდათ შემდეგ პირებს:

ანტონ ჭყონდიდელი — 1/1178—1185 წწ.
2/1188—1198/1202 წწ.
მიქაელი — 1185--1188 წწ.

### ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი

XII—XIII სს-ის მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე თავისი მდგომარეობით და უფლებით, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ, მეორეა ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მათი პატივი სწორია:

---

[29] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 122—123.

[30] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქ῀ც, II, გვ. 32.

[31] [შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიო მღვიმისადმი] [1201 წ.], ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., თბ., 1965, გვ. 32.

[32] ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 247—256; გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1975, გვ. 89—92.

[33] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 579.

[34] А. А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, № 131, 1898, გვ. 38.

[35] R o b e r t P. B l a k e, Catalogue des manuscrits georgiens de la Biblioteque Patriarchate Grecque á Jèerusalem, Paris, 1924, გვ. 33—34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირსპასალარი პირველად გვხვდება გიორგი III-სა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში[36]. ასევე გიორგი III-ის დროს არის პირველად მოხსენიებული მანდატურთუხუცესი[37], რომლის საგანგებო ნიშანი „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, ოქროს არგანი უნდა ყოფილიყო[38].

პ. ინგოროყვას აზრით, თამარის მეფობის ხანაში ამ ორი ჭელის მქონე იყვნენ:

ყუბასარი — ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი 1178—1184/5 წწ.
სარგის მხარგრძელი — ამირსპასალარი 1184/5—1187 წწ.
გამრეკელი I კახას ძე თორელი — ამირსპასალარი 1187—1191 წწ.
ჭიაბერი — მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი 1191 წ.
ჭიაბერი — მანდატურთუხუცესი 1184/5—1205 წწ.
ზაქარია I მხარგრძელი — ამირსპასალარი 1191—1211 წწ.
მანდატურთუხუცესი 1210—1211 წწ.
ივანე I მხარგრძელი — ათაბაგ ამირსპასალარი —1211—1227 წწ.
შალვა თორელ-ახალციხელი — მანდატურთუხუცესი 1205—1210 წწ.[39]

ყუბასარი გიორგი III-ის გარდაცვალების დროს მხოლოდ ამირსპასალარად მოიხსენიება: „ამირსპასალარი ყუბასარ“[40], ხოლო თამარის მეფედ მეორედ კურთხევის დროს კი ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად: „ყუბასარ... იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი“[41]. როგორც ცნობილია, გიორგი III გარდაიცვალა და თამარი მეორედ ეკურთხა მეფედ 1184 წ.

ყუბასარის შემდეგ ამირსპასალარად ჩანს სარგის მხარგრძელი. „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, სარგის მხარგრძელმა ამირსპასალარის საჭელო მიიღო 1185 წელს, თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ: „განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი“[42].

სარგის მხარგრძელი ამ თანამდებობაზე შეცვალა გამრეკელ თორელმა: „უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელიც ამირსპასალარცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა“[43]. მისი ამირსპასალარობა შეწყდა 1188 წელს, თამარის დავით სოსლანზე ქორწინებისა და გიორგი რუსის აჯანყების ახლო ხანებში: „მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს“[44].

გამრეკელი თორელის შემდეგ ამ თანამდებობაზე უნდა ყოფილიყო ჭიაბერი. ამას ამტკიცებს შეწირულების საბუთი, სადაც იგი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „მე მანდატურთუხუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან“[45].

ჭიაბერის საბუთის დათარიღებაზე არსებობს მკვლევართა სხვადასხვა

---

[36] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.
[37] იქვე, გვ. 157.
[38] იქვე, გვ. 158.
[39] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 576—579.
[40] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქც, II, გვ. 25.
[41] იქვე, გვ. 30.
[42] იქვე, გვ. 33.
[43] იქვე.
[44] ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
[45] [შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა შიო მღვიმისადმი] [1189—92] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., II, გვ. 28—30.

მოსაზრება[49]. ჩვენ საბუთს ვათარიღებთ გიორგი რუსის აჯანყების, ე. ი. 1188 წ. ახლო ხანებით.

ქართული ნარატიული წყაროები საერთოდ არ იცნობენ ჭიაბერს, როგორც ამირსპასალარს. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, გამრეკელ თორელი ამ თანამდებობაზე შეცვალა ზაქარია მხარგრძელმა: „მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი... მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისა“[47]; „ზაქარიას უბოძა ამირსპასალარობა“[48].

ცხადია, ნარატიულ წყაროებს გამორჩათ ჭიაბერის ამირსპასალარობა. როგორც ჩანს, შანქორის ომის ახლო ხანებში ჭიაბერი გარდაიცვალა, რადგანაც იგი საერთოდ აღარ იხსენიება. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (იგი თ. ჟორდანიას ემყარება), შანქორის ომი მოხდა 1195 წელს, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ დროს ლაშაც დაბადებულია და რუსუდანიც[49]. ამ თარიღს მხარს უჭერს ერთი უსახელო სომხური ქრონიკა[50].

გარდა ამირსპასალარობისა ჭიაბერს ეჭირა მანდატურთუხუცესის თანამდებობაც. „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, ჭიაბერმა ეს საჴელო მიიღო თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ, ე. ი. 1185 წელს: „განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა“[51]. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, ჭიაბერმა ეს ხელი მიიღო თამარის დავით სოსლანზე ქორწინებისა და გიორგი რუსის აჯანყების შემდეგ, ე. ი. 1188 წელს: „შემდგომად მოიყვანეს ჭიაბერი“[52]. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა „ისტორიანი და აზმანის“ ცნობა, რადგან 1185—88 წწ.-ში სხვა მანდატურთუხუცესი არ ჩანს და ცხადია, ეს ხელი ვინმეს უნდა სჭეროდა.

ჭიაბერის შემდეგ ამირსპასალარია ზაქარია მხარგრძელი. ზაქარიას ეს ჴელი უჭირავს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხოლო იგი გარდაიცვალა, როგორც ცნობილია, 1212 წელს. ზაქარია ამირსპასალარად მოიხსენიება შანქორის ომში: „და გაგრძელდა ომი... მაშინ ცნეს მჴაგრძელთა, ძეთა სარგისისთა ზაქარია ამირსპასალარმან და ივანე მსახურთუხუცესმან“[53]. იგი წინამებრძოლია, აგრეთვე, ბასიანის ბრძოლაშიც: „ხოლო წინამებრძოლად იყო ზაქარია მჴაგრძელი ამირსპასალარი“[54].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შანქორის ომის შემდეგ, 1195 წ., ჭიაბერი აღარ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე. ჩვენი აზრით, იგი მანდატურთუხუცესის თანამდებობაზეც შეცვალა ზაქარია მხარგრძელმა. „ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან“ ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად მოიხსენიება, როდესაც 12 წლის ლაშა გამეფდა[55]. ლაშა-გიორგი კი გამეფდა 1202 წელს[56]. ამავე წოდებით არის მოხსენიებული ზაქარია ჰარიჭის 1201 წ-ის წარწერაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

[46] ქართული სამართლის ძეგლები, II გვ. 828, 592.
[47] „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 55.
[78] ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.
[49] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1948, გვ. 270.
[50] ა. აბდალაძე, შამქორის ბრძოლის თარიღისათვის, მაცნე, 1973, № 1, გვ. 114—118.
[51] „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 33.
[52] ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.
[53] „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 70.
[54] ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
[55] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 370.
[56] გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია მხარგრძელის შემდეგ მანდატურთუხუცესია შალვა თორელ-ახალციხელი. ბასიანის ომის დროს შალვა მანდატურთუხუცესი წინამებრძოლადაა დასახელებული: „წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა"[57].

მკვლევართა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე) თვლის, რომ ტექსტში ზედმეტია შალვას მანდატურთუხუცესად დასახელება და აქ მხოლოდ ჭიაბერი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, მართებულია ნ. შოშიაშვილის მოსაზრება, რომ ტექსტში ზედმეტია ჭიაბერის დასახელება, რადგანაც ჭიაბერი საერთოდ აღარ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე შანქორის ომის შემდეგ[58], ხოლო შალვა ახალციხელი კი რამდენჯერმეა დასახელებული ბასიანის ომის დროს, როგორც მეწინავე ლაშქრის სარდალი.

შალვას მანდატურთუხუცესობას ამტკიცებს აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განძანის წარწერები. შალვა თორელ-ახალციხელი მოხსენიებულია აგრეთვე გუნია-ყალის 1202—07 წწ-ის წარწერაში (ეს წარწერაც ზემოთ გვაქვს მოყვანილი) მანდატურთუხუცესის რიგში.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თამარის მეფობის ხანაში ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის პელი ეკავათ შემდეგ პირებს:

I. ამირსპასალარი

1. ყუბასარი 1178—1184 წწ.
2. სარგის მხარგრძელი } 1185—1188 წწ.
3. გამრეკელი თორელი }
4. ჭიაბერი 1188—1195 წწ.
5. ზაქარია მხარგრძელი —1195—1212 წწ.

II. მანდატურთუხუცესი

1. ყუბასარი — 1178—1184 წწ.
2. ჭიაბერი —1185—1195 წწ.
3. ზაქარია მხარგრძელი —1195—1202/03 წწ.
4. შალვა თორელ-ახალციხელი —1202/03—1215 წწ.

მეჭურჭლეთუხუცესი

უხუცეს ვაზირთა რიგში მეოთხეა მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესი პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში XII ს-ში იხსენიება, მაგრამ ეს ალბათ შემთხვევითი მოვლენაა, რადგან „ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირია[59].

თამარის მეფობის ხანაში პირველად ამ ხელის მქონედ ჩანს ყუთლუ-არსლანი. „ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი"[60] მოიხსენიება „ისტორიანი და აზმანში" გიორგი III-ის სიკვდილის შემდგომ, ე. ი. 1184 წელს. მაგრამ განდგომისათვის თამარმა „შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი"[61]. 1185 წელს (თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ). ამავე პერიოდში (ე. ი. 1185 წ.) თამარმა „უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა"[62].

---

[57] „ისტორიანი და აზმანი", გვ. 95.

[58] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებული: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 20—23.

[59] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 167.

[60] „ისტორიანი და აზმანი", გვ. 25.

[61] იქვე, გვ. 31.

[62] იქვე, გვ. 33.

თამარის მეფობის ხანაში მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს აბულასანი. იგი ქართლისა და თბილისის ამირაა და მისი რჩევით მოიყვანენ გიორგი რუსს[63], რაც მიგვანიშნებს მის გავლენას სამეფო კარზე. ამავე თანამდებობით მოიხსენიება იგი თბილისის „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში, ხოლო ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში ერისთავთ-ერისთავად და მეჭურჭლეთუხუცესად მოიხსენიება (ორივე ეს წარწერა ზემოთა გვაქვს განხილული).

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ორი ხელნაწერის — ტიშენდორფისეული ნუსხისა და იერუსალიმის სვინაქსარის (Ier. 24—25) მიხედვით დაწესებულია „წირვაჲ და აღაპი“ და აღაპი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისათვის: „ორშაბათსა სულისა წმიდისა მოძღვარსა წირვაჲ და აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ, შეუნდვენ ღმერთმან“[64]; „ამავე ორშაბათსა აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ, ვინ შეცვალოს შე-მცა-ცვალებელ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა“[65].

მეჭურჭლეთუხუცესია აგრეთვე შალვა თორელ-ახალციხელი. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განძანის ეკლესიის წარწერები. ამავე წარწერებიდან ვგებულობთ, რომ შალვა თორელ-ახალციხელს შემდგომ მანდატურთუხუცესობა მიუღია. შალვას მიერ მანდატურთუხუცესობის მიღება და მეჭურჭლეთუხუცესობის დატოვება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1202/03 წწ-ის, რადგან გუნია-ყალის წარწერასა და ბასიანის ომში იგი უკვე მანდატურთუხუცესია.

თამარის მეფობის ბოლო პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს ოვსიყმა. იგი მოხსენიებულია გუნია-ყალის 1202/07 წწ-ის წარწერაში. ოვსიყმას შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს ყვარყვარე ჯაყელი. ამ ქელის მფლობელად ის პირველად იხსენიება 1220 წლის საგიმის ბრძოლაში[66]. როდის შეცვალა მან ოვსიყმა არ ჩანს.

ამრიგად, თამარის მეფობის პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მფლობელი იყვნენ შემდეგი პირები:

<table>
<tr><td>1. ყუთლუ-არსლანი 1178—1185 წწ.</td><td></td></tr>
<tr><td>2. კახაბერ ვარდანის ძე</td><td rowspan="4">} 1185—1202/03 წწ.</td></tr>
<tr><td>3. აბულასანი</td></tr>
<tr><td>4. შოთა</td></tr>
<tr><td>5. შალვა თორელ-ახალციხელი</td></tr>
<tr><td>6. ოვსიყმა —1202/03 წ-დან არა უგვიანეს 1220 წ.</td><td></td></tr>
</table>

### მსახურთუხუცესი

ქართულ ნარატიულ წყაროებში მსახურთუხუცესიც პირველად XII ს., გიორგი III-ის მეფობაში, მოიხსენიება, მაგრამ საფიქრებელია, რომ მსახურთუხუცესი ძველი ჰელი უნდა იყოს[67].

თამარის მეფობის ხანაში პირველად ამ ჰელის მქონედ მოიხსენიება აფრიდონი: „აფრიდონ მსახურთუხუცესი“[68] — გიორგი III-ის სიკვდილის

63 „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 36.

64 მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ., 1962, № 71, გვ. 75.

65 იქვე, № 317, გვ. 108.

66 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 165.

67 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 182.

68 „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ, ე. ი. 1184 წელს, ამ პატივით მოიხსენიება იგი აგრეთვე XII ს-ის ქვემო ჯინისის წარწერაში, რომელიც ჩვენ ზემოთ გვაქვს განხილული.

გიორგი რუსზე დაქორწინების წინ, 1185 წ., თამარმა „უბოძა... მსახურთ-უხუცესობა ვარდანს დადიანსა“[69]. აქედან მოყოლებული გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ თამარმა ეს ჴელი უბოძა ივანე მხარგრძელს: „შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძეს ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა[70]. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, ამის შემდგომ ივანე მხარგრძელი ჩანს მსახურთუხუცესად[71].

„ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, ვარამ გაგელს მსახურთუხუცესობა უბოძა თამარმა[72]. როგორც ჩანს, ეს არის „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ქრონოლოგიური აღრევა: ვარამ გაგელი მსახურთუხუცესად იხსენიება ჟამთააღმწერელთან პირველად 1220 წელს — საგიმის ბრძოლის წინ[73]. როდის მიიღო მან ეს ხელი არ ჩანს. მასზე ადრე კი, თამარის მეფობის ბოლო წლებში (არა უგვიანეს 1207 წლისა) ივანე მხარგრძელი შეცვალა ვაჩემ[74], რომელიც გუნია-ყალის წარწერაში მსახურთუხუცესის რიგშია მოხსენიებული. ჩვენთვის არაა ცნობილი თუ როდის შეცვალა ვარამ გაგელმა ვაჩე. ეს შეიძლება მომხდარიყო 1207-სა და 1220 წლებს შორის.

ამრიგად, XII—XIII სს-ის მიჯნაზე, საქართველოს სამეფო კარზე, მსახურთუხუცესის ჴელი ეჭირათ შემდეგ პირებს:

1. აფრიდონი 1178—1185 წწ.;
2. ვარდინ დადიანი 1185—1188 წწ.;
3. ივანე მხაგრძელი —1183—1202/07 წწ.;
4. ვაჩე 1202/07—1207/20 წწ.;
5. ვარამ გაგელი 1207/20 წწ. —1240-იანი წწ.

## ათაბაგი

ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ათაბაგობა უცხოური წარმოშობის ინსტიტუტია და საქართველოში თურქული სამყაროდანაა შემოსული[75]. ათაბაგობა შეიძლება კიდევ სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული, მაგ., ავაგ მხარგრძელსა და სადუნს ათაბაგობა და ამირსპასალარობა ერთსა და იმავე დროს ჰქონდათ[76].

ივ. სურგულაძეს ფართოდ აქვს განხილული ეს საკითხი და მიდის შემდეგ დასკვნებამდე:

1. ათაბაგობის სახელო საქართველოში წარმოიშვა მსხვილი ფეოდალების მიერ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. იგი მსხვილი ფეოდალების გამარჯვების ერთ-ერთი შედეგი იყო.

---

69 „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 33.

70 იქვე, გვ. 55.

71 იქვე, გვ. 60, 67—68, 96, 101; ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

72 „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 110.

73 ჟამთააღმწერელი, ქ. ~ც, II, გვ. 164.

74 გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182—183.

75 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 7—8.

76 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ათაბაგობა, პირველ რიგში, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ იყო მიმართული. ათაბაგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ფუნქციების მითვისებას ცდილობდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა, საბოლოო ჯამში, მეფის ხელისუფლების დასუსტებას ისახავდა მიზნად, რადგან სწორედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი. ამიტომაც ათაბაგობის სახელოს წარმოშობა საქართველოს პოლიტიკურად დაშლის ხელისშემწყობი პირობა იყო. ეს მოსაზრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა.

3. ათაბაგს საქართველოშიც, ისე როგორც უცხო სახელმწიფოში, მეფის მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ ბრძოლაში ათაბაგს სასახლეში გავლენის მოსაპოვებლად სწორედ ეს ფუნქცია ესაჭიროებოდა.

მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია სახელმწიფო სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა.

4. ათაბაგი დარბაზისა და სავაზიროს წევრი იყო.

5. ათაბაგი ერთსა და იმავე დროს ცენტრალური აპარატის მოხელე იყო, როგორც ვაზირი და ადგილობრივი მმართველობის მოხელე, როგორც მთავარი[77].

ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ პატივცემული მეცნიერის ამ მოსაზრებებს. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ ათაბაგი თავდაპირველად არ იყო მთავრობის წევრი. ამას მოწმობს „ჴელმწიფის კარის გარიგება", სადაც ნათქვამია: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბგი ახ[ა]ლია"[78]. ამ დროს ათაბაგი მხოლოდ უფლისწულის გამზრდელი და მეურვე (რეგენტი) იყო. შემდეგ მოხდა მისი დაწინაურება და მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კვლავ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ითვლება მთავრობის მეთაურად, პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი" სინამდვილეში არის ათაბაგი[79].

ქართული წყაროების ცნობით, პირველად ათაბაგად მოიხსენიება ივანე ახალციხელი: „ხოლო მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტოვა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირად და უბოძა ათაბაგობა"[80]. მაგრამ ივანე ახალციხელის ათაბაგობის შინაარსი სხვაა. იგი მხოლოდ მხარის გამგებელია და არა უფლისწულის აღმზრდელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. თამარმა ეს ჴელი უბოძა ივანე მხარგრძელს[81]. ივანე მხარგრძელი გაათაბაგდა თამარის დროს, ე. ი. არა უგვიანეს 1207 წლისა. წყაროებში ივანე მხარგრძელი სიკვდილამდე ათაბაგად მოიხსენიება. იგი გარდაიცვალა 1227 წელს: ხვარაზმელთა პირველი შემოსვლის „შემდგომად ორისა წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი"[82], ხვარაზმელთა პირველი შემოსვლა კი, როგორც ცნობილია, იყო 1225 წელს.

---

[77] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49—50.

[78] ჴელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 95.

[79] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს (კონსპექტი), გვ. 59—60.

[80] „ისტორიანი და აზმანი", გვ. 92.

[81] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, III, გვ. 110.

[82] ჟამთააღმწერელი, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Г. К. ОТХМЕЗУРИ

# СТАРЕЙШИЕ ВАЗИРЫ В ГРУЗИИ В КОНЦЕ XII — НАЧ. XIII ВВ.

## (По эпиграфическим материалам)

Резюме

В грузинской феодальной монархии существовал институт старейших вазиров, который играл важную роль в государственной жизни страны. Все важнейшие вопросы государственного управления царь решал совместно с вазирами.

В нарративных источниках нет точных указаний о времени пребывания того или иного вазира на своем посту. В статье дана попытка скорректировать данные нарративных источников сведениями эпиграфических памятников и уточнить список вазиров, современников царицы Тамар.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-
დიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე მამაიაშვილი

# წმინდა გიორგის ცხოვრების ციკლი ტაბაკინის ეკლესიის მოხატულობაში

ქრისტიანულ სამყაროში, განსაკუთრებით კი საქართველოში, წმ. გიორგი ფართო პოპულარობით სარგებლობს — მის სახელზე აგებულია მრავალი ეკლესია, მის გამოსახულებას ვხვდებით მონუმენტურ მხატვრობაში, ფერწერულსა და ჭედურ ხატებში, ქანდაკებაში და სამინიატურო ფერწერაში. წმ. გიორგისადმი დიდი სიყვარული შეინიშნება ხალხურ პოეზიაში და ხალხური მხატვრობის ნიმუშებში.

ტაბაკინის ეკლესიის ხალხური ხასიათის მხატვრობაში წმ. გიორგის ცხოვრების ციკლს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ წარმოდგენილია წმ. გიორგის წამების 10 სცენა და მისი გამოსახულება ტრიუმფატორის სახით. თვალში გვხვდება სცენათა საინტერესო იკონოგრაფიული და სტილისტიკური თავისებურებანი, განპირობებული როგორც დროის ნიშნების გამოვლენით, ასევე ხალხური მხატვრის უშუალო მიდგომით დაკანონებულ სცენათა გადამუშავებისას. ცხოვრების ციკლში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ზოგიერთი სიუჟეტი, რომელიც იშვიათია ქართულ მხატვრობაში.

ტაბაკინის ეკლესია წარმოადგენს ორნავიან ნაგებობას კრიპტით და სტოათი. ნაგებობა თარიღდება VI—VII სს., ხოლო მხატვრობა, ისტორიული პირის გერასიმე ჩხეტიძის გამოსახულების მიხედვით, XVI ს-ის პირველი მეოთხედით[1].

მხატვრობის დამკვეთის გერასიმე ჩხეტიძის პორტრეტი მოთავსებულია სამხრეთის კედლის შუა მონაკვეთში, ქვედა რეგისტრში. პორტრეტს თან ახლავს ასომთავრულით შესრულებული გრძელი წარწერა:

**„აქა.: წამიდის.: გიორ/გის.: მონა/სატერი.: ძ/ალევისა.: და.: ყოლაწმიდისა.: ღა.: მათის.: მაშობალისა.: /დაკნილებული/დაოხრებული.: აღვაშენე.: /მე ჩახეტ/იძემა.: ქაოთათელ/მა.: გ/ერ/ა/სიმე...“[2]**

**„აქა წმინდა გიორგის მონასტერი ძლევისა და ყველაწმინდა ღვთისმშობელისა დაკნინებული დაოხრებული აღვაშენე მე ჩხეტიძემა ქუთათელმა გერასიმემ.“**

წარწერის მიხედვით, ეკლესია ძლევის წმინდა გიორგისა და ყველაწმინდა ღვთისმშობლის სახელობისაა. ორი წმინდანის სახელობის ეკლესიის არსებობის შემთხვევა საქართველოში, ტაბაკინის გარდა, არ არის ცნობილი. წარწერაში პირველ რიგში წმინდა გიორგის მოხსენიებით წმინდანთა იერარქიის დარღვევა და მისდამი მიძღვნილ სცენათა დიდი რაოდენობა გვაფიქრე-

---

[1] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 397; ნ. ჩუბინაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, წმ. გიორგის ეკლესია სოფ. ტაბაკინში, „ძეგლის მეგობარი“, № 18, გვ. 28—33.

[2] ტექსტში მოყვანილ ასომთავრულ წარწერებში შერეულია ნუსხური ასოები და ამავე დროს არის ენობრივი შეცდომებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინებს, რომ ღვთისმშობლის ეკლესია, აღდგენისა და მოხატვის ხანაში, ხელმეორედ არის ნაკურთხი წმ. გიორგის სახელზე.

ტაბაკინის ეკლესიაში შესვლისთანავე გვაოცებს მხატვრობის თავისებური ხასიათი. ყოველგვარი წესრიგის გარეშე ერთმანეთში შეჭრილი სცენები, შებოჭილი, მოუხეშავი ფიგურები, საკმაოდ გამომსახველი სახეები ოდნავ დაელმებული, ფართოდ გახელილი თვალებით, მიწის საღებავებისაგან შემდგარი ფერადოვანი გამა ამ მხატვრობის გამომსახველობას და, შეიძლება ითქვას, თავისებურ სილამაზეს ქმნის.

მოხატულობის პროგრამა მეტად მრავალფეროვანია — წარმოდგენილია ქრისტოლოგიური ციკლი, წმ. გიორგის წამების სცენები, ძველი და ახალი აღთქმის წმინდანთა ცხოვრების სიუჟეტები და ცალკეული გამოსახულებანი, ისტორიულ პირთა პორტრეტები.

წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი განლაგებულია მესამე რეგისტრში, ქრისტოლოგიური ციკლის ქვემოთ. სცენები იწყება სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთიდან, უწყვეტად მიჰყვება სამხრეთისა და დასავლეთის კედლებს და გადადის ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთში. ციკლის დამაგვირგვინებელია სამხრეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთში, წამებათა სცენების ქვემოთ მოთავსებული ტრიუმფატორი წმ. გიორგის გამოსახულება.

ადრინდელი ხანის მხატვრობაში ეკლესიის მფარველის წმ. გიორგის ცხოვრების სცენები ქვედა რეგისტრში თავსდებოდა, კარგად და ადვილად აღსაქმელ ადგილას[3], გვიანი პერიოდის მხატვრობა კი განსხვავებულ სურათს იძლევა: ტაბაკინის მოხატულობაში, წმ. გიორგის გარდა, გამოსახულია სხვა წმინდანთა ცხოვრების სცენები (წმ. ნიკოლოზის დიაკვნად კურთხევა, წმ. ზაქარიას თავისკვეთა, აბრამის მსხვერპლი, ორმოცი წამებული და ა. შ.), რომლებიც, წმინდანთა იერარქიის თანახმად, ეკლესიის მფარველის, წმ. გიორგის სცენათა ქვემოთ, მომდევნო რეგისტრში თავსდება (წალენჯიხის სამხრეთის ეკვდერის XVII ს-ის მოხატულობაში[4] წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი კამარაშია წარმოდგენილი).

წამებათა ციკლი იწყება წმ. გიორგის შეპყრობის კომპოზიციით, რომელსაც მთლიანად უჭირავს სამხრეთის კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთი (ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები წყვილი პილასტრებით სამ-სამ მონაკვეთად იყოფა), (სურ. 1,3) შემდეგ ნონაკვეთებში კი მოთავსებულია წამებათა ორ-ორი სცენა — შოლტით ცემა, ფოცხით ფხაჭნა, ბორბალზე დაკვრა, ქვაბში ხარშვა; დასავლეთის კედელზე — ლოდის დადება, ცეცხლზე დაწვა, კირის ორმოში ჩაგდება; ჩრდილოეთის კედელზე მოთავსებული ორი სცენა — წმ. გიორგი საპატიმროში (რომლის ერთი ფიგურა დასავლეთის კედელზეა გადასული) და თავის კვეთა.

მხატვრობის საერთო კომპოზიციური აგება არატექტონიკურია — არასწორი რეგისტრის ხაზები, მათი გადაკვეთა ფიგურებით, რეგისტრის ჰორიზონტალის დარღვევა ზედა სამ რეგისტრში, ქვემოთ კი სცენათა თავისუფალი განლაგება შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს სცენები ერთმანეთშია შეჭრილი. ამიტომ სცენები იკითხება არა დამოუკიდებლად, არამედ მთელი კედლის მხატვრობა აღიქმება ერთიან ხალიჩისებრ დეკორად.

---

[3] Е. Привалова, Павниси, Тб., 1977, გვ. 69.

[4] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 398.



სურ. 1. წმ. გიორგის შეპყრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლის სიბრტყისა და, შესაბამისად, კომპოზიციის სასურათო სიბრტყის ხალიჩისებრი პრინციპით შევსების მკაფიო გამოვლენაა დასავლეთის კედლიდან ჩრდილოეთის კედელზე გადასული სცენა — წმ. გიორგი საპყრობილეში. მას, ისევე როგორც წამებათა თითქმის ყველა კომპოზიციას (შეპყრობისა და თავის კვეთის გარდა), საფუძვლად უდევს სიმეტრიული სქემა — ცენტრში წმინდანი, ხოლო მის ორსავე მხარეს — მსგავს მოძრაობაში მყოფი თითო ჯალათი. ეს ჩაკეტილი კომპოზიციური სქემა ადრინდელი ხანის ნიმუშებიდან მომდინარეობს, მაგრამ პრიმიტივი მხატვრის ინტერპრეტაციით მას სრულიად განსხვავებული ხასიათი ეძლევა (სურ. 2).



სურ. 2. წმ. გიორგი საპყრობილეში; კირის ორმოში წამება; ფრაგმენტი ცეცხლით წამების სცენიდან.

კომპოზიციამ დაკარგა დამოუკიდებლობა, რაც პირველ რიგში გამოიწვია ჩარჩოს, როგორც კომპოზიციის შემომსაზღვრელის ფუნქციის დარღვევამ. არასწორი, ზოგან მეტად დამრეცი ჩარჩოს ხაზები თავისთავად მკაფიოდ არ საზღვრავენ სცენას, ხოლო მისი თავისუფალი გადაკვეთა ფიგურებით და ზოგან აუცილებლობის გარეშე გაკეთებული საფეხური, სცენას უკარგავს სიმყარეს, მდგრადობას. ყოველივე ეს შთაბეჭდილებას ქმნის, რომ პრიმიტივი მხატვრის აზროვნებისათვის არაორგანულია ტექტონიკური კომპოზიციური სქემა, ის ცდილობს მის დარღვევას.

ადრინდელი ხანის მონუმენტური ხასიათის კომპოზიციებში, რომელთა საფუძველია ლაკონიური სქემა, აქცენტირებულია მოქმედების აზრი (მესტიის ჯვრის სცენები, ნაკიფარი — XI ს.), ხოლო თავისუფალ ფონზე გამოყოფილი ფიგურები პლასტიკური ამოცანების გამოვლენის საშუალებას იძლევა[5]. ადრინდელისაგან განსხვავებით, ტაბაკინის მხატვრობის სცენებში ჩარჩოს ფუნქციის დარღვევა, სასურათო სიბრტყის მთლიანად შევსება ანგელოზის ფიგურით და გრძელი წარწერით, კომპოზიციას ატექტონიკურ ხასიათს ანიჭებს.

მხატვრობაში მთავარი სახვითი საშუალებაა უხეში, გაუწაფავი ნახატი, ხოლო შუქ-ჩრდილით მოდელირება შეცვლილია ხაზოვანი — სქემატური დამუშავებით. ტანსაცმლის ნახატში, დამუშავებაში ჩანს, რომ მხატვარი ნიმუშით ხელმძღვანელობს, მაგრამ გაუაზრებლად გამეორების შედეგად ნაკეცები სქემატურ, ორნამენტულ ხასიათს იღებს, რის გამოც ფორმა ბრტყელდება, მოძრაობა კი თითქოს გაყინული ხდება (ნიმუშიდან მექანიკურად გადმოტანილი წმ. გიორგის მწამებელ ჯალათთა ენერგიული მოძრაობა მოკლებულია სიძლიერეს და გამომსახველობას); განსაკუთრებით აბრტყელებს ფორმას სხეულის აგებულების გათვალისწინების გარეშე გადმოცემული ჭრელი ტანსაცმლის ქსოვილის ნახატი (ჯალათთა ტანსაცმელი).

ფორმის სქემატური დამუშავების შედეგად ფერადოვანი ლაქა თითქმის უცვლელი რჩება. მხატვრობაში ძირითადად გამოყენებულია ოთხი ფერი — მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი, ლურჯი და ნაცრისფერი. ფერთა შეზღუდული რაოდენობის გამო, ერთი და იმავე ფერების ხშირი გამეორებით და ჭარბი ნაცრისფერით, რომელიც ერთგვარად ანეიტრალებს ლოკალურ ფერადოვან ლაქათა კონტრასტებს, იქმნება მხატვრობის ერთიანი ფერადოვანი გამა.

წმ. გიორგის სცენებში, მომიჯნავე კომპოზიციებში მხატვარი იძლევა სხვადასხვა ფერის „ცას“ და „მიწას“ (ერთ სცენაში ყვითელი „მიწა“ და ლურჯი „ცაა“, მეორეში მოწითალო-ყავისფერი „მიწა“ და ყვითელი „ცა“); ერთსა და იმავე სცენაში ჯალათთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი განსხვავებული ფერისაა (ერთი ჯალათი თუ მოწითალო-ყავისფერ კაბაში და ლურჯ ფეხსაცმელშია, მეორე — ლურჯ ტანსაცმელში და ყავისფერ ფეხსაცმელში).

სხვადასხვა ფერის ფონები — მოლურჯო, ნაცრისფერი, ყვითელი, მოწითალო-ყავისფერი — საერთოდ ახასიათებს მხატვრობას, მაგრამ წმ. გიორგის სცენებში ფერთა კონტრასტული დაპირისპირება განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს, რაც შესაძლებელია ამ პერიოდში გავრცელებული ირანული მინიატურიდან მომდინარეობდეს, რომლის გავლენა წმ. გიორგის სცენებში სხვა ნიშნებშიც ვლინდება.

მხატვრობას ახასიათებს თავისებური, გულუბრყვილო გამომსახველობა. მხატვარი ცდილობს შთამბეჭდავად გადმოსცეს წმ. გიორგის წამება. მაგ., ბორბალზე წამების სცენაში ის ზედმიწევნით გადმოსცემს წმ. გიორგის იარებს, დასერილი სხეულიდან გამონადენ სისხლს (წყვეტილი მოწითალო-

---

[5] Г. Н. Чубинашвили, Один из памятников грузинской чеканки в Сванетии, «Ars georgica», т. III, გვ. 107; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966, გვ. 72.

ყავისფერი ზიგზაგებით არის დაფარული წმინდანის სხეული და ბორბლის ქვემოთ მოთავსებული მჭრელი იარაღები). ყველა სცენაში წმ. გიორგის სახეზე აღბეჭდილია მწუხარება, ტკივილი, რასაც მხატვარი აღწევს ტრადიციული ხერხით — ჩამოწეული თვალის კუთხეებით და შეჭმუხნული წარბებით.

სცენებში ყურადღებას იპყრობს ჯალათთა სპარსული ტანსაცმელი, რაშიც შეიძლება დავინახოთ მხატვრის სურვილი, ქრისტიანობისათვის თავდადებული წმინდანის წამება დაუკავშიროს მის თანამედროვე ხანას (სპარსეთის მიერ დაპყრობილი XVI ს-ის საქართველოს წინაშე დგას არა მარტო ქვეყნის დაცვის, არამედ სარწმუნოების შენარჩუნების პრობლემაც).

მხატვრის მიერ ჯალათთა სპარსულ ტანსაცმელში წარმოდგენით წამება თითქოს მხატვრობის შესრულების ხანაში ხდება, რაც აძლიერებს წამებათა სცენების ზემოქმედებას მლოცველზე.

პირველი სცენა, რომლითაც იწყება წამებათა ციკლი, არის წმ. გიორგის შეპყრობა. სხვა სცენებისაგან განსხვავებით, ეს მრავალფიგურიანი კომპოზიცია ფრიზისებრად არის გაშლილი. სცენის მარცხენა მხარეს გამოსახულია ტახტზე მჯდომარე მეფე, რომლისკენაც მიიმართება პროცესია — ორ მეომარს მოჰყავს თოკით შეკრული წმ. გიორგი, ხოლო ორი მსახური მეფეს მოახსენებს მისი შეპყრობის ამბავს; კომპოზიციის ზედა ნაწილში, ფიგურათა ზემოთ დარჩენილი საკმაოდ დიდი თავისუფალი არე შევსებულია სცენის შინაარსის განმსაზღვრელი, მსხვილი ასომთავრულით შესრულებული წარწერით:

„.:აქა.: ლობ... ოლ.: მეფემა.: წმიდა გიორგი/ხელთა.: შეიპყრეს.: განკითხათი.../მოიყნეს“.

„.:აქა.: ლობ... ოლ.: მეფემა.: წმიდა გიორგი ხელთ შეიპყრეს განკითხვისათვის... მოიყვანეს“.

„ლობ... ოლ(ზ) მეფემა“ — წმ. გიორგის მწამებელი მეფის სახელს უნდა აღნიშნავდეს. „წმ. გიორგის ცხოვრების“ ტექსტებში მეფე ორი სახელით არის ცნობილი: კანონიკურში მოხსენიებულია დიოკლეტიანე, ხოლო აპოკრიფულში დადიანე. ეს სახელები წარწერაში შემორჩენილი სიტყვის ფრაგმენტს — „ლობ-ოლ“-ს არ შეესატყვისება. როგორც ჩანს, ტექსტი დამახინჯებულია.

წმ. გიორგის შეპყრობის სცენა საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ხელოვნებაში როგორც ადრინდელ, ასევე გვიან პერიოდში (მესტიის ჭედური ჯვრის კომპოზიცია (XI ს.)[7], ბოჭორმის (XI—XII სს.)[8], უბისის (XIV ს.)[9] და წალენჯიხის სამხრეთის ეკვდერის (XVII სს.)[10] მოხატულობა, გორისჯვარისა და ბარაკონის ჭედური ჯვრების კომპოზიციები (XVII ს.)[11]. ძირითადად

---

[6] საქართველოში შემორჩენილია უამრავი ხელნაწერი წმ. გიორგის ცხოვრების ტექსტის სხვადასხვა ვარიანტით. მათგან მხოლოდ ორი ხელნაწერია აპოკრიფული—ეს არის ტერ ზაქარ სურამელის მიერ 1822 წ. სომხური სვინაქსარიდან ნათარგმნი აპოკრიფული ტექსტი, მეორე კი XIII ს-ის გელათის მეტაფრასული კრებული № 7, წმ. გიორგის ცხოვრების რამდენიმე ვარიანტით. ერთ-ერთი მათგანი (170 v—184 v) წმ. გიორგის ცხოვრების აპოკრიფული რედაქციაა (ე. პრიდალოვას ნაშრომის მიხედვით («Павниси», გვ. 128, 129).

[7] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[8] გ. ალიბეგაშვილი, ბოჭორმის წმ. გიორგის მოხატულობა, ძეგლის მეგობარი, № 9, 1969, გვ. 25—29.

[9] შ. ამირანაშვილი, ქართველი მხატვარი დამიანე, თბ., 1974, ტაბ. 56.

[10] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 398.

[11] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, табл. 501.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 3. დეტალი წმ. გიორგის შეპყრობის სცენიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სცენის აგების ორი პრინციპი შეინიშნება — ცენტრირებული და ფრიზისებრი, თუმცა თითოეულ კომპოზიციას გააჩნია განმასხვავებელი თავისებურებანი.

წამების მომდევნო სცენების აგების პრინციპი შემდეგნაირია — სცენები შემოსაზღვრულია არასწორი ფორმის, ვერტიკალურად დაგრძელებული ჩარჩოებით. ცენტრში მოთავსებულია წელამდე შიშველი წმ. გიორგის ფიგურა წამების შესატყვის მდგომარეობაში, მის ორ მხარეს კი სპარსულ ტანსაცმელში ჩაცმული თითო ჯალათია გამოსახული. ისინი სამი მეოთხედით არიან ნაჩვენები, ცალი ფეხი წინ, ხოლო მეორე უკან აქვთ გადადგმული, ხელში უჭირავთ წამების იარაღები. სცენის ზედა ნაწილში ჩართულია მფარველი ანგელოზის ფიგურა. წმ. გიორგის თავის კვეთის სცენაში მხოლოდ ერთი ჯალათია გამოსახული და სცენის შინაარსისაგან გამომდინარე მფარველი ანგელოზი არ მონაწილეობს. ყველა კომპოზიციაში გამოსახულებათა შორის დარჩენილი არე შევსებულია გრძელი ასომთავრული ან მხედრული წარწერით, რომელიც საკმაოდ სრულად განსაზღვრავს მომხდარ ამბავს.

წამების სცენათა დიდი ნაწილი საკმაოდ გავრცელებულია როგორც ადრინდელ, ასევე გვიანი პერიოდის ქართულ ძეგლებში. შოლტით, ფოცხით, ბორბალზე, ლოდით წამებათა სცენების ჩამოყალიბებულ ნიმუშებს ვხვდებით ჯერ კიდევ მესტიის ჭედურ ხატზე (XI ს.). დეტალებში განსხვავებათა მიუხედავად, დასახელებულ სცენებს ძირითადად საფუძვლად უდევთ შემუშავებული სქემა — ცენტრში გამოსახულია წმინდანის ფიგურა, ხოლო აქეთიქიდან მას საზღვრავს თითო ჯალათი. ეს სქემა გვიანდელ ნიმუშებში სახეს იცვლის — შეიმჩნევა მოქმედ პირთა რაოდენობის გაზრდა და მთიანი და არქიტექტურული ფონების განვრცობა, რითაც საერთოდ ხასიათდება XIV საუკუნის მომდევნო ხანების მხატვრობა. მაგალითად: შოლტით ცემის ადრინდელ ნიმუშებში, მესტიის ჯვრისა და წვირმის სცენაში (XI ს.)[12] ორი ჯალათი მონაწილეობს, უბისის მხატვრობაში — სამი (XIV ს.), ხოლო წალენჯიხის ტაძრის ეკვდერში გამოსახულ ამ სცენაში (XVII ს.) — ხუთი. ტაბაკინის მხატვრობის სცენებში, ადრინდელი ნიმუშების მსგავსად, პერსონაჟთა რაოდენობა მინიმალურია, ხოლო მოქმედების ადგილი, უმეტეს შემთხვევაში, განუსაზღვრელი. შესაძლებელია, ტაბაკინის მხატვარმა-პრიმიტივმა ამგვარი სქემა აირჩია როგორც ნათელი, მისთვის ადვილად შესასრულებელი, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი ინტერპრეტაციით ამ სქემის საფუძველზე ადრინდელისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათის კომპოზიციები იქმნება.

ტაბაკინის სცენებში გავრცელებული ნიმუშებისაგან განმასხვავებელი დეტალია ანგელოზის მონაწილეობა. ტექსტის მიხედვით, ანგელოზის დახმარება მხოლოდ კირის ორმოში წამებისას გვხვდება[13], ამიტომ ამ წამების ამსახველ სცენებში ხშირია მფარველი ანგელოზის გამოსახვა (აჭი — XIII ს.[14], ვეჩის (სერბია) საპატრიარქოს ხატის ტვიფრის სცენა — XVII ს.[15] ანგელოზის მო-

[12] Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, ნახატი 14, გვ. 79.

[13] „...არა იყო ხორცთა მისთა ზიწი ვნებისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა ფარავდა მას და განუქარვებდა სიმხურვალესა“: მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურგი, 1892, გვ. 53.

[14] Дж. Иосебидзе, Некоторые черты иконографии и стиля в росписи XIII века из Ачи, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.

[15] J. Myslivec, Svaty Jiri ve vychodokrstanském umeni, «Byzantinoslavica», V, Praha, 1933—1934, ტაბ. 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილეობის იშვიათ შემთხვევებს ვხვდებით აგრეთვე ბორბალზე წამების სცენებშიც [ბოჭორმის მხატვრობაში ძნელი გასარკვევია მაკურთხებელი ქრისტეს თუ ანგელოზის ფიგურაა გამოსახული,[16] ტემსკოს (სერბია) მხატვრობაში (1654 წ.)[17] ანგელოზი ცდილობს წმ. გიორგის ბორბლიდან ჩამოხსნას, პეჩის (XVII ს.) ხატის სცენაში კი ანგელოზი ეხვევა და ამხნევებს წმ. გიორგის]. წამების დანარჩენ სცენებში ანგელოზის მონაწილეობა ჩვენთვის უცნობია. მფარველი ანგელოზის ფიგურის გაუთავებელი გამეორებით ტაბაკინის პრიმიტივ მხატვარს, როგორც ჩანს, სურდა თვალნათლივ ეჩვენებინა ღვთის მფარველობა.

ანგელოზის მონაწილეობის გარდა, ტაბაკინის სცენებს ახასიათებს კიდევ რამდენიმე თავისებურება: „კირის ორმოში" წამების სცენაში ჯალათები ჩვეულებრივ ნიჩბებს ურევენ კირს, ტაბაკინის სცენაში კი ნიჩბების ნაცვლად მათ ხელში უჭირავთ თოკის ბოლოები, რომლითაც წმ. გიორგია შეკრული. ჯალათთა მოძრაობას მხატვარი ისევე გამოსახავს, როგორც ნიჩბებით მუშაობას ესაჭიროება. ასევე თოკებით შეკრულია გამოსახული წმ. გიორგი საპყრობილეში, ხოლო წმინდანის ორსავე მხარეს მდგომი ჯალათები შეცქერიან მის საშველად მოფრენილ ანგელოზს. საპყრობილეში მყოფი წმ. გიორგი მეტად უცნაურად არის გამოსახული — ის მოთავსებულია შენობის ქვედა ნაწილში, ჯურღმულში, მაგრამ ამავე დროს შენობის ფასადის წინ, სარკმლებს შორის ჩანს მისი შარავანდიანი თავი. მხატვარი-პრიმიტივი ისე გამოსახავს წმინდანს, როგორც უნდა გამოჩენილიყო ის სარკმელში ჩახედვისას. კომპოზიცია „წმ. გიორგი საპყრობილეში" ქართულ მხატვრობასა და ჭედურ ხატებში „ლოდის დადების" გარეშე, დამოუკიდებლად არ გვხვდება. სცენის სხვადასხვა ვარიანტი გამოსახულია პოგოდინის (XIV ს.)[18] და პეჩის (XVII ს.) ხატების ტვიფრებზე. ტაბაკინის სცენა ამ თემაზე შესრულებულ არც ერთ ნიმუშს არ ჰგავს და, ამიტომ, საფიქრებლია, რომ მხატვარს არ ჰქონდა მისი ნიმუშები და მან კომპოზიცია ააგო წამებათა სხვა სცენების მიხედვით — ცენტრში მოათავსა წმინდანი, ხოლო აქეთ-იქეთ ჯალათები. ნიმუშის უქონლობას გვაფიქრებინებს აგრეთვე წმ. გიორგის პირობითად გულუბრყვილოდ გამოსახვა ციხის კედლის წინ.

დასახელებულ გავრცელებულ სცენათა გარდა, ტაბაკინის მოხატულობაში წარმოდგენილია კომპოზიციები, რომლებიც იშვიათია ქართულ მხატვრობაში. ეს სცენებია — აპოკრიფულ სიუჟეტზე შესრულებული „ქვაბში ხარშვა" და „ცეცხლზე დაწვა".

„ქვაბში ხარშვა" აპოკრიფულ ტექსტში შემდეგნაირად არის აღწერილი: **„წარმოდგეს სიავი დიდი და ზეთითა აღავსეს იგი და აღატყინეს და ვინაჲთგან ზესთგარდარეულად მფოფინარედ იხილეს ზეთი იგი შთამიტევეს მ῀ს შ῀ა**[19]. **„წარმოდგეს სიავი დიდი და ზეთითა აღავსეს იგი და აღატყინეს და ვინაჲთგან ზესთგარდარეულად მფოფინარედ იხილეს ზეთი იგი შთამიტევეს მას შინა".**

კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ქვაბში მდგომი, წელამდე შიშველი წმ. გიორგი ორანტას პოზაში. მის ორსავე მხარეს მდგომი ჯალათები ცეცხლს

[16] Е. Привалова, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[17] J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V.

[18] იქვე, ტაბ. 'II.

[19] გელათის მეტაფრასი, № 7, გვ. 179. ქვაბში ხარშვა აღწერილია აგრეთვე Cod—Ath—343—XVI ს.— J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

ალვივებენ. მარცხენა ზედა კუთხეში მოთავსებულია მაკურთხებელი ანგელოზი. სცენას ახლავს ასომთავრული წარწერა:

„აქა.: წმიდა.../ქაფაშია ჩას ვ(ე)ს.../რეს.: ნავთი.: შე... ეს/ცეც... მო,../მო.../და.: ...გაკ.../ნა“.

„აქა წმინდა (გიორგი) ქვაბში ჩასვ(ე)ს... ნავთი შე(ასხ)ეს ცეცხლი მო(უკიდეს) მო(ვი) და.: (ანგელოზი) (და) განკ(ურნა)“.

წარწერაში ნახსენები ნავთი აპოკრიფულ ტექსტში არ არის მითითებული, ამიტომ შესაძლებელია, რომ თვით მხატვარმა დაამატა ის.

„ქვაბში ხარშვის“ წმ. გიორგის წამების მეორე ნიმუშს ვხვდებით წალენჯიხის ეკვდერის XVII ს-ის მხატვრობაში, ჯვაროვანი კამარის სამხრეთ მონაკვეთში. წალენჯიხის სცენას ტაბაკინისაგან განასხვავებს განვითარებული არქიტექტურული ფონი, ჯალათთა სიმრავლე (7) და აგრეთვე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაბაკინის ყველა სცენაში მონაწილე ანგელოზის ფიგურა.

„ქვაბში ხარშვის“ სცენა, ქართული მხატვრობის მსგავსად, მხოლოდ XIV ს-ის შემდეგ გვხვდება რუსეთის, რუმინეთისა და სერბიის ძეგლებში (პოგოდინის ხატის ტვიფრი — XIV ს.,[20] ვორონეცის მხატვრობა — 1550 წ.[21], სუჩევიცა — XVI ს.[22], პეჩის საპატრიარქოს ხატის ტვიფრი — XVII ს.)[23]. დასახელებული ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ ასეთი ძლიერი წამების გამოსახვა გვიანი ხანის მხატვრობაში გავრცელდა.

„ცეცხლით წამების“ სცენაში წმ. გიორგი გამოსახულია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თითქოს ჰაერში დაკიდებული (საწოლი, რომელზედაც წმ. გიორგი უნდა იყოს დაკრული, არ გაირჩევა). მისი წელამდე შიშველი სხეული ცეცხლის ალშია გახვეული. კომპოზიციის ზედა ნაწილში გამოსახულია წმ. გიორგის საშველად მოფრენილი ანგელოზი. წმინდანის ორსავე მხარეს დგანან ჯალათები წამების იარაღებით ხელში. სცენის განმსაზღვრელი წარწერა შემორჩენილია საკმაოდ ფრაგმენტულად.

სცენა უკავშირდება აპოკრიფულ ტექსტში აღწერილ წმ. გიორგის ცეცხლზე წამებას, რომელშიც ანგელოზის მონაწილეობა არ არის მითითებული:

„... რვალი ცხედრისა შემოლება˜ჲ და ჩ˜მი და მ˜სზ˜ა გ˜ნრთხმაჲ ბრძ˜ნა და ქუჱით უკუჱ ფიჩხთა მგზებელობა˜ჲ ხ˜ ზეით უზელელითა და ჱმელითა ძარღუჱბითა სიმძაფრით მგუჱმელობ˜ჲ“[24].

„... რვალი ცხედრისა შემოლებაჲ და ჩემი და მასზე და განრთხმაჲ ბრძანა და ქუჱით უკუჱ ფიჩხთა მგზნებელობაჲ ხოლო ზეით უზელელითა და ჱმელიძარღუჱბითა სიმძაფრით მგუჱმელობაჲ“.

ხოლო ამ თემის სხვადასხვა ვარიანტი ჩვენთვის ცნობილია გვიანი ხანის.

წმ. გიორგის ცეცხლზე დაწვის სცენა ქართულ ძეგლებში არ გვხვდება, რუმინულ და სერბულ ძეგლებში (ვორონეცის მხატვრობა (XVI ს.)[25], პეჩის საპატრიარქოს ხატვის ტვიფრი (XVII ს.)[26]).

ტაბაკინის ცეცხლით წამების სცენის ზუსტი პარალელი არ გაგვაჩნია,

---

[20] J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I.

[21] იქვე, ტაბ. $IX_{,1}$.

[22] იქვე, ტაბ. $IX_2$.

[23] იქვე, ტაბ. $I_2$.

[24] გელათის მეტაფრასი, № 7, გვ. 178v.

[25] J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, ტაბ. $IX_1$.

[26] იქვე, ტაბ. $I_2$.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო წამების ამ სახის სხვადასხვა ვარიანტის არსებობა XVI—XVII სს. მიგვითითებს, რომ ეს თემა გვიან ხანაში გავრცელდა.

წამებათა ციკლი დასრულებულია თავის კვეთის კომპოზიციით. ცენტრში, შენობის ფონზე, გამოსახულია ფეხზე მდგომი, წელში მოხრილი წმ. გიორგი, რომლის სისხლიანი თავი მიწაზე გდია. ჯალათს ცალი ხელი წმინდანის სხეულზე უდევს, ხოლო მეორეში ხმალი აქვს მომარჯვებული.

ქართულ მხატვრობაში გავრცელებულია თავის კვეთის სხვადასხვა ვარიანტი (ნაკიფარის —XI ს., ბოჭორმის —XII ს., დერჩისა —XVII ს. და ქურაშის ეკლესიათა მოხატულობა). ტაბაკინის კომპოზიციას დასახელებული ნიმუშებისაგან განასხვავებს თავმოკვეთილი წმ. გიორგის ფეხზე დგომა. სცენის ამ იშვიათი რედაქციის ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებია — წალენჯიხის სამხრეთის ეკვდერის მხატვრობისა და მარიუპოლის ხის ხატის კომპოზიციები (XI ს.)[27].

ტაბაკინის მხატვრობაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ტრიუმფატორი წმ. გიორგის დიდ გამოსახულებას (სამხრეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი). მის გვერდით, დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთში, მოთავსებულია ცხენოსანი თევდორე. ორივენი საკურთხევლის საწინააღმდეგო მხარეს, დასავლეთის კარისაკენ არიან მიმართულნი და, როგორც ჩანს, ეკლესიის მცველებად არიან გააზრებულნი, მით უმეტეს, რომ კარის მეორე მხარესაც მეომარი წმინდანების ფიგურებია გამოსახული.

წმ. გიორგი გამოსახულია თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთ ხელში ალვირი უჭირავს, მეორეში კი მახვილი აქვს მომარჯვებული. ცხენის ფეხებთან გაირჩევა მარგალიტებით შემკული ტანსაცმლის ფრაგმენტი, რომელიც დიოკლეტიანეს ეკუთვნის, ხოლო კომპოზიციის მარჯვენა მხარეს შემორჩენილი კაბის კალთა, ჩვენი აზრით, წმ. გიორგის მიერ დახსნილი ქალიშვილისა უნდა იყოს. სცენა განსაზღვრულია ფრაგმენტულად შემორჩენილი წარწერით:

„:წა.: გიორგი.: ძლევის... ——წმ. გიორგი ძლევის...“

წმ. თევდორე, ისევე როგორც წმ. გიორგი, ზის თეთრ ცხენზე, რომლის ფეხებთან გაირჩევა თევდორეს მიერ განგმირული გველეშაპის ფრაგმენტი.

წმ. გიორგის და წმ. თევდორეს წყვილი გამოსახულებანი საქართველოში ძალიან გავრცელებულია. ამ სიმბოლურ კომპოზიციაში ჩვეულებრივ წმ. გიორგი კლავს დიოკლეტიანეს და მისი სახით ანადგურებს ბოროტ ძალას, ხოლო თევდორე გმირავს გველეშაპს[28]. ამიტომ, არ არის ლოგიკური წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს დათრგუნვის სცენაში გველეშაპის ტყვეობიდან განთავისუფლებული ქალიშვილის გამოსახვა, რომლის შეტანით მხატვარმა ერთმანეთში შეურია სიმბოლური და „ისტორიული“ კომპოზიციის ნიშნები.

მხატვრობაში წარმოდგენილი წმ. გიორგი გავრცელებულ იკონოგრაფიულ ტიპს მისდევს — მაღალი, ახალგაზრდა, თხელი, უწვერულვაშო, სწორი ნაკვთებით, წითური ლოყებით, წამების სცენებში გამოსახულია წელამდე შიშველი, თავისკვეთისა და შეპყრობის კომპოზიციებში ტრადიციულად — ქიტონში (სურ. 4). ჯალათებისა და მეფის მსახურთა ტიპი აღმოსავლურია — მოგრძო ფორმის, ირიბად ჩასმული თვალები, მომრგვალებული წარბები, მსხვილი ცხვირი, გრძელი, გაწკეპილი ულვაშები. ჯალათთა ტანსაცმელი სხვადასხვა-

[27] მისლივეცის მითითებით, მარიუპოლის სცენა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ თავმოკვეთილი წმ. გიორგი ფეხზე დგას (J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, გვ. 350, 351).

[28] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, გვ. 341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირია: ტანსაცმლის ერთ-ერთი სახეა როგორც ადრინდელ, ასევე გვიანი ხანის ძეგლებში გავრცელებული მანიაკით შემკული მოკლე კაბა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი; ჯალათთა უმეტესობის ტანსაცმელი კი ირანული ყა-



სურ. 4. დეტალი წმ. გიორგის შეპყრობის სცენიდან

იდისაა — ჩალმები, ფარფლებიანი, ძვირფასი ქვებით შემკული ქუდები, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, შარვლის ზემოთ მოკლე კაბა, საიდანაც სამკუ-

თხედის სახით მოჩანს პერანგი, წელს ქვემოთ ქამარი. აღწერილი ტანსაცმლის პარალელები უხვად გვხდება ირანულ მინიატურებში[29].

წმ. გიორგის წამების სცენებში შემჩნეული ირანული გავლენა არ არის შემთხვევითი. XVI—XVII სს. საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგში აღინიშნება აღმოსავლური, განსაკუთრებით კი ირანული ელემენტების შეთვისება[30]. ყველაზე უფრო ძლიერად უცხოური გავლენა ჩანს საერო მინიატურაში[31].

მკვლევარი ე. პრივალოვა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წმინდანთა ცხოვრების სცენებში მეტ-ნაკლებად ირეკლება საერო ფერწერა[32]. ამ აზრის დადასტურებაა ტაბაკინის წმ. გიორგის ცხოვრების სცენები, რომლებშიც აშკარად იგრძნობა ირანული გავლენით შესრულებული საერო მინიატურის ზემოქმედება. მინიატურით შთაგონების მაჩვენებელია: სცენათა და ფიგურათა პატარა ზომები; კონტრასტულად დაპირისპირებული ფერადოვანი ლაქები; წმ. გიორგის შეპყრობის სცენაში ნეიტრალურ ფონზე ბრტყელ ფიგურათა რიტმული განლაგება და ასევე ირანული ყაიდის ტანსაცმელი, რომელიც მხატვარს ირანული მინიატურიდან უნდა გადაეღო.

ტაბაკინის მხატვრობის წმ. გიორგის წამებათა ციკლში, როგორც მისი განხილვისას ვნახეთ, არის ცხოვრების როგორც კანონიკურ, ასევე აპოკრიფულ ვერსიაზე დაფუძნებული სცენები. ციკლში სხვადასხვა ტექსტებზე დაყრდნობილ თემათა შეკრება ჩვეულებრივი მოვლენაა — „არც ერთი ციკლი არ წარმოადგენს ერთი ლეგენდის ზუსტ ილუსტრაციას, რადგან მხატვრები ლეგენდებიდან ირჩევენ ცალკეულ მოტივებს და თავისუფალ ციკლებად კრებენ. ამ არჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ დროის გემოვნებასა და გარემოს. პოგოდინის პრიმიტული ხასიათის ხატი შეიცავს განსაკუთრებით ძლიერ წამებებს, ხოლო მაღალი ხელოვნებით შესრულებული XIV ს-ის სერბული მხატვრობა, პირიქით, წმ. გიორგის გამარჯვებებს უსვამს ხაზს"[33].

ტაბაკინის მხატვრობაში აპოკრიფული სცენების წარმოდგენა, ისევე როგორც პოგოდინის პრიმიტული ხასიათის ხატში აპოკრიფული ტექსტის ძლიერ, ფანტასტიკურ წამებათა შერჩევა, შეიძლება აიხსნას პრიმიტივი მხატვრის სურვილით რაც შეიძლება შთამბეჭდავად გადმოსცეს წმ. გიორგის წამება და მისი სასწაულებრივი გადარჩენა.

ადრინდელი ხანის მხატვრობაში წმ. გიორგის ცხოვრების აპოკრიფული ვერსიის მხოლოდ ერთი თემა — „ფხაჭნა" იყო პოპულარული, ხოლო მომდევნო პერიოდში კი ამ სცენის გარდა „ცეცხლზე დაწვა", „ქვაბში ხარშვა", „ხერხვა" და სხვა განსაკუთრებით ძლიერი წამებანი ვრცელდება. ახალი თემების შეტანით იქმნება თხრობითი ხასიათის ციკლები, რაც ახასიათებს XIV საუკუნის მომდევნო ხანის მხატვრობას.

---

[29] J. Stchoukine, Les peintures des manuscrits timûrides, 1954, Paris, ტაბ. XLII, XLI; A. Pope, A Survey of Persian Art, vol. V, 1938, London and New York, ტაბ. 870.

[30] Г. Н. Чубинашвили, Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии, Международный конгресс по иранскому искусству и археологии, М.—Л., 1939, გვ. 253; ი. ხუსკივაძე, ქართული საერო მინიატურა, თბ., 1976, გვ. 8—11.

[31] ი. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—11.

[32] Е. Привалова, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[33] J. Myslivec, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ტაბაკინის მხატვრობის წმ. გიორგის წამებათა ციკლში მხატვარმა შექმნა თავისებური, ორიგინალური სცენები, რაშიც გამოვლინდა დაკანონებული რედაქციებიდან მისი შედარებითი დამოუკიდებლობა.

И. Ф. МАМАИАШВИЛИ

## ЖИТИЙНЫЙ ЦИКЛ СВЯТОГО ГЕОРГИЯ В РОСПИСИ ЦЕРКВИ СЕЛЕНИЯ ТАБАКИНИ

Резюме

В росписи XVI века церкви селения Табакини (Зестафонский район) представлена многообразная иконографическая программа, в которой значительное место занимает цикл мученичества св. Георгия, завершавшийся изображением св. Георгия триумфатора.

В результате стилистического и иконографического анализа в цикле выявлены художественные особенности этой росписи, а также черты, характерные для того времени.

Сравнительно с более ранним периодом, в житийном цикле табакинской росписи возрастает число сцен, что является результатом обогащения апокрифическими сюжетами — включены сцены, редко изображавшиеся в грузинском искусстве. Несмотря на лаконичное решение каждой композиции, множество сюжетов придает циклу повествовательный характер.

В сценах мученичества св. Георгия прослеживается влияние светского искусства, через которое в них проникают некотоые особенности персидской миниатюры. Примитивное исполнение определяет непосредственную выразительность и своеобразную прелесть этой росписи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

М. Г. ХВЕДЕЛИДЗЕ

# МЕМФИССКИЙ ТРАКТАТ

## Перевод текста и комментарии

В древнем Египте было несколько религиозных школ. Каждая из них выдвигала свою «версию» происхождения вселенной. Пожалуй, одной из наиболее оригинальных является теология, созданная мемфисскими жрецами в честь Пта, бога-покровителя их города. Мемфисская теология создавалась на заре третьего тысячелетия до н. э., являясь, таким образом, почти ровесницей объединенного египетского царства[1], однако сохранилась в гораздо более позднем списке, сделанном по приказу фараона XXV (эфиопской) династии Шабаки в VIII веке до н. э.

«Мемфисский трактат» был перенесен писцами Шабаки на черную гранитную плиту размером 0,92 х 1,375 м. с более хрупкого материала, уже к тому времени истлевшего и изъеденного червями. Надпись, состоящая из двух горизонтальных и шестидесяти двух вертикальных строк, имеет площадь 0,688 х 1,32 м. Она сильно повреждена: имена Шабаки и бога Сета тщательно стерты, посередине плиты проделана дыра около 0,12 х 0,14 м., от которой тянутся четыре ломанных канала. Плита была использована арабскими феллахами как мельничый жернов, из-за чего совершенно стерлась большая площадь текста[2]. В таком состоянии она была подарена Британскому музею в 1805 г. неким графом Спенсером и находится там под инвентарным номером 797.

По своему содержанию текст делится на две части. В первой (строки 3—47)[3] речь идет об исторических событиях — объединении Египта и возвышении Мемфиса. С 48-й строки излагается теологическая спекуляция в честь Пта.

Существует несколько изданий текста[4]. Из них надо выделить

---

[1] Мнения ученых о времени создания текста расходятся. А. Эрман и К. Зете (A. Erman, Ein Denkmal memphitischer Theologie, Sitzungberichte der Kön. Preuss. Akad. der Wissenschaften, 1909, стр. 916—950; K. Sethe, Dramatische Texte zu altägyptischen Mysterienspielen, 1, Das Denkmal memphitischer Theologie, in Untersuch. Zur Geschichte und Altertumskunde Ägyptens, Bd. X, Leipzig, 1928) считают временем создания теологии эпоху объединения Египта и строительства Мемфиса (т. е. эпоху I—II династий), тогда как Г. Юнкер, исходя из исторических и политических данных, называет время несколько более позднее—эпоху Древнего царства (H. Junker, Die Götterlehre von Memphis, aus dem Abh. der preuss. Akad. der Wissenschaften- nr. 23, Leipzig, 1928).

[2] Размеры повреждений даются по данным Брэстеда (The philosophy of a Memphite Priest, ZÄS, 39, 39—50).

[3] Строки 1—2, написанные от имени Шабаки, сообщают нам, что «его величество переписал эту книгу заново в «доме Пта», что книга эта, составленная предками, была изъедена, червями и не имела начала и конца.

[4] Первая публикация принадлежит Шарпу в Inscriptions, 1, 36—38, однако она настолько ошибочна, что по мнению Эрмана (Ein denkmal, стр. 916), ее даже нельзя принимат в счет.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

названные выше работы Брэстеда, Эрмана, Зете и Юнкера; однако переводы Брэстеда и Эрмана несколько фрагментарны, а Зете, по собственному признанию, интересовался в основном первой, драматической частью текста, которая по содержанию больше подходит к общему заглавию его работы[5].

Наиболее обзорным и обширно комментированным является юнкеровское издание. Надо отметить, однако, что перевод Юнкера несколько субъективен. Дело в том, что Юнкер выдвигает гипотезу о существовании древнейшего общеегипетского бога Ура (Wr); по его мнению, Атум не что иное, как одно из многих имен Ура, употребляемое в Гелиополе[6]. Не располагая никаким археологическим материалом, Юнкер старается доказать свою гипотезу построенной на чисто умозрительных доводах трактовкой сложносоставных египетских собственных имен и титулов с компонентом wr. Весь перевод мемфисского трактата он подчинил доказательству правильности своей гипотезы. Здесь нельзя не вспомнить слова З. Моренца о том, что трудности, возникающие при переводе египетских текстов, носят часто не грамматический или графический характер, а возникают по причине полного отличия египетского мышления от нашего[7]. Поэтому свободный перевод египетских текстов, подчиненый принципам нашей логики, весьма условен.

Работая над переводом интересующей нас части мемфисского трактата (теологическая часть, строки 48—61), мы старались максимально придерживаться правил египетской грамматики и лексики, опираясь в основном на грамматику А. Гардинера[8], М. А. Коростовцева[9] и большой египетский словарь Эрмана — Грапова[10]. Египетский текст приводится по таблице, опубликованной Брэстедом в «Philosophy of a memhite Priest». Некоторые поправки сделаны по изданию Зете (Das denkmal...)

---

[5] K. Sethe, указ. соч., с. 6.

[6] H. Junker, Die Götterlehre..., стр. 25—37.

[7] S. Morenz, Egyptian Religion, Cornell Univ. Press. Ithaca, 1974, c. I.

[8] A. Gardiner, Egyptian Grammar, Oxford Univ. Press, 1973.

[9] М. А. Коростовцев, Введение в египетскую филологию, М., 1963.

[10] Wörterbuch der ägyptische Sprache, herausgegeb. von A. Erman und H. Grapow, Berlin, 1955. Далее в ссылках будет упоминаться как WB.


48.
49a
50a
51a
52a
49c
50b-51b
52b
53.
54.
55


56.
57.
58.
59.
60.
61.

48. nṯrw ḫpr. w m ptḥ
49a. ptḥ ḥr s. t wr. t
50a. ptḥ nnw i. t tm
51a. ptḥ nw. t mw. t ms tm
52a. ptḥ wr h3. t ns pw n psḏ. t
49b. . . . . . . . . . . . . . n s nṯrw
50b. . . . . . . . . . . . . . .
51b. . . . . . . . . . . . . . .
52b. . . . . . . . . . . . nfr. tm r šr. t r′ hrw. nb
53. ḫpr m h3t ḫpr m ns m ti. t tm iw wr ′3 ptḥ swḏ nṯrw nb. w k3w. sn sk
54. ḫpr. n ḥr im. f ḫpr. n ḏḥtj im. f m ptḥ ḫpr. n sḫm ib ns m ′tw nb ḥr sb wnt. f m ḫn. t ẖ. t nb m ḫn. t r3 nb n nṯrw nb. w rm. t nb ′wt nb ḥf3. t nb ′nḫ. t ḥr k33t ḥr wḏ ḫ. t nb mrrt. f
55. psḏ. t. f m-b3ḥ. f m ibḥw mtw. t sptw ḏr. ty tm ḫpr. n is psḏ. t nṯrw tm m mtw. t. f m ḏb3w. f psḏ. t nṯrw ḥm pw ibḥw spt m r3 pn m3ṯ rn n ḫ. t nb pr. n šw tfnw. t im. f
56. ms. n psḏ. t nṯrw m33 ir. ty sḏm msḏr. j ssn fnḏ s′ r. sn ḫr ib ntf dd prj ′rḳj. t nb in ns wḥm k33. t h3· t sw ms nṯrw nb. w tm psd. t. f sk ḫpr. n is mdw. nṯr nb m k33. t h3. t wḏ. t ns
57. sw ir k3w mtnw ḥmws. t irr ḏf3w. nb ḥtp. t nb m md. t ṯn irr mrr. t msḏ. t sw di ′nḫ n ẖr-ḥtp di m. t n ẖr-ḫbn. t sw ir k3. t nb ḥm. t nb ir. t ′wj šm rdwj
58. nmnm ′t. nb ḫft wḏ-mdw n k33. t ib pr. t m ns irr. t im3h n ḫ. t nb ḫpr. n ḏd ir tm sḫpr nṯrw r ptḥ t3tnn is pw ms nṯrw pr. n ḫ. t nb im. f m ḥtp-ḏf3 m
59. ḥtp-nṯrw m ḫ. t nb. t nfr. t sw gm s33 ′3 pḫtj. f r nṯrw sw ḥtp ptḥ m-ḫt ir. t. f ḫ. t nb. t mdw-nṯr nb sk ms. n. f nṯrw ir. n. f njwtjw grg. n. f spw. t di. n. f ntrw hr hm(w)
60. sn srwḏ. n. f p3. t. sn grg. n. f ḫmw. sn stw. t. n. f ḏ. t. sn r ḥtp ibw. sn sw ′ḳ nṯrw m ḏ. t. sn m ḫ. t nb m ′3. t nb m im. nb ḫ. t nb rd ḥr ḥ. t. f
61. ḫpr. n. sn im sw i ′b. n. f nṯrw k3w. sn is ḥtpj ẖnmj m nb t3wj

48. Боги, происшедшие из Пта:[1]
49. Пта на великом троне.......
50. Пта-Нун — отец Атума.
51. Пта-Нут — мать, родившая Атума.
52. Пта великий[2] — это сердце* и язык эннеады.
49. ......... Родивший богов.
50. ..................
51. ..................
52. ..... — Нефертум у носа Ра каждый день.

---

* Здесь надо отметить, что египтяне считали сердце седалищем мысли и слово «сердце» как здесь, так и в других местах, надо понимать как «разум» в современном смысле.

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. Произошел из сердца — произошел из языка образ Атума[3]. Велик, Пта, передающий (жизнь?) всем богам и их Ка из сердца этого, из языка этого...[4]
54. Произошел Гор из него — произошел Тот из него — из Пта.[5] Простерлась власть сердца и языка над каждым членом[6] согласно учению, что он (Пта) есть[7] в каждом теле, в каждых устах каждого бога, каждого человека, каждого насекомого, живущих[8] согласно идее и по приказу (т. е. согласно идее сердца и по приказу языка)[9]. Вещи всякие любимы им[10].
55. Его (Атума)? девятка богов перед ним (Пта) как зубы и губы — как семя и руки Атума. Произошла девятка богов Атума из его семени и из его пальцев. Однако девятка богов — это зубы и губы в этом рте, называющем имена всех вещей. Из него вышли Шу и Тефнут, родилась девятка богов[11].
56. Видение глаз, слышанье ушей, дыхание носа — поднялись они из сердца.[12] Он (Пта) — дающий происхождение каждому решению. Язык повторяет мысль сердца. Так были рождены все боги (и) завершена его девятка. Воистину, произошло всякое божеское слово из мысли сердца, приказа языка (или: приказанной языком).
57. Так созданы Ка и определены Хемсут, творители всех жертвоприношений и пищи, посредством этого слова, создателя любви и ненависти.[13] Так дана жизнь миролюбивому и смерть виновному. Так сотворены все работы и все искусства, работа рук, хождение ног,
58. движение каждого члена согласно приказу мысли сердца, высказанного языком, создателем достоинства (т. е. сути?) всех вещей. Говорят: «создатель всего, давший происхождеине богам», о Пта, создателе богов. Произошли вещи все из него: жертвоприношения и
59. пища, жертвоприношения богам, и все блага (дословно: вещи все прекрасные). Так было установлено и понято, что он (Пта) могущественней всех богов. Так удовлетворен был Пта после создания им всех вещей и всех божеских слов.
60. Он создал богов, сотворил города, основал номы, распределил богов (букв.: положил он богов) по их культовым местам, установил их дань, основал святая святых их храмов, сделал тела их согласно желанию их. Так вошли боги в свои тела из всякого дерева, из всякого камня, из всякой глины. Вещи всякие растут на нем[14].
61. произошли они из него. Так объединил он всех богов и их Ка, довольных и воссоединенных властителем обеих земель (или: довольных и воссоединенных с властителем обеих земель).

1. Из-за полисемии предлога «m» возможны три грамматически правильных перевода: «боги, происшедшие из Пта», «боги, происшедшие в Пта», «боги, ставшие Пта»[11]. Из них первые два идентичны по своему конечному смыслу; третьего придерживался К. Зете[12]; однако Юнкер справедливо отверг этот вариант, т. к. он предпола-

---

[11] Для всех вариантов см. WB III, с. 260—261; A. Gardiner, Grammar, § 162; ḫpr. w— перфектное активное причастие от глагола ḫpr (Gardiner, Grammar, § 359)

[12] K. Sethe, Dramatische Texte..., с. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

гает первоначальное самостоятельное существование сопоставленных с Пта богов, тогда как основной целью теологии является именно провозглашение первичности Пта, его роль прародителя[13]. Что касается перевода самого Юнкера — «боги, которые имеют свой образ в Пта» — он является скорее логическим заключением, расширенным толкованием конечного смысла не только данной фразы, но и всего отрывка (строки 48—52), который является перечислением различных эманаций Пта, а не дословным переводом.

2. Как было сказано выше, в «Мемфисском трактате» Юнкер выдвигает гипотезу, что еще в додинастическом Египте существовал культ общеегипетского могущественного бога Ура, и что «Атум» — это созданное «специально для Гелиополя имя этого бога»[14]. В качестве единственного доказательства гипотезы он приводит сложносоставные имена богов и жреческие титулы типа Pth.-wr,[15] Jmn-wr,[16] wr-m33,[17] wr ḥrp. w hmw. t,[18] предлогая трактовать по новому, т. е. понимать «wr»[19] как собственное имя великого бога и следовательно, переводить: Амон-Ур[20], Пта-Ур[21] — «тот, который видит Ура»[22], «начальник ремесел Ура»[23]. По справедливому замечанию Сандман-Холмберга, нельзя не относится критически к подобной гипотезе при полном отсутствии фактов, тем более, что не существует никакого археологического материала, доказывающего однородность культуры додинастического Египта и возможность существования общеегипетского культа в додинастические времена[24]. Кажется более реальным подкрепленное многочисленными фактами предположение, что «египтяне называли своих великих богов «wr», когда хотели подчеркнуть их величие и древность»[25].

Переводя строки 52а и 53, Юнкер целиком исходил из своей гипотезы. Сандман-Холмберг весьма критически относится к подобному сопоставлению с «богом по прозвищу «Великий»[26]. Действительно, представляется слишком рискованным предположить существование общеегипетского культа великого бога, не оставившего никаких следов, без достаточного подкрепления фактами предположить тождество с ним гелиопольского Атума и допустить, что в мемфисском тексте при перечислении восьми форм Пта производится сопоставление Пта — Ур, «которое надо понимать как Пта — Атум»[27].

---

[13] H. Junker, Die Götterlehre..., c. 18.

[14] Там же, с. 33.

[15] Пта великий

[16] Амон великий

[17] Титул верховного жреца Гелиополя: верховный видящий.

[18] Титул верховного жреца Мемфиса: верховный мастер ремесел. Для перевода прилагательного wr в жреческой титулатуре см. K. Sethe, Zu dem mit wr «der Grosse» beginnenden alten Titeln, ZÄS, 55, 1918, c. 65—67.

[19] wr— большой великий (WB I 326).

[20] H. Junker, Die Götterlehre..., c. 31.

[21] Там же, с. 30.

[22] Там же, с. 27.

[23] Там же, с. 29.

[24] M. Sandman-Holmberg, The God Ptah, Lund, 1946, c. 267.

[25] H. Kees, Der Götterglaube im Alten Ägypten, Berlin, 1956, c. 44; K. Sethe, Urgeschichte, § 69.

[26] M. Sandman-Holmberg, The God Ptah.., C. 265.

[27] H. Junker, Die Götterlehre..., c. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Маловероятно, что создатели теологии отождествили Пта с Атумом именно в строке 52а и по другой, чисто идеологический причине.

Мемфисские жрецы создавали свою теологию в условиях острой борьбы с древними религиозными традициями Гелиополя. Хотя их основной целью было провозглашение Пта создателем богов и вселенной, но перед ними стояла и другая, не менее важная задача — нанести удар по гелиопольской космогонии и принизить значение гелиопольского бога — демиурга Атума[28]. Мемфисские жрецы разрешили эту задачу довольно остроумным способом.

Согласно гелиопольскому учению, Атум был автогенным божеством, вышедшим из вод первобытного океана — Нуна. Роль самого Нуна пассивна, он лишь олицетворял собой ту первоначальную материю, из недр которой вышел сам себя сотворивший бог-демиург. Инертность Нуна подчеркивается многими исследователями. З. Моренц, указывая на полную непричастность Нуна к акту творения, отмечает, что встречающийся в египетских текстах эпитет Нуна «отец богов» всего лишь констатирует его более раннее, но пассивное существование во времени и пространстве[29]. Характеризуя Нуна, Сонерон и Йойотт замечают, что «Нуну отводилась лишь пассивная роль колыбели, в которой зародилась первая активная сила»[30], «Первой активной силой» являлся Атум, который сначала сотворил себя сам, а затем приступил к созданию богов и вселенной «по своему собственному методу и из себя самого»[31]. Объявляя Пта-Нуна и Пта-Нунет «отцом» и «матерью» Атума, «сотворившими его», создатели текста тем самым отвергли автогенность Атума, его роль первой активной силы — т. е. они отняли у него именно те качества, которые характеризовали его как демиура. Атум предстает уже не как первотворец, а всего лишь как первый в длинном ряде созданных богов.

С другой стороны, Нун и Нунет, сопоставленные с Пта в строках 50а — 51а, тем самым объявляются различными эманациями Пта, т. е. хотя они и привлекаются к акту сотворения Атума, но только как различные формы Пта, который является «единственной все решающей силой»[32], «сердцем и языком богов», сотворившим все сущее — богов, зверей и людей. Кажется маловероятным, что Атум, «низведенный» до роли сотворенного бога, был бы затем сопоставлен — и, следовательно, отождествлен — с Пта, именно когда тот выступает в своей главной роли — роли творца. Более правдоподобно, что в строке 52а «wr» играет роль имени прилагательного, и Пта, выступая в своем «чистом» виде (т. е. вне синкретических соединений), провозглашен «великим» как исполнитель своей высшей функции — бога-демиурга и бога-творца.

3. Представляется, что перевод «он имеет образ как сердце, он имеет образ как язык»[33] в данном контексте не совсем адекватен еги-

---

[28] В 55-й строке «Мемфисского трактата» очень ясно подчеркнуто «пренебрежение» создателей теологии к гелиопольской эннеаде Атума. Здесь говорится: «девятка богов — это всего лишь губы и зубы в этом рте (т. е. рте Пта), называющем имена вмсех вещей».

[29] S. Morenz, Egyptian Religion..., с. 171.

[30] S. Sauneron et J. Yoyotte, La naissance du monde selon l'Egypte ancienne, Sources orientales, 1, Paris, 1959, с. 25.

[31] K. Sethe, Amun und die acht Urgötter von Hermopolis, Abh. der Preuss. Akad. der Wissenschaften, 1929, § 261, с. 172.

[32] S. Morenz, Egyptian Religion..., с. 172.

[33] H. Junker, Die Götterlehre..., с. 40.

петскому тексту ḫpr m ḥ3t ḫpr m ns. По нашему мнению, ḫpr—m употреблено здесь в значении «произойти из...»[34] К. Зете, который придерживался трактовки: «произошла в сердце — произошла на языке (мысль) в образе Атума», справедливо считает, что встроке 53 описывается происхождение Атума посредством разума и языка и что подобный метод творения являет собой безусловный шаг вперед по сравнению с натуралистическим методом, которым гелиопольский Атум создавал свою «девятку»[35]. Юнкер использует свой перевод строки 53 для дальнейшего поддержания своей гипотезы об Урс.

[4] Ввиду того, что далее следует лакуна примерно на десять иероглифов, трудно сказать с уверенностью, m ḥ3t pn m ns pn завершают данную фразу или знаменуют начало новой, утерянной.

[5] Или «как Пта?» Исходя из контекста, невозможно сказать с уверенностью, какое из этих двух значений ḫpr-m[36] употреблено создателями текста. Исходя из общей тенденции Мемфисской теологии, возможны оба варианта.

[6] Т. е. надо всей материей.

[7] wn. t. f — «что он есть», древнейший эквивалент nt. t. f.[37]

[8] Мы переводим nḫ. t как причастие[38], Синтаксически nḫ. t может быть также именным инфинитивом, и тогда перевод будет «и (всего) что живет»[39], однако такая трактовка предполагает, что за nḫ. t следовало прилагательное nb, пропущенное при переписке. Мы воздержались от такой гипотезы, тем более, что окончательный смысл отрывка в обоих случаях один и тот же.

[9] Достаточно беглого взгляда, чтобы увидеть, насколько перевод «сердце мыслит обо всем, что оно хочет и язык приказывает все, что он хочет»[40] предложения ḫr k33. t ḫr wḏ является вольным. Такое обобщение Юнкер делает, дабы доказать свою гипотезу, что в тексте встречаются фразы, заимствованные не из религиозного, а естественнонаучного текста, и что данное место повествует не о Пта, который в виде сердца и языка властвует надо всем, а что здесь ведутся естественнонаучные размышления о том, что сердце и язык являются главенствующими членами огранизма, т. к. они мыслят и творят в каждом живом существе[41]. Такое предположение делает еще более запутанным текст, и без того неоднородный и сложный для понимания. Однако в нем не содержится доказательства этой гипотезы, к которой весьма критически относятся такие ученые, как З. Моренц[42] и М. Сандман-Холмберг[43]. В данном отрывке, например, совершенно ясно, что речь идет о Пта, который находится в каждом теле и в каждых устах (т. е. Бог глаголет каждыми устами), а не о сердце и языке в биологическом смысле, которые есть в каждом живом существе. Это видно благодаря присутствию местоимения «f»[44] —

[34] WB 111 200

[35] K. Sethe, Dramatische texte..., c. 52.

[36] WB 111 261

[37] K. Sethe, Dramatische texte..., c. 5, 55; ZÄS 50 112.

[38] A. Gardiner, Grammar, §§ 353—354.

[39] H. Junker, Die Götterlehre..., c. 48.

[40] Там же, с. 48.

[41] Там же, с. 49.

[42] S. Morenz, Egyptian Religion..., c. 164.

[43] M. Sandman-Holmberg, The God Ptah..., c. 135.

[44] Если речь идет о сердце и языке одновременно, то при чем здесь местоимени е III лица, мужск. рода, ед. числа?

ნაციონალური ბიბლიოთეკა

«ḥr sb wn. t. f» — «согласно учению, что находится он (т. е. Пта) в каждом теле... и т. д.

[10] ḫ. t nb. (t) mrr. t. f игнорируется Юнкером при переводе. По нашему мнению, из всех возможных вариантов наиболее правильным с точки зрения грамматики и контекста будет ее перевод, как отдельного предложения. Перевод сделан нами на основании данных WB 11 91[45]. Однако место, конечно, не совсем ясное.

[11] В этом отрывке много неясности. Во-первых, трудно сказать с уверенностью, кто подразумевается под местоимением «f» в фрагменте psḏ. t. f т. е. о чьей девятке здесь идет речь — о девятке Атума или о девятке Пта[46]. По нашему мнению, подразумевается девятка Атума, тем более, что дальше речь идет уже совершенно ясно о девятке Атума — psḏ. t nṯrw tm, — а при всей неясности текста очевидно, что в нем подразумеваются не две девятки, а одна[47]. Следовательно, здесь говорится о девятке Атума, которая «унижена» настолько, что названа всего лишь «зубами и губами в этом рте (т. е. рте Пта), называющем имена всех вещей. В таком случае проясняется смысл довольно туманной фразы: psḏ. t nṯr. w. f m — bsḥ. f m ibḥw sptw. mtw. t ḏr. tj tm — «его (Атума) девятка перед ним (Пта), как зубы, и губы, как семя и руки Атума». — т. е. вся «великая эннеада» перед лицом Пта всего лишь простой инструмент, орудие, которое используется творцом так же, как были использованы Атумом собственное семя и пальцы. Хотя и указано мимоходом, что девятка была создана из семени и пальцев Атума, тут же описывается происхождение Шу и Тефнут из «этого рта» (т. е. методом громкого произнесения). Вполне логично предположить, что после Шу и Тефнут до фразы «рождена девятка богов» были перечислены все другие члены девятки, но это место утеряно.

[12] Для сравнения — формула di. n. (i). n. k. ʿnḫ ḏt w3s ḥr. i — «даю я тебе жизнь... из себя»[48]. Перевод Юнкера «они сообщают сведения сердцу»[49] совершенно неясен. Очевидно, такая трактовка нужна Юнкеру для подтверждения гипотезы об отрывках естественно-научного характера в тексте «Мемфисского трактата».

[13] По нашему мнению, это предложение надо понимать таким образом, что «слово, создатель любви и ненависти» является также «создателем Ка и Хемсут»[50], а не так, что Ка и Хемсут творят жертвоприношения посредством этого слова[51]. Творение посредством слова является в мемфисской теологии привилегией Пта.

[14] Здесь подчеркнуто важное значение Татенена как плодородной, восстающей из болот земли.

---

[45] iry mrr. t. f.— делать, как он любит (хочет).
shtp m mrrt. f— обрадоваться тем, что он любит.

[46] Юнкер переводит как «девятка Пта», Die Götterlehre, с. 55.

[47] Что признает и Юнкер; там же, с 55.

[48] WB 111 315.

[49] H. Junker, Die Götterlehre, стр. 61.

[50] Хемсут — женское дополнение Ка. Встречается в основном во мн. числе. Прослеживается в текстах, начиная с Текстов пирамид. См. WB 111 95.

Представил Отдел древней истории Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გვინჩიძე

# ნოქალაქევის ქვევრსამარხები

სოფ. ნოქალაქევი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, რაიონულ ცენტრ ქ. ცხაკაიიდან 17 კმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ შემორჩენილი ძველი ციხე-ქალაქის გრანდიოზული კომპლექსის ნაშთები, რომლებიც მდ. ტეხურით სამი მხრიდან გარშემორტყმულ პატარა პლატოსა და მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმაღალ ნოქალაქევისმთის თხემზეა განლაგებული, შორიდანვე იპყრობენ მნახველის ყურადღებას. ეს ნაქალაქარი ფრანგმა მკვლევარმა ფ. დიუბუა დე მონპერემ ჯერ კიდევ XIX ს-ის შუახანებში დამაჯერებლად გააიგივა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქთან[1], რომელიც არქეოპოლისის სახელწოდებით არაერთგზის იხსენიება ბიზანტიურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე VI ს-ის 30—60-იან წლებში თითქმის უწყვეტად მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით[2].

ნოქალაქევის არქეოლოგიური შესწავლის პირველ ცდას ადგილი ჰქონდა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ: აქ 1930 წ. სექტემბრიდან 1931 წ. იანვრამდე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გერმანიიდან მოწვეული არქეოლოგ-ბიზანტინოლოგი ა. მ. შნაიდერი. მაშინ არქიტექტურული კომპლექსი დათარიღდა IV—VI (ან VII დასაწყისი) სს., ხოლო სადაზვერვო შურფებიდან ამოღებული კერამიკული მასალა — IV—VIII სს. (I ს-ით ზედა ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი კერამიკის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი განისაზღვრა)[3]. რაც შეეხება ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სამარხეულ ძეგლებს, ასეთი აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ერთი: ნაქალაქარის ცენტრში (სადაზვერვო შურფი № 13) გამოვლინდა სამარხი, რომელშიც, გამთხრელთა თქმით, დადასტურდა „ორი, იმპერიის შუახანების (იგულისხმება რომაული პერიოდიზაცია. — გ. გ.) ქოთანი და რამდენიმე ბრინჯაოს სამაჯური“[4].

60-იანი წლების მეორე ნახევარსა და 70-იანი წლების დასაწყისში ნოქალაქევში გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გამოავლინა ნოქალაქევში მანამდე დაუდასტურებელი ელინისტური,

---

[1] F. Dubois de Montpéreux, Voyage autur du Caucase..., v. II, Paris, 1839, გვ. 103—105.

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 101, 182, 187—189, 192, 194, 201, 211.

[3] A. M. Schneider, Archaeopolis (Nokalakewi), Forschungen und Fortschritte, v. VIII, № 27, Berlin, 1931, გვ. 354—355; ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, თბ., 1948, დამატება, გვ. 188—201.

[4] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები..., დამატება, გვ. 195, 201.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძოდ, გვიანელინისტური ხანის მასალები[5]. ამ მასალებს შორის იყო გვიანელინისტური ხანით დათარიღებული ქვევრსამარხიც, რომელიც ზედა ციხის შუა ეზოში აღმოჩნდა[6].

1973 წლიდან ნოქალაქევის სისტემატურ შესწავლას შეუდგა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის (ახლანდელი შუა საუკუნეების არქეოლოგიის) განყოფილების ექსპედიცია პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით[7].

1974 წ. თებერვლის მიწურულს ნაქალაქარის ქვედა ნაწილიდან 100-იოდე მეტრით აღმოსავლეთით დაიწყეს ნოქალაქევის მეურნეობის ადმინისტრაციული ნაგებობის მშენებლობა. მიწის სამუშაოებისადმი თვალყურის დევნება ექსპედიციის ხელმძღვანელობამ ამ სტრიქონების ავტორს დაავალა. 2 მარტს შენობის ჩრდილო და აღმოსავლეთ საძირკვლის თხრილების შეხების წერტილში, 40 სმ სიღრმეზე, გამოვლინდა ქვევრსამარხი[8].

მომდევნო პერიოდში, 1974—1978 წწ., ნაქალაქარის ქვედა ნაწილის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც დადგინდა, უკავია ძველ სამაროვანს, აღმოჩნდა კიდევ 32 სამარხი — 5 ქვევრსამარხი და 27 ორმოსამარხი[9].

ქვევრსამარხი № 1 (2. III.74, უბ.V, კვ. L9) დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით აღმოსავლეთისაკენ. მასში გამოვლინდა მოკუნტულად, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის უინვენტარო ჩონჩხი.

ქვევრის[10] ზედაპირი შავია, სარჩული — ვარდისფერი, კეცი — რუხი. კედლის სისქე უდრის 1,6—2 სმ-ს. ზედაპირი თითქმის სრულიად სადაა, მხოლოდ მხარზე დაუყვება ცერი ჭდეებისაგან შემდგარი ორი პარალელური სარტყელი. ასეთი კოლხური ქვევრები ძვ. წ. III—II სს. განეკუთვნებიან[11].

---

[5] გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის (შემდეგში იხ. მსკა), V, თბ., 1973, გვ. 36.

[6] გ. გრიგოლია, ნ. ოქროპირიძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. წირღვავა, შ. ჩართოლანი, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 30.

[7] პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1973 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (შემდეგში იხ. სსმაე), IV, თბ., 1975, გვ. 97—103.

[8] აქაც და შემდეგშიც იგულისხმება სიღრმე ნიადაგის დღევანდელი დონიდან ქვევრის ზედაპირამდე.

[9] Г. О. Гвинчидзе, Нововыявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Годжи—Археополиса, (Экспресс-информация), Тб., 1978, გვ. 29—39; პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, V, თბ., 1977, ტაბ. XXIII; პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976—1977 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, სსმაე, VI, თბ., 1978, ტაბ. XVIII, 4; XX, 3, 4.

[10] რადგან ნოქალაქევში აღმოჩენილი ქვევრები საბოლოოდ ჯერ არ არის რესტავრირებული, ამდენად ვერ ვიძლევით ზოგიერთი მათგანის, მათ შორის № 1 სამარხი ქვევრის, ყოველმხრივ და ზუსტ განზომილებებს. საშუალოდ ქვევრების სიმაღლე უდრის 1 მ-ს, უდიდესი დიამეტრი—90 სმ-ს.

[11] ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები (შემდეგში იხ. სდსძ), V, თბ., 1975, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღებთ რა მხედველობაში სამარხი ქვევრის თარიღს და აგრეთვე მის ჰორიზონტულ მდგომარეობას, რაც, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ. წ. III—II სს. ქვევრსამარხებისათვისაა დამახასიათებელი[12], № 1 ქვევრსამარხი ძვ. წ. III—II სს. უნდა მივაკუთვნოთ.

ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი № 2 (27.III.74, უბ. V, კვ. L9) № 1-ისაგან 1 მ 80 სმ-ით სამხრეთით, 50 სმ სიღრმეზე იქნა მიკვლეული. იგი დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით აღმოსავლეთისაკენ. მდგრადობისათვის რამდენიმე ქვა (კირქვა) ჰქონდა შემოწყობილი. ქვევრში დადასტურდა მოკუნტულად, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი. მარცხენა ხელზე, მაჯასთან, ჩამოცმული აღმოჩნდა სამი სამაჯური, მარჯვენაზე — ერთი. ქვევრში გამოვლინდა აგრეთვე 1 სმ სიგრძის ბრინჯაოს თხელი ფირფიტა და რამდენიმე ლურჯი პასტის სფეროსებრი მცირე ზომის მძივი. ეს ნივთები სამარხიდან ამოღებისას დაიშალა.

ქ ვ ე ვ რ ს კვერცხისებური (გარსდინებადი) ფორმა აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, გვირგვინი — მასიური, ჭრილში ოთხკუთხა, ძირი — ბრტყელი, პირის დიამეტრია 39 სმ, ძირის — 22 სმ. კედლის სისქე უდრის 1,6—2 სმ-ს. ზედაპირი შავია, სარჩული — ვარდისფერი, კეცი — რუხი. ზედაპირზე მეტად სუსტად (თითქმის შეუმჩნევლად) გამოსახულია რელიეფური ქედები და სარტყლები. მხრებზე დაუყვება ცერი ჭდეებისაგან შემდგარი რამდენიმე სარტყელი, რომელთა ზემოთ სუსტადაა ამოღარული სამკუთხედისებრი ნიშნები (△). ამ ტიპის კოლხური ქვევრები ძვ. წ. III—II სს. თარიღდებიან[13].

ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი პირხსნილია, ზურგშეზნექილი, ბრინჯაოსი.

მარცხენა ხელზე დადასტურებულებიდან (ნოქ. 74/140) ორი 2 მმ დიამეტრის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან არის დამზადებული. მათ ტანი სადა აქვთ, ხოლო ბოლოები ბურცობებით (კოპებით) შემკული. მათი შიგნითა დმ უდრის 4,6X4,5 სმ-ს. ერთის ბოლოებს შორის მანძილი 2 სმ-ია, ხოლო მეორის — 1,5 სმ.

ანალოგიური სამაჯურები გვხვდება დაბლაგომის[14], დაფნარის[15], ფარცხანაყანევის[16], ზემო ფარცხმის[17] ქვევრსამარხებში, ეშერის[18], ფიჭვნარის[19], სან-

---

[12] Г. А. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978, გვ. 81; ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, სუფსა-ნატანების აუზის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, ბათუმი, 1975 (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), გვ. 148.

[13] ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101; Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб., 1976, გვ. 40.

[14] Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 23—24, ტაბ. $12_{,4}$.

[15] Н. Ш. Кигурадзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 36, 40, ტაბ. XXXIII, 4.

[16] М. М. Иващенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, Советская археология, XIII, 1950, გვ. 324, სურ. 7.

[17] ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 125, ტაბ. XXXII, 4; XXV, 11.

[18] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, გვ. 45, სურ. $13_{,2}$ ტაბ. V, 5.

[19] ა. კ ა ხ ი ძ ე, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, სდსძ, VI, თბ., 1977, გვ. 29, ტაბ. XVI, 8; XXI, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის[20], ყანჩაეთის[21], უფლისციხის[22] სამარხებში, რომელთა თარიღები თავსდება ძვ. წ. V—III სს. ფარგლებში. ამ უკანასკნელ ხანს ზემოაღწერილი ტიპის სამაჯურთა დათარიღების საკითხს შეეხო ი. გაგოშიძე, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ბოლოებბურცობებიანი სამაჯურები ძვ. წ. I ს-მდე აღწევენ[23]. ა. კახიძე და ნ. ვაშაკიძე, არ იზიარებენ რა ამ ვარაუდს, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული გათხრების ძირითადი შედეგების ანგარიშში წერენ: „ჩვენს ხელთ არსებული მასალებისა და ზემო ფარცხმის ქვევრსამარხების შესწავლის შედეგები გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოში ასეთი სამაჯურები (ბოლოებბურცობებიანი. — გ. გ.) რკალზე კოპებიან (ბურცობებიან — გ. გ.) და ცილინდრულშესქელებებიან სამაჯურებთან არის წარმოდგენილი და მათი დათარიღება III ს. (ძვ. წ. — გ. გ.) შუახანებზე უფრო გვიანდელი პერიოდით არ უნდა იყოს მართებული“[24].

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბურცობებით რკალშემკული სამაჯურები აღმოჩნდა ნოქალაქევის № 4 ქვევრსამარხში (იხ. ქვემოთ), რომელიც შავლაკიანი კანთაროსის მეშვეობით მყარად თარიღდება ძვ. წ. II ს-ით (უკიდურეს შემთხვევაში — ძვ. წ. III ს. მიწურულით) და ამდენად მათი ხმარების ქვედა ქრონოლოგიურმა საზღვარმა ძვ. წ. II ს. უნდა გადაინაცვლოს. ასეთ შემთხვევაში კი ამ ტიპის სამაჯურების ბოლოებბურცობებიან სამაჯურებთან ერთად დადასტურება, ცხადია, ამ უკანასკნელთა ძვ. წ. III ს. შუახანებზე გვიანდელი პერიოდით დათარიღების საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება. აღსანიშნავია, რომ ბოლოებბურცობებიანი სამაჯურები დაფნარის სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძვ. წ. III—II სს. თარიღდებიან[25].

მარცხენა ხელზე დადასტურებული მესამე სამაჯური დამზადებულია 3 მმ სისქის ოთხკუთხაგანივკვეთიანი მავთულისაგან, რომელიც ბოლოებისაკენ რამდენადმე მრგვალდება. ბოლოები გაწვრილებულია და სუსტად გამოსახული ჭდეებით არის გამოყოფილი, რაც შესაძლებელს ხდის ისინი რომელიღაც ფრინველის (ცხოველის?) ძლიერ სქემატირებულ თავებად მივიჩნიოთ. მსგავსი სამაჯურები გვხვდება სანთაში[26], ნერონ დერესის, ბ. კუფტინის მიერ ზოგადად ელინისტური თუ გვიანაქემენიდური ხანით[27], ხოლო ი. გაგოშიძის მიერ ძვ. წ. I ს-ით[28] დათარიღებული, სამაროვნის მასალებში.

მარჯვენა ხელზე გამოვლენილი სამაჯური (ნოქ. 74/141) დამზადებულია მომრგვალებული რომბისებურგანივკვეთიანი 4 მმ სისქის მავთულისაგან, რომელიც ბოლოებში 5—6 მმ-ს აღწევს. სამაჯურის შიგნითა დიამეტრია 5,2×4 სმ. ბოლოებს შორის მანძილი უდრის 8 მმ-ს. ტანზე, გარეთა მხრიდან, ხუთიოდე

---

[20] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Опыт периодизации памятников, Тб., 1941, გვ. 31, სურ. 33,3.

[21] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 20, ტაბ. I.

[22] ღ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964, გვ. 75—76, 77, ტაბ. XLIV, 1, 2; XLVI, 2.

[23] Ю. М. Гагошидзе, К датировке могильника Нерон Дереси, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, 2, გვ. 96, სურ. 3.

[24] ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[25] Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[26] Ю. М. Гагошидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, სურ. 4.

[27] Б. А. Куфтин, Археологические раскопки..., გვ. 30.

[28] Ю. М. Гагошидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთპარალელური სიგრძივი რელიეფური ზოლი დაუყვება, ხოლო ბოლოები შემკულია რომელიღაც ფანტასტიკური ცხოველის (დრაკონის?) დრუნჩფართო თავების ძალზე სტილიზებული გამოსახულებით. ბოლოები ტანისაგან გამოყოფილია ღეროს პერპენდიკულარული სამი ჭდით, რომლებიდანაც ზემოხსენებულ თავებამდე მდებარე მონაკვეთზე, ანუ ცხოველის ყელზე, სიგრძივი ზოლია ამოღარული. ამ ღარის ორსავე მხარეს 8—9 ცერი ჭდეა განლაგებული. ანალოგიურადაა ბოლოებშემკული დაბლაგომის 1936 წ. გათხრების № 21 ელინისტური ხანის ქვევრსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლენტისებრი სამაჯურები[29].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, სამარხის ინვენტარის შემადგენელი სამკაული ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში არ თავსდება. ქვევრისა და მისი დაფლვის მდგომარეობის მიხედვით კი ქვევრსამარხი № 2 ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი № 3 (19.VII.74, უბ. VI, კვ. K19) აღმოჩნდა კვადრებით ნაგები გალავნიდან 25 მ დაშორებით, 50 სმ სიღრმეზე. იგი დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით აღმოსავლეთისაკენ. ქვევრში გამოვლინდა მოკუნტულად, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი, აგრეთვე დოქი, სამაჯური, ორი საყურე — რგოლი, ორი ფირფიტა (ტანისამოსის შესამკობი?) 86 მძივი და მონეტა. უშუალოდ ქვევრის გვერდით, სამხრეთის მხრიდან, მისი დაფლვის სიღრმეზე, დადასტურდა ჩონჩხი სხვა მიცვალებულისა, რომელიც დაკრძალული იყო ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთისაკენ და ქვევრისაკენ სახეშებრუნებით (სურ. I). ამ მიცვალებულს არავითარი ინვენტარი არ აღმოაჩნდა, მხოლოდ რკინის ვიწრო ფრაგმენტი (ნოქ. 74/151) გამოვლინდა გულ-მკერდის არეში.

ქ ვ ე ვ რ ს კვერცხისებური (გარსდინებადი) ფორმა აქვს, რამდენადმე ძაბრისებური პირ-ყელი, ძირი — ბრტყელი, პირის დიამეტრია 28,5 სმ, ძირის — 18 სმ., კედლის სისქე უდრის 1,5 სმ-ს. ზედაპირი შავია, სარჩული — ვარდისფერი, კეცი — რუხი. შემკულია ვერტიკალური ქედებით, რომლებიც ჭურჭლის მუცელზე მოთავსებულ ორმაგ რელიეფურ სარტყლამდე გრძელდებიან. ქვევრი, როგორც ჩანს, ძვ. წ. III ს-ის დასაწყისშია დამზადებული, რადგან მასზე არ არის გამოსახული შევრონების მსგავსი, რელიეფური ქედებისაგან შედგენილი სამკუთხედები და დანაძერწები, რომლებიც დამახასიათებელია ძვ. წ. VI—IV სს. კოლხური ქვევრებისათვის[30], და, ამავე დროს, შემკულია რელიეფური ქედებით და სარტყლებით, რომლებიც კოლხურ ქვევრებზე ძვ. წ. III ს-დან ან სრულიად არ დაიტანებოდნენ[31], ანდა გამოისახებოდნენ ხოლმე თითქმის შეუმჩნევლად[32]. ქვევრის ფორმაც ასევე ძვ. წ. III ს-ზე მიგვანიშნებს[33].

დ ო ქ ი (ნოქ. 74/150) დაბალყელიანია, მუცელფართო, ბიკონუსური, ძირბრტყელი. ძირი ოდნავაა გამოყოფილი. პირი ფართოდაა გადაშლილი. ყელის შუა ნაწილში და მის ძირში წიბოა მოთავსებული. მუცლის შუა ნაწილში

---

[29] Б. А. К у ф т и н, Материалы..., II, გვ. 31, სურ. 10$_{4,5}$.

[30] Н. Ш. К и г у р а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[31] იქვე, გვ. 40.

[32] იქვე, გვ. 48.

[33] იხ. ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაღარული სარტყელი დაუყვება. ბრტყელი, თითქმის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარზე და გადაშლილი პირის წიბოს ოდნავ ქვემოთ. თიხა არათანაბრად არის გამომწვარი, მორუხო-მოყავისფროა, ალაგ-ალაგ მოშავო ლაქებით. კეცი მარცვლოვანი სტრუქტურისაა, საკმაოდ კარგად განლექილი, კვარცის შესამჩნევი მინარევებით. ყურზე, პირთან მიერთების ადგილთან, ხუთი მცირე ჭდეა. მუცლის ქვედა ნაწილში გამოწვის შემდეგ ნახვრეტია დატანილი. დოქის სიმაღლეა 20,5 სმ, ყელის დმ — 5 სმ, პირისა — 10,5 სმ, ძირის — 8,5 სმ, მუცლის — 16,5 სმ. აღწერილი ფორმის დოქები აღმოჩენილ იქნა დაბლაგომის მდიდრულ, ძვ. წ. III ს. დასაწყისის კრამიტით გადახურულ სამარხში[34].

სამაჯური (ნოქ. 74/147) პირხსნილია, ზურგშეზნექილი, დამზადებულია ბრინჯაოს 3 მმ სისქის ოთხკუთხაგანივკვეთიანი მავთულისაგან, რომელიც სამაჯურის ბოლოებისაკენ რამდენადმე მრგვალდება. ბოლოები გაწვრილებულია. სამაჯური, რომლის შიგნითა დიამეტრია 4,6×4 სმ, № 2 ქვევრსამარხში აღმოჩენილი სამაჯურის ანალოგიურია. სამკაული ძველთაგანვე საგანგებოდ გაუტეხავთ ორ ნაწილად.

საყურე-რგოლები (ნოქ. 74/146) დამზადებულია ვერცხლის 1,5 მმ დიამეტრის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. მათი ბოლოები გაწვრილებულია და სპირალური ჭდეებით შემკული. საყურე-რგოლები ასევე ძველთაგანვე დაუტეხავთ სამ-სამ ნაწილად. ანალოგიური საყურე-რგოლები გვხვდება დაბლაგომის[35], ფარცხანაყანევის[36], დაფნარის ელინისტური ხანის ქვევრსამარხებში. დაფნარში ასეთი საყურე-რგოლები ძვ. წ. III ს-ით მყარად დათარიღებულ კომპლექსშია დადასტურებული (სამარხი № 21)[37].

ფირფიტები (ნოქ. 74/148) ოქროსგანაა დამზადებული, დეფორმირებულია. როგორც ჩანს, ტანისამოსის შესამკობს წარმოადგენდნენ. ფირფიტების სიგრძე უდრის 6 მმ-ს, სიგანე — 2 მმ-ს.

მძივები (ნოქ. 74/149) ლურჯი, მწვანე და ყვითელი პასტისაგან არის დამზადებული. ისინი მცირე ზომისა და არასწორი ფორმისაა. ასეთი მძივები დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის ქვევრსამარხთა ინვენტარებისათვის.

მონეტა (ნოქ. 74/145) ვერცხლისაა. იგი იმდენად არის გაცვეთილი, რომ მასზე გამოსახულება სრულიად აღარ შეინიშნება. როგორც ჩანს დიდხანს იყო მიმოქცევაში. დიამეტრი უდრის 10/11 მმ-ს, წონა — 0,63 გრ-ს. ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ მონეტა წარმოადგენს ე. წ. კოლხურ თეთრს, ნახევარდრაქმას, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა ქვევრსამარხთა სამაროვანზე გვხვდება. რადგან გამოვლენისას მონეტა დაფარული იყო მწვანე ჟანგით, ამდენად სავარაუდოა, რომ იგი განეკუთვნება „კოლხური თეთრი"-ს

---

[34] ვ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი, II, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1976, გვ. 71, სურ. 110—111.

[35] Н. В. Хоштариа, Древнее поселение в Даблагоми, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 1941 (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), გვ. 89.

[36] М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

[37] Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

გვიანდელ სერიებს, რომლებშიც სპილენძის რაოდენობა გაიზარდა[38]. სადღეისოდ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით „კოლხური თეთრი“, რომლის მოჭრაც ძვ. წ. V ს-ში დაიწყო[39], ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრიდან გამოდის მიმოქცევიდან[40], მაგრამ, მეორე მხრივ, ნოქალაქევში „კოლხური თეთრი“ დადასტურდა ძვ. წ. II ს-ით (უკიდურეს შემთხვევაში — ძვ. წ. III ს. მიწურულით) მყარად დათარიღებულ № 4 ქვევრსამარხში (იხ. ქვემოთ).

ქვევრსამარხი № 3 ძვ. წ. III ს. თარიღდება. აღსანიშნავია, რომ სამარხში დადასტურდა განზრახ დაზიანებული ნივთები, რაც წესის — „კვდება პატრონი — კვდება მისი ნივთები“ — ჩატარების მაუწყებელია.

ქვევრსამარხი № 4 (21.VIII.74, უბ.V, კვ. L 9) გამოვლინდა № 1 ქვევრსამარხისაგან 5 მ 60 სმ-ით ჩრდილოეთით, 60 სმ სიღრმეზე. იგი დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით დასავლეთისაკენ. ზემოდან ედო სამი ლოდი, შედარებით მომცრო ქვები კი შემოწყობილი ჰქონდა დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან. ამ, სამარხად გამოყენებული ქვევრის ძირთან, სამხრეთის მხრიდან, ვერტიკალურ მდგომარეობაში, ძირით ქვემოთკენ, ჩაფლული იყო მეორე ქვევრის ქვედა ნაწილი, რომელშიც არც ძვლები და არც რაიმე ნივთი არ გამოვლენილა. ამ ქვევრის გვერდით (სამარხი ქვევრიდან 50 სმ დაშორებით), სამხრეთის მხრიდან და ქვევრების დაფლვის დონეზე, აღმოჩნდა ჩონჩხი უინვენტარო მიცვალებულისა, რომელიც დაუსვენებიათ ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. სამარხი ქვევრისაკენ სახეშებრუნებით. სამარხი ქვევრის ქვედა ნაწილზე, ჩრდილოეთის მხრიდან, პირით ზემოთკენ, მიდებული იყო კანთაროსი. აგრეთვე სამარხი ქვევრის ძირთან აღმოჩნდა ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და მათ შორის მოთავსებული ფრინველის (ქათმის?) ძვლები. სამარხ ქვევრში გამოვლინდა მოკუნტულად, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი. მარჯვენა ხელზე აღმოჩნდა ჩამოცმული ორი სამაჯური, ხოლო იმავე ხელის ერთ-ერთ თითზე — საბეჭდავი — ბეჭედი. კბილებს შორის დადასტურდა მონეტა. ქვევრსამარხი შეიცავდა აგრეთვე წყვილ საყურე-რგოლს, კომპაქტურად მოთავსებულ ყვითელ ნივთიერებას (საღებავს?) და ხელშუბისპირს, რომელიც ქვევრის პირთან ქვევრის კედლის ბზარში იყო მოყოლილი.

ქვევრი, სამარხი, № 2 ქვევრსამარხის ტიპისაა. პირის დიამეტრია 37 სმ, ძირის — 22 სმ. გვირგვინის შემორჩენილ ნაწილზე, ზემოთა მხრიდან, სამ ადგილას ირიბი ჯვარი (†) (სოლარული ნიშანი?), ხოლო მხრების საზღვარზე ასევე სამი ისრისმაგვარი ↑ ნიშანია (ხელოსნის?) ჭურჭლის გამოწვამდე ჩხირით დატანილი. ქვევრი ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

ქვევრი, წარმოდგენილი მხოლოდ ქვედა ნაწილით, შავი ფერისაა, სარჩული ვარდისფერი აქვს, კეცი — რუხი. კედლის სისქე უდრის 2 სმ-ს, ძირის დმ—22 სმ-ს. შემკულია ვერტიკალური რელიეფური ქედებით, ხოლო ძირიდან 50 სმ სიმაღლეზე — რელიეფური სარტყლით, რომლის გაყოლებაზეც, როგორც ჩანს, შუაზე, ძველთაგანვე გადაუტეხავთ ქვევრი. გადატეხის ადგილას ქვევრის დიამეტრია 90 სმ. ეს ქვევრი საწესო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

კანთაროსი (ნოქ. 74/210) დაფარულია მქრქალი შავი ლაკით. თიხა

[38] Г. А. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[39] იქვე, გვ. 116.

[40] იქვე, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდისფრადაა გამომწვარი, კარგად განლექილია. ყელი მაღალია, ოდნავ გვერდებშეზნექილი, ცილინდრული ფორმის. კონუსური მოყვანილობის ტანი ძირისაკენ შევიწროებულია და ყელთან შედარებით დაახლოებით ორჯერ უფრო პატარაა. პირი ოდნავ გარეთკენაა გადაშლილი. ფეხი ღეროსაგან და პროფილირებული ქუსლისაგან შედგება. ყურები ვერტიკალურადაა განლაგებული. მათი ერთი ბოლო ტანის დასაწყისშია მიძერწილი, მეორე კი უშუალოდ უერთდება პირის ქობას. ქობის დონეზე დაძერწილია ჰორიზონტული ქიმები. კანთაროსის სიმაღლეა 20,5 სმ, პირის დმ — 10,6 სმ, ყურის შვერილების სიგრძე — 5.5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 5,5 სმ, ძირის დმ — 4,8 სმ (სურ. III)[41].

აღწერილი ტიპის არაერთი კანთაროსია დადასტურებული ოლბიის ელინისტური ხანის სამარხებში და ყველა ისინი, უკლებლივ, ძვ. წ. II ს-ს განეკუთვნებიან[42]. ზოგადადაც ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ტიპის კანთაროსები ძვ. წ. II ს. თარიღდებიან[43]. გამომდინარე ზემოთქმულიდან ჩვენი კანთაროსიც ასევე ძვ. წ. II ს. პროდუქციად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ჭურჭლის მდარე ხარისხის ლაკიც, რომელიც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ს. არის დამახასიათებელი[44]. რაც შეეხება ნოქალაქევის კანთაროსის ზუსტ ანალოგიებს, ასეთები გვხვდება ა. ფოგელის კოლექციაში[45] და ოლბიის სამაროვნის მასალებში[46]. აღსანიშნავია, რომ ზემოაღწერილი ტიპის კანთაროსის ნოქალაქევში აღმოჩენის ფაქტი პირველია და ჯერჯერობით ერთადერთი საქართველოს ტერიტორიისათვის.

საბეჭდავი ბეჭედი (ნოქ. 74/213) ჭრილაფარიკიანია, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, პირხსნილი. რკალი მხრებისაკენ ოდნავ ფართოვდება და უშუალოდ წრიულ ფარაკში გადადის, ხოლო ქვემოთკენ ვიწროვდება და წაკვეთილი ბოლოებით მთავრდება. ბეჭდის სიმაღლეა 19 მმ, რკალის უდიდესი სიგანე — 5 მმ, ფარაკის დიამეტრი — 15—16 მმ. ასეთი ტიპის საბეჭდავი ბეჭდები, რომლებიც გვხვდება დაბლაგომის[47], ბატნაოხორუს[48], დაფნარის[49], ფარცხანაყანევის[50], ზემო ფარცხმის[51], წიფნარის[52]. ქვევრსამარხებ-

---

[41] იხ. აგრეთვე პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXI, 1. კანთაროსი ექსპონირებულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის II დარბაზში („ვეიანბრინჯაოს ხანიდან ახ. წ. I V საუკუნემდე"), ვიტრინა XXXVIII.

[42] Б. В. Фармаковский, Раскопки некрополя древней Ольвии в 1901 г., Известия Императорской археологической комиссии, вып. VIII, С. Петербург, 1903, გვ. 57, სურ. 25; М. Парович-Пешикан, Некрополь Ольвии эллинистического времени, Киев, 1974, გვ. 77, სურ. 74,$_5$.

[43] В. Д. Блаватский, История античной расписной керамики, М., 1953, გვ. 49.

[44] იქვე, გვ. 241.

[45] Sammlung A. Vogell, ტაბ. VI, 35.

[46] М. Парович-Пешикан, დასახ. ნაშრომი, სურ. 74,$_6$; 75,$_8$.

[47] Б. А. Куфтин, Материалы.., II, გვ. 23, 24, 30, ტაბ. A; სურ. 11.

[48] მ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდები, (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბ., 1975, გვ. 74—75, სურ. 16.

[49] Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 23, 88, ტაბ. XIV, 1, 2; XXIV, 5; XXV, 4.

[50] М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[51] ნ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, ტაბ. XXV; 5. 6 XXVII, 4.

[52] ნ. ვაშაკიძე, სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები, სდსძ, III, თბ., 1973, გვ. 77, ტაბ. X, 12.

ში, ყაზბეგის სამარხში[53], ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული და ძვ. წ. IV ს. დათარიღებული[54].

ფარაკზე საჭრისით საკმაოდ მკვეთრად არის ამოჭრილი უზურგო სკამსა თუ ტახტზე მჯდომი ადამიანის (მამაკაცის?) ფიგურა, რომელსაც იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში, პირის დონეზე, სახიდან დაშორებით, ფიალა უკავია. ადამიანის წინ და უკან ერთნაირი ჯიშის თითო ხე, კვიპაროსია გამოსახული (სურ. II, 1).

სიუჟეტის იკონოგრაფიის თვალსაზრისით აღწერილი საბეჭდავი-ბეჭედი დიდ მსგავსებას, სიახლოვეს ავლენს ვანში 1969 წ. აღმოჩენილ წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში (№ 9) დადასტურებულ ძვ. წ. IV ს. I ნახევრით დათარიღებულ ბერძნულ წარწერიან („დედატოს") ოქროს საბეჭდავ-ბეჭედთან[55], რომელზეც აგრეთვე გამოსახულია მარჯვენა პროფილში, უზურგო ტახტზე მჯდომი ადამიანის (ქალის) ფიგურა ფიალით აღმართულ მარჯვენა ხელში. აქაც ადამიანის წინ და უკან ერთნაირი ჯიშის თითო მცენარეა გამოსახული[56]. მ. ლორთქიფანიძის აზრით ამ ბეჭედზე გამოსახული ფიგურა „ან მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებაა... ანდა (რაც ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს) დიდგვაროვანი მანდილოსანი, ღმერთქალთან გატოლებული"[57].

ნოქალაქევის საბეჭდავ-ბეჭედზე, ჩვენი აზრით, გამოსახულია ქტონიური ღვთაება.

სამაჯურები (ნოქ. 74/211) ერთნაირებია: პირხსნილი, ზურგშეზნექილი, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული. მათ რკალებზე განლაგებულია ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ღეროსირგვლივი 2—3 ჭდით შემოსაზღვრული 7 სიგრძივ დაღარული ბურცობი, რომელთაგან 2 სამაჯურის ბოლოებს წარმოადგენს[58] (სურ. II, 2). ანალოგიური სამაჯურები გვხვდება დაბლაგომის[59], დაფნარის[60], ფარცხანაყანევის[61], ზემო ფარცხმის[62] ქვევრსამარხებში, აგრეთვე გუადიხუს[63], ბარნაუტის[64], ფიჭვნარის[45], ყაზბეგის[66] სამარხებში და აბგარხუკისა[67] და ყულანურხვას[68] მასალებში.

---

[53] П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, М., 1900, გვ. 154, სურ. 148.

[54] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79; მისივე: ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969, გვ. 86—87.

[55] მ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული" საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან, ვანი, II, გვ. 145.

[56] იქვე, გვ. 134—137, სურ. $132_4$; $133_4$.

[57] იქვე, გვ. 144.

[58] შემკულობის დეტალები გაცილებით უკეთ ჩანდა სამაჯურთა ქიმიურად დამუშავებამდე.

[59] Б. А. Куфтин, Материалы..., II, გვ. 22, 30, ტაბ. 6; $9_a$; $12_{,5}$; სურ. $10_3$.

[60] Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 39, ტაბ. XXIII, 3; XLV, 4; XLVIII.

[61] М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 324, სურ. 8.

[62] ნ. ვაშაკიძე, სუფსა-ნატანების..., გვ. 123—124, ტაბ. XXV, 9; XXVII, 5; XXXI, 4; XXXIII, 6; XXXIV, 7; XXXVIII, 3; XL, 2, 3.

[63] М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969, გვ. 263, ტაბ. XXXIV, 7.

[64] Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969, გვ. 58; ტაბ. XLIII, 17.

[65] ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, ტაბ. XVI, 9; XXI, 8.

[66] А. С. Уваров, Каталог собрания древностей, М., 1887, გვ. 64, ნივთი № 504, იხ. შესაბამისი ტაბულა; П. С. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, სურ. 148.

[67] А. Л. Лукин, Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Государственный Эрмитаж, Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Л., 1941, გვ. 61, ტაბ. XV, 3.

[68] Ю. Н. Воронов, დასახ. ნაშრომი, გვ. 45, ტაბ. XLIII, 19.



სურ. I. № 3 ქვევრსამარხი.




სურ. II. № 4 სამარხ ქვევრში აღმოჩენილი ნივთები.



სურ. 111. კანთაროსი № 4 ქვევრსამარხიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოჩამოთვლილი პუნქტების ერთ ნაწილში, გარდა 7 ბურცობიანებისა, დადასტურებულია 5, 10, 11, 14 ან 16 ბურცობიანი სამაჯურებიც. აღნიშნული ტიპის სამაჯურებს, რომლებიც მსგავსი არიან ღეროზე აცმული მძივებისა[69], ძვ. წ. IV—III (ან III შუახანები) სს. ათარიღებენ.

საყურე-რგოლები (ნოქ. 74/212) ბრინჯაოს 1 მმ დიამეტრის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული. წარმოადგენენ 1,5 სმ დიამეტრის სადა, პირხსნილ რგოლებს, რომელთა ბოლოები გაწვრილებულია (სურ. II, 3). ასეთი ფორმის საყურე-რგოლები გვხვდება დაბლაგომის[70], დაფნარის[71], ფარცხანაყანევის[72], ზემო ფარცხმის[73], ქვემოხეთის[74], სამთავროს[75] ქვევრსამარხებში და სხვ. ისინი ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში არ თავსდებიან.

მონეტა (ნოქ. 74/214) ვერცხლისაა (გამოვლენისას დაფარული იყო მწვანე ჟანგით). მართალია, იგი ძლიერ გაცვეთილია (როგორც ჩანს დიდხანს იყო მიმოქცევაში), მაგრამ მასში მაინც შეიცნობა „კოლხური თეთრი“, ნახევარდრაქმა (სურ. II,4). მონეტის ასეთ განსაზღვრას მხარს უჭერს მისი ზომა — 10/11 მმ. და წონა — 99 გრ. ნახევარდრაქმის მიმოქცევის ხანად, როგორც უკვე აღინიშნა, ძვ. წ. IV—III სს. შუახანებია მიჩნეული.

ხელშუბისპირი (ნოქ. 74/215) დამზადებულია რკინისაგან. იგი პირვიწროა, სიგრძე უდრის 10 სმ-ს (სურ. II, 5). როგორც ცნობილია, ელინისტური ხანის ქვევრსამარხებში იარაღი ძალზე იშვიათად გვხვდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხში დადასტურებული „კოლხური თეთრი“-ს, საბეჭდავი-ბეჭდის და სამაჯურების ანალოგიებს ათარიღებენ შესაბამისად ძვ. წ. V—III შუახანები, IV, და IV—III (ან III შუახანები) სს., მაგრამ ამავე კომპლექსში ძვ. წ. II ს. კანთაროსის გამოვლენის ფაქტი შეუძლებელს ხდის № 4 ქვევრსამარხის ძვ. წ. II ს. (უკიდურეს შემთხვევაში — ძვ. წ. III ს. მიწურულზე) ადრეული ხანით დათარიღებას. ასეთ დათარიღებას ერთგვარად მხარს უჭერს ის გარემოება, რომ განხილულ შემთხვევაში სამარხად გამოყენებული იყო თითქმის სრულიად სადაზედაპირიანი ქვევრი, რომელიც ჰორიზონტულად იყო დაფლული. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ასეთი მონაცემების ქვევრსამარხებს კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ძვ. წ. III—II სს. ათარიღებენ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ განხილულ სამარხში გამოვლენილი „კოლხური თეთრი“, როგორც ჩანს, განეკუთვნება გვიანდელ სერიებს და დიდხანს იყო მიმოქცევაში.

ქვევრსამარხი № 5 (22.VIII.75, უბ VI, კვ. K 19) მიკვლეულ იქნა № 3 ქვევრსამარხისაგან 3 მ 50 სმ-ით ჩრდილოეთით, 50 სმ სიღრმეზე. იგი დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით აღმოსავლეთისაკენ. მდგრადობისათვის რამდენიმე ქვა ჰქონდა შემოწყობილი. ქვევრსამარხში გამოვლინდა მოკუნტულად, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩ-

---

[69] Н. В. Хоштариа, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[70] იქვე, გვ. 87.

[71] Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 19, 23, 34.

[72] М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

[73] ნ. ვაშაკიძე, სუფსა-ნატანების..., გვ. 130—131.

[74] ნ. ვაშაკიძე, სუფსის აუზში..., გვ. 83, ტაბ. X, 14.

[75] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს., (ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში), მსკა, III, თბ., 1963. გვ. 149—150.

ხი[76]. ქვევრსამარხისაგან 35 სმ-ით სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა ვერტიკალურად, ძირით ქვემოთკენ დაფლული დიდი ძირბრტყელი ჭურჭლის ქვედა ნაწილის ფრაგმენტი ფრინველის (ქათმის?) ძვლებით და სამაჯურით. სამარხი ორმოს ძირზე დაფენილი იყო საშუალო ზომის ბრტყელი თეთრი ქვები.

ქვევრი № 2 და № 4 სამარხი ქვევრების ტიპისაა და ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

სამაჯური (ნოქ. 75/255) დამზადებულია ბრინჯაოს 3 მმ მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. იგი წრისებურია, პირხსნილი, პირი პირზეა გადასული. ბოლოები შემკულია ბურცობებით, რომლებიც სადა ტანისაგან ღეროსირგვლივი სუსტი ჭდეებით არის გამოყოფილი.

ქვევრსამარხი № 5 ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

ქვევრსამარხი № 6 (20. VIII. 77, უბ. VI, კვ. K 18) აღმოჩნდა კვადრებით ნაგები გალავნიდან 4 მ-ით აღმოსავლეთით, გალავნის ცოკოლის დონიდან 10 სმ-ით დაბლა მდებაზე 25 სმ-ის სიმაღლის კირქვის ლოდის ქვეშ. ქვევრი დაფლული იყო ჰორიზონტულად, პირით აღმოსავლეთისაკენ. მდგრადობისათვის რამდენიმე ქვა ჰქონდა შემოწყობილი. ქვევრს არ დაუდასტურდა ძირი, რომელიც მოუხერხავთ. ამ სახით ქვევრის სიგრძე უდრიდა 90 სმ-ს. ქვევრის ზემოთკენ მიმართულ ნაწილს, მხრებიდან ძირის მოხერხვის ადგილამდე, ამოხერხილი ჰქონდა 30 სმ სიგანის ზოლი[77]. ქვევრში გამოვლინდა მოკუნტულად, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული უინვენტარო მიცვალებულის ჩონჩხი. ქვევრის პირთან, ჩრდილოეთის მხრიდან, დადასტურდა აგურისფერი, ძირით ქვემოთკენ მოთავსებული საშუალო ზომის ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

საყურადღებოა. რომ ქვევრსამარხზე იდო საკმაოდ დიდი ზომის ლოდი, რომელიც, როგორც ჩანს, ისევე როგორც № 4 ქვევრსამარხზე მოთავსებული ლოდები, სამარხის მონიშვნის მიზნით იყო დადებული.

ქვევრი № 2, № 4 და № 5 სამარხი ქვევრების ტიპისაა. თარიღდება ძვ. წ. III—II სს.

ქვევრსამარხი № 6 ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნოქალაქევის ქვევრსამარხების გამოვლენისას ორ შემთხვევაში (ქვევრსამარხები № 3 და № 4) ქვევრებთან, მათი დაფლვის დონეზე, აღმოჩნდა მიცვალებულთა ჩონჩხები. ეს მიცვალებულები პირდაპირ გრუნტზე, სრულიად უინვენტაროდ და ამასთანავე ქვევრსამარხებისაკენ სახეშებრუნებით (რაც ქვევრებში ჩასვენებულთადმი დაქვემდებარების გამოხატულება უნდა იყოს) დაუკრძალავთ. ჩვენი აზრით. ისინი მსხვერპლად შეწირული ტყვეები (მონა-მსახურები?) იყვნენ[78].

ქვევრსამარხებთან ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის წესი ნოქალაქევის სამარხთა შესწავლამდე საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული არ ყოფილა[79], ხოლო რაც შეეხება მთელ ამიერკავკასიას, აქ ასეთი შემთხვევა,

---

[76] პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXII, 2.

[77] პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XX, 2.

[78] შესაძლოა, № 3 ქვევრსამარხის გვერდით დასვენებული მიცვალებულის გულმკერდის არეში აღმოჩენილი რკინის ფრაგმენტი (იხ. ზემოთ) იმ იარაღის ნაშთია, რომლითაც განგმირეს სამსხვე რპლო.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დამოწმებულია მხოლოდ ერთხელ, კერძოდ, მინგეჩაურის № 17 ქვევრსამარხის გამოვლენისას. ამ სამარხის გამთხრელი გ. იონე წერს: «Погребение... сопровождалось двумя костяками вьючных животных (по предварительному определению — верблюда и лошади) и скелетом человека, обнаруженным на грунте в необычном для погребении положении: он находился почти под кувшином, лежал на грудной клетке, вниз лицом, руки подогнуты»[80]. ამ და აგრეთვე მდიდრულინვენტარიანი და ღარიბულინვენტარიანი ქვევრსამარხების ერთმანეთის გვერდით და ამასთანავე თანადროული დაფლვის რამდენიმე დადასტურებული შემთხვევის საფუძველზე გ. იონე ასკვნის, რომ «в Мингечауре в последних веках до нашей эры и в первых веках нашей эры погребения племенной знати иногда, по-видимому, сопровождалось насильственным умерщвлением зависимых от них людей или пленных рабов»[81].

ნოქალაქევში დადასტურებულ დაკრძალვის წესთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა 1969 წ. ვანში გათხრილი ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით დათარიღებული, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებული, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი (№ 9), რომელშიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი მთავარი მიცვალებულის ფერხთით აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცისა). „ორივე ჩონჩხი", ვკითხულობთ სამარხის აღწერილობაში, „ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სახით ჩრდილოეთისაკენ (მთავარი მიცვალებულისაკენ), ზურგზე გაშოტილი. მათ თითქმის არავითარი ინვენტარი არ ახლდა. მხოლოდ ერთის კისრის არეში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის პასტის მძივები. მეორე ჩონჩხი ძაღლის ჩონჩხზე იყო დასვენებული"[82].

წარჩინებული მეომრის ფერხთით დაკრძალულ მიცვალებულებთან დაკავშირებით ოთ. ლორთქიფანიძე შენიშნავს: „საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. როგორც ჩანს, ისინი „იმ ქვეყანაში" სამსახურად გაატანეს „ამა ქვეყნის ძლიერს". ეს წესი რამდენადმე უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი ჩანს ძვ. წ. IV ს. კოლხეთისათვის, მაგრამ მრავალ ანალოგიას პოულობს სკვითურ-ირანულ სამყაროში"[83].

უთუოდ აღსანიშნავია ნოქალაქევის და ვანის მსხვერპლად შეწირულთა დამარხვის თითქმის სრული ანალოგია: მსხვერპლად შეწირულები ორივეგან დასვენებული იყვნენ მთავარი მიცვალებულის სამხრეთით, ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთისაკენ, მთავარი მიცვალებულისაკენ სახეშებრუნებით.

უნდა ითქვას, რომ ნოქალაქევის ქვევრსამარხთა შესწავლამდე გამოვლე-

---

[79] პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

[80] Г. И. Ионе. Мингечаурские кувшинные погребения с оружием, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры, вып. 60, М., 1955, გვ. 62.

[81] იქვე.

[82] ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი, I, არქეოლოგიური გათხრები 1947—1969, თბ., 1972, გვ. 202—203.

[83] ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი I, გვ. 27.

ნილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ტყვეთა (მონა-მსახურთა?) ნაძალადევი, საწესო — რიტუალური სიკვდილი და პატრონებთან ერთად დამარხვის წესი ანტიკური კოლხეთის ადრეკლასობრივი საზოგადოების მხოლოდ ზედა ფენებს უკავშირდებოდა. ნოქალაქევის ქვევრსამარხებმა კი აღნიშნული წესის არსებობა ხსენებული ადრეკლასობრივი საზოგადოების დაბალ ფენაშიც დაადასტურა[84].

ნოქალაქევში აღმოჩენილი ქვევრსამარხები ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდებიან.

ლეონტი მროველის ცნობით, მეფე ფარნავაზის დროს, ე. ი. ძვ. წ. III ს. დასაწყისში, ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ, ფარნავაზის სიძემ, „აღაშენა ციხე-გოჯი"[85].

ვახუშტი ბატონიშვილის მტკიცებით, ციხე-გოჯი ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარეობდა: „აწ სენაკს ზეით", წერს ისტორიკოსი, „არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ამეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე..."[86]. ამასთანავე, ქართლის ცხოვრების ორ ხელნაწერში — ჭალაშვილისეული ნუსხის ახალ ნაწილში და მაჩაბლისეულ ნუსხაში, ლეონტი მროველის ზემოხსენებული ცნობის გასწვრივ აშიაზე წერია: „ოდიშს ნაქალაქევი"[87], ხოლო ჯანაშვილისეულ ნუსხაში, იმ ადგილას, სადაც ისტორიკოსი ჯუანშერი ციხე-გოჯს ახსენებს, აშიაზე მიწერილია: „ციხე გოჯი ნაქალაქევია"[88].

ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულება ციხე-გოჯის ლოკალიზაციის თაობაზე მკვლევართა მთელმა რიგმა გაიზიარა. მაგრამ აღნიშნული საკითხის შესახებ სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს. პლ. იოსელიანის მიხედვით ციხე-გოჯი მდებარეობდა იმერეთში, რიონის ზემო წელში, სვანეთის საზღვრებთან[89]. ამასთანავე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1930/31 წლებში ნოქალაქევში ჩატარებული გათხრებისას არ იყო ფიქსირებული ელინისტური, ქუჯის მიერ ციხე-გოჯის აგების ხანის, მასალა: მაშინ მოპოვებულ ყველაზე ადრინდელ მასალას წარმოადგენდა ახ. წ. I ს. კერამიკა, რომელიც, ამასთანავე, მხოლოდ რამოდენიმე ფრაგმენტით იყო დადასტურებული.

---

[84] ოთ. ლორთქიფანიძის ახლახან გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის წესი ვ. თოლორდავამ დააფიქსირა დაბლაგომის ქვევრსამარხებთანაც (ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ნაქალაქარი. გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე), ვანი III, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1977, გვ. 20, შენ. 40). საინტერესოა აგრეთვე, რომ ეს წესი დამოწმებულია არა მარტო წარჩინებულ, არამედ რიგით სკვითთა სამარხებშიც. 1966 წ. გამოქვეყნებულ ა. ტერენოჟკინის წერილში ვკითხულობთ: «В ходе недавних раскопок близ с. Кута Днепропетровской области и около гор. Борисополя, выяснилось, что умерщвленные рабы клались в могилы не только знатных, но и простых необедневших скифов значительно чаще, чем это считалось раньше. Даже с ребенком иногда считали необходимым положить невольницу няньку» (А. И. Т е р е н о ж к и н, Об общественном строе скифов, Советская археология, № 2, 1966, გვ. 40).

[85] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (შემდეგში იხ. ქ˜ც.), ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 24.

[86] ქ˜ც., ტ. IV, თბ., 1973, გვ. 777.

[87] ქ˜ც., ტ. I, გვ. 24.

[88] იქვე, გვ. 235.

[89] П. И о с е л и а н и, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тиф., 1850, გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1966 წ. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქევის შიდა ციხის ტერიტორიაზე მოიპოვა პირამიდული საწაფი, გვერდებაკეცილი ვანურის მსგავსი ბრტყელი კრამიტის ნატეხები, ყავისფერთიხიანი ადგილობრივი ამფორის ფრაგმენტები და სინოპური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური. ამ მონაპოვართან დაკავშირებით გამთხრელები წერდნენ: „ჩვენ მიერ აღმოჩენილი მასალა, თუმცა ზუსტად არ თარიღდება, მაგრამ მაინც არსებული მონაცემების მიხედვით ძვ. წ. I ს. არ უნდა გადმოცილდეს. თუ ეს გარემოება დადასტურდა, მაშინ ყველა საფუძველი გვექნება ვენდოთ „ქართლის ცხოვრებას“, რომლის მიხედვით ციხე-გოჯი, ვახუშტის მიერ ნოქალაქევთან გაიგივებული, ძვ. წ. III ს. აშენდა“[90].

მართალია 1966 წ. ნოქალაქევში მოპოვებულ იქნა გარკვეული რაოდენობით ელინისტური ხანის მასალა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო იმდენად მეტყველი, უხვი, და, რაც მთავარია, ციხე-გოჯის აგების თარიღთან მყარად დაკავშირებული, რომ ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის მიმართების საკითხი მასზე დაყრდნობით გადაჭრილიყო. იგივე შეიძლება ითქვას 1971 წ. ასევე დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ გვიანელინისტური ხანით დათარიღებულ ქვევრსამარხზე. ამიტომაც, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უთუოდ დიდ მნიშვნელობას იძენს ნოქალაქევის ტერიტორიაზე ძვ. წ. III—II სს. ქვევრსამარხთა (განსაკუთრებით — ძვ. წ. III ს. კარგად დათარიღებული № 3 ქვევრსამარხის) აღმოჩენის ფაქტი. ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობის მოსაზრების სასარგებლოდ მოპოვებულია მეტად მნიშვნელოვანი, ახალი არქეოლოგიური მასალა. საკითხი საბოლოოდ გადაწყდება ნოქალაქების ტერიტორიაზე ელინისტური ხანის მონუმენტური ნაგებობების აღმოჩენის შემთხვევაში.

Г. О. ГВИНЧИДЗЕ

## КУВШИННЫЕ ПОГРЕБЕНИЯ НОКАЛАКЕВИ

Резюме

В 1974—1978 гг. в с. Нокалакеви экспедицией отдела средневековой археологии Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа, руководимой проф. П. П. Закарая, было выявлено 6 кувшинных погребений III—II вв. до н. э. Эти погребения имеют важное научное значение, т. к.: 1. в них впервые в Закавказье зафиксирован факт погребения насильственно умерщвленных пленных (слуг-рабов?) вместе с хозяевами — рядовыми представителями раннеклассового античного общества; 2. в них впервые в Грузии и во второй раз в Закавказье установлен случай погребения насильственно умерщвленных пленных (слуг-рабов?) вместе с похороненными в пифосах хозяевами; 3. они в известной степени подтверждают данные письменных источников о том, что в III в. до н. э. на территории Нокалакеви был выстроен город-крепость Цихе-Годжи; 4. их инвентарь дает возможность уточнить

[90] გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, ვ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

хронологические рамки бытования некоторых вещей, с помощью которых определяется обычно датировка многих археологических комплексов; так, в одном погребении, твердо датируемом II в. до н. э. (в крайнем случае — самим концом III в. до н. э.), выявлена монета «колхидка» (полудрахма), перстень-печатка и два браслета с семью наплывами, временем бытования которых принято считать соответственно V — середину III, IV, и IV—III (или середину III) вв. до н. э.; 5. в одном из них найден канфар неизвестного для Грузии типа.

წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, „მეცნიერება“, 1978

ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-სოციოლოგიურ ლიტერატურას ისტორიის მეცნ. დოქტორის, პროფ. მიხეილ გეგეშიძის ნაშრომის — „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ — სახით, რომელიც მიძღვნილია ეთნიკურ-ეროვნული კულტურისა და ტრადიციების თეორიული და პრაქტიკული პრობლემებისადმი, შეემატა ფრიად საინტერესო მეცნიერული ნაკვლევი. ხსენებული ნაშრომის მეცნიერული ღირებულება მარტოოდენ მის აქტუალობაში როდია, არამედ იმაშიც, რომ იგი ერთ-ერთი პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც იძლევა საკვლევი პრობლემატიკის რიგი საკითხების მეცნიერულ დაყენებას, კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკის თავისებურებათა განსაზღვრას ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციოლოგიური შესწავლის კუთხით.

ნაშრომში განსახილველად შემოტანილი საკითხები მრავალწახნაგოვანია თავისი შინაარსისა და კვლევის ასპექტებით. მრავალი ამ საკითხთაგანი, კერძოდ, ეთნიკური ერთობის, ენისა და ეთნოსის, ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების, ეთნიკური კულტურის აღნაგობის, ეთნიკური ტრადიციების აღნაგობისა, აგრეთვე სხვა საკითხები, როგორც ავტორი მართებულად აღნიშნავს, ეთნოგრაფიის, ასევე ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სამართლისა და სხვა მეცნიერებათა ინტერესების სფეროში შედის. რამდენადაც ნაშრომში დასმული პრობლემები თეორიულ-მეთოდიკურ და ამასთანავე პრაქტიკულ ასპექტებს ეძლვნება, მასში არ არის განხილული განსაზღვრული შინაარსისა და ფორმის მატარებელი კონკრეტული ტრადიციები და წესჩვეულებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევა ეყრდნობა სპეციალურ ლიტერატურას და ავტორის მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევაში მიღებულ შედეგებს, საუნივერსიტეტო სალექციო კურსის მასალებს.

მ. გეგეშიძის ნაშრომში განსაზღვრულია ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ტრადიციების რაობა, როგორც რთული სოციალური მოვლენებისა. ეთნიკურ კულტურაში, როგორც კონკრეტული ხალხის კულტურაში, გამოიხატება ხალხის მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ისტორიის იერსახე. ეთნიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია ეთნიკური ტრადიცია, რომელიც ისტორიულ-სოციალური მოვლენაა. ნაშრომში ყოველმხრივაა გააზრებული ტრადიციის წარმოშობის კანონზომიერება, მისი ხასიათისა და სპეციფიკის მრავალფეროვნება, საზოგადოების დამოკიდებულება ტრადიციებისადმი და ტრადიციების ისტორიული დანიშნულება.

ეთნიკურ-ეროვნული და კულტურულ-ისტორიული ტრადიციები მონაწილეობენ სოციალისტური ყოფის, ქართული საბჭოური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში, ამიტომ ისინი გარკვეული სოციალური ფუნქციის მატარებელი არიან. ავტორი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები ეთნიკური ბუნებით ზოგადია და ამავე დროს აქვს რეგიონალური, ტერიტორიული და კუთხობრივი სპეციფიკა. ამიტომ ითვალისწინებს ავტორი ამ გარემოებას ქართული ეროვნული ტრადიციების შესწავლის, შეფასებისა და მათდამი დამოკიდებულების დროს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორის ყურადღების სფეროშია საწარმოო ტრადიციებიც, რომელთაც შესწავლის თვალსაზრისით მრავალმხრივი, მათ შორის გეოგრაფიულ-ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები გააჩნიათ. ავტორი იჩენს ფრთხილ დამოკიდებულებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, საზოგადოებრივი ურთიერთობის ეთნიკური ტრადიციებისადმი. სოციალურ სფეროში შემუშავებულ ეთნიკურ ტრადიციებს, რომლებიც ემყარება სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლებს, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით თანამედროვე საზოგადოების სოციალური მართვის კონკრეტულ პროცესში.

ავტორი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი აზრის აქტიური და ეფექტური ჩარევის მნიშვნელობას ეთნიკურ ტრადიციებში ძველი და კარგი ტრადიციების შენახვა-შენარჩუნებისა, ხოლო ზოგჯერ მოძველებული, დღევანდელობისათვის გამოუსადეგარი ტრადიციების უკუსაგდებად. ტრადიცია რაც უფრო ძველია, მით უფრო მკვიდრდება თაობებში, მაგრამ ზოგჯერ ისტორიულად ღრმადფესვგაუმდგარი ტრადიციაც პოულობს ფართო გავრცელებას. ნაშრომში და-

ხასიათებულია ტრადიციების სახეცვლილება, რომელთაგან ზოგიერთმა, სამწუხაროდ, სადღეისოდ გაყალბებული და დამახინჯებული სახე მიიღო. ამიტომ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მ. გეგეშიძის ნაშრომის უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან იგი აქტიურად ეხმაურება თანამედროვე მეცნიერების მოწოდებას, მეცნიერული კვლევის შედეგების მიმართებას სოციალური პრაქტიკისადმი. ნაშრომში ვხვდებით არა ზერელედ მოწოდებულ, არამედ ღრმა ფიქრისა და მეცნიერული მსჯელობის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს. თანამედროვე საზოგადოება ხომ ტრადიციებისადმი აქტიურ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური ყოფის შესაფერი ახალი ტრადიციების წარმოქმნასა და დამკვიდრებას, მათი საზოგადოებისათვის სასარგებლო მიმართულებით განვითარებას. ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებას ეროვნული ტრადიციებისადმი კონკრეტული ტრადიციის მაგალითზე ავტორი განიხილავს ისტორიულ თანმიმდევრობაში, რაც შესაძლებლობას აძლევს მას დაასაბუთოს, რომ ტრადიციები, როგორც „ცოცხალი სოციალური ფუნქციის მოვლენები, განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს ექვემდებარება და აქვს ცვლილებების უნარი“ (გვ. 13).

ნაშრომში გაკრიტიკებულია საზღვარგარეთის ბურჟუაზიული მეცნიერების თვალსაზრისი ტრადიციის, როგორც ერთ წერტილზე გაყინული მოვლენის უცვლელობის შესახებ, რომელიც გადაეცემა თაობებს თითქოს შეუცნობელი, მექანიკური გამეორებით. ტრადიციები უცვლელი არ არის, არამედ განვითარებადია. ეროვნულობასთან ერთად, მათ ეთნიკური და სოციალური შინაარსით ინტერნაციონალური ხასიათი შეიძლება ჰქონდეთ. ეროვნული კულტურების განვითარებისათვის სადღეისოდ არსებული კეთილსასურველი პირობები, ცხადია, გამორიცხავს ეროვნული ტრადიციების ნიველირებას, ისინი კვლავაც ინარჩუნებენ თავიანთი ფორმისა და შინაარსის ინდივიდუალობას.

ავტორი იძლევა კონკრეტულ-სოციოლოგიურ დაკვირვებათა შედეგებზე დამყარებული ზოგიერთი ტრადიციის შინაარსის ახსნას, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ქართული ეთნიკური ტრადიციების სპეციალურ მეცნიერულ შესწავლაში. მაგრამ ავტორის მიზანია ყურადღება გაამახვილოს წარსულის ყოფისა და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გაფართოება-გაღრმავებასთან ერთად ამ კვლევის შედეგების დაკავშირებაზე საზოგადოების თანამედროვე განვითარებასთან. ამისათვის კი აუცილებელია ეთნიკური ტრადიციების კომპლექსურ შესწავლასთან ერთად საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ე. ი. ტრადიციებისადმი დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი ინტელიგენციის მონაწილეობა.

მ. გეგეშიძის ხსენებული ნაშრომის გამოქვეყნება მისასალმებელია იმიტომაც, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უკომპრომისო ბრძოლაში საზოგადოებრივი ძვრების სხვადასხვა სფეროში წარმოჩენილი ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, თავისი ადგილი დაიკავეს ხალხური ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების არაჯანსაღი გამოვლინების აღკვეთის ამოცანებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის ნოემბერში მიღებულ დადგენილებაში „მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ კრიტიკული შეფასება მისცა ზოგიერთი ტრადიციის გაყალბების ფაქტებს და დაისახა თანამედროვე ცხოვრებისათვის შეუფერებელ დრომოჭმულ ტრადიციებზე ხელის აღებისა და სასარგებლო ტრადიციების შენახვა-დაცვის გზები, რადგან ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციები ეროვნულ ენასთან ერთად შეადგენენ ეთნიკური კულტურის ეროვნული ფორმის საფუძველს. სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმა ხომ მანამდე იარსებებს, ვიდრე არსებობს ერი, როგორც ისტორიული კატეგორია. ავტორი ეხება ხალხურ საწარმოო ტრადიციებს და ყურადღებას ამახვილებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ივნისის დადგენილებაზე „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული თაობების მიერ ისტორიულად შექმნილი შემოქმედებითი პრინციპებისა და შრომითი ჩვევების შენახვის აუცილებლობა.

ავტორი მართებულად მიიჩნევს ტრადიციების შენახვისა და ფსევდოტრადიციების აღკვეთისადმი საზოგადოებრივი აზრის აქტიური დამოკიდებულების აუცილებლობას. ამასთან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტრადიციების სფერო თუ ერთი შეხედვით ხელშეუხებელი შეიძლება გვეჩვენოს, სინამდვილეში შესაძლებელია გაყალბებულ გამოვლენათა აღკვეთა სხვადასხვაგვარ ღონისძიებათა განხორციელებით, ოღონდ ეს ღონისძიებანი ავტორის თქმით „დიფერენცირებული გამოხატულებისა უნდა იყოს“.

ნაშრომში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ კულტურათა განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესების განხილვას. საბჭოურ ხანაში ეროვნულ კულტურათა განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებასთან და სოციალისტური ერების განვითარების ორ ცნობილ პროგრესულ ტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენციას ექვემდებარება. ეს არის, ერთი მხრივ, ყოველი ეროვნული კულტურის აყვავება, ხოლო მეორე მხრივ, მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის მშენებლობის ტენდენცია.

ავტორი მსჯელობს ხალხისა და ერის, ეთნიკური და ეროვნული კულტურის შინაარსობრივ განსხვავებისა და ამ ცნებების პირობითად გაიგივების თაობაზე. ნაშრომში ფართო მნიშვნელობითაა განხილული ეთნიკურ-ეროვნული კულტურა, რომლის ძირითად ნიშნებს შეადგენენ საწარმოო, მატერიალური, სოციალური, სულიერი ცხოვრების ტრადიციები ეროვნულ ენასთან ერთად.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ეროვნულ კულტურათა განვითარება კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს ემყარება, რომელიც გამორიცხავს ეროვნულ კულტურათა დისკრიმინაციას, განაპირობებს და ხელს უწყობს სოციალისტური ერების ძმური კავშირ-ურთიერთობის საფუძველზე ფორმით ეროვნული (მათში ეროვნული ტრადიციების განვითარება იგულისხმება) და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის ურთიერთგამდიდრებას. ნაშრომში ახსნილია ეროვნული კულტურის სოციალისტური შინაარსის საფუძველი, განხილულია ხალხური და პროფესიული კულტურის ურთიერთმიმართება. ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაყალბებულ მტკიცებებს საბჭოთა კავშირში ეროვნული კულტურების მშენებლობის საკითხებზე. როგორც იგი შენიშნავს, „ეროვნული კულტურების მშენებლობის საქმეში დღევანდელობის ერთ-ერთი რთული პრობლემაა ტრადიციულობისა და პროფესიულობის მჭიდრო ურთიერთკავშირის შენარჩუნება“ (გვ. 138).

მ. გეგეშიძის ნაშრომში დასმულია და გაანალიზებულია არაერთი პრობლემა, მაგალითად, ეთნიკური ტრადიციების ბუნება და აღნაგობა, ეთნიკური ტრადიციების კულტურულ-ეთნოგრაფიული და სოციოლოგიური შესწავლის მეთოდიკის საკითხები. ჩვენ არ ვეხებით ამ და კიდევ ზემოთ დასახელებულ ზოგიერთ საკითხს, რადგან მათი დიდი ნაწილი ეთნოგრაფიის შესწავლის საგანია და ამიტომ ხელი არ გვეწიფების ვიმსჯელოთ მათ შესახებ. ასევე არაფერს ვამბობთ ნაშრომში განხილული ეთნოსის, ენისა და ეთნოსის, ეთნიკური კულტურის აღნაგობისა და ქართული ენთიკური ნომენკლატურის საკითხებზე, რადგან მათი შესწავლის ავ-კარგზე მსჯელობა სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერთა კომპენტენციისა და სპეციალური განხილვის საგანია. ზოგადად გვინდა ვთქვათ, რომ ამ ნაშრომში პირველადაა დასმული საკითხი ტრადიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის კომპლექსური შესწავლის მეთოდების გამოყენების შესახებ, მოცემულია ასეთი მუშაობის ძირითადი მიმართულებაც, რაც ფრიად ფასეულია პრობლემის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. როგორც ავტორი შენიშნავს, ტრადიციების ისტორიული განვითარების შესწავლა (რაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ობიექტია) გულისხმობს ტრადიციების დღევანდელი მდგომარეობის ცოდნასაც, რაშიც კონკრეტულ-სოციოლოგიურ შესწავლას დიდი როლი ენიჭება. ეს კარგად ჩანს ხალხური ტრადიციებისადმი დამოკიდებულების ზოგად საკითხებზე მსჯელობისას, როდესაც ავტორი ხაზს უსვამს ხალხური ტრადიციების, როგორც სოციალური მოვლენის დიალექტიკურ ბუნებას, გამოხატულს მის სტაბილურობასა და დინამიკურობაში, რის გამოც მისი ცვლილების, შევსება-გამდიდრების პროცესი ეთნიკური ტრადიციების განვითარების კანონზომიერებაა, რომელიც აყენებს მისი შესწავლისადმი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დამოკიდებულების აუცილებლობას. ეს არის ამოცანა ტრადიციების კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევისა.

უდავოა, ნაშრომში დასმული პრობლემების კვლევის წარმატება განაპირობა ავტორის ფართო განსწავლულობამ, მრავალწლიანმა ეთნოგრაფიული და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის გამოცდილებამ. ერთ-ერთი ამგვარი მუშაობის მაგალითს ავტორი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე სამეურნეო რაიონის — წითელი წყაროს რაიონის პერსპექტიული სოციალური განვითარების მაგალითზე წარმოგვიდგენს, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალური მართვისათვის თანამედროვე ეტაპზე.

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომის ერთ ადგილზე (გვ. 19) ავტორი მკვლევარ-ისტორიკოსის და ეთნოგრაფის პოზიციებიდან საჭიროდ თვლის „მხარი დავუჭიროთ ყოველგვარი ტრადიციის შენარჩუნებას, მათი ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობის გამო და წარსულის სოციალურ-ეთნიკურ პროცესში უკეთ გარკვევის მიზნებისათვის“, რამდენადაც ტრადიცია პირველხარისხოვანი წყაროა ეთნოგრაფიისა და საერთოდ სოციალური მეცნიერებისათვის. მართალია, ავტორი იქვე განასხვავებს დრომოჭმულ ტრადიციებს, რომელთაც ჟამთა სვლაში შესაძლოა გაყალბებული და მავნე ხასიათი შეიძინონ და სასარგებლო ტრადიციებს, რომელთაც შენახვა-შენარჩუნება სჭირდებათ, მაგრამ ზემოთ მოტანილი კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ თითქმის ყოველგვარ ტრადიციას შეუძლია შეასრულოს პირველხარისხოვანი წყაროს რო-

ლი. ჩვენ გვეჩვენება, რომ ტრადიციამ, რომელსაც განვითარებადი, სტაბილური და დინამიკური ბუნება აქვს შეიძლება კარგად შეინახოს ძირითადი შინაარსი და ფორმა, ხოლო ზოგიერთმა კი სახე იცვალოს, ამიტომ ვფიქრობთ, მათ გაუქირდებათ ერთნაირი სამსახურის გაწევა მეცნიერებისათვის. ავტორი, ცხადია, უნდა გულისხმობდეს მხარდაჭერას მნიშვნელოვანი საწარმოო ან სოციალურ-ისტორიული ტრადიციისადმი, რომელიც ისტორიული განვითარების თვალსაზრისით იძლევა სათანადო მასალას მეცნიერული დაკვირვება-ანალიზისათვის.

ცნობილია, რომ საღღეისოდ არაერთი ახალი ტრადიცია იქმნება, რაც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის ინტერესებს შეესატყვისება. ზოგი ამ ტრადიციათაგანი ძველი, კარგი ტრადიციების აღორძინება-განვითარებადაც შეიძლება იქნას განხილული. ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო იქნებოდა ავტორს ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციების ღრმა მეცნიერულ ანალიზთან ერთად ასევე კვალიფიციური მეცნიერული შეფასება მიეცა ამ ე. წ. ახალი ტრადიციებისათვის, რომელთაც დამკვიდრება სჭირდებათ. ეს პრაქტიკულ დახმარებას გაუწევდა თანამედროვე საზოგადოებას ახალი ტრადიციებისადმი დამოკიდებულებაში.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ მიერ ზოგადად განხილული პროფ. მ. გეგეშიძის ნაშრომი იძლევა ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების თეორიულ-მეთოდიკურ გააზრებას და განზოგადებას, შეიცავს მისი კომპლექსური შესწავლის პრაქტიკულ წინადადებებს, ამიტომაც იგი, ჩვენი აზრით, შესაფერ ადგილს დაიკავებს ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც მისი ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენი.

მაყვალა ნათბელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**В. В. ЗВАРИЧ, НУМИЗМАТИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ. Издание третье, дополненное, Львов. Издательство при Львовском государственном университете издательского объединения «Вища школа», 1978, 224 стр. 292 иллюстрации**

«Нумизматический словарь» В. В. Зварича был впервые опубликован в 1973 г. на украинском языке, а затем был переведен на русский и выдержал два издания довольно большим тиражом в 1975—1976 гг. В 1978 г. вышло в свет существенно дополненное и расширенное третье издание (ред. Н. Ф. Котляр) этого труда.

В словаре 764 статьи разного объема, в которых рассматриваются термины, непосредственно связанные с монетами, монетным чеканом и денежным обращением, охарактеризованы денежные единицы, имевшие распространение в Древней Греции, Риме, на Ближнем и Среднем Востоке, в России, в странах Восточной и Западной Европы и др. В ряде статей объясняются финансовые и политэкономические термины, знание которых необходимо для изучения истории денежного обращения. Практическую пользу могут принести сведения о пробе золота и серебра в каратной, золотниковой и метрической системах. В словаре собраны многочисленные сведения о современных монетах и монетных системах, а в приложении дается довольно подробный список валют различных стран мира (наименование валюты, ее деление, содержание чистого золота и ее официальный курс к доллару США и советскому рублю). К словарю прилагаются также список нумизматической литературы (200 наименований), указатель терминов и 292 иллюстрации старинных и современных монет.

Большинство словарных статей написано со знанием дела, формулировки и определения сжаты и предельно ясны. «Нумизматический словарь» В. В. Зварича, являющийся единственным трудом подобного рода в советской нумизматической литературе, уже привлек и, безусловно, впредь будет привлекать внимание большого круга читателей: историков, археологов, этнографов, экономистов и др.

Отмечая несомненные достоинства рецензируемого труда, следует также указать на некоторые его недостатки. В словаре ничего не говорится о таких денежных единицах, как драхма, тетрадрахма и денар — в сасанидском Иране, танга — при Тимуридах, ашрафи — в Египте (XV в.) и государстве Сефевидов, чао — в Китае и государстве ильханов, алтун — в Османской империи. Отсутствуют колхидки, чеканившиеся в Западной Грузии в VI—III вв. до н. э. Из византийских нумизматических терминов не попали в словарь истаменон номизма, тетартерон номизма и номизма трахи аспрон.

Требуют уточнения некоторые указания В. В. Зварича при разъяснении отдельных нумизматических терминов.

В статье «Динар» говорится, что эту золотую «монету начали чеканить халифы Дамаска в 696 г. Этот динар соответствовал византийскому солиду и имел вес 4,25 г. В том же году Абд ал-Малик, пятый халиф Омайядов, провел реформу арабской монетной системы, в результате которой арабские монеты стали чеканиться по образцу византийских» (стр. 61). На самом деле экспериментальный

чекан динара осуществлялся приблизительно с 691 г. по 696 г.[1] До монетной реформы Абд ал-Малика солид действительно служил образцом для чекана динара, совпадал и их весовой стандарт (4.5 г.), однако после реформы (77 г. х. — 696/697 г. н. э.) динар по своим надписям и весу коренным образом отличался от солида.

В. В. Зварич приводит расплывчатые данные о пробе динара (стр. 61), хотя по этому вопросу имеются заслуживающие внимания исследования A. Ehrenkreutz-а[2]. В этой же статье следовало также учесть и то, что в государстве ильханов, после монетной реформы Газан-хана (1295—1304) динар становится наименованием крупного серебряного номинала (ок. 12,8 г.).

В статье «Дирхем» отмечается, что эта серебряная монета «введена в конце VII в. до н. э. (ок. 692—696 гг.) с начальным весом в 3. 9 г.» (стр. 63). Допускаем, что здесь налицо корректурные ошибки и следует читать VII в. н. э. и 2,9 г. (вместо VII в. до н. э. и 3,9 г.), однако надо было четко разграничить дирхемы, чеканенные в 692—696 гг. по сасанидскому образцу[3] и пореформенные, чисто эпиграфические, так называемые, куфические дирехмы, которые появились в 78 г. х. — 697/698 г. н. э.[4] или же в 79 г. х — 698/699 г. н. э.[5] В этой же статье города ал-Куфа и ал-Басра по недоразумению отнесены к Ирану.

В словаре толкуется значение миткаля, как единицы веса (стр. 113). Приходится констатировать, что и в этом случае сведения, данные автором, не точны и не полны. Эта единица веса и ее разновидности детально освещены в труде В. Хинца[6]. К тому же следует указать, что правильнее форма м и с к а л (مثقال) а не миткаль.

В статье «Иперпер» указывается, что это название византийского солида появилось с конца XII века (стр. 81). На самом же деле чекан иперпера специалистами связывается с монетной реформой Алексея I Комнина (1081—1118) в конце XI века[7].

Невозможно согласиться с автором словаря в том, что высокая проба солида оставалась почти неизмененной до 1453 г. и что небольшие колебания имели место с 1071—по 1078 г. (стр. 158). Исследования Ф. Грирсона показали, что высокая проба солида (24 карата) оставалась неизменной до 30-х годов XI в. Затем происходит ее понижение и в 70-х годах XI в. она достигает катастрофичес-

---

[1] Ph. G r i e r s o n. The Monetary Reforms of 'Abd al-Malik. «Journal of the Economic and Social History of the Orient», (далее : «JESHO»), vol. 111, pt. 3, 1960, c. 244.

[2] A. S. E h r e n k r e u t z. Studies in the Monetary History of the Near East in the Middle Ages, 1. «JESHO», vol. 11, pt. 2, 1959, c. 128—161; 11, «JESHO», vol. VI, pt. 3, 1963, c. 243—277.

[3] Ph. G r i e r s o n, указ. соч. стр. 245.

[4] سلمان عيسى ، اقدم درهم معرب للخليفة عبد الملك بن مروان [С а л м а н, И с а. Наиболее ранний арабизированный дирхам халифа Абд ал-Малика б. Марвана]. «Sumer», vol. 27, 1971, c. 147—152 (чекан монетного двора Арминийа).

[5] J. W a l k e r, A Catalogue of the Arab-Byzantine and Post-Reform Umaiyad Coins, London, 1956, c. 111. Ph. G r i e r s o n, указ. соч., с. 245.

[6] В. Х и н ц, Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, М., 1970, с. 11—17.

[7] Ph. G r i e r s o n, From Solidus to Hypergeron. The Names of Byzantine Gold Coins. «Numismatic Circular», vol. LXXIV. № 15, 1966, c. 123—124; M. H e n d y, Coinage and Money in Byzantine Empire 1081—1261, Washington, 1969, c. 34; Г. И. Д ж а п а р и д з е, О термине «иперпир» в Синодике Иверского монастыря на Афоне, «Византийский временник», т. 39. М., 1978, с. 180—181.

ки низкого уровня (8— 9 каратов)[8]. Проба новой византийской золотой монеты иперпера — по сравнению с солидом также была ниже (20—21 карат)[9] и она продолжала ухудшаться в XIII—XIV вв.

Что касается вогнутых монет (лат. nummi scyphati), то они чеканились в Византии не в X в. (стр. 117), а со времени императора Михаила IV (1034—1041)[10] и в последующие века. Вогнутыми были, в частности, иперперы.

Есть замечания к библиографии. В нее не вошли труды ряда советских нумизматов (Е. А. Давидович, К. Голенко, Х. А. Мушегяна и др.), имеющие большое значение для истории денежного обращения в Средней Азии и Закавказье. Отсутствуют некоторые справочные издания и исследования на западноевропейских языках, по которым читатель мог бы получить полезные сведения по монетной терминологии и истории монетного дела тех или иных стран[11].

К сожалению, следует отметить и то, что среди 292 иллюстраций не нашлось места для восточных (мусульманских) монет.

В словаре чувствуется некоторое тяготение к западной нумизматике, из-за чего пострадала восточная, изучение которой в нашей стране имеет богатую традицию. Можно надеяться, что в следующем издании словаря автор обратит на это должное внимание.

**Г. И. ДЖАПАРИДЗЕ**

---

[8] Ph. Grierson, The Debasement of Bezant in the Eleventh Century. «Byzantinische Zeitschrift», (далее: «BZ») Bd. 47, Hft. 2, 1954, c. 379—393; Id. Notes on the Finenes of the Byzantine Solidus, «BZ», Bd. 54, Hft. 1, 1961, c. 91—97.

[9] Ph. Grierson, From Solidus... c. 124. M. Hendy, указ. соч., c. 10—12.

[10] M. Hendy, указ. соч. c. 5.

[11] Напр., R. Göbl, Sasanidische Numismatic, Brunchweig, 1968; M. Hendy, указ. соч. ; Rabino di Borgomale, Coins, Medals and Seals of Shahs of Iran, 1500—1941, Hertford, 1945, (Репринт, 1971); A. C. Schaendlinger, Osmanische Numismatic, Brunchweig, 1973; E. von Zambaur, Die Münzprägungen des Islams, Bd. 1, Wiesbaden, 1968.

# ქრონიკა და ინფორმაცია

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო პროფილის დაწესებულებანი 1978 წელს

### ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საანგარიშო წელს ინსტიტუტი განაგრძობდა მუშაობას სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. მუშაობის უკეთ წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ. ე. ა. შევარდნაძის შეხვედრას ინსტიტუტის კოლექტივთან (18.VII.1978 წ.). ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობდნენ ცალკეულ მეცნიერულ პრობლემებზე, აქტიურად ეხმაურებოდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, ფართოდ იყვნენ ჩაბმული სალექციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში რესპუბლიკის მასშტაბით.

დაწყებულია მუშაობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რუსულად გამოსაცემად.

საანგარიშო წელს ინსტიტუტის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას შეადგენდა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა კავშირში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორიის“ შესწავლა. გაშუქებულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია. რსდმპ II ყრილობის 75 წლისთავს მიეძღვნა გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია ქ. რუსთავში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო საპრობლემო სამეცნიერო საბჭოებმა, ინსტიტუტის ბაზაზე და ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით, გასული წლის დამლევს, 18—30 ოქტომბერს, წყალტუბოში ჩაატარეს სამი საერთაშორისო და საკავშირო მნიშვნელობის სიმპოზიუმი უახლესი ისტორიის პრობლემებზე: **1.** „დიდი ოქტომბერი საბჭოთა და საზღვარგარეთულ ისტორიულ ლიტერატურაში“ (13—20 ოქტომბერი). სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან; **2.** „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების იდეოლოგიური ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ“ — 24—25 ოქტომბერი; **3.** საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ნაციონალური რაზმების ფორმირება და განვითარება სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (1921—1937 წწ.) — 28—30 ოქტომბერი.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა შესწავლა პრობლემის „სოციალისტური მშენებლობის ისტორია სსრკ-ში“. თემით „სოციალისტური მშენებლობის ისტორია სოფლად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“ შესწავლილ იქნა საქართველოს სოფლის სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში; კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება დიდი სამამულო ომის შემდგომ ხუთწლედში (1945—1950 წწ.) განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახალხო დეპუტატების საბჭოების მოღვაწეობის შესწავლას დიდი სამამულო ომის წლებში, აგრეთვე 1965—1970 წწ.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება მუშაობდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების, მოძმე ხალხების კულტურათა ურთიერთდაახლოების და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემის დამუშავებაზე. გამოკვლეულ იქნა ქართული ხელოვნების იდეური მიმართულებანი; სკოლისგარეშე განათლების ახალი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება; ქართული ლიტერატურის ადგილი ახალი სოციალისტური ყოფის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში (1921—1932 წწ.).

წარმატებით გრძელდებოდა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ისტორიის შესწავლა. დასრულდა ნაშრომი „თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ისტორია“. ნაჩვენებია პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ავანგარდული როლი წარმოების განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში. გაშუქებულია ზემო ქედის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, საქართველოს მეტალურგიული ქარხნის (1970—1977 წწ.), თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის და აგრეთვე რესპუბლიკის უძველესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილი საწარმოს თბილისის სალოკომოტივო დეპოს ისტორიები.

საბჭოთა საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ექლეოდა საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის დედაარსის გაშუქებას, პროპაგანდას, გაანალიზებას. ინსტიტუტის თანამშრომლებმა თავისი მეცნიერული წვლილი შეიტანეს სკკპ გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის თხზულებების „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ ფართო პროპაგანდაში ამ თხზულებათა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენების თვალსაზრისით.

ავტორთა კოლექტივმა გამომცემლობა „განათლებას“ გადასცა XX ს-ის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი წიგნი უმაღლესი სკოლებისათვის (რედაქტორი ი. კაჭარავა). წიგნი მოიცავს საბჭოთა საქართველოს ისტორიას დიდი სამამულო ომის დაწყებამდე.

სამეცნიერო კრებულებში, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში ინსტიტუტის თანამშრომლებმა მრავალი სტატია დაბეჭდეს საბჭოთა საქართველოს განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

დაიბეჭდა ი. ჩიქავას მონოგრაფია „საქართველოს გლეხობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“.

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლის სამეცნიერო მიმართულებით საანგარიშო წელს ინსტიტუტში გრძელდებოდა დიდი სამამულო ომის ისტორიის შესწავლა. გაშუქებულია საქართველოს მეომრების მონაწილეობა 1941 წლის სასაზღვრო ბრძოლებში. შესწავლილ იქნა საქართველოს თეატრებისა და რესპუბლიკის და საოლქო ჟურნალ-გაზეთების შემოქმედებითი მოღვაწეობა; სამამულო ომის საბჭოთა ისტორიოგრაფია. გარდა პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიებისა დაიბეჭდა ი. ბაბალაშვილის წიგნი „საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.)“.

სსრკ შეიარაღებული ძალების 60 წლისთავის აღსანიშნავად 1978 წლის 21 თებერვალს ინსტიტუტში ჩატარდა სესია. 17—18 ნოემბერს მოეწყო გამსვლელი სესია თელავში, მიძღვნილი კავკასიისათვის ბრძოლის 35 წლისთავისადმი.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის და მისი შემდგომი განვითარების შესწავლის სამეცნიერო პრობლემით ინსტიტუტში გრძელდებოდა კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა-ძიება. სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების შესწავლის თვალსაზრისით თბილისის მაგალითზე შესწავლილია მიგრანტთა ადაპტაციის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მიგრაციული პროცესების ნორმალიზაციისა და რეგულირებისათვის. რუსთავის მაგალითზე შესწავლილია საზოგადოებრივი აზრი შობადობის შესახებ. გამოკვლეულია სოციალურ-კულტურული პრობლემების როლი წითელი წყაროს რაიონის გრძელვადიანი განვითარების რეგიონალურ კომპლექსურ გეგმაში (1976—1990 წწ.). თიანეთის რაიონის მაგალითზე მიმდინარეობდა კვლევა სოფლად ცხოვრების სოციალისტური წესისა და კულტურის განვითარების შესასწავლად. მოსწავლე ახალგაზრდების მიერ პროფესიის არჩევის ტენდენციების გასააზრებლად, თბილისის მაგალითზე გამოვლენილია პროფესიულ-საზოგადოებრივი პრესტიჟის საკითხი მოსამსახურეთა შორის. მიმდინარეობდა მასალების შეგროვება სოციალურ ტერმინოლოგიისა და ლექსიკოლოგიისათვის.

საველე-საექსპედიციო სამუშაოები ჩატარდა წითელი წყაროსა და თიანეთის რაიონებში.

დაიბეჭდა მ. გეგეშიძის მონოგრაფია „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“; კრებული — „საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების შესწავლა“.

საანგარიშო წელს ინსტიტუტში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა ძველი საქართველოს და ძველი აღმოსავლეთის, ღასავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. გამოკვლეულ იქნა „მონის“ ინსტიტუტი ძველ ქართლში; ხეთების სახელმწიფოს სატაძრო მეურნეობა და პერსონალი; რელიგიური მისტერიები ეგვიპტის ძველი სამეფოს ხანაში; კილიკია გვიანხეთურ ხანაში; ქალაქ ურის სახელმწიფო მეურნეობის მუშა პერსონალი; ხური-ურარტული ერგატივის ტიპოლოგია დაღესტნურ ენებთან მიმართებაში; ელინისტური ხანის მწერლობა და აღმოსავლური სამყარო.

საერთო კავკასიური თემატიკიდან გამოკვლეულ იქნა კავკასიური ცხოველური სტილის სიმბოლიკის საკითხები. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე ახლებურად იქნა გააზრებული ბერძნული კოლონიზაციის საკითხები.

იბეჭდება: გრ. გიორგაძე, ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები (გერმანულად ბუდაპეშტში); დაიბეჭდა ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის პოლიტიკური და ეთნიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზების შესახებ („მაცნე“, ისტორიის სერია, 1978 წ., № 3). სულ ძველი ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა 11 სხვადასხვა დასახელების წერილი დაბეჭდეს.

გრ. გიორგაძის მოხსენება წარედგინა განსახილველად ისტორიკოს-ეკონომისტთა VII საერთაშორისო კონგრესს ქ. ედინბურგში. მ. ხვედელიძემ წაიკითხა მოხსენება მეროისტულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთაშორისო კონფერენციაზე მოსკოვში, ხოლო ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე — ი. მაჭავარიანმა.

წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა პრობლემით „ფეოდალური ფორმაციის ისტორია სსრკ ხალხებში". შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების ინიციატივით, ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო სესია მიეძღვნა საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებს. სესია ჩატარდა 1978 წლის 27—28 თებერვალს და 1 მარტს. მოსმენილ იქნა 16 მოხსენება.

გამოითქვა მოსაზრება (პროფ. მ. დუმბაძე), რომ ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურის წარმოქმნა შეიძლება ვივარაუდოთ VI ს-ის II ნახევრიდან, როდესაც საფუძველი ეყრება ერისთავ-წარჩინებულთა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, ხოლო საგარეო ვითარება ხელს უწყობს ფეოდალიზაციის პროცესს. სხვა თვალსაზრისით (ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯამბურია), მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ჩასახვა-განვითარება IV—VI სს. იწყება, ხოლო VII—IX სს. მსხვილი საფეოდალო საბოლოოდ ყალიბდება სენიორალური ვასალური სისტემით.

გამოკვლეულია ქართული სასოფლო თემის გამგებლობის თავისებურებანი VI—XII სს. სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა ადრეფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის საკითხს; უმეფობის ხანის ქართლის მარზპანებს; რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნის საკითხს. დადგინდა, რომ გამიჯნული იყო სახელმწიფო და მეფის პირადი (სახასო) საკუთრება მიწაზე. გამოკვლევები მიეძღვნა X—XII სს. საქართველოს დიპლომატიას; ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობას XII—XV სს., გიორგი XII-ის სახელმწიფოებრივი საქმიანობის შესწავლას. გამოქვეყნებული და საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილია რაჭისა და ლეჩხუმის სოფლის მეურნეობა XVI—XVIII სს. საქართველოსა და ირანის სახელმწიფოებრივი წყობილების შედარებითი შესწავლისათვის გამოკვლეულია ვაზირისა და მუსტოფის სახელოები.

გრძელდებოდა მუშაობა „საქართველოს გლეხობის ისტორიის" I ტომის გამოსაცემად მოსამზადებლად. გამოკვლეულია ქართული ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XI—XII სს.

დაიბეჭდა: **1.** მ. დუმბაძე, ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა; **2.** ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის; **3.** მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს. II ნახევარში; **4.** ზ. ლომინაძე, ქრისტიანობა საქართველოში.

კაპიტალისტური ფორმაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაზე საანგარიშო წელს მუშაობას განაგრძობდა ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილება. აღნიშნული პრობლემით ცალკე შეისწავლებოდა კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება სოფლის მეურნეობაში. შესწავლილ იქნა რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფლის კაპიტალისტური ევოლუცია, ცალკეული მემამულური მეურნეობების კაპიტალისტური ტრანსფორმაციის მომენტები. მრეწველობაში გამოვლენილ იქნა წვრილი ბურჟუაზიის ხვედრითი წონის დაქვეითება. მიმდინარეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პერიოდში. ამ თვალსაზრისით შესწავლილ იქნა „ცნობის ფურცლის", „ნოვოე ობოზრენიეს", „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის", „კავკაზის", „ტიფლისკიე ვედომოსტის" მასალები. გამოკვლეულ იქნა აკაკი წერეთლის, გიორგი თუმანიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი; პლატონ იოსელიანის შეხედულებანი XIX ს. საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა შესახებ.

აღნიშნული პრობლემატიკით დაიბეჭდა 12 მეცნიერული გამოკვლევა და სტატია. დაიბეჭდა თ. ჩხეიძის მონოგრაფია „კაპიტალიზმის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1880—1917 წწ.".

ისტორიულ ჭრილში მიმდინარეობდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობათა და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან გარკვეულია რუსული ორიენტაციის საკითხი ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკაში XVI ს-ის მიწურულსა და XVII ს-ის პირველ ნახევარში. დაწყებულია შესწავლა ქართველების წვლილისა რუსეთის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX ს-ის I ნახევარში.

კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებაში გამოკვლეულ იქნა ქართული ისტორიული წყაროების ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და ძველი რუსეთის შესახებ (XVII ს. შუა ხანებამდე). შეისწავლებოდა რაჭა-ლეჩხუმის განსახლება, ტოპონიმია; სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი რეფორმის წინ თერგის ოლქში.

დაიბეჭდა: **1.** კრებული — ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორია, მეორე ნაკვეთი; **2.** ა. ლეჟავა, საქართველოსა და ჩრდ. კავკასიელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (გამომცემლობა „ნაუკა", მოსკოვი).

საანგარიშო წელს ევროპის ისტორიის განყოფილება სწავლობდა საკუთრივ ევროპის ქვეყნებისა და ევროპასთან საქართველოს ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობის ისტორიის საკითხებს. შესწავლილ იქნა იტალიის მონაწილეობის საკითხი პირველ მსოფლიო ომში; ამიერკავკასია ავსტრია-უნგრეთის იმპერიის გეგმებში იმავე პერიოდში. გამოკვლეულ იქნა ქართული პრესის მასალები ევროპის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

დაიბეჭდა: კრებული — ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები.

საზღვარგარეთის თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პრობლემათა კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა თანამედროვე ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური საკითხების კვლევას. შესწავლილია ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლების: ტეგრატის, მორტონის, დანტოს, დიურის და სხვათა შეხედულებანი ისტორიული ცოდნის ჭეშმარიტობის შესახებ. ტოინბის კლასობრივი ბრძოლის თეორია ახსნილია, როგორც რელიგიურ-მისტიკურ შეხედულებათა ერთობლიობა. გაკრიტიკებულია თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის წარმომადგენლების რასელის, კროუფორტის, კრისესა და სხვათა შეხედულებანი. გამოკვლევა მიეძღვნა ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დაიბეჭდა: იდეოლოგიის საკითხები (რუსულ ენაზე).

საანგარიშო წელს კვლავ სათანადო ყურადღება ექცეოდა ისტორიული მეცნიერების თეორიისა და ისტორიის პრობლემების კვლევას. საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის გამოვლენის ნიშნით საანგარიშო წელს გამოკვლეულ იქნა დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები. შეისწავლებოდა აღმოსავლეთის საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესის საბჭოური ისტორიოგრაფია. დაიწყო შუა საუკუნეების ქალაქების XIX ს. ისტორიოგრაფიის გამოკვლევა; „ქართლის ცხოვრებაში" ხალხთა მასების როლის ისტორიოგრაფიული გააზრება; თანზიმატის შესწავლა. განხილულია ალ. ფრონელის მოღვაწეობის ძირითადი მომენტები; დემოკრატიული იდეები „ცისკრის" ფურცლებზე. ლენინური კონცეფციის შუქზე განხილულია საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. გამოკვლეულ იქნა 1832 წლის შეთქმულების შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე ისტორიოგრაფიული ლიტერატურა და აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის მდგომარეობა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

დაიბეჭდა: გ. მარგიანი, ქართული ხალხის-12. „მაცნე", ისტორიის სერია, 1979, № 2 ნობის ისტორიოგრაფია. ამავე პრობლემატიკით დაიბეჭდა რამდენიმე სამეცნიერო წერილი.

საანგარიშო წელს ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა წყაროთმცოდნეობის პრობლემით. გრძელდებოდა მუშაობა ქართული წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოზე. დაწყებულია მუშაობა დ. ბაქრაძის წყაროთმცოდნეობით-არქეოგრაფიული მოღვაწეობის შესასწავლად.

მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლა. დაწყებულია ბერძენი მწერლის არიანეს, XVIII ს-ის სომეხი ავტორის „დავით ბეგის ისტორიის" შესწავლა. გამოკვლეულია XIII ს-ის საქართველოს ისტორიის სომხური წყაროები, VII ს-ის არაბული წყაროები; მუნეჯიმ-ბაშის თხზულება. ქართულად ითარგმნა ტავერნიეს „ექვსი მოგზაურობის" მეორე წიგნი. გამოსაცემად მომზადდა ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (მოსკოვი) დაცული XVII ს-ის 90-იანი წლების მასალები ქართული კოლონიის ისტორიისათვის. რუსულად ითარგმნა ომან ხერხეულიძის „საქართველოს ისტორია".

გამოკვლეულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, როგორც წყარო საქართველოს სოციალური ისტორიისათვის. თბილისური დოკუმენტები შესწავლილია, როგორც წყარო XVII—XVIII სს. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის.

გრძელდებოდა ნაყოფიერი თანამშრომლობა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტთან, ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის გამოსაცემად. დაიწყო X—XVII სს. დოკუმენტების პირთა ანოტირებული საძიებლის შედგენა.

„შუშანიკის წამების" 1500 წლის იუბილესათვის გამოიცა ვ. დონდუასეული რუსული თარგმანი რ. კიკნაძის რედაქციითა და ზ. ალექსიძის წინასიტყვაობით.

დაიბეჭდა: 1. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები; 2. რ. კიკნაძე, „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ; 3. ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა XIV—XVI სს. ანდერძების (ჰიშატაკარანები) ცნობები საქართველოს შესახებ; 4. ბ. სილაგაძე, ერაყი მამლუქთა მმართველობის ხანაში; 5. გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ; 6. ქართული წყაროთმცოდნეობა, V.

წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლებმა, გ. ალასანიამ, გ. ანჩაბაძემ, მ. გობეჯიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეთა კონფერენციის მუშაობაში. საიუბილეო სესიებზე მოხსენებები წაიკითხეს რ. კიკნაძემ, ზ. ალექსიძემ, ნ. შენგელიამ.

ეროვნულ ბიბლიოთე

საანგარიშო წელს განყოფილების თანამშრომლებმა დაბეჭდეს 30-მდე სტატია და რეცენზია.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურისა და საველე-საექსპედიციო კვლევა-ძიების შედეგად გამოკვლეულ იქნა მასალები XI—XIII სს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. დამუშავდა მასალები ვაკე-იმერეთის, სამცხის, სამუხრანოს, ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიისათვის. შესწავლილ იქნა სამეგრელოს, ლეჩხუმის, სვანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნეში.

დაიბეჭდა: დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა.

საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საანგარიშო წელს პალეოანთროპოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით მონოგრაფიულად არის შესწავლილი გვიანანტიკური ხანის კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია. დერმატოგლიფიკურად და ოდონტოლოგიურად შეისწავლებოდა დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის კონკრეტული ეთნიკური ჯგუფები.

დაიბეჭდა: **1.** კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში. **2.** კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია გვიანანტიკურ ხანაში.

საანგარიშო წელს ეთნოგრაფიის სექტორში გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს ეთნოგრაფიულ ატლასზე. წარმატებით იმუშავა ტრანსპორტის მასალების შემკრებმა საპრობლემო ჯგუფმა. კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში რედაქტირებულ იქნა საცხოვრებელ ნაგებობებთან, მესაქონლეობასთან დაკავშირებული საატლასე თემები.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა სსსრ ხალხების კულტურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა. შეისწავლებოდა აგრეთვე ხალხური საწარმოო ტრადიციები. ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეისწავლებოდა სიღნაღის რაიონის სამეურნეო მუშების ყოფა და კულტურა. მიგრაციული პროცესების ასპექტში შეისწავლებოდა არაგვის ხეობის მთისწინა და ბარის მოსახლეობა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეულია დიდი ოჯახის არსებობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები. შესწავლილია ოჯახური ყოფის დამახასიათებელი ზოგიერთი თანამედროვე ნიშანთვისება. ისტორიულ-ეთნოგრაფიულად იქნა შესწავლილი ქალაქი მცხეთა. გამოკვლეულია მთიური საცხოვრებელი სახლის ინტერიერის კომპოზიციური თავისებურებანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების კვლევის საფუძველზე გამოკვლეულია რბილი ხორბლის ადგილი მიწათმოქმედების ისტორიაში, მეთევზეობის ხალხური წესები აჭარაში, სვანეთის ხის ჭურჭლის სახეობანი. გამოკვლეულია ქართული წელთაღრიცხვის სისტემის არსი. სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა იმერეთში ნიადაგის ათვისების ტრადიციულ წესებსა და არაგვის ხეობაში სატყეო მეურნეობის წარმართვას; ქართული და ევროპული მეღვინე-მევენახეობის ურთიერთმიმართებას. შესწავლილია მარანი და მარნის ჭურჭელი საგარეჯოს რაიონში; ზედაშეები კახეთში. მიმდინარეობდა რეპატრირებულ ფერეიდნელთა შრომითი საქმიანობისა და ადაპტაციის საკითხების კვლევა.

საერთოკავკასიურ მასალასთან ურთიერთობაში შეისწავლებოდა ხალხური მმართველობის სისტემა ხევსურეთში, ბარში ჩამოსახლებულ ხევსურთა თანამედროვე ქორწინება. დაწყებულია მთიულეთ-გუდამაყარში გავრცელებული კერის კომპლექსური კვლევა.

კავკასიის ხალხების მუსიკალური კულტურის თვალსაზრისით შედარებულ იქნა ქართული და ჩრდილოკავკასიური სიმებიანი საკრავების კონსტრუქცია, ფუნქცია. გამოკვლეულ იქნა მუსლიმანური და წინამუსლიმანური ჩაჩნურ-ინგუშური, დაღესტნური სიმღერები. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ნაჩვენებია მეურნეობის ცალკეული დარგების დონე. გრძელდებოდა სამეცნიერო კვლევა-ძიება რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით. შესწავლილია ნადირობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოში. ეთნოგრაფიული ლიტერატურის, საველე მასალის მიხედვით შესწავლილია სიკვდილ-სიცოცხლის ციკლურობა, დაკავშირებული ზეცის, დედამიწისა და ქვესკნელის წარმოსახვით სამყაროსთან. გამოკვლეულია მთიანი სამეგრელოს სინკრეტული ღვთაების ჟინი ანთარის ბუნება, მისი ფუნქციები; სვანეთში გამონაშთურად შემორჩენილი ვაჟიშვილისთვის განკუთვნილი სოციალურ-რელიგიური წესები. შეკრებილია მასალა მშობიარე ქალთან და ახალშობილთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ იმერეთში. გამოკვლეულ იქნა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, თანამედროვე ყოფაში დადასტურებული, ეთნოგრაფიული პროცესები გურიაში, მთიულეთში. მიმდინარეობს ქართული ხალხური ასტრალურ-რელიგიური სისტემის კვლევა. გამოვლენილია და აღწერილია ერწოს ჯვარ-ხატები, ხატის მომსახურე პერსონალი, ჯვარ-ხატებთან დაკავშირებული დღესასწაულები. წარმოდგენილია მასალა ხევსურეთში „უნჯ ყმათა“

უფლებების შესასწავლად. აღწერილია „ალერტობა“ სამეგრელოს ბარში, „ათენგენობა“ არხოტში.

კავკასიის ეთნოგრაფიის თვალსაზრისით დადგენილია კანონზომიერება ოსთა ნათესაურ ტერმინოლოგიასა და სოციალურად სანქცირებულ ქცევის ნორმებს შორის. შესწავლილია გუდაუთის რაიონის აფხაზური ძველი ოჯახის თავისებურებანი, აფხაზეთში მოსახლე ბერძნების ოჯახი და საოჯახო ყოფა ძველად. ჩაჩნეთში გამოვლენილია ქანობიანი ზედაპირის ათვისების უზრუნველმყოფი მაღალი ინტენსიური კულტურა. მეზობელი მთიულების სამოსთან მეცნიერული შედარების საფუძველზე გამოკვლეულია ვაინახი ქალის ჩაცმულობა. კლასიფიცირებულია გაზეთ „დროებაში“ გაბნეული ეთნოგრაფიული მასალა, გაანალიზებულია ზოგადი ეთნოგრაფიის პრობლემატიკა.

ეთნოგრაფიის სექტორმა ჩაატარა სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1977 წლის საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებისადმი. საანგარიშო წელს მოეწყო ექსპედიციები: თიანეთში, მესხეთში, ქართლში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში.

დაიბეჭდა: **1.** ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში; **2.** თ. ოჩიაური, ხევსურები და ხევსურეთი; **3.** ალ. რობაქიძე, მთური ფეოდალიზმის საკითხისათვის კავკასიაში („სოვეტსკაია ეთნოგრაფია“, 1978, № 2); **4.** ა. ქალდანი, კოშკების სამყაროში, „საბჭოთა საქართველო“. ეთნოგრაფიის პრობლემებზე ინსტიტუტის თანამშრომლებმა სხვადასხვა სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემაში, მათ შორის საზღვარგარეთ, დაბეჭდეს 30-მდე სამეცნიერო სტატია და რეცენზია.

ინსტიტუტის განყოფილებებს სათანადო სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ინფორმაციით ამარაგებს სამეცნიერო ინფორმაციისა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხის განყოფილება. საანგარიშო წელს განყოფილებაში სასიგნალო ინფორმაცია მომზადდა 110 დასახელების ნაშრომზე. რეფერატები ინსტიტუტის 7 თანამშრომლის მონოგრაფიებზე გადაეგზავნა საკავშირო საინფორმაციო რეფერატული ჟურნალის რედაქციას. ამასთან განყოფილება მუშაობს საქართველოს სხვადასხვა რაიონის ძეგლების ფიქსაციაზე. სულ საანგარიშო წელს მოხდა 75 ძეგლის პასპორტიზაცია.

დაიბეჭდა: უ. სიდამონიძე, ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზებულ საბჭოს სხდომებზე დაცულ იქნა 10 საკანდიდატო (აქედან 3 ინსტიტუტის თანამშრომლებისა), და 1 სადოქტორო დისერტაცია (ე. ქვათაძე — ინსტიტუტის თანამშრომელი).

საანგარიშო წელს ინსტიტუტის ყველა განყოფილებაში, დაგეგმილი განრიგის მიხედვით, მაღალმეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა სასემინარო მუშაობა, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა ინტერესი აქტუალური სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკისადმი, უფრო საქმიანი გახდა თანამშრომელთა მეცნიერული კონტაქტები.

როგორც წინა წლებში, საანგარიშო წელსაც, ინსტიტუტის თანამშრომელთა მოწინავე ნაწილი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ქალაქისა და რაიონული კომიტეტების დავალებით ფართო სალექციო-პროპაგანდისტურ მუშაობას ეწეოდა რესპუბლიკის მასშტაბით.

ჯუმბერ ოდიშელი

## არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის 8 განყოფილება და 3 ლაბორატორია 1978 წ. მუშაობდა ხუთი ძირითადი პრობლემის 6 თემაზე, რომელთაც საერთო მიმართულება „კაპიტალისტურამდელი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ისტორია, ისტორიული პროცესების ადრეული ეტაპების არქეოლოგიური შესწავლა“ აერთიანებს.

პირველი პრობლემა: პირველყოფილი და მონათმფლობელური, არქაული საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორია ითვალისწინებდა მუშაობას თემაზე — „ქვის ხანა საქართველოში“. ქვის ხანის განყოფილების თანამშრომლები მთავარ ყურადღებას უთმობენ „საქართველოს არქეოლოგიის“ აკადემიური გამოცემის შესაბამისი თავებისათვის მასალების შეკრება-მომზადებას. შედგენილია მთელი რიგი ძეგლების (წონა, კუდარო I, საგვარჯილე, წოფი I, საკაჟია, მღვიმევი, ასპინძა, ჭახათი, ზურტაკეტი, ოდიში, დარკვეთი, გალი I) ანოტაციები, რომლებშიც მოცემულია ამომწურავი ცნობები: ადგილმდებარეობა, აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია, ფენათა სტრატიგრაფია, ქვის, ძვლის და ფაუნისტური მასალის მოკლე დახასიათება, ქრონოლოგია. ანოტაციები ილუსტრირებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა 1978 წელს შედგა ზედაპალეოლითის ხანის მღვიმის — ოქუმი I მასალების კატალოგი (გ. ხუბუტია), შესწავლილ იქნა მელოურის ქვის ხანის ნამოსახლარები (კ. კალანდაძე).

განყოფილების ხაზით მუშაობდა 5 ექსპედიცია: თრიალეთის (ხელმძღვანელი მ. გაბუნია), კოლორის ხეობის (ზ. წერეთელი), სამეგრელოს (გ. გრიგოლია), წყალწითელას ხეობის (მ. ნიორაძე), წყალტუბოს (კ. კალანდაძე).

ამავე პრობლემაში შედის მეორე მნიშვნელოვანი თემა: „ადრეული ლითონების კულტურა კავკასიაში“, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა იმ ძეგლთა აღწერა-დახასიათებას და ილუსტრირებული ანოტაციების შედგენას, რომლებიც „საქართველოს არქეოლოგიის“ აკადემიურ გამოცემაში უნდა შევიდნენ.

ეს განყოფილებები მუშაობდნენ ქრონოლოგია-პერიოდიზაციის მეტად აქტუალურ და რთულ საკითხებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტ. მეცნ. კანდ. რ. აბრამიშვილის განმანზოგადოებელი ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაცია და მათი სინქრონიზაცია დასავლეთ საქართველოს ძეგლებთან“. ესაა ამიერკავკასიის უნიფიცირებული ქრონოლოგიური სკალის შექმნის პირველი ცდა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ისტ. მეცნ. დოქტორის დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგია“. მის მიერ, აღნიშნული პერიოდის სკალა შედგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ძეგლების (საწარმოო კერები, ნასახლარები, სამაროვნები) შესწავლის საფუძველზე. ა. ნუცუბიძემ დაასრულა მუშაობა ნაშრომზე „ალაზნის ველის ძვ. წ. XIV—XII სს. არქეოლოგიური კულტურის პერიოდიზაცია და ქრონოლოგია“, რომელშიც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. ნიშანდობლივია, რომ 1978 წელს 2—10 ოქტომბერს, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ქ. სიღნაღში ჩატარდა საკავშირო თათბირი, მიძღვნილი კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის საკითხებისადმი, სადაც ამ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ უახლესი აღმოჩენების შუქზე ემსჯელათ ქრონოლოგიის ამ რთულ პრობლემაზე.

1978 წ. წარმოდგენილი იყო წინა წელს ჩატარებული მთელი რიგი ექსპედიციების აფხაზეთის (მ. ბარამიძე), აბასთუმნის (გ. ფხაკაძე), აშურიანის ველის (გ. მირცხულავა, ბ. შატბერაშვილი), დილმის ველის (რ. აბრამიშვილი, ნ. ოქროპირიძე), მესხეთ-ჯავახეთის (ოთ. ლამბაშიძე), ალგეთის ხეობის (ნ. თუშიშვილი), მჭადიჯვრის (ლ. წითლანაძე) და სხვა. ვრცელი სამეცნიერო-დოკუმენტირებული ანგარიშები.

1978 წელს მუშაობდა: ქვემო ქართლის (დ. გოგელია, გ. ქავთარაძე), თბილისის (რ. აბრამიშვილი), მესხეთ-ჯავახეთის (ოთ. ლამბაშიძე), ალგეთის ხეობის (ნ. თუშიშვილი, ჯ. ამირანაშვილი), აფხაზეთის (მ. ბარამიძე), აშურიანის (ზ. შატბერაშვილი, გ. მირცხულავა), კახეთის (კ. ფირცხელაური), ეცერის (შ. ჩართოლანი), კოლხეთის (თ. მიქელაძე) და სხვა ექსპედიციები.

აღნიშნული I პრობლემების მესამე თემაზე: „ანტიკური ხანის ქალაქები და სამოსახლოები“ ძირითადად მუშაობდნენ ცენტრის ანტიკური ხანის განყოფილება და პალეოურბანისტული კვლევის ლაბორატორია. „საქართველოს არქეოლოგიის“ აკადემიური გამოცემებისათვის მომზადდა მასალები — საქართველოს ადრეანტიკური და ელინისტური ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ოთ. ლორთქიფანიძე), გლიპტიკა ძველ საქართველოში (მ. ლორთქიფანიძე), სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ადრეანტიკური ხანის საქართველოში (გ. დუნდუა).

1978 წ. გრძელდებოდა ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული იმპორტული ხელოსნური ნაწარმის (შავლაკიანი კერამიკა, სინოპური ამფორები, ტერაკოტები, საბეჭდავები) შესწავლა. ნასტაკისის, მცხეთის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—1976 წწ. აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის შესწავლა დაასრულა ნ. მირიანაშვილმა.

1977 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების ვრცელი სამეცნიერო-დოკუმენტირებული ანგარიშები მოამზადეს: 1. ა. აფაქიძემ, ვ. ნიკოლაიშვილმა, ა. სიხარულიძემ და სხვებმა— „დიდი მცხეთა“. ნაშრომში ასახულია მცხეთის შვიდ უბანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები; 2. გ. ლორთქიფანიძემ, ნ. კილურაძემ, ლ. ასათიანმა — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. გამოვლენილია ახ. წ. I ს-ის ფენა და ხის, ძელურ ნაგებობათა ნაშთები; 3. ალ. ბოხოჩაძემ, ნ. მირიანაშვილმა და სხვ. „ნასტაკისის, მცხეთის რაიონის 1977 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია“, ალაიანში გაითხარა ძვ. წ. I—ახ. წ. I სს. მდიდრული სამარხები (ძვირფასი სამკაულებით, მონეტებით და სხვა). ძალისას ნაქალაქარზე ნათლად გამოიკვეთა გვიანანტიკური ქალაქის დაგეგმარება. ოთ. ლორთქიფანიძემ, რ. ფუთურიძემ, გ. ყიფიანმა, ნ. გიგოლაშვილმა, ვ. თოლორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავამ და სხვ. — მოამზადეს ვანის ნაქალაქარის 'გათხრები 1977 წ. ნაშრომში შესწავლილია ვანის ნაქალაქარის, ზედა ცენტრალურ და ქვედა ტერასაზე გამოვლენილი ძეგლები.

1978 წელს ანტიკური ხანის ძეგლების შესასწავლად მუშაობდა რამოდენიმე არქეოლოგიური ექსპედიცია: მცხეთის — მუდმივმოქმედი (ა. აფაქიძე), ბიჭვინტის (გ. ლორთქიფანიძე), ვანის (ოთ. ლორთქიფანიძე), კავთისხევის (გ. ცქიტიშვილი), ნასტაკისის (ა. ბოხოჩაძე).

მეორე პრობლემის — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ფეოდალური ფორმაციის ისტორია“ ხაზით, არქეოლოგიურ ცენტრში 1978 წელს მუშავდებოდა ერთი თემა: ქალაქები ნამოსახლარები და საწარმოო კერები ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგიის აკადემიური გამოცემისათვის გროვდებოდა მასალები. რ. რამიშვილი — აღმოსავლეთ საქართველოს ადრეშუასაუკუნეთა არქეოლოგიური ძეგლები, ვ. ჯაფარიძე — შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, გ. ლომბაშიძე — შუა საუკუნეების ქართული კულტურის არქეოლოგიური ძეგლები ჩრდილო კავკასიაში, ირ. ჯალაღანია — სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ადრე შუა საუკუნეთა საქართველოში. 1978 წელს შეჯამდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის წინა წლების საველე სამუშაოთა ძირითადი შედეგები (რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ზ. კალანდაძე, მ. მარგველაშვილი, ვ. ჩიხლაძე, ც. რობაქიძე-.

ქ. მელითაურმა წარმოადგინა ნაშრომი — დმანისის ნაქალაქარის ციხის წყალსაზიდი გვირაბი. თბილისის დედაციხეზე ჩატარებული მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგები შეაჯამა და განაზოგადა ოთ. ტყეშელაშვილმა ვრცელ გამოკვლევაში, სადაც განხილულია საკულტო საერო, საყოფაცხოვრებო ნაგებობათა კომპლექსები, წყალსადენისა და წყლის რეზერვუარების ნაშთები და სხვა. ნ. უგრეხელიძემ 1978 წელს წარმოადგინა ნაშრომი — არქეოლოგიური მინის ნაწარმი ძველ საქართველოში. ფეოდალური ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა დმანისის (ვ. ჯაფარიძე), ჟინვალის (რ. რამიშვილი), რუსთავის (ც. ჩიქოიძე), დალესტნის (გ. ლომბაშიძე), თორი-ლიკანის (გ. ნასიძე), მოამზადეს ვრცელი, დოკუმენტირებული საველე გათხრების ანგარიშები.

მესამე პრობლემით „სსრკ ხალხთა მატერიალური კულტურის ისტორია“, რომელიც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წინაშე დგას მუშავდებოდა ერთი თემა: საქართველოს და ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლები (საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხა). 1978 წ. ნუსხისათვის მომზადდა მასალები ყვარელის რაიონის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ (ა. ნუცუბიძე, შ. ირემაშვილი).

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში საგანგებო ყურადღება ექცეოდა არქეოლოგიური მასალების შესწავლას საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა უახლოესი მეთოდების გამოყენებით, რაც IV პრობლემების „ბუნებისმეტყველების და ტექნიკის ისტორიის“ მიხედვით იყო განსაზღვრული. 1978 წელს წარმოებდა მუშაობა არქეოლოგიური ობიექტების არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლევაზე (ზ. ჭელიძე) ფიზიკური მეთოდით არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ძირითადი მიზანია აბსოლიტური დათარიღებისათვის საჭირო საყრდენი მრუდების დაზუსტება. ტექნოლოგიური ჯგუფების მიერ ათვისებულია ქიმიური ანალიზის ფიზიკური მეთოდების თეორიული საფუძვლები, შესწავლილია სპექტრული, ნახევრადრაოდენობითი ანალიზის გამოყენების პერსპექტივები არქეოლოგიაში. 1978 წლიდან დაიწყო რიგი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე პალეობოტანიკური მასალების კვლევა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გარკვეული ყურადღება ექცეოდა მეცნიერული ინფორმაციის საკითხებს (ნ. კიღურაძე) რეგულარულად ქვეყნდებოდა ცნობები მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოების და მათი შედეგების შესახებ. გარდა ჩამოთვლილი, მიღებული პრობლემატიკისა და თემატიკით განსაზღვრული სამუშაოების 1978 წელს, იანვარ-აპრილში, ოთხშაბათობით ეწყობოდა გაფართოებული არქეოლოგიური საუბრები შემდეგი თემატიკით:

**1.** საქართველოს მეზოლითური კულტურის ლოკალური თავისებურებანი (ზ. წერეთელი, მ. გაბუნია); **2.** იორ-ალაზნის აუზის ქვის ხანის ძეგლები (თ. ბუგიანიშვილი); **3.** ადრესამიწათმოქმედო კულტურის ზოგიერთი განმსაზღვრელი ნიშნების საკითხისათვის (ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ჭელიძე); **4.** დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები (გ. ფხაკაძე); **5.** ცენტრალურ ანატოლიაში ხეთური ტომების გამოჩენის საკითხისათვის (გ. ქავთარაძე); **6.** იდეოპიქტოგრამული სიმბოლო „მელიატ ტულეფია“ (ბ. ჩოლოყაშვილი); **7.** საყანჩიას ნაქალაქარი (ვ. ლიჩელი); **8.** ვანის მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები (გ. გამყრელიძე); **9.** მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, არაგვის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით (რ. რამიშვილი).

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მთელი წლის მანძილზე მოქმედებდა ახალგაზრდა არქეოლოგთა მუდმივი სემინარი, რომლის მეცადინეობებზე გამოცდილი, კვალი-

ფიცირებული არქეოლოგები იღებდნენ მონაწილეობას.

მიმდინარე წლის აპრილში მოეწყო 1977 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი საანგარიშო სესია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ყველა ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები. აგრეთვე მოეწყო ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია, სადაც დამწყები არქეოლოგები წარსდგნენ თავისი მოხსენებით.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საერთო სააკადემიო რიგ ღონისძიებებშიც. ბოლო წლებში გაიზარდა სამეცნიერო კონტაქტები უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან, 1978 წელს 21—30 მაისს ჩატარდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივი თათბირი-სემინარი. მოსმენილ იქნა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფ. ველიზარ ველკოვის, ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების გამგის პროფ. თ. ივანოვის და უფრ. მეცნ. თან. მ. ჩიჩიკოვას მოხსენებები — თრაკიის ქალაქ სებასტოპოლისა და საერთოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების მდგომარეობის შესახებ ბულგარეთში. არქეოლოგიური „საუბრები“ გაგრძელდა ვანში, სალხინოში, მცხეთაში და ძალისში, სადაც სტუმრები გაეცნენ ახალმოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივ საველე სემინარში „პირველყოფილი საზოგადოებისა და ბუნებრივ გარემოს შორის ურთიერთმოქმედების დინამიკა“, რომელიც 1978 წლის 8 სექტემბერს ჩატარდა თბილისში, მონაწილეობა მიიღეს მ. ნიორაძემ და ზ. წერეთელმა.

კლასიკური არქეოლოგიის XI საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში (ლონდონი) მონაწილეობა მიიღო ოთ. ლორთქიფანიძემ, სადაც წაიკითხა მოხსენება: ძველი კოლხეთი — მითი და არქეოლოგია. ოქტომბერში, ბულგარეთში ფრაკოლოგიის სემინარზე (პლოვდივი) გააკეთა მოხსენება: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, ხოლო ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე „კოლხეთის ისტორიის ძირითადი პრობლემები“. ნიშანდობლივია, რომ ოთ. ლორთქიფანიძე არჩეულია კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის ნამდვილ წევრად.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა 1978 წ. გამოაქვეყნეს კრებულები, რამოდენიმე მონოგრაფია და მრავალი სამეცნიერო წერილები. მათ შორის აღსანიშნავია: გ. ლორთქიფანიძე, კოლხეთი ჩვ. წ. აღ. VI—II სს. (რუს. ენაზე); თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე (მასალები ძველი ფაზისის ისტორიისათვის) კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I; დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა; ლ. კობაიძე, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. რკინის კალოს სამაროვანი (კატალოგი). მ. ჩხარტიშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში. კოლექტიური ნაშრომები: დიდი პიტიუნტი III (არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში), ვანი IV (არქეოლოგიური გათხრები ვანში), მცხეთა III, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, არქეოლოგიური ძიებანი.

ნინო კილურაძე

## ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმით მუზეუმში მუშავდებოდა 19 თემა ბიოლოგიურ, დედამიწის შემსწავლელ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. მათგან დასრულდა ერთი თემა „შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა პეტროგრაფიული მონაცემებით“ და სხვადასხვა თემის 8 ეტაპი. სამუზეუმო გეგმით მუშავდებოდა 23 თემა, რომელთა შორის დასრულდა 5 თემა და 27 ქვეთემა. გამოქვეყნდა მუზეუმის თანამშრომელთა 13 მონოგრაფია და კრებული.

1978 წელს მუზეუმმა განახორციელა ფართო საველე მუშაობა, სულ ჩატარდა 28 ექსპედიცია; აქედან: გეოლოგიური — 5, პალეონტოლოგიური — 2, ზოოლოგიური — 3, ბოტანიკური — 3, არქეოლოგიური — 8, სპელეისტიკური — 3, ეთნოგრაფიული — 4. მოპოვებულია მნიშვნელოვანი ახალი მასალა.

საანგარიშო წელს მოეწყო სამი სამეცნიერო სესია და ერთი კონფერენცია: არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1977 და 1978 წლებში ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი IX და X სამეცნიერო სესიები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგი XXVI სამეცნიერო სესია და რსდმპ II ყრილობის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია. სესიებზე მოსმენილი იყო ყვირილის ხეობისა და წონის, ფარავნის ტბის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ვანის ქვაბებისა და არეშის ექსპედიციების მიერ ველზე გაწეული მუშაობის შედეგები და მოხსენებები არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკისა და ახალი ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

მუზეუმმა ჩაატარა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის სხდომა „მუზეუმები და მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები“, საქართველოს კპ ცკ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო რესპუბლიკის მუზეუმების დირექტორების აქტივის კრება, მიძღვნილი სამუზეუმო სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისადმი; საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტთან, სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოსთან, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურ და რუსთავის გამგეობებთან ერთად ქალაქ რუსთავის ოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით ქ. რუსთავში მოაწყო სამეცნიერო სესია თემაზე „რუსთავი და ქართული მეტალურგია“; ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმთან და საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან ერთად ჩაატარა ი. ჭავჭავაძის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები ყვარელსა და საგურამოში.

მუზეუმი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 5 ნოემბრის დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდებოდა საანგარიშო წელსაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოეწყო 11 თეორიული კონფერენცია და სემინარი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კპ კალინინის რაიკომთან ერთად ვეტერანთა საბჭოს წევრებისათვის ჩატარებული თეორიული სემინარი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან ერთად ქ. დუშეთში მოწყობილი თეორიული კონფერენცია და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფთან, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან, საქართველოს სსრ ფილოსოფიის საზოგადოებასთან არსებული ათეიზმის სექციასთან ერთად ჩატარებული ლექტორ-ათეისტთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

დიდი მნიშვნელობისა და მოცულობის, ამასთანავე მეტად ძნელი სამუშაოა შესრულებული სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის, დაცვისა და რესტავრაცია-კონსერვაციისათვის. ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში რესტავრირებული და კონსერვირებულია 1,386 ბრინჯაოს, რკინისა და ვერცხლის ნივთი და 211 კერამიკული ჭურჭელი; ლაბორატორიულად დამუშავებულია 550 შეკვრა კერამიკული მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში მირჩილვის წესით აღდგენილია ვერცხლის 10 ნივთი და აქვე გამომუშავებული მეთოდით კონსერვირებულია ხის 27 არქეოლოგიური ექსპონატი. მუზეუმის ფონდებში წლის განმავლობაში შემოვიდა და აღირიცხა 9,284 ნომრით 15103 ერთეული, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დიღმის, ნასტაკისის, კახეთისა და ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ გადმოცემული ოქროსა და ვერცხლის ნივთების კოლექციები.

საერთაშორისო კავშირების ხაზით საანგარიშო წელს აღსანიშნავია პირველ რიგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი სემინარი.

ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ხელმძღვანელი რ. ბახტაძე მივლინებული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქ. ვარშავაში. აქ მან მონაწილეობა მიიღო თათბირში, რომელიც გაიმართა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპისა და კავკასიის უძველესი და შუა საუკუნეების მინის ნაწარმის ანალიზების კატალოგის შედგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში მოკლე ხნით იმყოფებოდა „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ ორი თანამშრომელი — პრიუდანს ჰარპესი და დოქტორ პიტერ მაიერი, რომლებმაც საანალიზოდ აიღეს ვერცხლის მცირე სინჯები საქართველოში მოპოვებული სასანური ხასიათის ნივთებიდან; მათ გამოკვლევას ახალი მეთოდებით დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ტიპის ტორევტიკის ნიმუშების სწორი განსაზღვრისათვის.

1978 წელს მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა 161 535 კაცმა. მათთვის ჩატარდა 4 012 ლექცია-საუბარი.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მომსახურეობისათვის. ასე, მაგალითად 1978 წელს მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა სსრ კავშირის 1 262 სკოლის 34 865 მოსწავლემ; სამუზეუმო პრაქტიკა გაიარა პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნი-

ვერსიტეტის 337 სტუდენტმა. მუდმივმოქმედ ლექტორიუმში ჩატარებულია 15 ლექცია.

საანგარიშო წელს მუზეუმის ოთხმა უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა — დ. აბჟანდაძემ, მ. იაშვილმა, ქ. მუშკუდიანმა და ე. ეძგვერაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ორ თანამშრომელს (ნ. ჯიქია და თ. ქუთელია) დაუმტკიცა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1978 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს მუზეუმის ფილიალებმაც. სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულმა მუზეუმმა ძირითადად დაამთავრა ფეოდალური პერიოდის ექსპოზიციის მომზადება, ჩაატარა სამი სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია.

მეორე ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაობა კვლავ მიმართული იყო ძირითადად როგორც თვით მუზეუმში, ისე დაცვით ზონებში თავმოყრილი ექსპონატების მოვლა-პატრონობისაკენ. დიდი მუშაობაა ჩატარებული ფონდებზე მომუშავე სხვადასხვა პირებისა და გამოფენების დამთვალიერებელთა მომსახურებისათვის.

მესამე ფილიალის — ხალხთა მეგობრობის მუზეუმის სტრუქტურაში მოხდა გარკვეული ცვლილება — ისტორიულ ურთიერთობათა განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიულ ურთიერთობათა განყოფილება და საბჭოთა პერიოდის ისტორიულ ურთიერთობათა განყოფილება, მუზეუმის თანამშრომლებმა დაასრულეს 23 თემა, გამოაქვეყნეს 15 სტატია, მოემსახურნენ 50 000-მდე დამთვალიერებელს.

გარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა დროულად და მაღალხარისხოვნად განახორციელა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული სამუშაოები.

ᲘᲖᲝᲚᲓᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## Გ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი 1978 წელს მუშაობას წარმართავდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმით — ქართული არქიტექტურის, სახვითი და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის პრობლემებზე.

წლების მანძილზე ჩატარებულმა მუშაობამ, ქართული ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მონოგრაფიულად შესწავლამ თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა დონეზე, ინსტიტუტს საშუალება მისცა ხელი მოეკიდა ისეთი განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნისათვის, როგორიცაა „ქართული ხელოვნების ისტორია“ (ექვსტომეული), ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლთა ნუსხის შედგენა და კატალოგიზაცია, რომელსაც ინსტიტუტი 1972 წლიდან ასრულებს.

ინსტიტუტის 1978 წლის უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ერთობლივი კრებულის გამოცემა („შუა საუკუნეების ხელოვნება. რუსეთი, საქართველო“. გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 1978 წ.). აღნიშნული კრებულის გამოცემას წინ უსწრებდა მრავალწლიანი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და ექსპედიციები სხვადასხვა რაიონში. კრებულში გამოქვეყნებულია ნაშრომები ხელოვნების ისტორიის ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე. კრებულის ძირითად ასპექტს შეადგენს როგორც მხატვრული კონტაქტების საერთო მომენტების ახსნა, ისე (რაც მთავარია) ეროვნული მხატვრული სკოლების ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება. ანალიზის საგანს შეადგენს შუა საუკუნეების ქართული (VI—XVI სს.) და რუსული (XI—XVII სს.) ხელოვნების ძეგლები. კრებულში გამოქვეყნებულია ქართველ მეცნიერთა 13 ნაშრომი. აღსანიშნავია აგრეთვე საფრანგეთში გამოცემული წიგნი „ძველი საქართველოს ხელოვნება“, რომლის ავტორებია ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლები — არქიტექტურის დოქტორი რ. მეფისაშვილი და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ცინცაძე. წიგნში განხილულია ქართული ხელოვნების ყველა დარგი უძველესი დროიდან XVIII ს-ის ჩათვლით. წინაფეოდალური ხანის ხელოვნება წარმოდგენილია არქეოლოგიური ძეგლებით. გააზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულია უძველესი დასახლების არქიტექტურა მთლიანად. განხილულია ფეოდალური ხანის არქიტექტურა, ქანდაკება, ჭედური ხელოვნება, კედლის მხატვრობა, წიგნის ილუსტრაცია, ხეზე კვეთილობა, ნაქარგობა. ეს ძეგლები წარმოდგენილია ცალკე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ქართული ხელოვნების თავისებურებათა დახასიათებით. არქიტექტურას, როგორც შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთ დარგს, განვითარების ყველა ეტაპის ჩვენებით, განსაკუთრებული ადგილი უთმობა.

წიგნში გამოქვეყნებულია აკად. გ. ჩუბინაშვილისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, გამოკვლევათა უმთავრესი შედეგები.

ინსტიტუტში, გარდა გეგმით გათვალისწინებული თემების დამუშავებისა, შესრულებულია დიდი მოცულობის გეგმისგარეშე სამუშაოები, რაც გამოიხატება სამეცნიერო-პოპულარული სტატიების გამოქვეყნებაში, სხვადასხვა ნაშრომთა რეცენზიებში, რადიო და ტელეგადაცემების მოწყობაში; დაიწერა მრავალი სტატია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის (ხელოვნების ხაზით); გამომცემლობა „მეცნიერებას" გადაეცა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დაწერილი მონოგრაფიები (გ. ალიბეგაშვილის „საერო პორტრეტი ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში", მ. კარბელაშვილის — „ელენე ახვლედიანი", ე. პრივალოვას — „XII—XIII სს. ქართული მონუმენტური კედლის მხატვრობა") და კრებული „Ars Georgica" („ქართული ხელოვნება") ტ. VIII-ა.

ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძველი და საბჭოთა ქართული ხელოვნების ძეგლების და ძეგლთა დაცვა-რესტავრაციის საკითხების პროპაგანდას, რაც ხორციელდება ლექცია-მოხსენებებით, სამეცნიერო-პოპულარული წერილების გამოქვეყნებით და რადიო და ტელეგადაცემების მეშვეობით. საანგარიშო წელს ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ქართული ხელოვნების საკითხებზე 60-მდე ლექცია-მოხსენება წაიკითხეს სხვადასხვა წარმოებადაწესებულებაში, მოეწყო 2 რადიო და 10 ტელეგადაცემა.

ინსტიტუტი ფართო მუშაობას ატარებს საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებისა და ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევათა პროპაგანდის მიზნით. ინსტიტუტი აწარმოებდა სპეციალური ლიტერატურის გაცვლას, კონსულტაციებს უწევდა სპეციალისტებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ ინსტიტუტის მოწვევით ან მათივე სამეცნიერო დაწესებულებათა მივლინებით (ინსტიტუტის სტუმრები იყვნენ მეცნიერები პოლონეთიდან, იტალიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან).

ინსტიტუტს განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული მილანის (იტალია) პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და მარბურგის (გფრ) „ფილიპს უნივერსიტეტთან", სადაც მიმდინარეობს ქართული კულტურის შესწავლა. მიმდინარე წელს მოხსენებების წასაკითხად მარბურგის „ფილიპს უნივერსიტეტში" მიიწვიეს ინსტიტუტის დირექტორი აკად. ვ. ბერიძე და უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი რ. ყენია. ვ. ბერიძემ მოხსენებები წაიკითხა აგრეთვე ლაიფციგის (გდრ) კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტში. ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფ. ნ. ჯანბერიძემ (ფინეთსა და იაპონიაში) და უფრ. მეცნ. თანამშრომელმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. მასხარაშვილმა (ერაყში). ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წაიკითხეს სომხეთის ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ქ. ერევანში გაიმართა.

აღნიშნული კონტაქტების გზით ინსტიტუტი ეწეოდა ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევების პროპაგანდას ქართული ხელოვნების ისტორიის დარგში და იმავე დროს ხელს უწყობდა ქართული ხუროთმოძღვრების, მონუმენტური მხატვრობისა და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლთა უფრო სერიოზულ შესწავლას.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ხელმძღვანელობას უწევდნენ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ნაკორწმინდა, დრანდა, ბიჭვინთა, ტბეთი, ალახაძე, გუდარეხი და სხვ.

ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას, მათ სისტემატურად აგზავნიან საბჭოთა კავშირის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში სამუშაოდ. მიმდინარე წლის 18—19 მაისს და 15—16 ივნისს ჩატარდა ინსტიტუტისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა ერთობლივი სამეცნიერო სესიები, რომლებზედაც წაიკითხეს მოხსენებები საბჭოთა და ძველი ქართული ხელოვნების საკითხებზე.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ შემოქმედებითი კავშირების (მხატვართა კავშირის, არქიტექტორთა კავშირის, თეატრალური საზოგადოების) მუშაობაში; მონაწილეობდნენ გამოფენებისა და პროექტების განხილვაში, დისკუსიებში და სხვ.

**ნუგზარ ანდღულაძე**

## კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

ინსტიტუტში 1978 წ. გრძელდებოდა მუშაობა თემაზე „ქართული დიპლომატიკისა და ეპიგრაფიკის საკითხები". ამ თემიდან შესრულდა ორი ნაშრომი: 1. მ. სურგულაძემ დაამთავრა მუშაობა შრომაზე: „XI—XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების სტრუქტურა". ნაშრომი მიზნად ისახავს XI—XVIII სს. საბუთების, კერძოდ მეფეთა სიგელების აგებულების, შესწავლას. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო გახდა საბუთების სახეობათა გამიჯვნა და თითოეული სახეობისათვის დიპლომატიკური ანალიზის მეთოდის შემუშავება. ნაშრომში დახასიათებულია სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ისტორიული დოკუმენტების დიპლომატიკური შესწავლის ხერხები; ნაჩვენებია, თუ რამდენად მიუდგება ეს ხერხები ქართულ დიპლომატიკურ მასალას. ისტორიული საბუთის ენის სპეციფიკის, მისი თავისებური ენობრივი წყობის გათვალისწინების საფუძველზე გამოყენებულია საბუთის დიპლომატიკური აღწერის და ურთიერთშედარების ახალი, ე. წ. გრაფიკული მეთოდი. 2. ვ. სილოგავამ შეასრულა შრომა: „ჯავახეთის ეპიგრაფიკა". ნაშრომში თავმოყრილია ისტორიული ჯავახეთის, კერძოდ, თანამედროვე ახალქალაქისა და ასპინძის რაიონების ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც მოპოვებული და გადმოღებული იყო 1977—1978 წლებში ამ რაიონებში განხორციელებული საგანგებო ეპიგრაფიკული ექსპედიციების მიერ. შესწავლილია 130-ზე მეტი წარწერა V—XVIII საუკუნეებისა. ამ წარწერების ნაწილი ადრეც იყო ცნობილი, ხოლო ნაწილი (20-ზე მეტი წარწერა), მათ შორის V—VI და X—XIII სს. წარწერები, თუ ცალკეული ფრაგმენტი, პირველად იქნა მიკვლეული.

ინსტიტუტში წლების მანძილზე მუშავდება თემა: „X—XVIII სს. საქართველოს შესახებ არსებული ისტორიული მასალების შესწავლა და გამოსაცემად მომზადება".

ამ თემაში გათვალისწინებულია ისეთი სამუშაო, როგორიცაა „ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის" მომზადება. კერძოდ, ინსტიტუტში ამჟამად გამოსაცემად მზადდება ქართლის დოკუმენტები (1724—1752 წწ.). 1978 წ. გამზადდა აღნიშნული პერიოდის დოკუმენტების სამი ტომი. თითოში შესულია დაახლოებით 200 საბუთი (ნ. შოშიაშვილი? — ნ. მშვიდობაძე, დ. ლომიძე, ლ. რატიანი). დოკუმენტების ტექსტი გამართულია „ქართული ისტორიული საბუთების გამოცემის წესების" თანახმად, სათანადო სამეცნიერო აპარატით (არქეოგრაფიული აღწერილობა, კომენტარები, საძიებლები).

იგივე თემა ითვალისწინებს X—XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით პირთა ანოტირებული საძიებლების შედგენას. ამჟამად წარმოებს მასალის შევსება, ხელნაწერთა ინსტიტუტის და საქ. ცენტრ. საისტორიო არქივის ფონდების მასალის შერწყმა და სარედაქციოდ მომზადება (გ. ჯანდიერი, დ. ქლენტი, გ. ხოჯავა, გ. ოთხმეზური).

გამოსაცემად მომზადდა დოკუმენტების კრებული „კავკასიის ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობანი XVIII ს. მეორე ნახევარში" (ვ. გამრეკელი).

უცხოენოვანი საისტორიო ძეგლების შესწავლისა და გამოსაცემად მომზადების ხაზით წლების მანძილზე წარმოებს მუშაობა სტეფანოზ ორბელიანის „სივნიეთის ისტორიის" ორიგინალის ტექსტის დადგენაზე და ქართულად თარგმანზე (ე. ცაგარეიშვილი). 1978 წ. კეთდებოდა კომენტარები. მუშაობა წარმოებს აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული თურქული ფირმანებისა და ბარათების გამოსაცემად მომზადებაზე (ც. აბულაძე), კერძოდ, 1978 წ. მომზადდა XVIII ს. 5 თურქული ფირმანი (№ 17, 75, 127, 137, 272). დადგენილია ფირმანების თურქული ტექსტი, შესრულებულია ქართული თარგმანი შენიშვნებით. აღნიშნული დოკუმენტები შეიცავენ საინტერესო მასალას თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესასწავლად.

ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა ნათარგმნი საისტორიო ძეგლების გამოსაცემად მომზადებაზეც. კერძოდ, გამოსაცემად მომზადდა ფსევდო-დოროთეს ისტორიული თხზულების — „ქრონოგრაფის" ქართული თარგმანი (მ. ქავთარია). ეს თხზულება არჩილ მეფის ინიციატივით ითარგმნა მოსკოვის კულტურულ-შემოქმედებით კერაში. გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს საფუძვლად დაედო ხელნაწერთა ინსტიტუტის S 317 ხელნაწერი, ხოლო ვარიანტები გაუკეთდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული M—22 ნუსხის მიხედვით.

გამოსაცემად მზადდება იოსებ ფლავიოსის ცნობილი ისტორიული თხზულების „იუდეველთა სიძველენის" ქართული თარგმანი, რომელიც დადგენილია ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით (ნ. მელიქიშვილი). მიმდინარე წელს შედგა თხზულების საკუთარ (პირთა, გეოგრაფიულ, ეთნიკურ) სახელთა კომენტირებული საძიებელი, რომელიც 2400 ერთეულს შეიცავს.

ედიშერ ხოშტარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრკ-საფრანგეთის ერთობლივი სამეცნიერო სემინარის 1978 წ. სამუშაოები

სსრკ-საფრანგეთის ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივმოქმედი კომისიის XI სესიის მიერ 1976 წ. მიღებული გადაწყვეტილებით 1977 წლიდან დაიგეგმა სსრკ-საფრანგეთის სამეცნიერო ერთობლივი სამუშაოები მიძღვნილი „ბუნებრივი გარემოსა და პირველყოფილი საზოგადოების ურთიერთმოქმედების დინამიკის“ პრობლემების შესწავლისადმი. თემა მრავალწლიანია. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად 1977 წ. განხორციელდა საბჭოთა და ფრანგ სპეციალისტთა ერთობლივი საველე სამუშაოები — სემინარი საფრანგეთის ქვედა და შუა პალეოლითური ხანის საყოველთაოდ ცნობილ მღვიმეებში (ობსერვატორია, ვალონე, ბომბონი და სხვ.).

ფრანგ სპეციალისტთა საპასუხო ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1978 წლის სექტემბრისათვის იყო გათვალისწინებული. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რესპუბლიკაა პალეოლითური ძეგლების სიუხვით (400-ზე მეტი) და მათი მნიშვნელობით. სწორედ აქაა გამოვლენილი და შესწავლილი აშელური და მუსტიეური ხანის ისეთი ეტალონური, სტრატიფიცირებული ძეგლები, როგორიცაა „კუდარო I და III“, „წონა“, ცუცხვათის მღვიმეები, „ჯრუჭულა“, „საკაჟია“ და სხვა. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გადააწყვეტინა საორგანიზაციო კომიტეტს კვლევის ობიექტად საქართველოს ძეგლები აერჩიათ და საველე სამუშაოებისათვის განკუთვნილი 13 დღიდან 10 დღე საქართველოს მღვიმეებისათვის დაეთმოთ.

სსრკ-საფრანგეთის მკვლევართა ერთობლივი მუშაობის მაღალმეცნიერულ დონეზე ჩასატარებლად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი აკადემიკოსების ი. გერასიმოვის და ბ. რიბაკოვის თავმჯდომარეობით. აღნიშნულ კომისიაში საქართველოდან შეყვანილი იყვნენ აკად. თ. დავითაია, პროფ. ლ. ჭილაშვილი და დოც. დ. თუშაბრამიშვილი. საბაზო დაწესებულებად არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტები, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საველე სემინარის სამეცნიერო და საორგანიზაციო სამუშაოების წარმართვისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით შეიქმნა კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ლ. ჭილაშვილს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელ სამუშაოთა მთელი ტვირთი დააწვა საორგანიზაციო კომისიას, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ყვირილის აუზის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი), საველე სემინარის მუშაობაში გვიან ჩართულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წებელდის და წყალწითელას ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციებს (ხელმძღვანელები ლ. წერეთელი და მ. ნიორაძე) და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილების კუდაროს მღვიმეთა კომპლექსის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციას ვ. ლუბინის ხელმძღვანელობით.

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1978 წ. ველზე იმყოფებოდა ოთხი თვის მანძილზე და მუშაობდა სამ რაზმად. **1.** ცუცხვათის (ტყიბულის რ-ნი) რაზმს ხელმძღვანელობდა თ. მეშველიანი, **2.** ჯრუჭულისას (ჭიათურის რ-ნი) — ე. გოგაძე, **3.** წონისას — ზ. ქიქოძე. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა სამივე რაზმმა შეძლო დასახული ამოცანების შესრულება. სტუმრების (10 ფრანგი და 50 საბჭოთა მკვლევარი) ჩამოსვლისათვის სათანადოდ მომზადებულ იქნა „ბრინჯაოს“, „ორმაგი ეხის“, „ჯრუჭულის“, „წონის“ მღვიმეებში სტრატიგრაფიული ჭრილები, რომელთა ფენების სიმძლავრე რიგ შემთხვევაში აღემატებოდა 10 მეტრს, აგრეთვე გეგმები, ნახაზი ჭრილები, ფოტოდოკუმენტაცია, პალინოლოგიური და ფაუნისტური მონაცემების ცხრილები და მცირე ექსპოზიცია არქეოლოგიური და ფაუნისტური მონაპოვრების სახით. ასევე სათანადოდ იყო მომზადებული „აფიანჩის“ (გულრიფშის რ-ნი), „საკაჟიის“ (თერჯოლის რ-ნი) და „კუდარო I“ და „კუდარო II“ (ჯავის რ-ნი) მღვიმეები. აქაც მაღალმეცნიერულ დონეზე იყო წარმოდგენილი საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად მიღებული დასკვნები. ძეგლებზე ახსნა-განმარტებას აძლევდნენ არქეოლოგები დ. თუშაბრამიშვილი („ბრინჯაოს მღვიმე“, „ორმაგი ეხი“, „ჯრუჭულა“), ზ. ქიქოძე („წონას მღვიმე“), ლ. წერეთელი („აფიანჩა“), მ. ნიორაძე („საკაჟია“) და ვ. ლუბინი („კუდარო I“ და „კუდარო II“), აგრეთვე სხვა დარგის სპეციალისტები, გეომორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლოგები პროფ. ლ. მარუაშვილი და გ. მაისურაძე (ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი), პალეონტოლოგი მეცნ. დოქტორი აბ. ვეკუა (პალეობიოლოგიის ინსტიტუტი), პალინოლოგი ნ. მამაცაშვილი (გეოგრაფიის ინსტიტუტი). ქართველ სპეციალისტთა მოხსენებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, გამოითქვა მოსაზრებები, როგორც პირველყოფილი საზოგადოების ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ, ისე კულტურული ფენების წარმოშობის, დათარიღების და საერთოდ მასალის ინტერპრეტაციის შესახებ. საბჭოთა და ფრანგმა სპეციალისტებმა, როგორც ველზე, ისე შემაჯამებელ სხდომაზე მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს პალეოლითურ ძეგლებს და მათ კომპლექსურ შესწავლას. ამავე აზრს ატარებს პარიზიდან გამოგზავნილ კერძო წერილში ფრანგ სპეციალისტთა დელეგაციის ხელმძღვანელი ანრი დე ლუმლეი. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ი. გერასიმოვმა მაღალი შეფასება მისცა ცუცხვათის მღვიმოვნის კომპლექსური შესწავლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას (ავტორები ლ. მარუაშვილი, დ. თუშაბრამიშვილი, აბ. ვეკუა, ნ. მამაცაშვილი და სხვები), რომელიც დაურიგდა საველე სემინარის მონაწილეებს. შემაჯამებელ სხდომაზე დაისახა ღონისძიება საბჭოთა და ფრანგ მეცნიერთა თანამშრომლობის გაღრმავებაზე, ერთობლივ პუბლიკაციებზე რუსულ და ფრანგულ ენებზე, ლაბორატორიული ანალიზების შედეგების გაცვლაზე და სხვ. ამ მხრივ უკვე გადაიდგა ნაბიჯები — საქართველოს რიგი პალეოლითური მღვიმეებიდან აღებულია ნიადაგის და ნახშირის ნიმუშები პალინოლოგიური დასკვნების და აბსოლუტური თარიღების დასაზუსტებლად.

დელეგაციის ყველა წევრის ერთსულოვანი აღიარებით, საქართველოს მღვიმეების საველე დათვალიერება-სემინარმა ჩაიარა არამარტო მაღალმეცნიერულ დონეზე, არამედ უაღრესად ორგანიზებულად და გულთბილ ვითარებაში. ყველა რაიონში, ყველა ძეგლზე, დელეგაციის წევრები სასურველი სტუმრები იყვნენ. აღსანიშნავია საქ. კპ ტყიბულის რაიონული ხელმძღვანელობის (ქალაქკომის პირველი მდივანი გ. ფხაკაძე, მეორე მდივანი ბ. ორჯონიკიძე), სოფ. ცუცხვათის თავკაცების (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. გაბრიაძე) და მშრომელების ყურადღება და ზრუნვა. მათ მოკლე დროში ნაწილობრივ შეაკეთეს და ახლად გაიყვანეს სამანქანო გზა ორპირიდან ცუცხვათის მღვიმოვნის ძისადგომებამდე. ასევე აღსანიშნავია საქ. კპ ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივნის თ. მარგველაშვილის და მდივნის ლეილა ბიწაძის მხარდაჭერა საველე სემინარის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად. საველე სემინარის ღირსეულად ჩატარებისათვის წყალწითელას და წებელდის არქეოლოგიურ ექსპედიციებს ყურადღებას არ აკლებდნენ თერჯოლის (საქ. კპ თერჯოლის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ა. ბურჯანაძე, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ხუჭაძე) და გულრიფშის (საქ. კპ გულრიფშის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გ. ნაჭყებია) რაიონის ხელმძღვანელობა. მათ შემჭიდროებულ ვადებში შეაკეთეს სამანქანო გზები, გაიყვანეს ბილიკები და საერთოდ მხარში ამოუდგნენ საორგანიზაციო კომიტეტს რთული და შრომატევადი სამუშაოების ღირსეულად შესრულებაში.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲨᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიუბილეო თარიღები

ნანული პაპავა

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

### (დაარსების 100 წლისთავის გამო)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ერთ-ერთია გასული საუკუნის იმ ეროვნულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის, რომელთა საქმიანობაში განსახიერდა ის დიდი მიზანი, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა რომ ისახავდა — ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, თავისთავადობის შენარჩუნება. ეს კი, შექმნილ მძიმე ისტორიულ ვითარებაში უწინარეს ყოვლისა ხალხის მშობლიური ენისა და კულტურისათვის, მისი ფართო მასების გათვითცნობიერებისა და განათლებისათვის, საერთო პროგრესისა და დემოკრატიზაციისათვის მუდმივ ბრძოლას გულისხმობდა. ცნობილია, რა განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული ენის საკითხს ამ დიდ მოძრაობაში. მისი ბუნებრივი და ისტორიული უფლებების დაცვა მტრული შემოტევებისაგან, მისი ადგილი საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში, ქართული ენის თუ ქართულ ენაზე სწავლება და სხვა შორს გასცდა პედაგოგიური კამათის სფეროს და მთელი ერისათვის სასიცოცხლო საკითხად იქცა. ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის შეძლებისდაგვარ განხორციელებას ემსახურებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“.

როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი და სულის ჩამდგმელი ი. გოგებაშვილი მოგვითხრობს, ამგვარი საზოგადოების შექმნის იდეა აღმოცენებულა გასული საუკუნის 60-იან წლებში: „ქართველ საზოგადოებაში დაიბადა აზრი, რომ ეს რეფორმა (ბატონ-ყმობის გაუქმება. — ნ. პ.) მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელ ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგან. ვისაგან უნდა მოელოდეს ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასო? რასაკვირველია, არა ბიუროკრატიისაგან, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგანო. ამ საზოგადოებას კი მხოლოდ მაშინ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჩავებულ გლეხობას, როცა იგი შექმნის რაიმე ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება განათლების მოფენა ხალხშიო. ამ მოსაზრებამ დაბადა წადილი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა“[1].

მომავალი საზოგადოება ჩაისახა თბილისის ერთ-ერთ ინტელიგენტურ ოჯახში, იოსებ მამაცაშვილის სახლში, სადაც მუდმივად ხვდებოდნენ ერთმანეთს დიმ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი, მასპინძლის სიძე დიმ. მუსხელიშვილი, კონსტ. მამაცაშვილი, ექიმი გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, გამოჩენილი რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი, ანტონ ფურცელაძე. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ მოსკოვის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულნი ნიკო

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 391.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი. ამ პირთ შეუქმნიათ წრე, რომლის მიზანი იყო სოფლად კერძო სკოლის დაარსება. მათ გამართეს კიდეც ასეთი სკოლა სოფ. ხოვლეში იოსებ მამაცაშვილის ასულის მარიამის, ხოვლელი მემამულის გიორგი ჯავახიშვილის მეუღლის სახელზე. დამაარსებლებს მოუთხოვიათ 4-წლიანი სკოლა, სადაც საგნების სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო. ხელისუფლებამ ნება დართო ქართულ ენაზე სწავლებისა მხოლოდ 3 წლის განმავლობაში. „დედა ენის უფლებების შეზღუდვამ", როგორც ი. გოგებაშვილი იგონებს, ერთგვარად გაანელა წრის წევრთა ენთუზიაზმი, სკოლის საქმეც ვერ წასულა რიგიანად და მალე მან არსებობა შეწყვიტა. ამ მარცხმა დაარწმუნა წრის წევრები, რომ საქმის წარმატებისათვის კერძო წრე არ კმაროდა, საჭირო იყო ფართო საზოგადოება თავისი წესდებით და ოფიციალურად დამტკიცებული უფლებებით. საზოგადოების ორგანიზაციას სათავეში ი. გოგებაშვილი ჩაუდგა. მან და ნიკო ცხვედაძემ შეისწავლეს რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნორმალური წესდება და გადაწყვიტეს საზოგადოების სათავეში ჩაეყენებინათ დიმ. ყიფიანი, რომელიც პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა როგორც ქართულ საზოგადოებაში, ასევე მმართველ წრეებში. ამ უკანასკნელმა მხურვალე თანაგრძნობა გამოიჩინა მომავალი საზოგადოების შექმნის იდეის მიმართ და გადაწყდა ყოველ შაბათს შეკრებილიყვნენ მასთან და შეემუშავებინათ საზოგადოების წესდება. ი. გოგებაშვილმა თავიდანვე აუცილებლად მიიჩნია წესდებაში ქართულ ენაზე სწავლების მუხლის შეტანა, რაც რუსულ დედანში, გასაგები მიზეზის გამო, არ იყო. მომავალი საზოგადოების წესდება შეიმუშავეს დიმ. ყიფიანმა და ნიკო ცხვედაძემ. ი. გოგებაშვილი ავადმყოფობის გამო მხოლოდ პირველ სხდომებს დაესწრო. როდესაც მან გამოჯანმრთელების შემდეგ წესდება წაიკითხა, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მუხლი, დიმ. ყიფიანის რჩევით, არ შეეტანათ. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ამ მუხლის შემცველ წესდებას მთავრობა არ დაამტკიცებდა და საზოგადოების დაარსების საკითხს უარყოფითად გადაწყვეტდა. ი. გოგებაშვილს განუცხადებია: „თუ ეს მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველი ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება"[2]. მასვე წესდებაში ჩაუწერია შემდეგი პარაგრაფი: „საზოგადოება თავის განმანათლებლურ მიზანს აღწევს მთელი დაწყებითი სწავლების მშობლიურ ენაზე წარმართვის საშუალებით და ხელს უწყობს რუსული ენის შესწავლას". ამგვარად შევსებული წესდება შემდგენლებმა წააკითხეს ბესარიონ ღოღობერიძეს, იმ დროს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორს. მასაც დაბეჯითებით განუცხადებია, რომ ამ შინაარსის მუხლის წესდებაში შეტანა დაღუპავდა მთელ წამოწყებას და თავისი აზრის დასამტკიცებლად გაუხსენებია ხოვლეს სკოლის მაგალითი. ი. გოგებაშვილი კვლავ დაჟინებით ამტკიცებდა წესდებაში აღნიშნული მუხლის შეტანის აუცილებლობას და შესაძლებლად თვლიდა ალექსანდრე II 1864 წ. 30 აგვისტოს რესკრიპტზე დაყრდნობას, რომლის ძალითაც დაშვებული იყო „ინოროდცების" სახალხო სკოლებში დედაენაზე სწავლება. ი. გოგებაშვილის აზრმა გაიმარჯვა. გადა-

---

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 394.

წყდა მთავრობის მიმართ წარდგენილ შუამდგომლობაში დასახლებული მუხლის გასამართლებლად მოტანილი ყოფილიყო იმპერატორის რესკრიპტი და სახ. საბჭოს დადგენილებანი მის ირგვლივ.

ამავე დროს, მაღალ სფეროებში საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით, ი. გოგებაშვილმა 1877 წ. დასაწყისში „ტიფლისკი ვესტნიკში" დაბეჭდა სტატიების სერია კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების შესახებ, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე იყო და დაამტკიცა, რომ „ასეთი მახინჯი სკოლა ეწინააღმდეგება არა მარტო პედაგოგიურ პრინციპებს, არამედ ძირითადს კანონს რუსეთისას" (ალბათ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ იმპერატორის რესკრიპტისა და იმპერიის კანონებისადმი აპელირება ის აუცილებელი ხერხი იყო, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ მსგავს შემთხვევებში ჩვენი მოღვაწენი).

წესდებაზე ხელი უნდა მოეწერათ, ისევ ი. გოგებაშვილის გონივრული აზრით, იმ პირებს, რომლებიც მთავრობის ნდობით სარგებლობდნენ. თვით ი. გოგებაშვილი ამ როლისათვის არ გამოდგებოდა, რადგან იგი ადრე დათხოვნილი იყო სამსახურიდან „მესამე მუხლის ძალით", ანუ, როგორც არაკეთილსაიმედო. ხელისმომწერნი საზოგადოების დამფუძნებლებად ითვლებოდნენ. წესდება ხელის მომწერთათვის უნდა დაეტარებინა ბეს. ღოღობერიძეს. მის თანაშემწეებად დანიშნეს ილია ჭავჭავაძე და ვახტანგ თულაშვილი. წესდებას ხელი მოაწერა 126 დამფუძნებელმა.

წესდების მთავრობისათვის წარდგენა, მისთვის სათანადო მსვლელობის მიცემაზე ზრუნვა და საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი განმარტებების მიწოდება დაევალათ დიმ. ყიფიანს, ბეს. ღოღობერიძეს და ილ. ჭავჭავაძეს. ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში 1878 წ. 20 ივნისს წარდგენილი წესდება მცირედი შესწორებებით დამტკიცდა 1879 წ. 31 მარტს. (უნდა აღინიშნოს, რომ წესდების სწრაფ და შეუფერხებელ დამტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დიმ. სტაროსელსკიმ—მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა, რომელიც დაახლოებული იყო ქართულ წრეებთან და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს მფარველობდა).

დამფუძნებელ წევრთა პირველი კრება მოეწყო 1879 წ. 15 მაისს. საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დიმ. ყიფიანი. გამგეობის წევრებად ხმის უმრავლესობით: ილია ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი. თავმჯდომარის ამხანაგად დაინიშნა ილ. ჭავჭავაძე, მოლარედ — რ. ერისთავი.

წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შეადგენდნენ: დამფუძნებელი, საპატიო, ნამდვილი და დამხმარე წევრები. დამფუძნებლებს საზოგადოების სალაროში ყოველწლიურად უნდა შეეტანათ არანაკლებ 20 მანეთისა ან ერთდროულად 300 მან. საპატიო წევრებად საზოგადოება ირჩევდა მათ, ვინც დიდი დახმარება აღმოუჩინა „მწიგნობრობის გავრცელებას" პირადი შემოქმედებით ან ნივთიერი შეწირულებით. ნამდვილ წევრებს საზოგადოების სალაროში შეჰქონდათ ყოველწლიურად 6 მან. ან ერთდროულად 100 მან. დამხმარე წევრები უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ საზოგადოებას, მათ საწევრო გადასახადი არ შეჰქონდათ.

წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიზანს წესდების მიხედვით შეადგენდა: წერა-კითხვისა და დაწყებითი სწავლების გავრცელება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ მოსახლეობაში. ამ მიზნით საზოგადოება ხსნიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ და ეხმარებოდა არსებულ სახალხო სკოლებს, საჭირო შემთხვევაში მოსახლეობას უწევდა დახმარებას სკოლის გახსნაში. მას უფლება ჰქონდა დაეარსებინა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მოეწყო სახალხო კითხვები და ლექციები, დაებეჭდა სახელმძღვანელოები, გაემართა სასწავლო ნივთების საწყობი, გამოეცა ჟურნალი ან გაზეთი, ეზრუნა ღირსეული პედაგოგების მოზიდვაზე — ამ მიზნით მოეწვია პედაგოგიური კურსები და მასწავლებელთა ყრილობები. მოემზადებინა სახალხო მასწავლებლები ან თავის ხარჯზე არსებულ სამასწავლებლო სასწავლებლებში, ან თვით გაეხსნა ამგვარი დაწესებულება.

წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას როგორც ვხედავთ, მეტად ფართო პროგრამა ჰქონდა, სახსრები კი მას თავიდანვე მეტად შეზღუდული აღმოაჩნდა. „ამ დიდ ნაკლს, — იხსენებს ი. გოგებაშვილი, — წამალი დასდო ილია ჭავჭავაძემ. სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მან წარმოსთქვა მეტად ძლიერი სიტყვა ახლად დაარსებულის საზოგადოების დიდის მნიშვნელობის შესახებ და გადაადებინა მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მან. ფული. ამით მან ფეხზე დააყენა საზოგადოება და გაუხსნა მას გზა ფართო მოქმედებისათვის“[3].

ილიას წინადადებას თავად-აზნაურობის ნაწილი დიდი გალიზიანებით შეხვდა. მათ მიაჩნდათ, რომ თუ ფულის გაღებაზე მიდგებოდა საქმე, ეს მხოლოდ მათი შვილების სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო. ილიამ მისებური დაუნდობლობით შეუტია მოწინააღმდეგეებს: „ზემოხსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-აზნაურობა კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდ იყოს და თუნდ არა! თავს მაგისთვის ძალიან არავინ შეიტკივებს“[4].

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმაც კირილე ლორთქიფანიძის, ანტონ ლორთქიფანიძის, გიორგი წერეთლის აგიტაციის შედეგად იგივე თანხა გაიღო საზოგადოებისათვის, ოღონდ აქედან 800 მან. ქუთაისის ქართული სკოლისათვის იყო გათვალისწინებული.

მოწინავე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ახლად შექმნილი ეროვნული დაწესებულების მიმართ ნათლად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ ახალი საზოგადოების წყალობით „გავრცელდებოდა სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემოდა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლისოდაც საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია“[5].

ილიას მიაჩნდა, რომ საზოგადოებას სკოლები პირველ რიგში იმ სოფლებში უნდა გაეხსნა, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ან შეძლება სკოლის შენახვის საშუალებას არ იძლეოდა. აქ აშკარად გამოჩნდა ის დემოკრატიული მიზანდასახულება, რომელიც თავიდან საზოგადოების შექმნის სტიმული გახდა. ილიას საზოგადოების მომავალი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს დარგად მიაჩნდა აგრეთვე ახლად შემოერთებული აჭარა-ქობულეთის მხარის მოსახლეობის მომსახურება, მისი მშობლიურ ქვეყანასა და ხალხთან მჭიდრო, ორგანიული ერთობის აღდგენის მიზნით.

---

[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 397.

[4] ტ რ. ხუნდაძე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თბ., 1960, გვ. 8.

[5] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955, ტ. 5, გვ. 47.

უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ი. გოგებაშვილიც. „ამისთანა მაღალ მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულაო“, — წერდა იგი. მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო საზოგადოების საქმიანობის დემოკრატიული, ფართო სახალხო ხასიათი[6].

ამ აღტაცებულ იმედებს სრული განხორციელება არ ეწერა. საზოგადოების საქმიანობას მრავალი ფაქტორი აფერხებდა. 80-იანი წლების რეაქციის ხანაში უკიდურესად გაძლიერდა მთავრობის კონტროლი, რასაც წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების უფლებების თანდათანობითი შეზღუდვა მოყვა. წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით დიდგვაროვანი აღზევებული პირები, დაუდევრობას და გულგრილობას იჩენდნენ ამ საზოგადოების მიმართ. ილია მწარედ აღნიშნავდა, რომ 126 დამფუძნებლიდან, რომლებიც გენერალ-ლეიტენანტები იყვნენ, სამიღა შემორჩა საზოგადოებასო. ამას ერთვოდა მუდმივი უსახსრობა. საწევრო გადასახადი მეტად არალეგულარულად და არასრულად შემოდიოდა. იყო სხვა კერძო მიზეზებიც.

წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელნი, გამგეობის წევრები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ იმისათვის, რომ საზოგადოების მუშაობა შეძლებისდაგვარი წარმატებით წარმართულიყო. საზოგადოება მთელი მოწინავე ქართული ინტელიგენციის მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენდა. ამაში საზოგადოების გამგეობის წევრთა ჩამოთვლაც დაგვარწმუნებს. მისი არსებობის პირველ პერიოდში — 900-იან წლებამდე, გამგეობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ (პირველი გამგეობა ჩვენთვის ცნობილია): აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, თ. ჟორდანია, ივ. გამყრელიძე, იონა მეუნარგია, გ. თუმანიშვილი, გ. უთურგაული, დ. ავალიშვილი, ნ. ქანანოვი, ვლ. მიქელაძე, კონსტ. მუხრან-ბატონი (თავ-რე 1882—1885 წწ.), ს. მესხი, დიმ. ბაქრაძე, მ. ჭავჭავაძე, ლ. მღებრიშვილი, ეკატ. გაბაშვილი, გ. ქართველიშვილი, გ. იოსელიანი, ა. მირიანაშვილი, ვ. ყიფიანი, ალ. ჩოლოყაშვილი, გრ. ვოლსკი, ალ. ჭყონია, ან. ფურცელაძე, რაჟ. ჯაჯანაშვილი, ან. თუმანიშვილი, ალ. ჭიჭინაძე, ნ. ხიზანიშვილი, ექ. თაყაიშვილი, ს. მაჩაბელი, ლ. ფავლენიშვილი, ი. მანსვეტაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ივ. რატიშვილი, გრ. ყიფშიძე, ივ. აბაშიძე, ივ. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ნ. მთვარელიშვილი. 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოებას თავმჯდომარეობდა ილია. თავმჯდომარის ამხანაგად 1895 წელს აირჩიეს ნ. ცხვედაძე, რომელიც ამ ხანებში საზოგადოების ფაქტიური თავმჯდომარეც იყო.

დიდი რეზონანსი ჰქონდა საზოგადოებას აგრეთვე სხვა ქალაქების ქართულ მოსახლეობაში ამ მხრივ გამოირჩეოდა ბაქო, რომლის ქართველობა მუდმივ ფულად დახმარებას უწევდა წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

1884 წ. საქმის უკეთ და მეტი შედეგიანობით გაძღოლის მიზნით, ი. გოგებაშვილის ინიციატივით, საზოგადოებამ გაიჩინა რწმუნებულები მთელ საქართველოს მაზრებში; სიღნაღის და თელავის მაზრებში — რ. ერისთავი, დუშეთში — პ. უმიკაშვილი, გორში — გ. ციციშვილი, თბილისში — ა. აფხაზი, ახალციხე-ახალქალაქში — ი. ალექსი-მესხიშვილი, იმერეთსა და რაჭაში — ალ. ჭიჭინაძე, სამეგრელოსა და გურიაში — იონა მეუნარგია. რწმუნებულებს

---

[6] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, თბ., ტ. 2, 1955, გვ. 3.

მაზრის უფროსებთან შეთანხმებით უნდა მოეწვიათ სოფლის საზოგადოების კრება და განეხილათ სკოლის გახსნის საკითხი. ადგილობრივი ადმინისტრაცია მეტად აფერხებდა რწმუნებულთა საქმიანობას. ხშირად ამ უკანასკნელთ სოფლებში მისვლის ნებასაც არ აძლევდნენ. ასე მოიქცნენ მაგ., რ. ერისთავის და ალ. ჭიჭინაძის მიმართ. ასეთ პირობებში პირველი ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ რამოდენიმე სკოლის გახსნა მოხერხდა: 1880 წ. თბილისში გაიხსნა ორგანყოფილებიანი ქართული სკოლა ორივე სქესის ბავშვთათვის. ამავე წელს დაარსდა ქუთაისის ქართული სკოლის ორი მოსამზადებელი განყოფილება მშობლიურ ენაზე სწავლებით, მაგრამ 1881 წ. კავკასიის ოლქის მაშინდელი მზრუნველის კ. იანოვსკის ცნობილი სასწავლო გეგმის გამოსვლასთან დაკავშირებით ქართულ ენის სწავლება ყველა დაწყებით სახალხო სასწავლებელში მეტად შეიზღუდა. ეს გეგმა სავალდებულო იყო წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისათვისაც. ამასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელისუფლებასა და წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შორის ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. 1886 წ. ქუთაისის სკოლა ოთხკლასიან პროგიმნაზიად იქცა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი სენაკის ქართული სკოლის გახსნას, რომელიც ფორმალურად, ხელისუფლების თვალის ასახვევად ქუთაისის სკოლის პარალელურ კლასებად გამოცხადდა. სკოლის საზეიმო გახსნა ეროვნული ერთიანობის დემონსტრაციად გადაიქცა. მასში წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით მონაწილეობა მიიღეს აკ. წერეთელმა, დიმ. ყიფიანმა, მ. ფალავამ, ი. მაჩაბელმა, ნ. დადიანმა. ამ ფაქტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა იმ ცნობილი პროვოკაციის გამო, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების დასუსტებას ისახავდა მიზნად.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმში სკოლის გახსნას. მისი გახსნის საკითხი ნ. ცხვედაძემ დასვა. სათანადო ინსტანციებთან მოლაპარაკება ილია ჭავჭავაძეს დაევალა. სკოლა გაიხსნა 1881 წ. პირველ წლებში სკოლის საქმე წარუმატებლად მიდიოდა. უკვე 1882 წ. დაისვა მისი დახურვის საკითხი. ილია ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ცხვედაძე დაჟინებით მოითხოვდნენ სკოლის შენარჩუნებას. მოსე ჯანაშვილმა განაცხადა „ერთი ხალხი ვართ, ერთი ენა გვაქვს და ზნეობრივი კავშირიც უნდა გვქონდეს“[7]. თანდათან სკოლის მდგომარეობა გამოსწორდა. მან მაჰმადიან მოსახლეობაში დიდი პოპულარობაც მოიპოვა. 1887 წ. შეიქმნა ბათუმის სკოლის სამზრუნველო კომიტეტი, მაგრამ წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ამის შემდეგაც მუდმივად ეხმარებოდა სკოლას. 1888 წ. საზოგადოებამ მიიღო ქ. კავკავში (ორჯონიკიძე) ქართული სკოლის გახსნის ნებართვა. ინიციატივა თვით ქალაქის ქართული მოსახლეობისა იყო. გარდა ნებართვისა, საზოგადოებამ ფულადი დახმარება (200 მან) გაუწია სკოლას, ყოველწლიურად წიგნებით ამარაგებდა და მასწავლებელთა კადრებს არჩევდა. განსაკუთრებული წარმატებით წავიდა სკოლის საქმე 1892 წლიდან, როდესაც საზოგადოებამ იქ მასწავლებლად დანიშნა ლუარსაბ ბოცვაძე.

1882—1897 წწ. წ-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლები გახსნა წინარეთში, თონეთში, ხელთუბანში, გომარეთში. მცხეთაში, ვაყასა და დილომში სკოლების გახსნის განზრახვას წინაღუდგა ადმინისტრაცია და არსებული სკოლების გამოც დაუწყო ბრძოლა საზოგადოებას. წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1882 წლიდან ზემოთ ნახსენები იანოვსკის სასწავლო

---

[7] ტ რ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

გეგმასთან დაკავშირებით. პირველი შეტაკება წინარეხის სკოლის თაობაზე მოხდა. სკოლის პროგრამა, რომელიც არ ეთანხმებოდა ახალ სასწავლო გეგმას, ოლქის მზრუნველმა არ დაამტკიცა. საზოგადოებამ სკოლა მაინც გახსნა. მზრუნველი და სახალხო სკოლების დირექტორი კატეგორიულად მოითხოვდნენ საზოგადოებისაგან სწავლებას ახალ სკოლაში იანოვსკის გეგმა დასდებოდა საფუძვლად, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლის დახურვით იმუქრებოდნენ. საზოგადოების პასუხში აღნიშნული იყო, რომ სკოლის დახურვა არ შეიძლებოდა. იგი ემყარებოდა კერძო სკოლების შესახებ არსებულ წესდებასა და წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების შესაბამის პარაგრაფს და რომ რუსული ენის მესამე წლიდან სწავლება (ამის ირგვლივ ატყდა ეს ომი), გამართლებული იყო ელემენტარული პედაგოგიური მოსაზრებებით. 1883 წ. მთავრობის განკარგულებით სკოლა დაიხურა კიდეც, იგი აღდგა 1884 წ. იანვრიდან. ამავე ხანებში იანოვსკიმ ბათუმის სკოლის მიმართაც იგივე მოთხოვნა წაუყენა საზოგადოებას. ბრძოლა გამწვავდა. განსაკუთრებით შეურიგებლად იყო განწყობილი ილია ჭავჭავაძე. „პაჭიჯს რომ თავი მოარღვიო, ბოლომდის რღვევით წავა. თუ ერთხელ დავუთმეთ, მეორედაც მოგვიხდება დათმობა“-ო — აცხადებდა იგი.

1883 წ. თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექციაში გაიგზავნა ილიას მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა სოფ. თონეთში სკოლის გახსნის შესახებ, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: „საგნების სწავლება იწარმოებს ბავშვთა მშობლიურ ენაზე, თანახმად საზოგადოების წესდების მესამე პარაგრაფისა. თუმცა გამგეობა დარწმუნებულია, რომ რუსული ენის შესწავლის დაწყება უფრო პედაგოგიური და მიზანშეწონილია სწავლების მესამე წლიდან, მაგრამ უთმობს რა ადგილობრივი სასწავლო უწყების დაჟინებით მოთხოვნას, რუსული ენის სწავლებას დაიწყებს პირველი წლის მეორე ნახევრიდან“. დირექტორმა დარსკიმ შემდეგი რეზოლუცია დაადო შუამდგომლობას: „წარმოდგენილი იქნას სასწავლო გეგმა ზედმეტი მსჯელობის გარეშე“[8].

80-იანი წლების მიწურულიდან იანოვსკის გეგმაც სანატრელი გახდა, იგი არაოფიციალურად გაუქმდა კიდეც. ბრძოლა წ-კ. გამარვცელებელ საზოგადოებასა და ადგილობრივ მთავრობას შორის ამ მტკივნეული საკითხის გამო არ შეწყვეტილა.

წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული სახელმძღვანელოების გამოცემასაც, მაგრამ მის ამ წამოწყებას დიდი წარმატება არ მოჰყოლია სკოლებში საგნების რუსულად სწავლების გამო. გამონაკლისს წარმოადგენდა „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, რომლებიც შემოსავალსაც კი აძლევდნენ საზოგადოებას. საზოგადოება ზრუნავდა ქართული საკითხავი წიგნების გამოცემაზეც. თუმცა რამოდენიმე წიგნი, ორიგინალური და თარგმნილი, გამოიცა კიდეც, მაგრამ ამ საქმეს, ყველა სხვა გარემოების გარდა, მეტად აფერხებდა საკუთარი სტამბის უქონლობა. საზოგადოება ცდილა მოეგვარებინა ეს საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. მან ისე შეწყვიტა არსებობა, რომ საკუთარი სტამბა არ მოუწყვია.

განსაკუთრებულია წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დამსახურება ე. წ. „სამწიგნობროსა“ და მუზეუმის შექმნაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სიძველეთა, წერილობითი თუ მატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვება-თავმოყრას. პირველად ბიბლიოთეკის შექმნის საკითხი იონა

---

[8] ტრ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

მეუნარგიამ დააყენა 1880 წ. მართალია, თანხა — 5000 მან., რომელიც ამ საქმეს სჭირდებოდა საზოგადოებამ მუდმივი უსახსრობის გამო ვერ გაიღო, მაგრამ მაინც დაადგინა დაარსებულიყო ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ბიბლიოთეკა. საქმე ისევ საზოგადოების მოღვაწეთა და სხვა პირთა უანგარობასა და ენთუზიაზმს უნდა დამყარებოდა. ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი ძირითადად შემოწირულებათა ხარჯზე შეიქმნა. დიდი იყო ნ. დადიანის საჩუქარი. მან წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისთანავე გადაწყვიტა შეეწირა მისთვის თავისი ბიბლიოთეკა. 1885 წ. იგი იწერებოდა პეტერბურგიდან: „თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით წერა-კითხვის საზოგადოება მოუტანს რაიმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად". გორდში ბიბლიოთეკის ჩამოსატანად გაემგზავრნენ ილ. ჭავჭავაძე, ვას. მაჩაბელი, იონა მეუნარგია, გრ. ყიფშიძე. საზოგადოებას საკუთარი წიგნთსაცავები შესწირეს აგრეთვე დ. ჩუბინიშვილმა და რ. ერისთავმა. ძველი ხელნაწერებისა და წიგნების შემწირველთა შორის იყვნენ ვას. ოქონელი, მიხ. სარაჯიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ლუკა ისარლიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, კ. მუხრან-ბატონი, მიხ. თამამშევი, ასლან წულუკიძე, კირილე ლორთქიფანიძე, ი. ალექსი-მესხიშვილი და სხვები.

ამავე პერიოდში დაიწყო სამუზეუმო სიძველეთა შეგროვებაც. საზოგადოების 1885 წ. ანგარიშში ვკითხულობთ: „გროვდება ძველი საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთები და სანუმიზმატიკო ნიშნები"[9].

1889 წ. ერთერთ სხდომაზე ექ. თაყაიშვილმა დასვა საკითხი წიგნთსაცავის მიმართ ყურადღების გაძლიერების შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა კომისია ლ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ნ. მთვარელიშვილის შემადგენლობით. ამავე წელს ი. გოგებაშვილმა წამოაყენა აზრი ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის შენობის აგების შესახებ. მიწის ნაკვეთი ბანკს უნდა გამოეყო, თვით შენობა კი შემოწირულებათა ხარჯზე უნდა აგებულიყო. გამოცხადდა კიდეც ხელმოწერა, მაგრამ მთავარმმართველმა დონდუკოვ-კორსაკოვმა აუკრძალა წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შენობაზე ზრუნვა იმ საბაბით, რომ წესდების მიხედვით საზოგადოებას არ ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის უფლება. ცდები განახლდა 1894 წ., შეიქმნა შენობის პროექტიც. გამგეობამ ილია ჭავჭავაძეს, ი. გოგებაშვილს და ნ. ცხვედაძეს დაავალა ალ. ზუბალაშვილთან მოლაპარაკება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საზოგადოების წიგნთსაცავი და მუზეუმი დარჩა არწრუნისეული ქარვასლის ბანკის მიერ შეძენილ ორ ოთახში. როგორც პროფ. ტრ. ხუნდაძე წერს, „ეს იყო წ-კ. საზ-ბის ფასდაუდებელი საქმიანობა. იმ ხანებში წ-კ. საზ-ბამ ყიდვისა თუ შეწირულების სახით ქართველი ხალხის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას მოუყარა თავი"[10].

მოსახსენებელია საზოგადოების საქმიანობა ბიბლოთეკა-სამკითხველოებისათვის დახმარების და გახსნის დარგში. გასული საუკუნის დასასრულს სახალხო სამკითხველოები ერთგვარ კლუბებს წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა მსჯელობა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. ეს მთავრობის შეშფოთებას იწვევდა, რასაც სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისადმი ზედამხედველობის გაძლიერება მოჰყვებოდა.

წ-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ გასული საუკუნის 90-იან წლებ-

---

[9] ტრ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[10] იქვე, გვ. 67.

ში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები გახსნა თბილისში (1892 და 1894 წწ.), ახალციხეში (1895 წ.), ქუთაისში, ე. წ. „გაბრიელის ბიბლიოთეკა“ (1896 წ.); სოფ. უდეში — ახალციხის მაზრა (1897 წ.) და წიგნების მიწოდებით რეგულარულად ეხმარებოდა საქართველოს ყველა კუთხეში მოფენილ სამკითხველოებს. განსაკუთრებით ბევრ თხოვნას იღებდა საზოგადოება სხვადასხვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიდან ქართული წიგნებით მათი მომარაგების შესახებ. ზოგ თხოვნას ფული ახლდა ხოლმე, ხშირად კი თვით გამგეობა იძენდა საჭირო წიგნებს. ქართული წიგნებით სახალხო სამკითხველოების მომარაგებაც დიდ სიძნელეებს აწყდებოდა.

მეტად საყურადღებოა წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სამეცნიერო ურთიერთობანი. 1889 წ. გამგეობამ პეტერბურგის უნივერსიტეტის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გაუგზავნა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ხელნაწერი. როდესაც მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ყრილობაზე განიზრახა ქართველთა წინაქრისტიანული რელიგიის საკითხებზე მოხსენების წარდგენა, მან საზოგადოების გამგეობას თხოვა „ქართლის მოქცევის“ ხელნაწერი. რადგან ძეგლი ამ დროს იბეჭდებოდა, გამგეობამ დაადგინა გაეგზავნა მოსკოვში ხელნაწერის ასლი ან ნაბეჭდი. 1889 წ. ი. მაჩაბლის წინადადებით ორიენტალისტთა ყრილობას შვედეთში წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელით გაეგზავნა ძვირფას ყდაში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი“. 1895 წ. გამგეობამ ი. გოგებაშვილის წინადადებით სთხოვა პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის უნივერსიტეტებს გამოეგზავნათ საზოგადოებისათვის მათი გამოცემების ორ-ორი ეგზემპლარი. 1896 წ. ნიკო მარმა გამოუგზავნა საზოგადოებას მისი „ცხოვრება პეტრე იბერისა“, დაბეჭდილი „პალესტინის კრებულში“. იმავე წელს ი. გოგებაშვილის ინიციატივით გადაწყდა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა. ამასთან დაკავშირებით გამგეობამ რუსეთის სამეცნიერო აკადემიას თხოვა „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ვარიანტი. როგორც ვხედავთ, წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ქართველოლოგიური კვლევის ცენტრსაც წარმოადგენდა.

XX ს-ის დასაწყისში საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღმავლობის დროს წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაშიც უფრო დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. გაიზარდა მის მიერ გახსნილი ბიბლიოთეკების ქსელი, გამრავლდა სახსრები, როგორც სხვადასხვა საღამო-კონცერტების და საჯარო ლექციების შემოსავლის, ასევე ბაქოსა, განჯაში, ნუხაში, სარაყამიში მცხოვრებლები ქართველების დახმარების ხარჯზე, ამან საშუალება მისცა საზოგადოების გამგეობას დახმარებოდა ცალკეულ პირებსაც. 1902 წ. ზ. ფალიაშვილს მიეცა დახმარება, 1903 წ. საზოგადოებამ იკისრა ორი აჭარელი ბავშვის აღზრდა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში. ამავე ხანებში საზოგადოების საქმიანობაში ჩაებნენ ახალი საზოგადოებრივი ძალები, სოციალ-დემოკრატები ნ. ელიავა, კ. ჯაფარიძე, ივ. გომართელი. წევრთა შორის გაიზარდა მუშათა რიცხვი. საწევრო გადასახადი 3 მანეთამდე შემცირდა, რაც შედარებით ფართო ფენებს უხსნიდა გზას საზოგადოებისაკენ.

1905—1906 წწ. რევოლუციური მოძრაობის პერიოდში წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობა გასაგები მიზეზით შენელდა. გ. ლასხიშვილი, რომელიც ამ დროს გამგეობის წევრი იყო, იხსენებდა: „რევოლუციის ხანაში ჩვენმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა თითქოს მიიძინეს. უფრო აქტიური ელემენტი სხვაგან წავიდა, უფრო დიდი და პასუხსაგები საქმით იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატვირთული... „საზოგადოების გამგეობას ესმოდა, რომ ახალ პირობებში წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასაც უნდა გარდაექმნა თავისი მუშაობის ხასიათი. 1906 წ. ანგარიშში აღნიშნული იყო: „გამგეობა ნათლად გრძნობდა და ხედავდა, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელსაც საზოგადოების არსებობის ძველი ფორმები და შინაარსი არ შეეფერებოდა, რომ საზოგადოება ამის გამო კრიზისს განიცდის, უმოქმედოა. ის მომავალში ვეღარ ივლის ძველი გზით და მისი არსებითი გადახალისებაა საჭირო".[11] რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწყებული მძიმე რეაქციის ხანაში არამც თუ გადახალისება, თვით საზოგადოების არსებობაც ბეწვზე ეკიდა. ამ პერიოდში თავი იჩინა ძალთა დაპირისპირებამაც საზოგადოების შიგნით. მის წევრთა ნაწილი აკრიტიკებდა საზოგადოებას იმის გამო, რომა მან საქმიანობის სიმძიმის ცენტრი სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიდან, რაც მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს უნდა მომსახურებოდა, ძველი ხელნაწერების და ნივთების შეგროვებაზე გადაიტანა. ამ ბრალდებების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს აკ. წერეთელმა, ექ. თაყაიშვილმა და სხვებმა. ამ უკანასკნელმა განაცხადა: „წ-კ. საზოგადოების მიერ შეგროვებული ძველი ხელნაწერები და ნივთები ჩვენი უძვირფასესი განძია. წ.-კ. საზოგადოებას თუ რამ გაუკეთებია ღირსშესანიშნავი, ეს არის მისი ძველი წიგნების და ხელნაწერების ბიბლიოთეკა"-ო.

1908 წ. საზოგადოება დასტოვა ნ. ცხვედაძემ. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ყაზბეგი. ამ ხანებში საზოგადოებაში აქტიურად თანამშრომლობდნენ: გ. ლასხიშვილი, გ. ზდანოვიჩი, ლუარსაბ ბოცვაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დავ. კარიჭაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გრ. რცხილაძე, იაკობ ნიკოლაძე, ალ. ყიფშიძე, შ. დედაბრიშვილი, ი. ვართაგავა,, ვ. მუსხელიშვილი, ალ. მიქაბერიძე, ს. იაშვილი, ივ. ზურაბიშვილი, მიხ. გედევანიშვილი, ივ. გომართელი, კორ. კეკელიძე, ირ. სონღულაშვილი, ს. გორგაძე, უფრო გვიან მ. ბერძნიშვილი და სხვანი.

ამ პერიოდში წ-კ. გამავრცელებეული საზოგადოების მუშაობას კვლავ აღორძინება დაეტყო. გ. ყაზბეგის ინიციატივით ორი სტრუქტურული ცვლილება მოხდა: 1. შეიქმნა ადმინისტრაციული, სასკოლო, საგამომცემლო, ბიბლიოთეკების, სახალხო კითხვათა და სამუზეუმო სექციები; **2.** ადგილებზე რწმუნებულების ნაცვლად შეიქმნა საზოგადოების ფილიალები. დასახელებულ ღონისძიებებს მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობის გაფართოებისა და ეფექტიანობისათვის. 1918 წლისათვის არსებობდა 49 განყოფილება. იყო ფილიალები საქართველოს გარეთაც: ბაქოში, არმავირში, ერევანში, კავკავში, სოჭში, ტუაფსეში, განჯაში, ყარსში, სარაყამიშში, გროზნოში. შედარებით გაიზარდა სკოლათა რიცხვიც. 1910 წელს საზოგადოება 13 სკოლას ხელმძღვანელობდა, მათ შორის იყო საგურამოს ილ. ჭავჭავაძის სახელობის სკოლაც. 1914 წ. სკოლა გაიხსნა ქ. ნალჩიკში. 1907 წ. საზოგადოებას მოუნდომებია სკოლების გახსნა ფერეიდანსა და საინგილოში, მაგრამ ეს განზრახვა წარმატებით არ დაგვირგვინდა წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. 1914 წ. არსებობდა წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ამ ხანებში კიდევ ერთხელ შეეცადნენ განეხორციელებინათ მუდმივი სა-

---

[11] ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრუნავი — აეშენებინათ ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის შენობა. ამაზე ფიქრი შესაძლებელი გახადა ილიას ანდერძმა, რომლის მიხედვითაც მთელი მისი ქეთილშეძენილი ქონება წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა. 1907 წ. ახალი დებულებით საზოგადოებას უძრავი ქონების შეძენის უფლებაც მიეცა. მაგრამ ეს პრობლემა ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა. წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძეს დიდი ქონება აგრეთვე აკაკიმ, ნ. ლოლობერიძემ, ალ. ხახანაშვილმა, დ. სარაჯიშვილმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა. მნიშვნელოვანი იყო ოლღა ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის შემოწირულებანი.

XX ს-ის მეორე ათწლეულის დასარულიდან წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის არე თანდათან შეიზღუდა. 1914 წლიდან შეწყდა წიგნებისა და ხელნაწერების გადაცემა საზოგადოებისათვის. 1918 წლიდან საზოგადოების სკოლები და ბიბლიოთეკები ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წ-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ საბოლოოდ დაკარგა ფუნქცია.

1922 წელს იგი წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ საზოგადოებად იქცა, გარდა ამისა უვლიდა და ინახავდა მის მიერ თავმოყრილ ეროვნულ-ისტორიულ საუნჯეს. 1925 წ. წიგნთსაცავი, მუზეუმი, მთელი არქივი თბილისის უნივერსიტეტსა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასა და მწერალთა კავშირს შორის განაწილდა. 1927 წ. დასრულდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმეთა ლიკვიდაცია.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თედო ჟორდანია

### (დაბადების 125 წლისთავის გამო)

125 წელი შესრულდა რევოლუციამდელი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის თედო (თევდორე) დავითის ძე ჟორდანიას დაბადებიდან.

თ. ჟორდანია ეკუთვნის ბურჟუაზიული ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა იმ თაობას, რომელმაც XIX—XX სს. მიჯნაზე თერგდალეულთა იდეოლოგიის შესაბამისად ახალ დონეზე აიყვანა საქართველოს წარსულის შესწავლა, გაამდიდრა მისი ფაქტოლოგიური საფუძველი და ამით მკვიდრი საფუძველი შექმნა საქართველოს ისტორიის თანამედროვე დონეზე გააზრებისათვის.

ქართული ისტორიოგრაფიის ზემოაღნიშნული ეტაპი ესაა ევრისტიკის ფაზა, როცა მიმდინარეობს საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების შეკრება, გამოცემა და კრიტიკულად გააზრება. ამ აზრით იკვლევდა ქართველი ერის ისტორიულ წარსულს თ. ჟორდანიაც, რომელიც თვლიდა: „სანამ არ გაირკვევა-გაიცხრილება ჩვენი მატიანე, სანამ საკმაო და უტყუარი საბუთი არ შეიკრიბება ძველის ჩვენის ცხოვრებისა და განმარტებით არ გამოიცემა, მანამდი ტყუილია იმედია ნამდვილს და უტყუარს ისტორიას მოვესწროთ და არცა ვგონებ, რომ მანამდი შეგნებულთა და მომზადებულთა პირთა ხელი მოჰკიდონ მეცნიერულის წესით დალაგებულის ისტორიის წერასა“.

თ. ჟორდანია დაიბადა აფხაზეთში, სოფ. მოქვში, სამღვდელო პირის ოჯახში 1854 წლის 10 აპრილს (ძვ. სტილით). აქვე დაამთავრა მან სკოლა და სწავლა გააგრძელა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1868 წლიდან თ. ჟორდანია გადმოდის თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც 1875 წელს ამთავრებს. ამის შემდეგ თედო ვითარცა წარჩინებით კურსდამთავრებული უფასო სწავლის მისაღებად იგზავნება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის კურსიც მან წარმატებით დაასრულა 1879 წ. აკადემიაში თედოს ნიჭმა და უნარმა დიდი რუსი მეცნიერის, შემდგომში რუსული ისტორიოგრაფიის „მამის“ ვ. ო. კლუჩევსკის ყურადღება მიიქცია. იგი თედოს მოსკოვში დარჩენას და რუსეთის ისტორიის კვლევას ურჩევდა, მაგრამ პატრიოტმა ახალგაზრდამ საქართველოში ჩამოსვლა და ეროვნული წარსულის შესწავლა ამჯობინა.

მოსკოვში სწავლის პერიოდშივე თ. ჟორდანიამ გაამზადა ორი საყურადღებო ნაშრომი. ერთი მათგანი «Государственные сановники при вселенских соборах (к вопросу об отношении церкви к государству») — 1879 წელს გამოქვეყნდა მოსკოვში, მეორე კი — «Святейший Правительствующий Синод при Петре Великом в его отношении к Правительствующему Сенату» — 1882 წელს თბილისში დაიბეჭდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე თ. ჟორდანია ენერგიულ პრაქტიკულ და სამეცნიერო მუშაობას იწყებს. 1880 წლიდან იგი მუშაობს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, 1883 წლიდან კი თბილისის სასულიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო სემინარიაში ასწავლის მსოფლიოს და რუსეთის ისტორიებს, უფრო მოგვიანებით — დიდაქტიკას, ქართულ ენასა და საეკლესიო ისტორიას. მალე თ. ჟორდანიას, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოსწავლეთა შორის, სემინარიასთან არსებული ერთკლასიანი სანიმუშო სამრევლო სკოლაც ჩააბარეს. სემინარიაში მუშაობის წლებში თ. ჟორდანიას მოწაფეები იყვნენ შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები: თ. სახოკია, ივ. ვართაგავა, ფ. გოგიჩაიშვილი, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე და სხვები.

თანამედროვეები განსაკუთრებით აფასებდნენ თ. ჟორდანიას ამავე სემინარიაში ქართული ენის დაცვის საქმეში. წლების მანძილზე აქ ეს ენა იდევნებოდა და არასავალდებულო საგნად ითვლებოდა. თ. ჟორდანიას მცდელობით ქართულს სათანადო ყურადღება მიექცა. დაარსდა საგანგებო საშტატო ერთეულიც — ქართული სიტყვიერებისა და ისტორიის კათედრა, რომლის საქმიანობასაც თავიდანვე თ. ჟორდანია წარმართავდა. 1889 წ. თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავისი „ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი)“.

90-იან წწ. პედაგოგიურ სარბიელზე ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად, თ. ჟორდანიამ დაიწყო თავისი მეცნიერული კვლევის პირველი შედეგების გამოქვეყნებაც. თავისუფალ დროს იგი დაუღალავად მუშაობდა წიგნსაცავებსა და ეკლესია-მონასტრებში იქ დაცული ძველი ქართული ხელნაწერების, საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალების შესასწავლად. თ. ჟორდანიამ დიდი შრომა ჩაატარა ხელნაწერთა ისეთი მდიდარი კოლექციის შესასწავლად, როგორიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი. თ. ჟორდანიას ეკუთვნის ამ კოლექციის ქართულ ხელნაწერთა ერთ-ერთი პირველი აღწერილობა.

1888 წელს თ. ჟორდანია დაინიშნა ახლად დაარსებული თბილისის საეკლესიო მუზეუმის გამგედ. 1889 წლიდან კი მას ირჩევენ საეკლესიო-საარქეოლოგიო საბჭოს წევრადაც. 1902 წ. თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორი წიგნი (სულ აღწერილია 800 ერთეული). შემდეგში ეს საქმე გააგრძელა მოსე ჯანაშვილმა, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს აღწერილობის მესამე წიგნი.

90-იან წლებშივე თ. ჟორდანია ქმნის თავისი ნაშრომების ძირითად ნაწილს, რისი მეოხებითაც მკვიდრად იკიდებს ფეხს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1896 წლიდან თ. ჟორდანიას მეცნიერული მუშაობისათვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ იგი „დააწინაურეს“ — გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს სკოლების ეპარქიულ მეთვალყურედ. ამან თედო არსებითად მოწყვიტა საკვლევაძიებო მუშაობას. მისი დიდი ენერგიის ნაწილი შეელია ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლას სამეგრელოს საეკლესიო სკოლებში, სადაც ქართული ენა დევნისა და შევიწროების ობიექტი იყო. ზემოაღნიშნული ბრძოლის შედეგად ცნობილი რეაქციონერების — ვოსტორგოვისა და იანოვსკის სურვილების საწინააღმდეგოდ, სამეგრელოს ეპარქიულ სკოლებში ქართული ენის სწავლება შენარჩუნებულ იქნა, მაშინ როცა განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლებლებში ქართული ენა ამოიღეს. ასეთი დამსახურების მიუხედავად, როცა ქართული ენის ქომაგობა ხშირად მხოლოდ არაპირდაპირი გზებით იყო შესაძლებელი, ზოგიერთმა პირმა თ. ჟორდანიას საქმიანობა თავისებურად გაიგო და მას ქართული ენის მტრობაც კი დააბრალა. ამ ფაქტმა თ. ჟორდანიას მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა და დიდი ხნით ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაშორა ქართული ისტორიოგრაფიის სარბიელს. მხოლოდ მოგვიანებით, ჩვენი საუკუნის 10-იან წწ. აღიმაღლა ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ქართველ მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა, რამაც თ. ჟორდანია გაამხნევა და სამეცნიერო მუშაობის ხალისიც დაუბრუნა. მაგრამ ის ამ დროისათვის ფიზიკურად უკვე მოტეხილი იყო და მალე, 1916 წლის 22 ოქტომბერს (ძვ. სტ.) გარდაიცვალა კიდეც. ქართველი ხალხის მიერ გულწრფელად დატირებული თ. ჟორდანია მიაბარეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონის მიწას.

თავისი პლეადის სხვა ისტორიკოსთა მსგავსად თ. ჟორდანია უმთავრესად საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით საკითხებზე მუშაობდა. მან სათანადო ინტერპრეტაცია მოუძებნა საქართველოს ისტორიის მრავალ პირველწყაროს და მათი ერთი ნაწილი გამოაქვეყნა კიდევაც, რითაც ისინი ფართო საზოგადოებისათვის გახადა მისაწვდომი. თ. ჟორდანიას ძირითადი ნაშრომებია: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ (გამოქვეყნებულია სამ ტომად. I ტომი გამოიცა 1893 წ., II ტომი — 1897 წ., ხოლო III — ჩვენს დროში, 1967 წ. თ. ჟორდანიას მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე); „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“ (1896); «Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г.» (1895); «К материалам по истории Грузии X—XI вв.» (1895); «Пять грузинских исторических хроник» (1903); «Хроника абхазских царей» (1902); „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“ (1903) და სხვ.

იმ აზრიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ისტორიოგრაფიული კონსტრუქციების საფუძველი „ქართლის ცხოვრება“ შედარებით ნაკლებ ცნობებს შეიცავს ხალხთა ფართო მასის ცხოვრებაზე და ამის გამო საჭიროა აღნიშნული ხარვეზის ამოვსება, თ. ჟორდანია დაუზარლად ცდილობდა საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძებნას, მათ დამუშავებას და პუბლიკაციას. მისი ეს ნაშრომები სამართლიანად ქმნიან ჩვენი ისტორიოგრაფიის ფაქტოლოგიურ ხერხემალს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ქრონიკები“, რომლებიც დღემდე რჩებიან საქართველოს ისტორიის მკვლევართა სამაგიდო პუბლიკაციად. ყურადღებას იქცევს არა მარტო მასალის სიუხვე და მნიშვნელობა, არამედ მათი მეცნიერული გააზრებაც. ამ მხრივ თავისი დროისათვის უთუოდ საინტერესო იყო თ. ჟორდანიას მიერ ისეთი აქტუალური საკითხის დასმა და გაშუქება, როგორიცაა „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობისა და მისი ცალკეული ნაწილების შედგენის დროისა და პირობების პრობლემა. მთელ რიგ სადავო დებულებებთან ერთად აქ მაღალ დონეზე იყო დასმული და განხილული, მაგალითად, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებების თარიღისა და სიავკარგის საკითხი. თ. ჟორდანიას მრავალი ცალკეული დაკვირვება ზემოაღნიშნული საკითხების კვლევისას გაზიარებულ იქნა შემდგომი თაობის მკვლევართა მიერაც.

თ. ჟორდანიას ეკუთვნის არაერთი გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საკითხებზე. მან ერთ-ერთმა პირველმა მიუძღვნა შესანიშნავი გამოკვლევა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მანვე შეისწავლა ანტონ 1-ის საინტერესო პიროვნება. თ. ჟორდანიას ინტერესის საგანს წარმოადგენდა ქართული სტამბის დაარსების, აგრეთვე ამ საქმეში მთავარეპისკოპოსის იოსებ სამებელის როლის საკითხი. თ. ჟორდანიას სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია მისი „შემოსევა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების საქართველოში“ (1915); «Абхазские католикосы» (1894); «Краткие сведения об автокефалии грузинской церкви» (1905); „ბატონ-ყმობა საქართველოში“, რომელიც 1915 წელს დაიბეჭდა „ახალ ქართლში“. ამ უკანასკნელში გაიდეალებული იყო ქართული ბატონყმობა და რუსეთის ანალოგიურ მოვლენასთან შედარებით მსუბუქი ურთიერთობების სახით იყო გააზრებული. ამ თვალსაზრისმა ქართული ისტორიოგრაფიის კრიტიკა დაიმსახურა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით ნაშრომში წამოჭრილი საკითხი პირველი ცდა იყო ბატონყმობის ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თ. ჟორდანია ოცნებობდა შეექმნა საქართველოს ისტორიის მთლიანი პროცესის ამსახავი ნაშრომი, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ასეთია თ. ჟორდანიას მეცნიერული ღვაწლი, რაც მას სამართლიანად აყენებს ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა რიგში. წინამდებარე წერილი ერთგვარი „მცირე უწყებაა“ ღვაწლმოსილი ქართველი ისტორიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლის პიროვნება და ნააზრევი, მიუხედავად მისი ცალკეული მხარეების ობიექტურად დადგენისა და შესწავლისა (შ. ხანთაძე, გ. ჟორდანია, შ. ბადრიძე...) ჯერ კიდევ მოითხოვს დეტალურ დამუშავებას და განზოგადებას.

შოთა ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი. ა. კიკვიძე

**(1932—1978)**



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1978 წ. 15 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ არქ. კათედრის პროფესორი, სკკპ წევრი 1960 წლიდან, იაზონ აბელის ძე კიკვიძე; ჩვენი ისტორიკოსების, კერძოდ არქეოლოგების რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი უნიჭიერესი, ენერგიით აღსავსე მკვლევარი.

იაზონ აბელის ძე კიკვიძე დაიბადა 1932 წ. ვანის რ-ის სოფ. ჭყვიშში, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აბელ კიკვიძისა და დამსახურებული პედაგოგის, პოეტ ტ. ტაბიძის დის, სიფიო ტაბიძის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა მე-17 სკოლაში, ხოლო უმაღლესი თსუ-ში სადაც ისტორიის ფაკ-ი დაამთავრა 1954 წ. ი. კიკვიძე სტუდენტობიდანვე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში, კერძოდ — საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ გაუშვია ხელიდან არქეოლოგის წერაქვი. 1956—1970 წლებში, როცა ის მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმში, ი. კიკვიძე უკლებლივ მონაწილეობდა ყველა დიდ არქ. ექსპედიციაში — ურბნისში, გორში, მცხეთაში, ნოსტეში და სხვაგან. ურბნისში მან ბრწყინვალედ გათხარა და შეისწავლა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ნასოფლარი — სახელგანთქმული „ხიზანაანთ გორა“, რომელიც დღესაც ითვლება ადრეული ბრინჯაოს ხანის ეტალონურ ძეგლად კავკასიაში.

უნივერსიტეტში მუშაობის წლებში ი. კიკვიძე მონაწილეობდა ქვემო ქართლის, კახეთის,

ძირითადად კი სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ შუარის ბრინჯაოს ხანის კულტურის შესწავლაში. შესანიშნავი სამუზეუმო და საველე მუშაკის თვისებებთან ერთად ი. კიკვიძე ხასიათდებოდა მკვლევარი-ისტორიკოსის იშვიათი ალღოთი და საკითხების არსში წვდომის უნარით, მისი კალმის ქვეშ არქეოლოგიური ფაქტები ცოცხლდებოდნენ — ისტორიული ცხოვრების ხორცს ისხამდნენ. მან დიდი დრო და ენერგია მოახმარა საქართველოს ძველთაძველი მეურნეობის საფუძვლების, კერძოდ — მორწყვის ისტორიის კვლევას, მისი საკანდიდატო დისერტაცია „მორწყვა ძველ საქართველოში" — დღესაც რჩება სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნად, ხოლო მისი ბოლო ნაშრომი — „მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში", რომელშიც მას მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიენიჭა, განსაცვიფრებელი სიცხადით, სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიდგენს საქართველოს უძველესი მოსახლეობის სამეურნეო და სოციალურ ისტორიას, იშვიათი გამჭრიახობით წვდება მისი სოციალური ცხოვრების სიღრმესა და ხსნის მის შინაარსს.

ი. კიკვიძე წავიდა ცხოვრებიდან სრული სიმწიფის ხანაში, სწორედ მაშინ, როცა ხორცს ისხამდა მისი ფართო სამეცნიერო გეგმები, სრული ძალით ვლინდებოდა მისი ცოდნა და დიდი ნიჭი; ეს არის მძიმე დანაკლისი ჩვენი მეცნიერებისათვის; ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა ნამდვილი მამულიშვილი ხოლო მისმა მრავალრიცხოვანმა ამხანაგებმა და კოლეგებმა დაკარგეს გულმხურვალე მეგობარი და ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით მაისურაძე



ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ სერიოზული დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1942 წლიდან დავით გიორგის ძე მაისურაძე.

დ. მაისურაძე დაიბადა 1916 წელს შორაპნის მაზრის სოფელ ჯაფარეულში. 1933 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი, სწავლის პერიოდში მუშაობდა გაზეთ „მუშასა“ და რადიოგადაცემათა რედაქციებში ლიტერატურულ მუშაკად.

1934 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტად, ერთი წლის შემდეგ გადავიდა ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, მაგრამ საქ. კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მალე გაგზავნა ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის — „ლენინის დროშის“ რედაქტორად. 1944 წლის ნოემბრიდან იგი გადმოჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც იმუშავა 1952 წლის ივნისამდე — ჯერ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორად, შემდეგ ინსტრუქტორად, და ბოლოს, პრესისა და გამომცემლობის სექტორის გამგედ. ამავე პერიოდში მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის სრული კურსი და 1949 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1952 წლის ივნისიდან დ. მაისურაძე ინიშნება საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსად. 1957 წლის აგვისტოდან იგი გადაჰყავთ საქართველოს სსრ დეპეშათა სააგენტოს დირექტორად, სადაც იმუშავა 1961 წლის სექტემბრამდე. ამის შემდეგ იგი ინიშნება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1946 წლის ივლისიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა გარდაცვალებამდე.

დ. მაისურაძე დიდსა და ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა წლების მანძილზე. მის კალამს ეკუთვნის 15 მონოგრაფია და 150-ზე მეტი სამეცნიერო და თეორიული ხასიათის სტატია. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევის საქმეს. არა ერთი ფუნდამენტური მონოგრაფიით წასწია წინ მშობლიური ქვეყნის უახლესი ისტორიის კვლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „საბჭოთა საქართველოს კულტურა“, რომელიც გამოქვეყნდა 1965 წელს რუსულ ენაზე. ამ გამოკვლევისათვის დ. მაისურაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, აღნიშნული სამუშაოების პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას — თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, წარმატებით მიჰყავდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და სკკპ ისტორიის კურსი.

აქტიურად მონაწილეობდა დ. მაისურაძე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა დროს არჩეული იყო და მუშაობდა საქ. კპ ორჯონიკიძის რაიკომის წევრად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების სა-

ქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრად, საქართველოს კომპარტიის XV—XXI ყრილობების დელეგატად, ჟურნალისტთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად და ა. შ.

ნაადრევად დატოვა დიდმა პატრიოტმა, კეთილშობილმა მოქალაქემ და კომუნისტმა დ. მაისურაძემ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელი, მას, როგორც განათლებულსა და ერუდირებულ მკვლევარს ჯერ კიდევ შეეძლო დიდი და სასარგებლო შრომით გაემდიდრებინა ქართული მეცნიერება. დაუვიწყარი იქნება გულწრფელი და საყვარელი ადამიანის დ. მაისურაძის ნათელი ხსოვნა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; სკპკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი; ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; საქართველოს სსრ საისტორიო სამეცნიერო საზოგადოება; საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.VI.79; შეკვ. 926; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 18.2; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 17.10; უე 06758; ტირაჟი 1400;

**ფასი 1 მან.**

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузсва, 19

ფასი 1 მან.

*ҶР-3/8*

Индекс 76197